

ISSN 1987 – 5789

ESSN 2587- 5426



ეკონომიკა და ბიზნესი

ECONOMICS and BUSINESS

4

ტომი XIII Volume

2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Analytical Journal of the Faculty of
Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University



გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2015 წლიდან – კვარტალურად
Publish since January 2008 once in two months,
since 2015 – quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. #2
თსუ მალღივი კორპუსი, III სართული, 316-317
ტელ. +995 32 2 25 04 84

მთ. რედაქტორი: ტელ – 599794949, მოადგილე – ტელ: 599103816,
პ/მდ. – ტელ: 599218384, მთ. სპეც. – ტელ: 577970280.
ვებრედაქტორი – 599 037455
Adress: Tbilisi University str. #2.

Chief Editor – Tel: 599794949, Deputy Chief Editor – Tel: 599103816,
Responsible Secretary – Tel: 599218384, Chief Specialist – Tel: 577970280
Tel: +99532 2 250 84 – 9781, 9763, 9724.
Webeditor – 599 037455
eb.tsu.ge
e-mail: ebf.journal@tsu.ge

სარედაქციო კოლეგია

თსუ პიროვნებები: **იუხი ანანიაშვილი**, **თეიმურაზ ბეჩიძე**, **სიმონ გელაშვილი**, **ივანე გვედესიანი**, **ივანე გოგობია** (იუდაეტიკის მოადგილე), **თამაზ ზუბიაშვილი** (პასუხისმგებელი მდივანი), **ნუგზახ თოდუა**, **იჩაკლი კოვზანაძე**, **მუხთაზ მალხაძე**, **ედგუჯა მექვაბიშვილი** (მთავარი იუდაეტიკოსი), **დავით ნახმანია**, **ნუგზახ პაიჭაძე**, **დევან საბაუხი**, **დემურ სიჭინავა**, **მიხიან ტუხაშვილი**, **გიორგი ლალანძე**, **თეიმურაზ შენგელია**, **ეთეს ხაჩიშვილი**, **იოსებ ხელაშვილი**; პიროვნებები: **ხამაზ აბესაძე** – პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, **ანზოხ აბხადავა** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, **იოსებ აჩრვაძე** – ქუთაისის უნივერსიტეტი, **გიორგი თუქია** – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, **მეჩაბ კაკულია** – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, **მუხმან კვახაცხელია** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **პაატა კოლუაშვილი** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **შადვა მაჭავახიანი** – ევროპული უნივერსიტეტი, **ვლადიმე პაპავა** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, **დადი სეხნიაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, **ავთანდილ სილაგაძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, **ვლადიმე ღლონტი** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **ნიკოლოზ ჩიხლაძე** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **მიხეილ ჯიბუტი** – გიორგი ხობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

მიხეილ ადგმანი – ჩიხილიძეთ კახილინას უნივერსიტეტი, პიროვნები (აშშ); **ვლადიმე ვენგი** – ბეჩინის ტექნიკური უნივერსიტეტი, პიროვნები (გერმანია); **იოსებ მ. კინგი** – ოსტონის უნივერსიტეტის კოლექტის ეკონომიკისა და სოციალური მეცნიერებების გამოყენებითი ეკონომიკის კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი (ნორვეგია), პიროვნები; **დმიტრი ლუკინენკო** – კიევის ვაღიმე პეტროვის სახელობის ნაციონალური ეკონომიკური უნივერსიტეტის იუდაეტიკოსი, პიროვნები (უკრაინა); **იჩაკლი მანაგაძე** – სიდნეის ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, J. Stern&Co Investment ოფისის კონსულტანტი, დოქტორი (დიდი ბრიტანეთი); **გიორგი ნ. მენჯიუ** – ჰაიფაის უნივერსიტეტი, პიროვნები (აშშ); **იან მიხაილი** – ვაშინგტონის უნივერსიტეტი, პიროვნები (პოლონეთი); **დადი ნილი** – ილინოისის უნივერსიტეტი, ემეიგუს-პიროვნები (აშშ); **ამეზიან ფეხგუინი** – გენობის ადვოკატი უნივერსიტეტი, პიროვნები (საფრანგეთი); **ელიზაბეთ ჩაკო** – ჯიხ ვაშინგტონის უნივერსიტეტის გეოგრაფიისა და საერთაშორისო ურთიერთობების პიროვნები (აშშ); **გომას ჰადმა** – ტაივანის უნივერსიტეტი, პიროვნები (ტაივანი).

EDITORIAL BOARD

TSU Professors: **Iuri Ananiashvili**, **Teimuraz Beridze**, **George Gaganidze**, **Simon Gelashvili**, **Revaz Gvelesiani**, **Revaz Gogokhia** (Deputy Redactor), **Eter Kharashvili**, **Ioseb Khelashvili**, **Irakli Kovzanadze**, **Murtaz Maghradze**, **Elguja Mekvabishvili** (Editor-in-Chief), **Davit Narmania**, **Nugzar Paichadze**, **Levan Sabauri**, **Temur Shengelia**, **Demur Sichinava**, **Nugzar Todua**, **Mirian Tukhashvili**, **Tamaz Zubiashvili** (Executive Secretary); Professors: **Ramaz Abesadze** – Paata Gugushvili Economic Institute, **Anzor Abralava** – Georgian Technical University, **Ioseb Archvadze** – Kutaisi University, **Nikoloz Chikhladze** – Akaki Tsereteli State University, **Vladimer Glonti** – Batumi Shota Rustaveli State University, **Mikheil Jibuti** – Georgian Academy of Economic Sciences President, **Merab Kakulia** – Georgian Institute of Public Affairs (GIPA), **Murman Kvaratskhelia** – Sukhumi State University, **Paata Koguashvili** – Georgian Academy of Agricultural Sciences Academician, **Shalva Machavariani** – European University, **Vladimer Papava** – Georgian National Academy of Sciences Academician, **Dali Sekhniashvili** – Georgian Technical University, **Avtandil Silagadze** – Georgia National Academy of Sciences Academician, **George Turkia** – Georgian Institute of Public Affairs (GIPA).

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

Michael A. Altman – Director, Hospitality and Tourism Management Program, Meredith College School of Business, North Carolina University (USA); **Ameziane Feraguéne** – Professor of Economics at Grenoble Alps University (France); **Elizabeth Chaco** – Professor of Geography and International Relations, George Washington University (USA); **Toomas Haldma** – Professor, Tartu University (Estonia); **Roswitha M. King** – Leader of Research Group ‘Applied Economics,’ Faculty of Economics and Social Sciences, Ostfold University College (Norway); **Dmytro Lukianenko** – Vadym Hetman Kyiv National Economic University, Rector, Professor (Ukraine); **Irakli Managadze** – Chairman of Silk Road Bank Supervisory Board, Senior Advisor and Consultant at J.Stern & Co Investment Office Acad. Doctor (UK); **Gregory N. Mankiw** – Harvard University, Professor (USA); **Jan Mikhalek** – University of Warsaw, Professor (Poland); **Larry Neal** – Illinois University Emeritus Professor (USA); **Wolfgang Weng** – Berlin Technical University, Professor.

ს ა რ ჩ ე ზ ი

ეკონომიკური თეორია ო ეკონომიკური პოლიტიკა

ჯეიმს კ. გედბეიტი – <i>ჩა აჩის ეკონომიკსი? პოლიტიკური დისციპლინა</i> <i>ხედაური მსოფლიოსთვის</i>	7
ედვუა მექვაბიშვილი – <i>ეკონომიკის ახალი პარადიგმის ძიება</i> <i>(კომენტაჟები ჯეიმს კ. გედბეიტის სტატიაზე „ჩა აჩის ეკონომიკსი? პოლიტიკური დისციპლინა ხედაური მსოფლიოსთვის“</i>	30
მიხეიდ ჯიბუტი – <i>საქართველოს ეკონომიკა: 30 წლიანი ტრანსფორმაციის</i> <i>გაგებისათვის</i>	41
თემუხ ბეიძე – <i>ქვეყნის ეკონომიკის საინვესტიციო შესაძლებლობები</i> <i>(საქართველოს მაგალითზე)</i>	58
გიორგი მაღაშია – <i>მომხმარებლის ზედმეტობა - გამოწვევა</i> <i>კაცობრიობის წინაშე</i>	70
დავით ჭელიძე, დევიან ჭელიძე – <i>ინფლაციის ხეგუდიების სხედყოფის</i> <i>საკითხისათვის</i>	97

რეგიონული ეკონომიკა

ქისტინე უგადა – <i>დეცენტრალიზაცია ადგილობრივი ეკონომიკური</i> <i>განვითარებისთვის</i>	119
--	-----

ბიზნესი ო მენეჯმენტი ო მარკეტინგი

ხათუნა ბახბაქაძე, ნატო კაკაშვილი – <i>კომპანიის ფუდადი ნაკადების</i> <i>ეფექტიანი მართვის შესახებ</i>	141
ვაჟა ვეჟიძე – <i>მწვანე გადასახადები, ბიოეკონომიკა და საქართველოს</i> <i>აგაჩური სექტორის მდგადი განვითარება</i>	152
გედა წითელაშვილი – <i>საქართველოს მობილური ოპეჩატორების</i> <i>მომგებიანობისა და ფინანსური სტაბილურობის შეფასების აქტუალური</i> <i>საკითხები</i>	165

სოციალური პოლიტიკა ო დემოგრაფია

მეჩაბ ხმადაძე – <i>„დემოგრაფიულად მომაკვდავი“ სოფლები</i> <i>საქართველოში</i>	184
ანა ჩაგელიშვილი – <i>შებლუდური შესაძლებლობის მქონე პიჩების</i> <i>დასაქმებისა და განვითარების პირობები საქართველოში</i>	195
მაგდა მალჩაძე – <i>უმაღლესი განათების ინტეჩნაციონალიზაციის ხოდი</i> <i>ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის</i>	212

CONTENTS

ECONOMIC THEORY ◊ ECONOMIC POLICY

James Gelbright – What is Economics? A Policy Discipline for the Real World	7
Elguja Mekhvabishvili - Searching for New Paradigms in Economics (Comments on James K. Galbraith's Article "What is Economics? A Policy Discipline for the Real World")	30
Mikheil Jibuti - Georgian Economy: for Understanding of 30 Years of Transformation	41
Teimuraz Beridze - Investment Capacity of the Country's Economy (The Case of Georgia).....	58
George Malashkhia – Consumer Excess Is A Challenge To Humanity.....	70
Davit Chelidze, Levan Chelidze – For of Perfection to Regulation of the Inflation	97

REGIONAL ECONOMY

Kristine Uglava – Decentralization for Local Economic Development.....	119
---	-----

BUSINESS ◊ MANAGEMENT ◊ MARKETING

Khatuna Barbakadze, Nato Kakakshvili – About Effective Cash Flow Management of the Company	141
Vazha Verulidze – Green Taxes, Bioeconomy and Sustainable Development of Georgian Agricultural Sector	152
Gela Tselashvili – Topical Issues of Assessing Profitability and Financial Stability of Georgian Mobile Operators	165

SOCIAL POLICY ◊ DEMOGRAPHIC

Merab Khmaladze – Demographically Dying Villages in Georgia	184
Ana Chagelishvili – Employment and Development Problems of People with Disabilities in Georgia.....	195
Magda Magradze – The Role of Internationalization of Higher Education for Country's Economic Development	212

ეკონომიკური თეორია ◊ ეკონომიკური პოლიტიკა ECONOMIC THEORY ◊ ECONOMIC POLICY

რა არის ეკონომიკისი? პოლიტიკური დისციპლინა რეალური მსოფლიოსთვის¹

ჯეიმს კ. გელბრეიტი

პროფესორი

ტეხასის უნივერსიტეტი ოსტინში
galbraith@mail.utexas.edu

ეკონომიკისი პოლიტიკური დისციპლინაა, რომელიც განიხილავს დიდ და მცირე პირობებს, დაკავშირებულს სოციალური საკითხების ორგანიზებასა და საერთო კეთილდღეობასთან. იგი გახეივ პირობების ცვლილებებთან ერთად ვითარდება და ისტორიულადაა განპირობებული. ეკონომიკური იდეების გამოყენება კონკრეტულ გახეივებში შეიძლება წახმატებული ან წახმატებელი იყოს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, განსხვავებული იდეების მეორე ადამიანები გამოდიან წინა პოზიციაზე.

კაპიტალიზმი ახის ეკონომიკური სისტემა, რომლის მახასიათებლებსა და პირობებსაც განიხილავენ ეკონომისტები მე-18 საუკუნიდან მოყოლებული. ეს სისტემა ახ ახის ერთადერთი. ახსებობდნენ ეკონომისტები კაპიტალიზმადე- ჯეი კიდევ ახისტოგენის დროს. სოციალიზმსა და კომუნისტსაც ჰყავდა საკუთარი ეკონომისტები. დღეს ჩვეულებრივ განიხილავენ „კაპიტალიზმის განსხვავებულ ფორმებს“, ხაც ხელს უწყობს განსხვავებული შეხედულებებისა და პეისპეტივების მეორე ეკონომისტების ჩამოყადიებას. ეკონომისტები და ეკონომიკური თეორიები შეიძლება ჩავთვაროთ სოციალური წესის მიეი წახმოქმნიდ პიროქტებად..

მსოფლიო, რომლისკენაც მიმართულია ეკონომიკური პოლიტიკა, კომპლექსური სისტემაა. ეკონომისტები, რომლებიც ცდილობენ შეიმუშაონ შესაბამისი პოლიტიკა, ხედმდვანებობენ გამაჩვივებებითა და ექისტიკით. დისციპლინის წინაშე ახსებული ამოცანაა იმის გადაწყვეტა, თუ ხა სახის გამაჩვივა შეეფეება ყვედაზე უკეთესად მოცემულ სიტუაციას. თანამედროვე მეცნიეების სულისკვეთებით, ნაშიომი ასა-

1 თარგმნა სალომე კობახიძემ

ბუთებს, რომ შესაბამისი განზოგადებები, გამაჩვიებები, ევჩისტიკა და პრინციპები უნდა იყოს მიღებული ჰეაღუხი სამყაროს შესწავლის გზით. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომისტებს შეუძლიათ გამოიყენონ მათემატიკური ინსტრუმენტები და მათი შეხედულებები შეიძლება გამომდინარეობდეს მათემატიკური სისტემების ქცევიდან, ახაადეკვატუხია მხოლოდ ამ უკანასკნელის გამოყენება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის გამოდინარეობს ნეოკლასიკური მენისტიმის მკვდახი დოგმებიდან: *ex nihilo nihil fit* (ახაფუხი იწახმოება ახაფუხისგან)

შესავალი

ეკონომიკის პოლიტიკური დისციპლინაა. იგი განიხილავს ისეთ დიდ და მცირე პრობლემებს, რაც დაკავშირებულია სოციალური საკითხების ორგანიზებასა და საერთო კეთილდღეობასთან. ის, გარემო პირობების ცვლილებებთან ერთად ვითარდება და ისტორიულადაა განპირობებული. კონკრეტულ გარემოებებში ეკონომიკური იდეების გამოყენება სპეციფიკურ პრობლემებთან მიმართებით, შეიძლება წარმატებული ან წარუმატებელი იყოს. ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, განსხვავებული იდეების მქონე ადამიანები ხდებიან მონინავეები.

კაპიტალიზმი არის ეკონომიკური სისტემა, რის მახასიათებლებსა და პრობლემებსაც განიხილავენ ეკონომისტები მე-18 საუკუნიდან მოყოლებული. ეს სისტემა არ არის ერთადერთი; არსებობდნენ ეკონომისტები კაპიტალიზმამდე ჯერ კიდევ არისტოტელის დროს და იყვნენ ეკონომისტები კონკურენტულ სისტემებში - სოციალიზმსა და კომუნიზმსაც ჰყავდა საკუთარი ეკონომისტები. დღეს ჩვეულებრივ განიხილავენ „კაპიტალიზმის განსხვავებულ ფორმებს“ (Hall and Soskice, 2001), რაც ასევე ხელს უწყობს განსხვავებული შეხედულებებისა და პერსპექტივების მქონე ეკონომისტების ჩამოყალიბებას. ეკონომისტები და ეკონომიკური თეორიები შეიძლება ჩავთვალოთ სოციალური წესრიგის მიერ წარმოშობილ პროდუქტებად.

მსოფლიო, რომლისკენაც ეკონომიკური პოლიტიკაა მიმართული, კომპლექსური სისტემაა. ეკონომისტები, რომლებიც ცდილობენ შეიმუშაონ შესაბამისი პოლიტიკა, აუცილებლად ხელმძღვანელობენ გამარტივებებითა და ევრისტიკით. დისციპლინის წინაშე არსებული ამოცანაა იმის გადანყვეტა, თუ რა სახის გამარტივება შეეფერება მოცემულ სიტუაციას ყველაზე უკეთესად. თანამედროვე მეცნიერების სულისკვეთებით, ნაშრომი ასაბუთებს, რომ შესაბამისი განზოგადებები, გამარტივებები, ევრისტიკა და პრინციპები უნდა იყოს მიღებული რეალური სამყაროს შესწავლის გზით. მიუხედავად იმისა, რომ მათ შეუძლიათ გამოიყენონ მათემატიკური ინსტრუმენტები, მხოლოდ ამ უკანასკნელის გამოყენება არაადეკვატურია,

განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის გამომდინარეობს ნეოკლასიკური მეინსტრიმის მკვდარი დოგმებიდან: *ex nihilo nihil fit* (არაფერი იწარმოება არაფრისგან). მოგვიანებით ნაშრომში, გამოვყოფთ კვლევის სტრატეგიის ელემენტებს, რაც, ჩვენი აზრით, შეეფერება კომპლექსურ ეკონომიკურ სამყაროს. ამ პუნქტამდე, ჯერ უნდა დავაფიქსიროთ კრიტიკული განსხვავება ეკონომიკის პრაქტიკასა და აკადემიურ დისციპლინას შორის, რომ თავის თავს ეკონომიკსს უწოდებს.

ნეოკლასიკური მოძღვრება

თანამედროვე აკადემიური ეკონომიკისი - ორთოდოქსული, მეინსტრიმული, ნეოკლასიკური - აღმოცენდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც რეაქცია რადიკალური ცვლილებების კომპლექსზე, რაც მოიცავდა: ა) კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის მარცხნივ შემობრუნებას დავით რიკარდოდან კარლ მარქსამდე შრომის ღირებულების თეორიის ლოგიკურ წრილში; ბ) ჰენრი ჯორჯის კომენტარებს რიკარდოს დოქტრინაზე - ამერიკულ მიწაზე ერთჯერადი გადასახადის შესახებ, რასაც ეწინააღმდეგებოდნენ ამერიკელი მიწის მესაკუთრეები და გ) 1880-იანი-1890-იანი წლების პოპულისტური მოძრაობის მიერ წამოწყებული მარტივი კრედიტის, ბიმეტალიზმის და უფასო ვერცხლის კამპანიები, რომლებსაც უპირისპირდებოდნენ ბანკირები. (Frank, 2020). ყველა ამ ეკონომიკური და პოლიტიკური მოძრაობის მიღმა იმალება კიდევ უფრო ღრმა ცვლილება აზროვნებაში, კერძოდ, ევოლუციური მატერიალიზმის აღმოცენება და შემაშფოთებელი გაცნობიერება იმისა, რომ ბუნების მთელი მაგიური და შემადრწუნებელი მექანიზმი არის თვითორგანიზებული რთული სისტემების პროდუქტი, რასაც მართავს მცირე რაოდენობის შეუქცევადი ფიზიკური და ბიოლოგიური კანონები, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი - ბუნებრივი გადარჩევა და თერმოდინამიკის მეორე კანონი (Georgescu-Roegen, 1971).

მუდმივი ცვლილებების, შეუქცევადი დროის, მოსალოდნელი ძვრების მიმართ საყოველთაო შიშის და იმ შემაშფოთებელი აზრის წინააღმდეგ, რომ ადამიანისეული ინსტიტუტები ხელოვნურია, ცვალებადია და დემოკრატიული პრინციპებით კონტროლის საგანია, ნეოკლასიკურმა ეკონომიკმა შექმნა ბუნების ღმერთის ტაძარი, მოხერხებულად მოშინაურებული, ყოვლისმომცველი, თვითრეგულირებადი და კეთილთვისებიანი ბაზრის ნილაბში. ამ ბედნიერ მირაჟში ციური ჰარმონიის უძველესი ჩინური წარმოდგენები, რომელიც ეკონომიკას მიაწერა ფრანსუა კენემ (დევისი, 1983), გარდაიქმნა ალფრედ მარშალის მიწოდებისა და მოთხოვნის „მაკრატელად“ და განზოგადდა ლეონ ვალრასის სრულყოფილად კო-

ნკურენტუნარიან ბაზრებად, რომელთაგანაც თითოეული ბალანსდებოდა მოქნილი ფასებით უხილავი აუქციონერის გარჯის მეშვეობით. საბოლოოდ, პოლ სამუელსონმა (1947) მიითვისა ადამ სმიტის მეტაფორა „უხილავი ხელის“ შესახებ, რომელიც მეტისმეტად მიზანშეწონილი იყო მისი ნაწილობრივ პროზაული გამოყენებისთვის. ეროუსა და დებრეს (1954) მიერ ზოგადი წონასწორობის მოდელით სისტემა თითქმის დასრულდა. რაციონალური მოლოდინების და წარმომადგენლობითი აგენტის დანერგვამ, საბოლოოდ მიგვიყვანა გამოთვლით ზოგად წონასწორობამდე (Scarf, 1973) და დინამიური სტოქასტური ზოგადი წონასწორობის მოდელამდე.

ნეოკლასიკურ სისტემას ორი მხარე ჰქონდა: პირველი, იგი რეზონანსული იყო ყველა საზოგადოების მოწოდებისა, გაემართლებინა საკუთარი თავი რაიმე უმაღლესი მიზნის საშუალებით- ღვთის ნება იქნებოდა ეს, ცივილიზაციის მისია, ბედისწერა და ა.შ. ასეთი მოთხოვნილება სახიფათო ხდება მაშინ, როდესაც კომერციული კულტურის ფაქტობრივი ორგანიზაციული პრინციპი ისეთივე არაგონივრულია, როგორც ფულის გამომუშავება საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით. მეორე, ამ მოძღვრებამ მტკიცე იდეოლოგიური პასუხი გასცა ჯერ გეორგიზმს (Gaffney, 2007) და მოგვიანებით, მარქსიზმს ცივი ომის დაჭაობებულ ინტელექტუალურ კლიმატში. ასე რომ, ის გახდა შესავალის პორტალი მრავალი აკადემიური სინეკურისთვის (ადამიანები, რომლებიც იკავებენ სამუშაო პოზიციას, მაგრამ თავს არიდებენ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას-რედ.), რომელთაგან განსხვავებულებიც მკაცრად იზღუდებოდნენ იმის მიუხედავად, რომ ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკული სამუშაოს შესრულება გრძელდებოდა დასავლეთის უმეტეს ქვეყნებში არანეოკლასიკოსების და არამარქსისტების შედარებით მცირე ნაწილი, ძირითადად კი - ჯონ მეინარდ კეინზის მიმდევრების მიერ.

ინტელექტუალური ჰეგემონიის თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩარჩო. ჯოზეფ შუმპეტერის (1942) მსჯელობის საპირისპიროდ, რომ კაპიტალიზმი არის ევოლუციური სისტემა, ნეოკლასიკურმა ეკონომიკამ ერთხელ და სამუდამოდ დააფიქსირა დარგის ტაქსონომიური სტრუქტურები და კონცეფციები: რაციონალური ინტერესი, წარმომადგენლობითი აგენტები, ფირმები და ოჯახები, კაპიტალი და შრომა, ფასები და რაოდენობები, მოგება და ხელფასები, მონეტარული ნეიტრალიტეტი, ბუნებრივი საპროცენტო განაკვეთები, უმუშევრობა და ზოგადი წონასწორობა. ამ ჩარჩოდან ნებისმიერი გადახრა უბრალოდ მიუღებელი იყო. ეს იყო წმინდა თეორია და რადგან იგი ერთდროულად ყველაფერზე და არაფერზე ვრცელდებოდა, ის ვერ განვითარდებოდა.

ამგვარად, ტრადიციული ეკონომიკის დაკავშირებულია პროფესორ პანგლოსსა და მის მარადიულ მოძღვრებასთან ყველაფრის შესახებ, რო-

მელიც შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესოდ საუკეთესოთა შორის გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადგილი აქვს ისეთ ჩავარდნებს, როგორიცაა ურთიერთდამოკიდებული უპირატესობები, გიფენის საქონელი, ვებლენის საქონელი, მონოპოლია, გარეგანი ეფექტები, საზოგადოებრივი საქონელი, სახელმწიფო შესყიდვები და გადასახადები. აღარაფერს ვამბობთ გაურკვევლობის ნებისმიერ ფორმაზე, რის შემცირებაც ვერ ხერხდებოდა ალბათობის განაწილებითი სასრული დისპერსიით. მოკლედ, თანამედროვე აკადემიურმა ეკონომიკმა მიიღო „თანამედროვე გენერალ-მაიორის მოდელი“. მისი დიაპაზონი ვრცელდება ყველა წარმოსახვით სიტუაციაზე, გარდა იმისა, რაც მართლა მნიშვნელოვანია რეალურ სამყაროში.

სახელმწიფო სოციალისტური სისტემების გაქრობით სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპაში, თუმცა არა ჩინეთში, ნეოკლასიკური მოძღვრებები სარგებლობდნენ ფაქტობრივი ჰეგემონიის ხანმოკლე პერიოდით, რაც ცნობილია გამონათქვამით „ისტორიის დასასრული“ (ფუკუიამა, 1992). პოლიტიკაში, მცდელობები იმისა, რომ სოციალური რეალობა ყოფილიყო სოციალური მოწყობის იდეალური ტიპის ამსახველ თეორიულ მოდელებთან შესაბამისობაში, უკვე ათწლეულის განმავლობაში მიმდინარეობდა და ეს პროცესი ტრიუმფალიზმის ატმოსფეროში დაჩქარდა. დერეგულაცია, პრივატიზაცია, დაბალი გადასახადები, მთავრობის გავლენის შემცირება, თავისუფალი ვაჭრობა და სტაბილური ვალუტა იყო იმ ეპოქის ლოზუნგი, რომელსაც ეწოდა ნეოლიბერალიზმის ხანა. საოცრად მოკლე დროში ამ პროცესებმა გამოიწვიეს დეინდუსტრიალიზაცია, სტაგნაცია, უთანასწორობა და არასტაბილურობა (აზმანოვა, 2020). 2007-2009 წლების დიდი ფინანსური კრიზისის დროს ეს დოგმები მხილებულნი და მკაცრად იქნა გაკრიტიკებული: როგორ შეეძლო თეორიას, რაც არ ითვალისწინებდა ფულს ან კრედიტს, საბანკო სექტორს და თაღლითობის კონცეფციას (Black, 2005), აეხსნა ყველა დროის უდიდესი ფინანსური კატასტროფა? ინერციამ და მმართველობამ ნეოკლასიკური ეკონომიკისი 2020 წლის პანდემიამდე მიიყვანა, რა მომენტშიც მოხდა მისი - შესაძლოა საბოლოო - კოლაფსი (გელბრეიტი, 2020).

ქცევითი ეკონომიკისი და სირთულის ეკონომიკისი

რა უნდა იყოს ნეოკლასიკური ეკონომიკისისა და მისი ნეოლიბერალური პოლიტიკის გაგრძელება? ეკონომიკური ჰეტეროდოქსიის ფართო დროშის ქვეშ დაჯგუფებული კანდიდატების რიცხვი არც თუ ისე მცირეა. ზოგიერთი ამ მემკვიდრე მოძღვრებიდან - ქცევითი ეკონომიკისი და სირთულის ეკონომიკისი ნამდვილად იმსახურებს აღნიშვნას. ისინი ნეოკლასიკურ ორთოდოქსულ მიმართულებას იღებენ ამოსავალ წერტილად და აგრძე-

ლებენ საკუთარი თავის განსაზღვრას ამ ორთოდოქსულ მოძღვრებასთან მიმართებაში. სხვა მოძღვრებები საერთოდ ერიდებიან გრავიტაციულ მიზიდულობას – ან, როგორც კეინზის გამონაკლის შემთხვევაში, „ხანგრძლივი ბრძოლა უწევდათ თავის დასაღწევად“.

ბიჰევიორისტები ემიჯნებიან ნეოკლასიციზმს რაციონალური და ობ-ტიმალური ქცევის მკაცრ თეორიებზე უარის თქმით. სირთულის თეორეტიკოსები იკვლევენ მოქმედი აგენტებისა და რეკურსიული (განმეორებითი ხასიათი - რედ.) ფუნქციების დინამიკას. ორივე მათგანი მოიპოვებს აკადემიურ ავტორიტეტს ორთოდოქსულ მეინსტრიმთან მჭიდრო დიალოგში დარჩენით. ერთი შეხედვით, ისინი ხარკს უხდიან ძველ თაობებს და ეკონომიკური აზროვნების სხვა კანონებს (Reinert, Ghosh and Kattel, 2016). წარმოგიდგინებ მოდელს რასაც შეგვიძლია ნეოკლასიკური წარმონაქმნი ვუწოდოთ: ახალი ინსტიტუციონალიზმი, ახალი კლასიკური ეკონომიკისი, ახალი კეინსიანიზმი. ისინი ვამპირულ პრაქტიკას იყენებენ და ახალ მიმართულებას ქმნიან ძველი სიტყვების კოლონიზაციისა და მათი წინა მნიშვნელობების გადამუშავებისაგან.

ამ წარმონაქმნების პრობლემა იმაშია, რომ მათ აირჩიეს ორთოდოქსიის მცდარი წინაპირობა და ის ალტერნატივად შემოგვთავაზეს. მათი ჩანაფიქრი იყო მარადიული ჭეშმარიტების უგუნური ძიება, რაც კიდევ ერთხელ გვახვევს თავს „მომადუნებელ შემზღუდავ ვარაუდებს“, „დიდი რეალიზმის“ ინტერესებიდან გამომდინარე. ასე, მაგალითად, სირთულის თეორიებში აგენტები მიჰყვებიან მარტივ წესებს და საბოლოოდ ქმნიან რთულ და არაპროგნოზირებად შაბლონებს; არაწრფივი რეკურსიული ფუნქციები იძლევა ერთსა და იმავე შედეგს; შემოსავლების ვარიაცია აღმოჩნდება ნორმიდან გადახრილი და ა.შ. მაგრამ, როგორც კი ამოსავალ წერტილად აირჩევა ნეოკლასიკური კონკურენტული ზოგადი წონასწორობის მოდელი, ეს მაგალითები უმეტესწილად გამოიფიტება და დაკარგავს რელევანტურობას. ბიჰევიორისტებს შეუძლიათ გვითხრან, რომ რეალური ადამიანები, როგორც ჩანს, კარგად არ ჯდებიან ავტონომიური, ეგოისტური, საქონლით მინიჭებული სიამოვნების მაძიებლის პორტრეტში, როგორც არის „ეკონომიკური ადამიანი“. სირთულის თეორეტიკოსებს შეუძლიათ გვითხრან, რომ სისტემა, რაც აგებული იყო ურთიერთმოქმედი აგენტების გადანყვებილებების შერევით, შეიძლება არასტაბილური ყოფილიყო. ეს ყველაფერი რეალურად არსებული კაპიტალიზმის ყველაზე ზედაპირული დამკვირვებლისთვისაც კი კარგად არის ცნობილი.

მართალია, სტატიკური ფიზიკის გამოყენება ფინანსებში (იაკოვენკო და როსერი, 2021) ორთოდოქსულ ფინანსურ თეორიას ნანგრევებად აქცევს, მაგრამ რას მათებს ეს გრძელვადიანი კაპიტალის მენეჯმენტის გამოც-

დილებას (Galbraith, 2000), აზიის კრიზისს, NASDAQ-ის ბიუსტს, დიდ ფინანსურ კრიზისს ან თუნდაც 1929 წლის დიდ დეპრესიას (Galbraith, 2009)? კონკრეტულად რას გვთავაზობს ეს ახალი თეორიები? ეკონომისტი, რომელიც დაინტერესებულია საბანკო სისტემის ეფექტიანი რეგულირებით, ცოტას იძენს ჩვეულებრივი გამოცდილების მათემატიკური ანგარიშებიდან.

ეკოლუციური და ბიოფიზიკური ეკონომიკის

ეკონომიკური ფენომენებისადმი ეკოლუციური და ბიოფიზიკური მიდგომა ახალი არ არის და რეალურად დიდი ხანია წინ უსწრებს ნეოკლასიკურ ორთოდოქსიას, რასაც ზოგიერთი მისი წარმოშობის წინაპირობადაც განიხილავს. იგი დაიწყო მალთუსისა და დარვინის ინტელექტუალური ურთიერთქმედებით, განვითარდა კარლ მარქსის, ჰენრი კერის მეშვეობით, გარკვეული ხარისხით გერმანული ისტორიული სკოლის ძალისხმევით მომწიფდა და ყველაზე აქტუალური იყო XIX საუკუნის ბოლოს ამერიკული ფილოსოფიის პრაგმატულ და პლურალისტურ აურზაურში. მისი პირველი სრულყოფილი ფორმულირება ეკუთვნის ტორსტეინ ვებლენს(1898). შემდგომში იგი განვითარდა ჯონ კომონსის (1934), კლარენს ეირესის (1944) ინსტიტუციონალისტური ტრადიციების მიხედვით და გამოჩნდა როგორც დომინანტური ინტელექტუალური ძალა ამერიკულ ეკონომიკაში “ახალი კურსის” ფარგლებში.

კეინზიანური და ინსტიტუციონალისტური ტრადიციები კვლავ გაერთიანდა ჩრდილოეთ ამერიკაში ჯონ კენეტ გელბრეითის მიერ (კარტერი, 2020). მიმართულება, რომელიც ცნობილია როგორც პოსტ-კეინზიანური, გაგრძელდა რობერტ ეისნერის, ჰაიმან მინსკის, პოლ დევიდსონის და უინგოდლის მიერ. შემდეგ ის პოპულარული გახდა უილიამ მიტჩელის, რენდალ ურეის (2006), სტეფანი კელტონის (2020), პავლინა ჩერნევას (2020) ნაშრომებში, როგორც თანამედროვე მონეტარული თეორია. ბრიტანეთში კეინზიანულ საქმეს აგრძელებდნენ რიჩარდ კანი, ნიკოლას კალდორი (1985), ჯოან რობინსონი და სხვები. გლობალური ფინანსური კრიზისის პრობლემა განხილულია ბევრ წიგნში და სტატიაში. მათ შორის აღსანიშნავია ვარუფაკისი, ჰალევი და თეოკარაკისი (2011). რესურსების ხარისხის პრობლემის მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა ჯეკონსის დამსახურებაა, შემდეგ ის განავითარა მედოუსმა (1972) და დღეს საბოლოო სახით ჩამოყალიბებულია ბიოფიზიკურ სკოლაში (ჰოლი და კლიტგარდი, 2018, ჩენი და გელბრეიტი, 2009). ინსტიტუციონალისტური მიდგომის შემდგომი განშტოება მარქსისა და კეინზის იდეებზე დაყრდნობით გარდაიქმნა განვითარების ეკონომიკად, რაც დამუშავდა ეკონომისტების

მიერ: ალბერტ ჰირშმანი, რაულ პრებიში და მრავალი სხვა. ის დღესაც ინარჩუნებს აქტუალურობას ეკონომისტების ხელშეწყობით: სამირ ამინი და ჰა-ჯუნი, ჩანგ და ილენე გრაბელეები (2014), ჯაიატი გოში და ლუიზ კარლოს ბრესერ პერიერა (2010). მომავალში შესაძლოა ვინმემ შეისწავლოს გარდამავალი ეკონომიკის ჩინური გზის განშტოება, რაშიც ასახული იქნება გუეგოჟ კოლოდგოს ახალი პრაგმატიზმი (2020), იზაბელა ვებერის (2021) ჩინეთის პოლიტიკის შემუშავების გზაგასაყარ ისტორიასთან ერთად. არსებობს მოვლენების შესაძლო განვითარების კიდევ ბევრი ვარიანტი, რაც წამოჭრილი პრობლემების შესაბამისად შეიცვლება.

სასარგებლო ეკონომისტი

თითქმის ყველა ზემოჩამოთვლილ მიმართულებას გააჩნდა საერთო მახასიათებელი, გარდა რამდენიმე მათგანისა, რომლებიც აზრობრივ კონკურენციას უწევდა ნეოკლასიკურ მეინსტრიმს - მაგ., კემბრიჯის დაპირისპირებები კაპიტალის თეორიის ირგვლივ (რობინსონი, 1956; სრაფა, 1960; ჰარკორტი, 1972), ან მიკროეკონომიკსი (Keen, 2000), რომლის წარმომადგენლები დაინტერესებული იყვნენ პოლიტიკის პრაქტიკული საკითხებით. მათი მიზანი იყო და არის პრობლემის გარკვევა და გამკლავების საშუალების ძიება, რეფორმისტული თუ რევოლუციური გზებით. ეკონომიკური კვლევის მიზანია პოლიტიკური და სოციალური არჩევანის განსაზღვრა და მისი მხარდაჭერა.

სასარგებლო ეკონომისტი არის ის, ვინც ცდილობს გამოსავლის პოვნას მოცემული სიტუაციიდან. ჭეშმარიტად სასარგებლო ეკონომისტი მოქმედებს გახსნილი გონებით, პრობლემების გაცნობიერების გზით, ძირითადი პრინციპების ცოდნით და არა მათი ბრმად მიყოლით. ის თავისუფალია ფინანსური სარგებლის ძიებისა და პირადი ამბიციებისგან. არ ფიქრობს პოლიტიკურ სტატუსზე და საკუთარი პოპულარულობის კოეფიციენტზე ცნობილ ეკონომისტებს შორის. ბანკირებისა და სპეკულანტების ქცევა, ქარხნებისა და სატრანსპორტო ქსელების ემისიები, კრიტიკული რესურსების ამოღება დედამიწის ქერქის სასრული რეზერვიდან, ხელფასების, მოგების და რენტის დონე და განაწილება, სამართლიანი და ეფექტიანი გადასახადები, თავისუფალი მოქალაქეების ნებაყოფლობითი თანამშრომლობა, რაც საყოველთაო კეთილდღეობაზე იქნება ორიენტირებული - ეს ყველაფერი შეიძლება იყოს სასარგებლო ეკონომისტის კვლევის საგანი. ადამიანი, რომელიც შორსაა ამგვარ კითხვებზე პასუხის ძიებისგან, მიზნად ისახავს მხოლოდ „სისტემის მოდელირებას უმაღლესი მიზნებისთვის“ არის უსაქმური და არა იმდენად მეცნიერი, რამდენადაც მოყვარული.

ადამ სმიტის მიზანი იყო ხელი შეეწყო იმ სავაჭრო საზოგადოების ინტერესებისა და კეთილდღეობისთვის, რის ნაწილიც ის იყო, დიდი ბაზრებისა და შრომის დანაწილების ღირსებების ხაზგასმით. დევიდ რიკარდო ცდილობდა გადაეტანა გადასახადის ტვირთი მოგებიდან რენტაზე, ხოლო ჰენრი ჯორჯი ხელფასიდან ქირაზე. ორივე შემთხვევაში მიზანი იყო, რომ გადასახადებიდან ნაკლები შემოსავალი მიეღოთ უსაქმურ და არაპროდუქტიულ მინათმფლობელ კლასებს. კარლ მარქსმა დაწერა კაპიტალი, როგორც კაპიტალისტების ექსპროპრიაციის თეორიული საფუძველი. ჯონ მეინარდ კეიზი ცდილობდა გადაერჩინა და გარდაექმნა ბრიტანეთი და ბურჟუაზიული დემოკრატიული წყობა მასობრივი უმუშევრობის პრაქტიკული განკურნების გზით. ჯონ კენეთ გელბრეიტმა (1958, 1967) თავისი მკითხველების ყურადღება გაამახვილა ეკონომიკური პრობლემების მთელ რიგზე: საზოგადოებრივი სიღატაკე, დაბინძურება, სიღარიბე, კულტურული და ესთეტიკური სიმწირე და კორპორატიული ძალაუფლება. ჰაიმან მინსკიმ აღწერა ფინანსური არასტაბილურობის ფაზური გადასვლები - ჰეჯირება (ჰეჯი - სასწრაფო გარიგება, რაც დადებულია ფასის ან მოგების დაზღვევით), სპეკულაცია, პონცი (პონცის ფინანსური პირამიდა-საინვესტიციო აფიორა, როცა მსესხებელი ინვესტორებს ამონაგებს უხდის საკუთარი ინვესტიციიდან ან მომდევნო ინვესტორებისგან მიზიდული თანხიდან); დიდი მთავრობისა და დიდი ცენტრალური ბანკის, როგორც სტაბილიზაციის საშუალების აუცილებლობა. მილტონ ფრიდმანმა - კონსერვატორმა დაწერა მონეტარული ისტორია, რათა მხარი დაეჭირა მონეტარული პოლიტიკისათვის (Friedman and Schwartz, 1963). ამრიგად, მოსაზრება, რომ რომელიმე საუკუნის რომელიმე გამორჩეული ეკონომისტი განზე დგას თავისი ეპოქის პოლიტიკური საკითხებიდან, წმინდა წყლის სიცრუეა.

ეკონომიკური კვლევა

ეკონომიკური კვლევა, მიზნად ისახავს, თუ როგორ ფუნქციონირებს კონკრეტული კომპლექსური სისტემა, რაშიც ვცხოვრობთ, დროის ნებისმიერ კონკრეტულ მომენტში, რა სახის ძალებზე, ზენოლებსა და პოლიტიკაზე რეაგირებს ის. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია პ. ჩენის (2021) რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით იმის დემონსტრირება, რომ გაცვლითი კურსის კრიზისის „გამოწვევა მხოლოდ ფინანსურ ოლიგარქებს შეეძლოთ“. მეორე იყო მანდელბროტის (1999) ნაშრომი. მან აჩვენა, რომ კაპიტალის აქტივების ფასების მოძრაობა კარგად არის მოდელირებული მულტიფრაქტალური გენერატორის მიერ და სწორედ ამის გამოა იგი ღია შინაგანად არაპროგნოზირებადი ჩავარდნებისთვის. ასეთ დასკვნებს გააჩნიათ თვისება, რომ ისინი მიღებულია ან უშუალოდ შედარებულია რეა-

ღურ ეკონომიკის ფენომენს და ამით ამოტივაციას უკეთებს პოლიტიკურ და სოციალურ არჩევანს. ის არ გამომდინარეობს არც პოლიტიკის შემუშავების ძირითადი პრინციპებიდან და არც მათემატიკური სისტემების თვისებების შესწავლიდან, რაც - რაც არ უნდა საინტერესო იყოს თავისთავად - არასაკმარისად ასახავს ან საერთოდ არ ასახავს იმ რთულ ეკონომიკას, რაშიც ჩვენ ვცხოვრობთ. კვლავ მრავლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ასეთი მაგალითები. პრობლემა არ არის რეალური სამყაროს კვლევის ნაკლებობა ეკონომისტებს შორის. პრობლემურია ის, რომ ასეთ კვლევებს არ გააჩნია პოზიცია, რასაც ისინი იმსახურებენ. ამის მიზეზია მათი არაინტეგრირებული დომინანტურ თეორიაში.

ნაშრომის მომდევნო ნაწილი ამტკიცებს, რომ შემდგომი პროგრესისთვის, პოსტ-ნეოლიბერალური ეპოქის ეკონომიკის სჭირდება ემპირიული კვლევის მეთოდების შემუშავება, რაც ადაპტირებული იქნება ევოლუციურ ხედვებთან, რაც აკადემიურ და პრაქტიკულ პოლიტიკის სამყაროებს საშუალებას მისცემს კვლავ სასარგებლო გზით დაუკავშირდნენ ერთმანეთს. ეს არის ის, რაც უნდა გაკეთდეს ეკონომიკის გასაუმჯობესებლად. ნაშრომში წარმოდგენილია რამდენიმე მიდგომა, რაც შემუშავებულია ავტორის მიერ ხუთი ათწლეულის მანძილზე განხორციელებული პროექტებიდან. ისინი აქ ნაწილობრივ წარმოდგენილია "apologia pro vita sua"-ს სულიკვებით, მაგრამ ასევე იმ იმედით, რომ მათ შეუძლიათ სასარგებლოდ გააშუქონ მეთოდოლოგიური არგუმენტი.

ეკონომიკური ტაქსონომიის პრობლემა

კომპლექსური სისტემების ანალიზის დამახასიათებელი პრობლემაა ეფექტიანი ტაქსონომიის აგების სირთულე, რისი ნიშანდობლივი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ ბოტანიკის მეცნიერებიდან. ლინეუსის მიერ შეიქმნა მშვენიერი სისტემა, ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუში, მაგრამ თანამედროვე გაგებით, არა მეცნიერება. დღეს ლინეუსის კლასიფიკაცია აღარ გამოიყენება. ნაცვლად ამისა, ბიოლოგიური ტაქსონომია ემყარება მონათესავეობას მოლეკულურ დონეზე და ასახავს ევოლუციური პროცესის განსხვავებებს დროში. მსგავსი პრინციპები გამოიყენება კლასიფიკაციისთვის ნებისმიერ რთულ სისტემაში, მათ შორის ქიმიკაში, ინჟინერიაში და ანთროპოლოგიაში, ის გამოყენებული იქნა აგრეთვე ტექნოლოგიის ისტორიაში (ბასალა, 1989). ასეთი ევოლუციური ხეები ფუნდამენტურია სამეცნიერო კვლევისთვის ნებისმიერ კომპლექსური სფეროში.

ეკონომიკის, როგორც აკადემიური ფენომენი და პრაქტიკული ასპექტი, ძირითადად განყენებულია ამ გაგების წინაპირობისგან. „წმინდა თეორიულ“ ეკონომიკსს ახასიათებს მხოლოდ ყველაზე პრიმიტიული და

იდეოლოგიური ტაქსონომიები, რაც უმეტესად ასახავს ევროპაში რამდენიმე საუკუნის წინ აღიარებულ კლასობრივ დაყოფას - მემამულეები, კაპიტალისტები, მუშები, ან მათ დენატურირებული შემცვლელეები - კაპიტალი და შრომა, საოჯახო მეურნეობები და ფირმები. პრაქტიკული მაკროეკონომიკა ეყრდნობა ეროვნული შემოსავლისა და ეროვნული პროდუქტის ანგარიშების ტაქსონომიურ სტრუქტურას, რაც მოქმედებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჯონ მეინარდ კეინზი (1936), საიმონ კუზნეცი, რიჩარდ სტონი და სისტემის სხვა არქიტექტორები მიზანშეწონილად თვლიდნენ განესხვავებინათ საყოფაცხოვრებო მოხმარება, ბიზნესინვესტიციები და სახელმწიფო ხარჯები, ექსპორტი და იმპორტი, როგორც ქცევის მიხედვით განსხვავებული კატეგორიები. თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ არ არის გარკვეული, ვალიდურია თუ არა ცნებების ამგვარი გამიჯვნა ერთმანეთისგან. მაგალითად, საყოფაცხოვრებო მოხმარება შედგება მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოხმარების საქონლისა და მომსახურებისაგან, იმ განსხვავებით, რომ მოკლევადიანი მოხმარება მჭიდროდაა მომსახურებასთან დაკავშირებული (პანდემიამდე), ხოლო გრძელვადიან მოხმარებასა და ბიზნესინვესტიციებს აქვთ საერთო სპეციფიკა. ამრიგად, ქცევის მოდელმა შეიძლება სასარგებლოდ მოახდინოს საყოფაცხოვრებო გრძელვადიანი მოხმარების საქონლის რეკლასიფიკაცია, როგორც ინვესტიციის ფორმისა. უფრო ზოგადად, მთლიანი დანახარჯების ვიწრო და ეფექტიან ანალიზს წინ უნდა უძღოდეს რეკლასიფიკაციის ოპერაცია, რათა ქცევითმა შაბლონებმა არ გადაფარონ ტაქსონომიური კატეგორიები. მოცემული სახის სქემების ასეთი წინასწარი და ქცევითი რეკლასიფიკაციები იშვიათია, ან შეიძლება საერთოდ არც კი არსებობს.

მიკროეკონომიკური ანალიზი, პირიქით, ეყრდნობა გამოკითხვის მონაცემებს, რასაც, როგორც წესი, ახორციელებს ეროვნული მთავრობა ზოგიერთი ისეთი დამხმარე ვალდებულების შესრულების მიზნით, როგორიცაა, მაგალითად, ათწლეულის აღწერა ან მოსახლეობის მიმდინარე კვლევა შეერთებულ შტატებში. ასეთი გამოკითხვა იშვიათად არის იდენტური ან კოორდინირებული ქვეყნებს შორის (თანამედროვე ევროპა ამ თვალსაზრისით გამონაკლისია) და ამიტომ ტრანსნაციონალური შედარების მიზნით მათი თავსებადობა წარმოადგენს უმთავრეს სამეცნიერო ამოცანას, რაც განხორციელდა ბოლო წლებში ძირითადად მდიდარი ქვეყნების შეზღუდულ დიაპაზონში ლუქსემბურგის შემოსავლების სამსახურის მიერ. თუმცა არსებობს უფრო დიდი სირთულე, მაგალითად შეგროვებული ინფორმაცია შემოიფარგლება გამოკითხვის მონაწილეთა მანდატით და ეს ჩვეულებრივ ეხება ისეთ პიროვნულ მახასიათებლებს, როგორიცაა სქესი, ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა, სწავლის ხანგრძლივობა და ა.შ. შედეგად მიიღება ვრცელი სია რასის, გენდერისა და განათლების მიხედვით

შეგროვებული ეკონომიკური მონაცემებისა, მაგრამ გაცილებით ნაკლები ყურადღება ეთმობა ისეთ საკითხს, როგორცაა სამრეწველო ცვლილებები, რაც არც ისე ადვილად ერგება ინდივიდებისა და საოჯახო მეურნეობების მახასიათებლების შაბლონს ან რეგისტრს.

თომას პიკეტიმ და მისმა კოლეგებმა (Alverado et al., 2017) მოიპოვეს საშემოსავლო გადასახადის ჩანაწერები, რათა შეექმნათ ისტორიული ანგარიშები შემოსავლის განაწილების შესახებ მთელ რიგ ქვეყნებში. რამდენიმე შემთხვევაში მონაცემები მოიცავდა საუკუნეზე მეტ პერიოდს. ამ მიდგომას აქვს უპირატესობები გამოკითხვასთან შედარებით, რამდენადაც საგადასახადო ჩანაწერები მოიცავს ინდივიდებისა და საოჯახო მეურნეობების დიდ რაოდენობას და სავარაუდოდ უფრო ზუსტ ინფორმაციას იძლევა შემოსავლების განაწილების შესახებ. თუმცა, კვლევის კითხვები და მიღებული ინფორმაცია ნაციონალურად სპეციფიკურია, რადგან დასაბეგრი შემოსავალი არის ეროვნული საგადასახადო კოდექსის სამართლებრივი მონაცემი და საგადასახადო კოდექსი განსხვავდება ერთმანეთისგან ქვეყნების მიხედვით. საერთო წვდომა შეზღუდულია მწირი ჩანაწერებით, გადასახადების თავიდან აცილებით და იმ ფაქტით, რომ ბევრი ქვეყანა არ აგროვებს საშემოსავლო გადასახადს (Galbraith, 2019b). საგადასახადო თანხის დამბრუნებლები და საოჯახო მეურნეობები არ არის სინონიმური კატეგორიები (როუზი, 2018) და საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს მონაცემთა შედარებაზე დროთა განმავლობაში.

ეკონომიკური სტატისტიკის კიდევ ერთი ტიპი ეხება დამსაქმებლებს, დანესებულებებს, მრეწველობას და სექტორებს, რაც ხშირად გაერთიანებულია გეოგრაფიული ნიშნით, როგორცაა შტატები, პროვინციები, ოლქები, დაბები და ა.შ. ასეთი მონაცემები არის ინფორმაციის რეზერვუარი იმის შესახებ, რასაც პ. ჩენი (2021) უოლტ როსტოუს გავლენით უწოდებს მეზოეკონომიკას. სხვაგვარად იგი ცნობილია როგორც ინდუსტრიული სტრუქტურა ან ეკონომიკური განვითარების დონე. თუმცა, ეს მაჩვენებლები დახარისხებულია ბიბლიოგრაფიული და წრფივი კლასიფიკაციის მიხედვით; ინდუსტრიები და სექტორები დაჯგუფებულია კრიტერიუმების ფართო და გაბნეული მრავალფეროვნების მიხედვით და შეიცავს პროდუქტის და პროცესის ტიპებს, წარმოების პროცესის ეტაპებსა და სხვა. დროდადრო ჩნდება ახალი ინდუსტრიები და ემატება ახალი კატეგორიები ან იყოფა ძველი. კლასიფიკაციის სქემა, როგორც წესი, იერარქიულია. გეოგრაფიული ქვედანაყოფების მიხედვით კატეგორიები იყოფა ჯგუფის ზომის კლებად და ზრდად ფენებად, მაგრამ ასე განაწილებული მრეწველობა და სექტორები გარკვეულწილად პირობითია. გენეალოგიის ან ქცევის ძირითადი მსგავსება არ არის დადგენილი და ამიტომ ნებისმიერი მო-

ცემული ჯგუფის სტრუქტურა შეიცავს ერთეულებს, რომელთა ორგანული მსგავსება ან განსხვავება ერთმანეთისგან საკმაოდ დიდი ვარიაციით ხასიათდება. როგორც მონაცემთა თითქმის ყველა სხვა წყაროს შემთხვევაში, პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე ეკონომისტებს იშვიათად უჭირთ იმ კატეგორიის სტრუქტურის რეიფიკაციის დაშვება, რაც არაეკონომისტების მიერ შექმნილი ადრინდელი ტაქსონომიის მიღებასთან დაკავშირებული მიზნებისთვის აუცილებელი იყო. ანალოგიური სიტუაციის მაგალითია საბიუჯეტო კატეგორიები სახელმწიფო ხარჯების ანალიზში; სამართლებრივი და პოლიტიკური მიზნების გამო განული ხარჯების კატეგორიები სულაც არ არის ინფორმატიული, სოციალური და პოლიტიკური ანალიზის ჩატარებისთვის.

ეფექტიანი ევოლუციური კლასიფიკაცია

ტაქსონომიის ევოლუციური მიდგომა შემუშავებული იყო შეერთებული შტატების ფედერალური ბიუჯეტისთვის ავტორის სადოქტორო დისერტაციაში (Galbraith, 1981), მოგვიანებით კი - განვითარდა ბერნერის მიერ (2005). პარალელური მიდგომა შემუშავდა და გამოყენებული იქნა აშშ-ს ინდუსტრიებში (Galbraith (1998), Ferguson and Galbraith (1999) და სხვადასხვა ნაშრომში Galbraith and Berner (2001)). ძირითადი ყველა ამ შემთხვევაში არის შესაფერისი, ერთეულებისგან თავისუფალი კრიტერიუმის ცვლადის პოვნა, რათა გავზომოთ ქცევითი მსგავსება ტაქსონომიურ კატეგორიებს შორის. ბიუჯეტის კატეგორიების შემთხვევაში, ცვლადი უბრალოდ არის ნომინალური ხარჯების პროცენტული ცვლილება ერთი პერიოდიდან (ჩვეულებრივ წელიწადი) მეორემდე. ამრიგად, თითოეულ კატეგორიას აქვს T-1 სიგრძის მახასიათებლების ვექტორი, სადაც T არის დროის პერიოდების საერთო რაოდენობა მონაცემთა ნაკრებში. მარტივი ევკლიდური მანძილი (T-1) სივრცეში იძლევა ქცევითი მსგავსების საზომს, საიდანაც ჯგუფური დისპერსიის ფარგლებში მინიმალური რაოდენობის კლასტერების აგებაა შესაძლებელი. კლასტერების რაოდენობა განისაზღვრება ინფორმაციის დაკარგვის კრიტერიუმით, ეტაპობრივი აგლომერაციის მიმდინარეობისას.

ინდუსტრიული მონაცემების შემთხვევაში, ინდუსტრიის სპეციფიკური შრომითი რენტების კონცეფცია (კაცი და სამერსი, 1989) ადგენს შემთხვევას, გამოყენებული იქნას ცვლილებები წლიურ საშუალო ხელფასებში (ხელფასი ერთ თანამშრომელზე), როგორც ცვალებადი კრიტერიუმი. ძირითადი კატეგორიები შეიძლება იყოს ერთი იერარქიული მონაცემების ნაკრები ინდუსტრიის ან რეგიონის მიხედვით, ან კატეგორიების ჰიბრიდი - მათ შორის სექტორი, რეგიონი, სქესი და სხვა, იმ პირობით, რომ კატე-

გორიები ურთიერთგამომრიცხავია. შედეგად მიღებული კლასიფიკაციის ხე დროთა განმავლობაში იძლევა განსხვავების ეფექტიან შეჯამებას, რადგან კლასტერებში ერთეულები არ განსხვავდებიან (ან ნაკლებად განსხვავდებიან), იმ ერთეულებისაგან, რაც გამოყოფილია ხის განშტოების სხვადასხვა დონეზე. ამრიგად, კლასტერული ხე წარმოადგენს კომპლექსურ სისტემაში ელემენტების ევოლუციის რუკას. შემდეგ შეირჩევა შესაფერისი ჯგუფის სტრუქტურა შეჩერების წესის საშუალებით: ჯგუფები ინახება როგორც ცალკეული ერთეულები, ვიდრე ისინი ერთად დაემატება კლასტერიზაციის შემდგომ ეტაპებზე, როდესაც აგლომერაციის შედეგად დაკარგული ინფორმაცია აჭარბებს წინასწარ განსაზღვრულ ზღვარს.

ინფორმაციის მოპოვება ევოლუციური ჯგუფის სტრუქტურებიდან

მას შემდეგ, რაც მიიღწევა შესაბამისი კლასტერიზება, შემდგომი ნაბიჯი არის დისკრიმინაციული ფუნქციების გამოთვლა, რაც აჯამებს ჯგუფებს შორის ვარიაციის უდიდეს პროპორციას. ეს ფუნქციები არის დროის რიგის ვექტორების მატრიცის შენონვის კოეფიციენტების ვექტორი, რაც ემყარება ახლად აგებულ ევოლუციური კატეგორიის სქემას. შედეგად მიღებული საკუთრივ ვექტორები თავად არიან სინთეზური დროის სერიების ცვლადები, რაც წარმოქმნის ამ ჯგუფებს შორის ცვალებადობის დამჭერ ძალებს. შესაბამისი მნიშვნელობები იძლევა თითოეული ძალის ფარდობით წონას ან მნიშვნელობას ჯგუფებს შორის ვარიაციების აღრიცხვისას. შედეგად მიღებული ჯვარედინი საქონლის ნახაზები ასახავს ძირითადი ელემენტების სიახლოვეს და მანძილს სხვადასხვა განზომილებების გასწვრივ. როგორც საბოლოო ნაბიჯი, თითოეული საკუთრივ ვექტორი შეიძლება შეესაბამებოდეს ისტორიულ დროის სერიებს, რათა გამოავლინოს მოქმედი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები. აღნიშნული ტექნიკის სრული პრეზენტაციისთვის იხილეთ Galbraith and Lu (1999).

ამ გზით, ფერგიუსონმა და გელბრეიტმა (1999) აჩვენეს, რომ 1920 წლიდან 1946 წლამდე შეერთებულ შტატებში ხელფასის შედარებითი ცვლილებები განპირობებული იყო (ა) ეფექტიანი მოთხოვნის, (ბ) შრომის ორგანიზაციისა და გაფიცვის აქტივობის და (გ) გაცვლითი კურსის ცვლილებებით. ჩამოთვლილი, ყველა ერთად შეადგენს მნიშვნელოვანი დიფერენციული ეფექტების 90% – ს. ამრიგად, ასეთ ანალიზით შესაძლებელი გახდა განათლების დონის, უნარებზე მოთხოვნის, ახალი ტექნოლოგიების და ა.შ. ჰიპოთეტური ეფექტების თავიდან აცილება, რაც საყოველთაოდ წინ იყო წამოწეული მეინსტრიმ ლიტერატურაში. გელბრეიტმა (1998) შეასრულა მსგავსი ანალიზი შეერთებულ შტატებში 1958-1992 წლებში, რამაც

გამოავლინა ვარიაციები ბიზნესინვესტიციებში, მოხმარების ხარჯებში, ვაჭრობის დაცვასა და ომში, როგორც ოთხი ძალა, რაც შეადგენს ინდუსტრიებს შორის ხელფასების ცვალებადობის დაახლოებით 59% -ს.

ამდენად, ტექნიკა არის არაპარამეტრული და ათეორიული, თუმცა, მისი საშუალებით შესაძლებელია კომპლექსურ ეკონომიკურ სისტემაში არსებული ცვალებადი პირობების მაღალი სიზუსტით მონიტორინგი ისე, რომ განმარტოს პოლიტიკის, მასობრივი მობილიზაციის, გარე ბაზრებისა და გარემოპირობების გავლენა დისტრიბუციულ შედეგებზე.

სირთულის გამოყენება პოლიტიკის შესაბამისი შაბლონებისთვის: უთანასწორობის შემთხვევა

რეალურად არსებულ ეკონომიკურ სისტემებს აქვთ თვისება, რაც ახსნილია მარტივი რეკურსიული არანრფივი ფუნქციების ქცევით. კერძოდ, ისინი გვიჩვენებენ პერიოდულ გადასვლებს - მაგალითად, მინსკის ჰეჯირების ტრიქტომია, სპეკულაციური და პონცის ფინანსური პოზიციები (მინსკი 2008) - და მულტიფრაქტალური გენერატორების მიერ წარმოებული სისტემების მახასიათებლები, კერძოდ, აქტივების ფასების ცვლილებების განაწილება უსასრულო დისპერსიით და უეცარი და გაუთვალისწინებელი კოლაფსის ტენდენციით. ეს არის სასარგებლო ევრისტიკა, რაც უძველესი დროიდან გამოიყენებოდა არასტაბილური ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის (ვებერი, 2021).

ფაქტობრივი ეკონომიკის ფრაქტალი და თვითმსგავსი თვისებები წარმოადგენს კიდევ ერთ შესაძლებლობას პოლიტიკის რელევანტური კვლევისთვის. იგულისხმება იმის გამოყენება, რაც ხილული და ჩანერილია იმის გასაზომად, რაც ნაწილობრივ უხილავი და ჩაუნერელია. ადმინისტრაციული მონაცემების ნაკრებისთვის - სექტორის, ინდუსტრიის ან რეგიონის მიხედვით დამახასიათებელია, რომ ის გროვდება რუტინულად, სტაბილურ ფორმატში, რეგულარულად, დროისა და სივრცის თანმიმდევრული ჩანაწერის შედგენისთვის. მონაცემების შეგროვების პროცესი არ არის ობიექტური - არაფორმალური სამუშაო არ აღირიცხება; მომსახურება და სოფლის მეურნეობა ხშირად მწირედ არის აღრიცხული, მაგრამ თვითმსგავსება ვარაუდობს და ხშირ შემთხვევაში კარნახობს კიდევ, რომ რყევები, რაც შეინიშნება ამ კატეგორიებსა და ჯგუფებს შორის, ჩვეულებრივ თანმიმდევრულ კავშირშია კომპლექსური ეკონომიკის გამოუკვლეველ სექტორებთან (Galbraith, Halbach et al. (2016) and Galbraith, Choi et al. 2016).

ამრიგად, ჯგუფთა შორის უთანასწორობის მაჩვენებლის ევოლუცია, როგორც წესი, თეილის T სტატისტიკის ჯგუფთაშორისი კომპონენტი

(Theil 1972, Galbraith, 2014), აღწერს უთანასწორობის ძირითად მოძრაობებს მთლიან ეკონომიკაში. (თეორიის სრული განხილვისთვის იხილეთ Conceição et al. (2001)). ასეთი მაჩვენებლების შეკრება საშუალებას იძლევა შეიქმნას უთანასწორობის მჭიდრო, თანმიმდევრული საზომი ქვეყნებსა და რეგიონებში, რაც მოიცავს გაფართოებულ ისტორიულ პერიოდებს, ასევე ზუსტ დეტალებს იმის შესახებ, თუ რომელი ჯგუფები (რეგიონები, სექტორები, ინდუსტრიები) განაპირობებენ ცვლილებას საერთო მაჩვენებლებში (გელბრეიტი და Kum, 2005). ამ გზით შესაძლებელი ხდება კომპლექსური სტრუქტურული ცვლილებების ახლებურად აღრიცხვა. (გლობალური უთანასწორობის მონაცემთა ნაკრების, მათი ხარისხისა და გამოყენების შესახებ დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ Galbraith 2008).

მას შემდეგ, რაც შეიქმნება უთანასწორობის საზომების სათანადოდ სრული და თანმიმდევრული პანელი, ორმხრივი ფიქსირებული ეფექტის რეგრესიის მარტივი გამოყენება პანელზე ასახავს ქვეყნების (ან სხვა გეოგრაფიული ერთეულების) უტოლობების თანმიმდევრულ რეიტინგს. ამრიგად, გლობალურ დონეზე ჩნდება უთანასწორობის მაკროეკონომიკის (Galbraith 2007; 2019. ამ მონაცემების ცვლილები 1960-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული პერიოდისთვის ცხადყოფს გარდამტეხ წერტილებს, რაც შეესაბამება 1980-იანი წლების დასაწყისის მსოფლიო ფინანსურ კრიზისს და 2000/2001 წლებში საკრედიტო ბუმის პიკს. ამით ძლიერად გამოიკვეთა ვალი, საპროცენტო განაკვეთი და ფინანსური კრიზისები როგორც ეკონომიკური უთანასწორობის მამოძრავებელი ძალა მსოფლიო ეკონომიკაში. თავის მხრივ, ეს კიდევ ერთხელ პირდაპირ მიუთითებს გლობალური მასშტაბის რელევანტური პოლიტიკის მნიშვნელოვნებაზე.

დისტრიბუციული შედეგების ინტეგრაცია იმ ძალებთან, რაც გავლენას ახდენს მთლიან ეკონომიკაზე, ავლენს კიდევ ერთი სახიფათო, ღრმად გამჯდარი ტაქსონომიური ჩვევის მოშლის აუცილებლობის საკითხს - განსხვავებას „მაკრო“ და „მიკრო“ ეკონომიკს შორის. ეს განსხვავება წარმოიშვა, როგორც პოლიტიკური კომპრომისი ამერიკის ეკონომიკის დეპარტამენტებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დროებით აღმავალ კეინზიანელებსა და „განსაზღვრულ პატარა მოაზროვნეთა“ დიდ ფენას შორის (სოლოუ, 1967). განვრთნილნი იყვნენ რა მარშალის მიწოდებისა და მოთხოვნის ანალიტიკაში, ამ უკანასკნელებს არც სურვილი ჰქონდათ და არც შესაძლებლობა იმისა, რომ ნეოკლასიკური ნიუტონის მექანიკიდან კეინზის მიერ მიწოდებულ აინშტაინის ფარდობითობის თეორიაზე გადასულიყვნენ და ელიარებიანათ ის ეკონომიკის თეორიის საფუძვლად (Galbraith, 1996). მაგრამ იმის ჩვენება, რომ ემპირიული ცვლილებები განაწილებაში განპირობებულია მცირე რაოდენობის დიდი ძალებით, რაც

მოქმედებს მთელ ეკონომიკაზე, დროთა განმავლობაში, დისპოზიტიურია თეორიის ცვლილების სასარგებლოდ.

ანალოგიურად, დემონსტრირება იმისა, რომ ეროვნული ეკონომიკები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი - და არა მხოლოდ ევროპაში, სადაც დე ფაქტო პოლიტიკური ინტეგრაცია კარგად არის განვითარებული - აყალიბებს ინტეგრირებულ გლობალურ ეკონომიკურ ანალიზს, როგორც ეკონომიკური აზროვნების ამოსავალ წერტილს. ის ფაქტი, რომ სტატისტიკური სერვისები ძირითადად სხვა დონეზე ფუნქციონირებს, არის უხერხულობა, მაგრამ არა თავის გამართლების საფუძველი.

რეგულირება, როგორც ზოგადი პოლიტიკის გამოწვევა რეალური ეკონომიკებისთვის

კომპლექსურობა წარმოიქმნება ღია სისტემებში (P. Chen, 2021), როგორც ცხოვრების პროცესის განვითარების ნაწილი და ეს არ ეხება მხოლოდ ეკონომიკას. ეს არის უნივერსალური ხედვა, რაც ახასიათებს ფიზიკას და ასევე ბიოლოგიურ, მექანიკურ და სოციალურ სისტემებს. ყველა ასეთი სისტემის საერთო მახასიათებელი რეგულირებაა. გადარჩენის მექანიკა მოითხოვს სისტემაში გამავალი ძალების შეკავებას - ტემპერატურის, წნევის, მოცულობის თვალსაზრისით - იმ მასალების სიმძლავრის ფარგლებში, საიდანაც სისტემა აგებული (J. Chen and Galbraith, 2011; 2012a; 2012b). სწორი პოსტ-ნეოლიბერალური ეკონომიკის არის ამ პრინციპის ეკონომიკური ცხოვრების ფუნქციონირებაში გამოყენების ხელოვნება. ზოგჯერ ის გულისხმობს არასაჭირო შეზღუდვების მოხსნას, ზოგჯერ კი - რეგულაციებისა და სტანდარტების დაწესებას სტაბილურობის, მდგრადობისა და გამძლეობის ხელშეწყობის მიზნით.

კერძოდ, ფინანსური არასტაბილურობა, რასაც ემყარება თავისუფალი ფინანსური ბაზრები, შეიძლება გადაგვარდეს ფინანსური თალღითობის ტალღებად, რაც გლობალურ დონეზე იქნება კრიზისის, კოლაფსის და მზარდი უთანასწორობის მთავარი მამოძრავებელი ძალა. ასე რომ, პრობლემა, რომელსაც უნდა გაუმკლავდეს ეკონომიკური პოლიტიკის სპეციალისტი, მდგომარეობს შემდეგში: როგორ მოხდეს მსოფლიო ფინანსური სექტორის სტაბილიზაცია? ეს პრობლემა არ არის ახალი, მას ყველაზე მკაცრად განიხილავდნენ შეერთებულ შტატებში 1930-იანი წლების დასაწყისში საგანგებო საბანკო აქტის, ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟის კომისიის შექმნის, საინვესტიციო და კომერციული ბანკინგის გამიჯვნისა და დეპოზიტების ფედერალური დაზღვევის დანერგვის სახით. გარდა ამისა, ცხადი ხდება, რომ ფინანსური სექტორის დერეგულირება, რაც განხორციელდა შეერთებულ შტატებში 1970-იანი წლების ბოლოდან და გამოიყენეს

მთელ მსოფლიოში, იყო არასტაბილურობისა და საბოლოოდ კრიზისის აღმოცენების ხელშემწყობი ფაქტორი. აქედან გამომდინარე, ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ უნდა იქნას მიღწეული შესაბამისი დერეგულირება და მასტაბილიზებული კონტროლის ხელახალი განმტკიცება, იმავდროულად კრედიტისა და ვალის ლეგიტიმური ფუნქციების ანულირების გარეშე.

გლობალური მასშტაბის შესაბამისი, ეფექტიანი და ავტონომიური ფინანსური რეგულირების პრობლემა დღეს-დღეობით ერთ-ერთი ყველაზე რთულია საკითხია, რაც დგას ეკონომიკური პოლიტიკის სპეციალისტების წინაშე. რეგულირების საჭიროების მიხედვით, ეკონომიკური სისტემა არაფრით განსხვავდება ბიოლოგიური ან მექანიკური სისტემისგან. რეგულირების, მართვის და წესების გარეშე ისინი აუცილებლად განიცდიან კრახს ძალიან მოკლე დროში. რეგულაციის ბუნებისა და მიზნის გაგებისას, ჩვენ მივდივართ ძირითად განსხვავებამდე რეალურ ეკონომისტებსა და მეინსტრიმ, ორთოდოქს, მოდელებზე ორიენტირებულ აკადემიურ მიმბაძველებს შორის.

მეინსტრიმული შეხედულებით, წმინდა ეკონომიკა არის თვითრეგულირებადი სამყარო. სოციალური კეთილდღეობის მაქსიმუმში ერთადერთი მოთხოვნა არის წონასწორობა, საკუთრების უფლების სრული განაწილება და თავისუფალი ფასების სისტემა. ოპტიმალური შედეგის ნებისმიერი მიუღწევლობა, მეინსტრიმული ეკონომისტების აზრით, გამონვეულია გარე ფაქტორებით, დამახინჯებებით, ინტერვენციებით და ეკონომისტის ფუნქციაა შეეცადოს მათ მაქსიმალურად მოშორებას. აზროვნების ეს ჩარჩო გვეხმარება, გავიგოთ ზოგიერთი ეკონომისტის ენთუზიაზმი მცირე ბიზნესის მიმართ, მათი მტრული დამოკიდებულება პროფკავშირებისა და გადასახადებისადმი და კონკურენციის შესახებ გადაჭარბებული წარმოდგენა. ამრიგად, რეგულირება არის მეორე საუკეთესო მიდგომა, რაც უნდა განიხილებოდეს, როგორც ხარჯებთან ასევე სარგებელთან ერთად. იგი უნდა დაწესდეს მხოლოდ იმ მინიმალურ დონეზე, რაც აუცილებელია ოპტიმალურობის ისეთი შემაფერხებელი ფაქტორების მინიმუმამდე დასაყვანად, რისი აღმოფხვრაც შეუძლებელია.

რეალურ სამყაროში პოლიტიკით დაკავებული ეკონომისტისთვის რეგულირება არ არის დანაშაუმი. ეს საკმაოდ აუცილებელი პირობაა, პირველ რიგში, კომპლექსური სტრუქტურების გადაუდებელი დახმარებისთვის. რეგულირება არის კანონების, წესების, ნორმებისა და ჩვევების კომპლექსი, რაც შესაძლებელს ხდის კომპლექსური სისტემების მდგრად ფუნქციონირებას. მხოლოდ რობინზონ კრუზოს ეკონომიკას შეუძლია მის გარეშე მოქმედება და მხოლოდ რესურსების ან გარემოდაცვითი შეზღუდვების

არარსებობის შემთხვევაში, რაც დროთა განმავლობაში გავლენას მოახდენს თუნდაც რობინზონ კრუზოს ცხოვრების მდგრადობაზე მის კუნძულზე. რეალურ სამყაროში, ეკონომიკური რეგულაციის გარეშე არ იარსებებს წარმოების გრძელი ჯაჭვი, სტაბილური საკრედიტო ხაზი; არ იქნება ნდობა სუპერმარკეტების, ელექტრომონოპოლიზაციის ან მედიკამენტების მიმართ; არ იქნება მანქანების მასობრივი ბაზარი და სხვა. მართლაც, შეიძლება გონივრულად განვსაზღვროთ ეკონომიკური განვითარების პროცესი, როგორც მარეგულირებელი სტანდარტების მიღწევა, რაც საშუალებას იძლევა წარმოიქმნას, განხორციელდეს და დროთა განმავლობაში შენარჩუნდეს ფართომასშტაბიანი ეკონომიკური საქმიანობა. მდიდარ ქვეყნებს აქვთ ეს სტანდარტები და რომ დარჩნენ მდიდრებად, განუხრელად უნდა დაიცვან ისინი.

დასკვნა

უდაოა, რომ მსოფლიო ეკონომიკა კომპლექსური სისტემაა. ეკონომისტებისთვის გამომწვევაა საკითხი, თუ როგორ უკეთესად შეეგუონ ამ რეალობას. ერთ-ერთი პოპულარული მიდგომაა ნეოკლასიკური მოდელის პრემოდერნული სიმარტივებიდან დაწყება. ეს არის ყველაზე შეზღუდული ტიპის პროგრესი, რაც უზრუნველყოფს ინტელექტუალური მიღწევების გარკვეულ განცდას, მაგრამ ეკონომისტს, ვისი ამოცანაცაა დაეხმაროს საზოგადოებას აწმყოდან მომავლისკენ მოძრაობაში, სარგებელს არ აძლევს,

ნაშრომში შემოთავაზებული და აღწერილი მიდგომა, ევოლუციური მეცნიერების მეთოდების და კომპლექსური სისტემების ზოგიერთი თვისების გამოყენებაა გლობალურ, კონტინენტურ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლილებების გამომწვევი ძალების კლასიფიკაციის, გაზომვის, ანალიზისა და გაგებისთვის. ეს ერთგვარი ცოდნაა, რაც, შემდგომში, შეიძლება გადავიდეს ეკონომიკური მმართველობის პრაქტიკულ ასპექტში, მთლიანად საზოგადოებისთვის, ისეთი საერთო ღირებულებების ძიებაში, როგორცაა: უსაფრთხოება, მდგრადი განვითარება, კეთილდღეობა და თავისუფლება.

ლიტერატურა:

- Alvarado F., Chancel, L., Piketty T., Saez E., Zucman G. (2017) *World Inequality Report 2018*. Paris: World Inequality Lab.
- Arrow K., Debreu G. (1954) "Existence of an Equilibrium for a Competitive Economy." *Econometrica*. 22: 265–290.

- Arthur B. (in preparation) “Foundations of Complexity Economics” in Chen, P., Elsner, W., and Pyka, A. eds A Handbook of Complexity Economics. New York: Routledge.
- Ayres C.E. (1944) The Theory of Economic Progress. Chapel Hill: University of North Carolina Press. Azmanova, A. (2020) Capitalism on Edge: How Fighting Precarity can Achieve Radical Change without Crisis or Utopia. New York: Columbia University Press.
- Basalla G. (1989) The Evolution of Technology. Cambridge: Cambridge University Press.
- Berner M. (2005) “The Federal Budget’s Core and Periphery: Patterns of Budget Outcomes.” Journal of Public Budgeting, Accounting and Financial Management, Volume 17, Number 4: 437-470, Winter.
- Black W.K. (2005) The Best Way to Rob a Bank is to Own One: How Corporate Executives and Politicians Looted the S&L Industry. Austin: University of Texas Press.
- Bresser Pereira L.C. (2010) Globalization and Competition: Why Some Emergent Countries Succeed while Others Fall Behind. Cambridge: Cambridge University Press.
- Carter Z.D. (2020) The Price of Peace: Money, Democracy and the Life of John Maynard Keynes, New York: Random House.
- Chang H., Grabel I. (2014) Reclaiming Development: An Alternative Economic Policy Manual. London and New York: Zed Books, January.
- Chen J., Galbraith James K. (2012a) “A Common Framework for Evolutionary and Institutional Economics,” Journal of Economic Issues, Vol XLVI No. 2, June, 419-428. DOI 10.2753/JEI0021-3624460217.
- Chen J., Galbraith James K. (2012b) “Austerity and Fraud under Different Structures of Technology and Resource Abundance,” Cambridge Journal of Economics, Volume 36 Issue 1 January, 335-343. doi:10.1093/cje/ber027.
- Chen J., Galbraith James K. (2011) “Institutional Structures and Policies in an Environment of Increasingly Scarce and Expensive Resources: A Fixed Cost Perspective,” Journal of Economic Issues, Vol. XLV No. 2 June, 301-309. DOI 10.2753/JEI0021-3624450206.
- Chen J., Galbraith James K. (2009) “A Biophysical Approach to Production Theory,” UTIP Working Paper No. 55, <http://utip.lbj.utexas.edu>.
- Chen P. (in preparation) “From Complexity Science to Complexity Economics,” in Chen P., Elsner W. and Pyka A. eds. A Handbook of Complexity Economics. New York: Routledge.
- Commons, J. R. (1934) Institutional Economics. New York: Macmillan.
- Conceição P., Galbraith James K., Bradford P. (2001) “The Theil Index in Sequences of Nested and Hierarchical Grouping Structures: Implications for the Measurement of Inequality Through Time, With Data Aggregated at Different Levels of Industrial Classification,” Eastern Economic Journal, 27(4), 491-514, Fall.

- Davis W.W. (2021) “China, the Confucian Ideal, and the European Age of Enlightenment.” *Journal of the History of Ideas*, vol. 44, no. 4, 1983, pp. 523–548. JSTOR, www.jstor.org/stable/2709213. Accessed 20 Mar.
- Ferguson T., Galbraith James K. (1999) “The American Wage Structure, 1920-1947,” *Research in Economic History*, Vol. 19, 205-257
- Frank T. (2020) *The People, No: A Brief History of Anti-Populism*. New York: Metropolitan Books, Henry Holt.
- Friedman M. and Schwartz A.J. (1963) *A Monetary History of the United States*. Princeton: Princeton University Press.
- Fukuyama F. (1992) *The End of History and the Last Man*. New York: Free Press.
- Galbraith James K. (2020) “Bad Economic Theory and Practice, Demolished,” *The American Prospect*, April 5.
- Galbraith James K. (2019a) “A Global Macroeconomics – yes macroeconomics, dammit – of inequality and income distribution,” *Review of Keynesian Economics*, Vol. 7 No. 1, 1–5, Spring.
- Galbraith James K. (2019b) “Sparse, Inconsistent and Unreliable: Tax Records and the World Inequality Report 2018,” *Focus, Development and Change*, 329-346, March.
- Galbraith James K. (2014) *Inequality and Instability: A Study of the World Economy Just Before the Great Crisis*, New York: Oxford University Press.
- Galbraith James K. (2007) “Global Inequality and Global Macroeconomics,” *Journal of Policy Modeling*, Vol. 29, 587-607. <http://dx.doi.org/10.1016/j.jpolmod.2007.05.008>.
- Galbraith James K. (2000) “Capital Mismanagement: Roger Lowenstein, When Genius Failed: The Rise and Fall of Long-Term Capital Management,” *The Washington Monthly*, Vol. 32 No. 9, 46-47, September.
- Galbraith James K. (1998) *Created Unequal: The Crisis in American Pay*, New York: The Free Press.
- Galbraith James K. (1996) “Keynes, Einstein and Scientific Revolution,” in Philip Artestis and Malcolm Sawyer, eds., *Keynes, Money and the Open Economy: Essays in Honor of Paul Davidson*, Volume One, Aldershot: Edward Elgar, 14-21.
- Galbraith James K. (1981) *A Theory of the Government Budget Process*, PhD Dissertation submitted to the Economics Department, Yale University.
- Galbraith James K., Berner M., eds. (2001) *Inequality and Industrial Change: A Global View*, New York: Cambridge University Press.
- Galbraith James K., Choi J. (2020) “Inequality Under Globalization: State of Knowledge and Implications for Economics,” *Real-World Economics Review*, 92, 84-102.
- Galbraith James K., Halbach B., Malinowska A, Shams A and Zhang W. (2016) “The UTIP Global Inequality Data Sets 1963-2008: Updates, Revisions and Quality Checks” in Basu, K, Hon V. and Stiglitz, J. eds, *Inequality and Growth*, Basingstoke: Palgrave MacMillan.

- Galbraith James K., Choi J., Halbach B., Malinowska A. and Zhang W. (2016) “A Comparison of Major World Inequality Data Sets: LIS, OECD,EU-SILC, WDI and EHII” in Cappellari, L, Polachek S.W. and Tatsiramos k. (eds) Income Inequality around the World, Research in Labor Economics Volume 44, 1– 48. Bingley: Emerald Group.
- Galbraith James K., Kum H. (2005) “Estimating the Inequality of Household Incomes: Toward a Dense and Consistent Global Data Set,” Review of Income and Wealth, Series 51, Number 1, 115-143, March.
- Galbraith James K. and Lu J. (2001) “Cluster and Discriminant Analysis on Time-Series as a Research Tool,” January 1999. UTIP Working Paper No. 6 at <http://utip.lbj.utexas.edu>; also, in Galbraith and Berner, 280-286.
- Galbraith J.K. (2009) The Great Crash, 1929. New York: Mariner Books. Galbraith, J.K. (1958) The Affluent Society. Cambridge (MA): Houghton-Mifflin. Galbraith, J.K. (1967) The New Industrial State. Cambridge (MA): Houghton-Mifflin. Galbraith, J.K. (1952) A Theory of Price Control. Cambridge: Harvard University Press.
- Gaffney M. (2007) “Neo-classical Economics as a Stratagem Against Henry George,” in Gaffney, M and Harrison F., The Corruption of Economics. London: Shephard-Walwyn Publishing Co, 29-164.
- Goldin C., Katz L. (2010) The Race Between Technology and Education. Cambridge: Belknap Press of Harvard University Press.
- Graham B. (1997) Storage and Stability: A Modern Ever-Normal Granary. New York: McGraw-Hill. Georgescu-Roegen, N. (1971) The Entropy Law and the Economic Process. Cambridge: Harvard University Press.
- Hall C.A.S., Klitgaard K. (2018) Energy and the Wealth of Nations: An Introduction to Biophysical Economics, Switzerland: Springer International Publications.
- Hall P.A, Soskice D. (2001) Varieties of Capitalism: The Institutional Foundations of Comparative Advantage. Oxford University Press.
- Harcourt G.(1972) Some Cambridge Controversies in the Theory of Capital. Cambridge: Cambridge University Press.
- Kaldor N. (1985) Economics without Equilibrium/ Armonk: M.E. Sharpe.
- Katz L. and Summers L. (1989) “Industry Rents: Evidence and Implications,” Brookings Papers on Economic Activity: Microeconomics, 1: 209-290.
- Keen S. (2011) Debunking Economics: The Naked Emperor Dethroned? New York: Zed Books.
- Kelton S. (2020) The Deficit Myth: Modern Monetary Theory and the Birth of the People’s Economy. New York: Public Affairs.
- Keynes J.M. (1936) The General Theory of Employment Interest and Money. London: MacMillan. Kolodko, G. (2020) China and the Future of Globalization: The Political Economy of China’s Rise. I.B. Tauris.
- Mandelbrot B. B. (1999) “A Multifractal Walk down Wall Street.” Scientific American, vol. 280, no. 2, pp. 70–73. JSTOR, www.jstor.org/stable/26058060. Accessed 20 Mar. 2021.

- Meadows D. H., Meadows, D. L., Randers, J., Behrens III, W. W. (1972) *The Limits to Growth: A Report for the Club of Rome's Project on the Predicament of Mankind*. New York: Universe Books.
- Minsky, H. (2008) *Stabilizing an Unstable Economy*. New York, McGraw-Hill Educational.
- Peirce C.S. (1877) "Illustrations of the Logic of Science," in *The Popular Science Monthly*, Vol XII, p. 2, November.
- Reinert E., Ghosh J., Kattel R. (2016) *Handbook of Alternative Theories of Economic Development*, Cheltenham: Edward Elgar.
- Robinson J. (1956) *The Accumulation of Capital*. London: MacMillan.
- Rose S.(2018) "Parsing Piketty: Getting the Facts Right on Inequality and Middle-class Incomes" Unpublished manuscript.
- Samuelson P.A.(1947) *Foundations of Economic Analysis*. Cambridge: Harvard University Press.
- Samuelson, P.A. (1948) *Economics*, New York: McGraw-Hill.
- Scarf H.E. with Hansen T. (1973) *The Computation of Economic Equilibria*. Cowles Foundation for Research in economics at Yale University, Monograph No. 24, New Haven, CT and London, UK: Yale University Press.
- Schumpeter J.A. (1942) *Capitalism, Socialism and Democracy*. New York: Harper and Brothers.
- Smith A. (1776) *An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations*. Edinburgh, available on-line and in many editions, originally published 1776.
- Solow R. (1967) "The New Industrial State: Son of Affluence" *The Public Interest*, Fall. https://www.nationalaffairs.com/public_interest/detail/the-new-industrial-state-son-of-affluence. Accessed: April 8, 2021.
- Sraffa P. (1960) *Production of Commodities by Means of Commodities*. Cambridge: Cambridge University Press.
- Tcherneva P. (2020) *The Case for a Job Guarantee*. New York: Polity.
- Theil H. (1972) *Statistical Decomposition Analysis: With Applications in the Social and Administrative Sciences*. Amsterdam-London.
- Varoufakis Y., Halevi J., Theocarakis N. (2011) *Modern Political Economics: Making Sense of the Post-2008 World*. New York: Routledge,.
- Veblen T. (1898) "Why is Economics Not an Evolutionary Science?" *The Quarterly Journal of Economics*, Vol XII, July.
- Weber I.M. (2021) *How China Escaped Shock Therapy*. New York: Routledge.
- Wray R. (2006) *Understanding Modern Money: The Key to Full Employment and Price Stability*. Oxford, Blackwells
- Yakovenko N., Rosser B. (in preparation) "Statistical Mechanics of money, wealth and income," in Chen, P., Elsner,W., and Pyka, A. eds, *A Handbook of Complexity Economics*. New York: Routledge

ეკონომიკის ახალი პარადიგმების ძიება (კომენტარები ჯეიმს კ. გელბრეიტის სტატიაზე „რა არის ეკონომიკისი? პოლიტიკური დისციპლინა რეალური მსოფლიოსთვის“)

ელგუჯა მექვაბიშვილი

პროფესორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

elguja.mekvabishvili@tsu.ge

მსოფლიოში მიმდინაე პირობები - ეკონომიკის გლობალიზაცია, დიჯიტალიზაცია, გლობალური ფინანსური-ეკონომიკური კრიზისის წახმო-შობა და განვითარება, კოვიდ 19-ით გამოწვეული კორონომიკური კრი-ზისი და სხვ. დღის წესრიგში აყენებს „ძვედი“, ოთხოროქსული, ნეოკლასიკური-ნეოლიბერალური ეკონომიკისგან პინციპულად განსხვავებული „ახალი“ ეკონომიკის პარადიგმების შექმნის აუცილებლობას. ეს უაღიესად ხიური ამოცანაა, ვინაიდან ბევრი, მათ შიხის მენტალური ხასიათის ბაიიერი ახსებობს, იაც მკვლევარებს ხედს უშდის უაიი თქვან ხანგი-დღივი დიოის განმავლობაში ეკონომიკური მეცნიეებაში ჩამოყადიბე-ბუდ სტეეოტიკებზე და ზოგადად ინეეციუდ ეკონომიკური აზიოვნებაზე. ბუნებიიია, ამ წინააღმდეგობების დაძლევა საკმაოდ დიდ დიოსა და და-დისხმევას საჭიიოებს. ცნობიდი ამეიიკედი ეკონომისტის ჯეიმს კ. გედ-ბიეიგის სტაგია ეიი-ეიიი ასეთ საკმაოდ წაიმაგებუდ ნაბიჭად შეიიდე-ბა ჩაიივადროს ამ მიმაიიიუდებით, იომედიც გვთავაზობს „ახალი“ ეკო-ნომიკისის თეოიიუდ-მეთოდოლოგიური საფუძვის ცადკეუდი ასპექტების საინტეეესო და ოიიგინალური ანადიბს.

საკვანძო სიცივები: „ახალი“ ეკონომიკისი, ნეოკლასიკური-ნეოლი-ბერალური ეკონომიკისი, ქციევიიი ეკონომიკისი, სიიიუდის ეკონომიკისი, ნეოინსტიტუციონადიბმი, „სასაიგებდო“ ეკონომისტი, თვიიიეუდიიე-ბადი ბაზაიიი, ეკონომიკური იეგუდიიეება.

შესავალი

სტატია, რომლის ქართულ ენაზე თარგმნას ვთავაზობთ ჩვენი ჟურნალის მკითხველს, ეკუთვნის ცნობილ ამერიკელ თეორეტიკოს-ეკონომისტს ჯეიმს კ. გელბრეიტს. იგი არის მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ამერიკელი ეკონომისტის, ჯონ კენეტ გელბრეიტის ვაჟიშვილი. ამჟამად მოღვაწეობს ლინდონ ბ. ჯონსონის საჯარო ურთიერთობის სკოლაში, ტეხასის უნივერსიტეტში, ქალაქ ოსტინში.

სტატია ბევრი საკითხის საინტერესო თეორიულ-მეთოდოლოგიურ ანალიზს შეიცავს თეორიული ეკონომიკის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური აზრის ისტორიის, მიკრო და მაკრო ეკონომიკის სფეროებიდან. მათ შორის გამოვყოფთ: მენისტრიმული ნეოკლასიკური თეორიის მწვავე და არგუმენტირებული კრიტიკა; „რეალური“ ეკონომიკის როლის შეფასება ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში; „სასარგებლო“ ეკონომისტის ცნების გამოყოფა და დახასიათება; სხვადასხვა თეორიულ-ეკონომიკური მიმართულების შემეცნებითი პოტენციალის განსაზღვრა ახალი თეორიული პარადიგმების შემუშავების კუთხით; საბაზრო ეკონომიკის რეგულირების აუცილებლობის დასაბუთება. სტატიაში მოკლედ შევეხებით ზოგიერთ მათგანს.

მენისტრიმული ნეოკლასიკურ-ნეოლიბერალური ეკონომიკის კრიტიკა

ნეოკლასიკური ეკონომიკის შექმნა იყო გამოძახილი, როგორც სტატიის ავტორი წერს, „შიშის რეფლექსია სამყაროში მიმდინარე ცვლილებების, შეუქცევადი დროისა და მოსალოდნელი ძვრების მიმართ“ ამის საპირისპიროდ ნეოკლასიკამ შექმნა „მოხერხებულად მოშინაურებული, ყოვლისმომცველი, თვითრეგულირებადი და კეთილთვისებიანი“ ბაზრის პოსტულატი, რაც შემდგომში მოდიფიცირებას განიცდიდა ა. მარშალის, ლ. ვალრასის, პ. სამუელსონის, კ. ეროუს, ჟ. დებრეს და სხვათა ნაშრომებში. ეს იყო გარკვეული მიმართულების ეკონომიკური აზრის განვითარება ა. სმიტის „უხილავი ხელის“ მეტაფორიდან, რეალური ბიზნეს ციკლის (RBC) მოდელებში ფ. კუდლანდისა და ე. პრესკოტის მიერ შეთავაზებულ დინამიური სტოქასტური საერთო წონასწორობის (DSGE) კონცეფციამდე.

შექმნა რა, საკუთარი ტაქსონომიური სტრუქტურებისა და კონცეფციების ჩარჩო, ნეოკლასიკურმა ეკონომიკმა მის ფარგლებს გარეთ გასვლა „ერესის“ მსგავს დანაშაულად გამოაცხადა, რაც ნებისმიერ შემთხვევაში ინტელექტუალურად დასჯადი უნდა გამხდარიყო. შედეგად მივიღეთ, რო-

გორც ავტორი სწორად აღნიშნავს, „წმინდა“ აბსტრაქტული თეორია და ეკონომიკის დაემსგავსა პროფესორ პანგლოსის¹ მარადიულ მოძღვრებას ყველაფრის შესახებ, რომლის დიაპაზონი ყველა წარმოსახვით სიტუაცი- აზე ვრცელდებოდა რეალურ სამყაროში მართლაც მნიშვნელოვანი სიტუ- აციების გარდა. სტატიის ავტორი პროფ. პანგლოსის სახით ხაზს უსვამს იმ ღრმა წინააღმდეგობას, რაც არსებობს საყოველთაო ჰარმონიის მქა- დაგებელ ნეოკლასიკურ ეკონომიკსსა და რეალური სინამდვილის მწვავე პრობლემებს შორის, რასაც ვერ „ამჩნევენ“ ან შეგნებულად გვერდს უვ- ლიან ამ მიმართულების წარმომადგენლები. ჯ. გელბრეიტის აზრით, აუცი- ლებელია, რომ ეკონომისტმა უარი თქვას რეალობისადმი მსგავს დამოკი- დებულებაზე. მან კაპიტალისტური ეკონომიკური წყობა არ უნდა წარმოა- დგინოს როგორც წინასწარგანჭვრეტილი ღვთიური ნება ან მათემატიკუ- რი ჰარმონია, არამედ ის უნდა განიხილოს გაცნობიერებული პოლიტიკის რეალურ შედეგად. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ეკონომიკის შესაბამისი განზოგადებები, გამარტივებები, ევრისტიკა და პრინციპები მიღებული იქნება რეალური სამყაროს შესწავლის გზით. მეც- ნიერი არ უარყოფს ეკონომიკურ ანალიზში მათემატიკური ინსტრუმენტე- ბის გამოყენებას, მაგრამ იქვე დასძენს, რომ მხოლოდ მათი გამოყენება არაადეკვატურია განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი გამომდინარეობენ „ნეოკლასიკური მეინსტრიმის მკვდარი დოგმებიდან“. ჩვენი აზრით, ეს არის საკითხისადმი სწორი მიდგომა, რასაც ზოგიერთი სხვა მეცნიერიც გვთავაზობს (მაგალითად, ვ. პაპავა (2018)²; ე. რეინერტი (2019)³; P. Söderbaum

1 პროფესორი პანგლოსი არის ვოლტერის ნოველის „კანდიდი ანუ ოპტიმიზმი“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი. იგი „როგორც ბრძენი მეტაფიზიკო-თეოლო- გო-კოსმო-კოდოლოგიის მასწავლებელი,“ ქადაგებდა ოპტიმიზტურ დეტერ- მინიზმს, რის თანახმადაც „მხოლოდ გარე ძალებს-იქნებოდა ეს ბედისწერა, რწმენა, ღმერთი თუ ბაზარი - შეუძლია გარდაქმნის მოტანა“ (ერიკ ს. რეინერტი, 2019, გვ. 22). სამყარო, რომელშიც პანგლო ცხოვრობდა, მის წარმოსახვაში „იყო ყველაზე საუკეთესო, ყველა სხვა სამყაროთა შორის“ (იქვე).

2 პროფ. პაპავა წერს: „მათემატიკის გამოყენება, ერთი მხრივ, აძლიერებს, უფრო ზუსტად კი, აღრმავებს ეკონომიკური სინამდვილის კვლევას, თუმცა, იმავდრო- ულად, კვლევის მხოლოდ მათემატიკით შემოფარგლა ავინროებს სინამდვი- ლის მეტ-ნაკლებად სრულყოფილად ასახვის შესაძლებლობას.“

3 ე. რეინერტის აზრით, “დღევანდელ ეკონომიკაში (იგულისხმება ნეოკლასიკუ- რ-ნეოლიბერალური მეინსტრიმული ეკონომიკისი-ე.მ.) ფოკუსი უფრო მეტად მათემატიკასა და სიზუსტეზე კეთდება, ვიდრე თავად ანალიზის ობიექტზე-ე- კონომიკაზე“, რის გამოც თვისებრივ გაგებასთან მიმართებით, მათემატიკური დამტკიცება გაშეშებულ გვამად გადაიქცა“. ამის მიუხედავად „მე რაოდენობრი- ვი ანალიზისა და მათემატიკის წინააღმდეგი არ ვარ, მე მხოლოდ მისი ეკონო- მიკური ანალიზის ერთადერთ მისაღებ ფორმად აღიარებას ვუპირისპირდები და ვითხოვ სივრცეს აკადემიურ ეკონომიკაში თვისებრივი ანალიზის დასაბრუ- ნებლად. სამყაროს რაოდენობრივი და ხარისხობრივი შესწავლა ერთმანეთს ავსებს“ - დასძენს ე. რეინერტი.

(2021)⁴; D. Rodrik (2017)⁵ და სხვ.)

მეოცე საუკუნე ნეოკლასიკის აღზევების ეპოქა აღმოჩნდა, მისთვის დამახასიათებელი აშკარა და სერიოზული ხარვეზების მიუხედავად. მისი განსაკუთრებული ტრიუმფი უკავშირდება საბჭოური ტიპის სოციალისტური სისტემის დაშლას. ხშირად არ გაითვალისწინება ის ფაქტი, რომ ნეოკლასიკურმა რეცეპტებმა, ისტორიულად მოკლე დროში, წარმოშვა ისეთი პრობლემები როგორცაა დეინდუსტრიალიზაცია, ხანგრძლივი რეცესია (სტაგნაცია), უთანასწორობა და არასტაბილურობა. მართალია 2007-2009 წლების გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა მძიმე დარტყმა აგემა ნეოკლასიკურ-ნეოლიბერალურ თეორიას, მაგრამ არ მომხდარა ეკონომიკის პარადიგმული ცვლილება. ჩვენი აზრით, ამას ორი მთავარი მიზეზი ჰქონდა: პირველი ის, რომ ნეოკლასიკურ თეორიას, მისი იდეური წყაროს - კლასიკური (ლიბერალური) მოძღვრების გათვალისწინებით, საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. შესაბამისად, ის ღრმად არის ფესვებგადგმული აკადემიური და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების აზროვნებაში; მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ნეოკლასიკური ეკონომიკის გამოხატავს რა, გაბატონებული პოლიტიკური ელიტების ინტერესებს, მათი მუდმივი დაცვის ქვეშ იმყოფება. სტატიის ავტორი გაკვრით ახსენებს კოვიდ-19 პანდემიას, რაც, მისი აზრით, შეიძლება გახდეს ნეოკლასიკური მოძღვრების „საბოლოო კოლაფსის“ მიზეზი. თუმცა, ამ საკითხის გაშლა, რაც ძალიან საინტერესო იქნებოდა, სამწუხაროდ, მოცემული არ არის.

ნეოკლასიკური მეინსტრიმის კრიზისი, რაშიც ჯ. გელბრეიტს ეჭვი არ ეპარება, დღის წესრიგში ლოგიკურად აყენებს მისი ახალი მიმართულებით ჩანაცვლების საკითხს. კერძოდ რით? შესაძლო პრეტენდენტებს შორის ის ორ თეორიულ მიმართულებას ასახელებს - ქცევით ეკონომიკს და სირთულის ეკონომიკს. თუმცა, იმ სიახლეების მიუხედავად, რაც ამ მიმართულებებს შეაქვთ ეკონომიკურ აზროვნებაში, მეცნიერის აზრით, ისინი ნაკლებად შეიძლება აღვიქვათ პრინციპულად ახალი პარადიგმების მატარებლებად. ამის მიზეზი ისაა, რომ ორივე მათგანი „ნეოკლასიკურ მიმა-

4 პ. სიოდერბაუმი წერს: „ნეოკლასიკურ თეორიაში მთავარია „წონასწორული მიდგომა“ და ოპტიმალობის ძიება. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ეს მიმართულება (ნეოკლასიკური ეკონომიკის) ფართოდ იყენებს მათემატიკურ ენას (ტერმინებს) ... მართალია, მათემატიკას თავისი როლი აქვს ეკონომიკაში, მაგრამ ნეოკლასიკოსი ეკონომისტების თითქმის ექსკლუზიური დაყრდნობა მათემატიკაზე შეიძლება საკამათო იყოს“.

5 პ. როდრიკი ხშირად მსჯელობს ეკონომიკურ ანალიზში მათემატიკური მეთოდებისა და მათზე დამყარებული ეკონომიკური მოდელების გამოყენების დადებით და უარყოფით მხარეებზე და აღნიშნავს: „მათემატიკა ეკონომიკურ მეცნიერებას სიზუსტეს ანიჭებს. საუბედუროდ, იმავე დროს, იგი მას უსიცოცხლოდ აქცევს“... ზედმეტი ფორმალიზაცია - მათემატიკა მათემატიკისთვის - ეკონომიკაში ხშირად გვხვდება“ ... „მოდელები ერთდროულად ეკონომიკის ძალაცაა და აქილევსის ქუსლიც“.

რთულებას იღებს ამოსავალ წერტილად და აგრძელებს საკუთარი თავის განსაზღვრას ამ ორთოდოქსულ მოძღვრებასთან მიმართებით.“ სტატიის ავტორი ასევე ნეოკლასიკურ წარმონაქმნებს უწოდებს ახალ ინსტიტუციონალიზმს, ახალ კლასიკურ ეკონომიკსს და ახალ კეინზიანიზმს. მათაც ქცევითი ეკონომიკისა და სირთულის ეკონომიკის მსგავსად, „ნეოკლასიკური ორთოდოქსია აირჩიეს თავიანთ მცდარ წინაპირობად“ და „სწორედ ეს არის მათი მთავარი პრობლემა“. ზემოაღნიშნული კონტექსტით, სტატიაში ასევე ნახსენებია ევოლუციური ეკონომიკი და ბიოფიზიკური ეკონომიკი. რომელთა შესახებაც მხოლოდ ნათქვამია, რომ ისინი ნეოკლასიკურ ეკონომიკსთან მჭიდრო კავშირის გამო, ზოგიერთი მკვლევარის მიერ მისი წარმოშობის წინაპირობადაც განიხილებიან.

ვინ არის „სასარგებლო“ ეკონომისტი?

თეორეტიკოსი ეკონომისტები ქმნიან იდეებს, კონცეფციებს, პროგრამებს, პოლიტიკოსები კი მათ ახორციელებენ ცხოვრებაში. ასეთი თანამშრომლობის ბევრი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი ისტორიიდან: კეინზის მოძღვრების ფუნდამენტური პრინციპები ფართოდ იქნა გამოყენებული ფ. დ. რუზველტის „ახალ კურსში“; ლაფერის მრუდი – რეიგანის ეკონომიკის ერთ-ერთი საკვანძო ელემენტი გახდა; ე. გაიდარისა და გ. იავლინსკის რეფორმატორული იდეების პრაქტიკული გამოყენების წარუმატებელი მცდელობა იყო მ. გორბაჩოვის მიერ „პერესტროიკის“ ფარგლებში განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა და ა.შ.

ეკონომისტთა სიმცირეს დღევანდელი მსოფლიო ნამდვილად არ განიცდის, თუმცა ბოლო ათწლეულების განმავლობაში აშკარაა ნოვაციური იდეების ნაკლებობა, რაც ბევრი ეკონომისტის აზრით (პაპავა ვ. (2018); ლეიაშვილი პ. (2002); მექვაბიშვილი ე. (2018); ასათიანი რ. (2018); ხარბედია რ. (2018); თოქმაზიშვილი მ. (2018); Krugman P. (2009); Skidelsky R. (2016; 2018); Söderbaum P. (2017); Кэй Дж. (2012); Коландер Д., Фельмер Г., Хаас А., Голдберг М., Юселиус К., Кирман А., Люкс Т., Слот Б. (2010); Колодки Гж. (2010) და სხვ.), ეკონომიკური მეცნიერების ღრმა კრიზისის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნული გარემოება პრინციპულად ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს ეკონომისტებს. ვის შეუძლია ამ პრობლემებთან გამკლავება? რა თქმა უნდა, არა იმათ, ვინც პანგლოსური ჰარმონიის მქადაგებელი ეკონომიკური თეორიებითაა დაკავებული. ჯეიმს გელბრეიტის აზრით, ეკონომისტი, პირველ რიგში, პოლიტიკის პრაქტიკული საკითხებით უნდა იყოს დაინტერესებული და უნდა ეძებდეს მათი გადაჭრის რეფორმისტულ თუ რევოლუციურ გზებს. ის ჩამოთვლის „სასარგებლო“ ეკონომისტისთვის დამახასიათებელ ნიშნებს: გახსნილი გონება, პრობლემების გაცნობიე-

რება და არა სხვებისთვის ბრმად მიბაძვა, არაამბიციურობა, ფინანსური სარგებლის მიღებით თუ პოლიტიკური სტატუსის ამაღლებით დაუინტერესებლობა. „ის არ ფიქრობს საკუთარი პოპულარულობის კოეფიციენტზე ცნობილ ეკონომისტთა ჩამონათვალში“. განსაზღვრულია მთავარი საკითხების წრეც, რომელთა კვლევას „სასარგებლო“ ეკონომისტი პრიორიტეტულად მიიჩნევს: გარემოს დაბინძურების ეკონომიკური ასპექტები, არაგანახლებადი რესურსის გამოყენება, სამართლიანი და ეფექტიანი გადასახადები, თავისუფალი მოქალაქეების ნებაყოფლობითი თანამშრომლობა და ა.შ. ნებისმიერი ეკონომისტი, რომელსაც თავი შორს უჭირავს ასეთი პრობლემების კვლევისგან, გელბრეიტის აზრით, „არის უსაქმური და არა იმდენად მეცნიერი, რამდენადაც მოყვარული“. იგი პირდაპირ არ ამბობს, რომ ასეთ „არასასარგებლო“ ეკონომისტებად ნეოკლასიკური თეორიის წარმომადგენლებს მიიჩნევს, თუმცა მისი მსჯელობის ლოგიკას სწორედ ასეთ დასკვნამდე მივყავართ. შედარებისთვის, მეცნიერი ახსენებს სხვადასხვა ეპოქის თვალსაჩინო ეკონომისტებს, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პრაქტიკული ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას რეალური პოლიტიკის წარმართვის კონტექსტით და აღნიშნავს: „მოსაზრება, რომ რომელიმე საუკუნის რომელიმე გამოჩენილი ეკონომისტი განზე დგას თავისი ეპოქის პოლიტიკური საკითხებიდან, წმინდა წყლის სიცრუეა“. მაშინ, რა არის პრობლემა? მისი აზრით, პრობლემაა არა ეკონომისტების მიერ რეალური სინამდვილის კვლევის დეფიციტი, არამედ მათი არასათანადო დაფასება იმის გამო, რომ ისინი ვერ „უწერებთან“ დომინანტურ და მეინსტრიმულ მიმართულებაში.

ეკონომიკური ტაქსონომიის შესახებ

თანამედროვე ეკონომიკური კვლევების ცენტრალურ პრობლემად სტატიაში დასახელებულია ეფექტიანი ტაქსონომიის არარსებობა. ტაქსონომია, რომელიც ნეოკლასიკურ ეკონომიკსს ახასიათებს, ავტორის აზრით, პრიმიტიულია, იდეოლოგიური კლიშეების კლანჭებშია მოქცეული, ასახავს XIX საუკუნის დიქტომიებს და მათ „დენატურირებულ შემცვლელებს“. შესაბამისად, XXI საუკუნეში სერიოზული კითხვები ჩნდება ასეთი ტაქსონომიის ვალიდურობასთან დაკავშირებით.

მეორე მხრივ, მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რასაც ფართოდ იყენებდნენ XX საუკუნის თვალსაჩინო ეკონომისტები (ჯ.მ. კეინზი, ს. კუზნეცი, რ. სტოუნი და სხვები) ხშირად მოკლებულნი არიან საჭირო სიზუსტეს, მიკროეკონომიკური საფუძვლების არასაკმარისი დასაბუთების გამო. მეცნიერის აზრით, ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის აყენებს ისეთი „სახიფათო და ღრმად გამჭდარი ტაქსონომიური ჩვევის“ დაძლე-

ვის საკითხს, როგორცაა, „მიკრო“ და „მაკრო“ ეკონომიკებად დაყოფა. ეს უკანასკნელი მას მიაჩნია პოლიტიკური კომპრომისის პროდუქტად, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში გაფორმდა აშშ-ს პოლიტიკურ დეპარტამენტებში იმ დროს აღმავლობის გზაზე დამდგარ კეინზიანელებსა და „განსაზღვრულ პატარა მოაზროვნეთა“ ფართო ფენას შორის, „რომლებიც საფუძვლიანად იყვნენ განვრთნილი ა. მარშალის მიწოდებისა და მოთხოვნის ანალიტიკაში“. მათ არც იმის სურვილი და არც შესაძლებლობა ჰქონდათ, რომ „ნეოკლასიკური ნიუტონის მექანიკიდან კეინზის მიერ შეთავაზებულ აინშტაინის ფარდობით თეორიაზე გადასულიყვნენ“.

ეკონომიკური რეგულირების შესახებ

ახალი ეკონომიკის ერთ-ერთ პარადიგმად ჯეიმს კ. გელბრეიტი გლობალური ეკონომიკის, „როგორც ეკონომიკური ანალიზის ამოსავალი წერტილის“ და რეგულირების, როგორც ეკონომიკური ცხოვრების წარმმართველი მექანიზმის ერთიანობას მიიჩნევს. რეგულირება არის ნებისმიერ სისტემის სტაბილურობის, მდგრადობისა და სიმტკიცის აუცილებელი პირობა. ამ თვალსაზრისით, ეკონომიკური სისტემა არაფრით განსხვავდება ბიოლოგიური ან მექანიკური სისტემებისგან. „რეგულირების, მართვის და წესების გარეშე ისინი სწრაფად განიცდიან კრახს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, გლობალური მასშტაბის შესაბამისი, ეფექტიანი და ავტონომიური რეგულირების პრობლემა დღეს-დღეობით ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია, რაც დგას ეკონომიკური პოლიტიკის სპეციალისტების წინაშე. იგი ერთგვარ „წყალგამყოფად“ შეიძლება ჩაითვალოს ახალ ეკონომიკისა და ჯერ კიდევ მეინსტრუმულ ნეოკლასიკურ-ნეოლიბერალურ ეკონომიკის შორის. ამ უკანასკნელის თანახმად, ეკონომიკა არის მუდმივ წონასწორობაში მყოფი თვითრეგულირებადი სისტემა, რაც ეფუძნება საკუთრების უფლებების სწორ განაწილებას, კონკურენციას და ფასებს. ნეოკლასიკოსები თვლიან, რომ ეკონომიკური სისტემის ჰარმონია და წონასწორობა შეიძლება დაირღვეს მხოლოდ გარედან ინტერვენციის შედეგად, ეკონომისტის ამოცანა კი, მდგომარეობს ამ ჩარევის თავიდან აცილებაში ან მინიმუმამდე დაყვანაში. ახალი ეკონომიკის თანახმად, რეგულირება არის არა ბაზრის რალაც უსარგებლო დანამატი, არამედ მისი ნორმალური და ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელი პირობა. ჩვენ მთლიანად ვე-

6 სტატიის ავტორის სახელგანთქმული მამა ჯონ კენეტ გელბრეიტი, თანამედროვეობის ასევე უდიდესი თეორიტიკოსი ეკონომისტის მილტონ ფრიდმანის შესახებ წერდა: „იგი იყო და დარჩება კონკურენტული ბაზრის მთავარ ამერიკელ დამცველად, რომლის აზრით, ბაზარს არასდროს განუცდია ჩავარდნა იმ შემთხვევების გარდა, როცა მას ზიანი მიადგა არაკომპეტენტური მთავრობის ჩარევის გამო“ (მექვაბიშვილი, 2012).

თანხმებით საკითხისადმი ასეთ მიდგომას და მიგვაჩნია, რომ დიქტომიური აზროვნება - „ან რეგულირება ან ბაზარი“, წარსულს ჩაბარდა. თანამედროვე და განსაკუთრებით მომავლის ეკონომიკაში ისინი ერთმანეთის ალტერნატივები კი არ არიან, არამედ ქმნიან სიმბიოზს, რაც უზარმაზარი პოზიტიური პოტენციალის შემცველია გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

დასკვნა

ამრიგად, ჯეიმს კ. გელბრეიტის სტატია შეიცავს, როგორც მენისტრიმული ნეოკლასიკურ-ნეოლიბერალური ეკონომიკის მწვავე და არგუმენტირებულ კრიტიკას, ისე ახალი ეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლის ელემენტებს, მათი სისტემატიზაცია და ახალი პარადიგმის სახით ჩამოყალიბება მომავლის ამოცანაა, რაც მკვლევართა კოლექტიურ ძალისხმევას მოითხოვს. მეცნიერის ნააზრევი ბიძგს იძლევა სწორედ ამ მიმართულებით სამოძრაოდ, რაც მის უდაო დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს.

ლიტერატურა:

- ასათიანი რ. (2018). „ახალი ნეოკლასიკური სინთეზი“-XX საუკუნის ახალი პარადიგმა. გლობალიზაცია და ბიზნესი, #6.
- თოქმაზიშვილი მ. (2018). გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება. გლობალიზაცია და ბიზნესი, #5.
- ლეიაშვილი პ. (2002). ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა გარდამავალ ეტაპზე. თბილისი: „აზრი“.
- ლეიაშვილი პ. (2017). ეკონომიკური მოღვაწეობა: სისტემური ანალიზი. თბილისი: „სიახლე“
- მექვაბიშვილი ე. (2012). თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები. თბილისი: „ინოვაცია“.
- მექვაბიშვილი ე. (2018ა). გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი: „ინტელექტი“.
- მექვაბიშვილი ე. (2018ბ). „ეკონომიკური კრიზისების თეორია თუ ეკონომიკური თეორიის კრიზისი?“ გლობალიზაცია და ბიზნესი, #6.
- რეინერტი ს. ე. (2019). როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბად. თბილისი.
- პაპავა ვ. (2018). „ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმის ძიებისათვის“. გლობალიზაცია და ბიზნესი, #6.
- ხარბედია რ. (2018). „ეკონომიკური პრობლემები თუ ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი“. გლობალიზაცია და ბიზნესი, #6.

- Krugman P. (2009). How Did Economics Get It So Wrong? "The New York Times, Sept., #2.
- Skidelsky R. (2016). "Economists Versus the Economy". Project Syndicate, December 23, <https://www.project-syndicate.org/commentary/mathematical-economics-training-too-narrow-by-robert-skidelsky-2016-12?barrier=accesspaylog>
- Soderbaum P. (2017). "Do Wee Need A New Economics For Sustainable Development?" Real-/world Economics Review, Issue #80.<http://www.paecon.net/PAEReview/issue80/Soderbaum80.pdf>
- Кэй Дж. (2012). "Карта — не территория: о состоянии экономической науки" Вопросы экономики, #5.
- Коландер Д., Фельмер Г., Хаас А., Голдберг М., Юселиус К., Кирман А., Люкс Т., Слот Б. (2010); „Финансовый кризис и провалы современной экономической науки" Вопросы экономики, #6.
- Колодко Гж. (2010). Неoliberalism и мировой экономической кризис. Вопросы экономики, #3.

References:

- Asatiani R. (2018). "akhali neoklasikur sintezi-XX saukunis akhali paradigma". Globalizacia da Biznesi, #6, ["New Neoclassical Synthesis" – a New Paradigm of the XX Century. Globalization and Business, # 6.] in Georgian
- Tokmazishvili M. (2018). "globaluri ekonomikuri krizisi da ekonomikuri mecniereba". Globalizacia da Biznesi, #5. [Global Economic Crisis and Economic Science. Globalization and Business, # 5.] in Georgian
- Leishvili P. (2002). "ekonomikuri teoria da praqtika gardamaval etapze." Tbilisi: "azri". [Economic Theory and Practice in Ttransition. Tbilisi: "Azri".] in Georgian
- Leishvili P. (2017). "ekonomikuri mogvaceoba: sistemuri analizi." Tbilisi: "siaxle". [Economic activity: System Analysis. Tbilisi: "Siakhle".] in Georgian
- Mekvabishvili E. (2012). "tanamedrove makroekonomikuri teoriebi." Tbilisi. [Modern macroeconomic theories. Tbilisi.] in Georgian
- Mekvabishvili E. (2018a). "globalizaciis epoqis finansuri krizisebi da saqartvelos ekonomika". Tbilisi: "Inteleqti". [Financial Crises of the Globalization Era and the Georgian Economy. Tbilisi: "Intellect".] in Georgian
- Mekvabishvili E. (2018b). "ekonomikuri krizisebis teoria tu ekonomikuri teoriis krizisi"? Globalizacia da Biznesi, #6, ["Theory of Economic Crisis or the Crisis of Economic Theory?" Globalization and Business, # 6.] in Georgian
- Reinert S. E. (2019). "rogor gamdidrdnen mdidari qveynebi da ratom rchebian gharibi qveynebi gharibad." Tbilisi. [How Rich Countries Got Rich and Why Poor Countries Stay Poor .Tbilisi] in Georgian
- Papava V. (2018). "ekonomikuri metsnierebis krizisi da akhali paradigmis dziebisatvis. Globalizacia da Biznesi, #6 ["The Crisis of Economics And for Search of The New Paradigm." Globalization and Business, # 6.] in Georgian

- Kharbedia R. (2018). “ekonomikuri problemebi tu ekonomikuri metsnierebis krizisi”? Globalizacia da Biznesi, #6. [“Economic Problems or the Crisis of Economic Science?” Globalization and Business, # 6.] in Georgian
- Krugman P. (2009). How Did Economics Get It So Wrong? “The New York Times, Sept., #2.
- Skidelsky R. (2016). “Economists Versus the Economy”. Project Syndicate, December 23, <https://www.project-syndicate.org/commentary/mathematical-economics-training-too-narrow-by-robert-skidelsky-2016-12?barrier=accesspaylog>
- Soderbaum P. (2017). “Do Wee Need A New Economics For Sustainable Development?” Real-/world Economics Review, Issue #80, <http://www.paecon.net/PAEReview/issue80/Soderbaum80.pdf>
- Kay J. (2012). “karta ne teritoria: o sostaianii ekonomicheskoi nauki” voprosi ekonomiki #5. [“The Map Is Not the Territory: On the State of Economics” Issues of Economics, #5.] in Russian
- Kolander D., Volmer G., Haas A., Goldberg M., Yuselius K., Kirman A., Lux T., Slot B. (2010); “finansovi krizis I pravali savremennoi ekonomicheskoi nauki.” voprosi ekonomiki #6. [“The Financial Crisis and the Failures of Modern Economics” Issues of Economics, #6.] in Russian
- Kolodko Gzh. (2010). neoliberalism I miravoi ekonomicheski krizis”. voprosi ekonomiki #3. [Neoliberalism and the Global Economic Crisis. Issues of Economics, #3.] in Russian

Searching for new paradigms in economics

(Comments on James K. Galbraith’s article “What is Economics? A Policy Discipline for the Real World”)

Elguja Mekvabishvili

Professor

Iv. Javakishvili Tbilisi State University

elguja.mekvabishvili@tsu.ge

Current processes in the world - globalization of the economy, digitalization, the emergence and development of the global financial and economic crisis, the coronomic crisis caused by Covid 19, etc. puts on the agenda the need to create paradigms of the “new” economics, fundamentally different from the “old”, orthodox, neoclassical-neoliberal economics.

This is an extremely difficult task, as there are many mental barriers, that prevent researchers from rejecting long-established stereotypes in economic

science and inertial economic thinking. Naturally, overcoming these obstacles requires quite a lot of time and effort.

The famous American economist James K. Gelbraith's article can be considered as one of the most successful steps in this direction, which offers an interesting and original analysis about certain aspects of the theoretical-methodological basis of the "new" economics.

The article contains interesting analysis of many issues from the fields of theoretical economics, economic policy, history of economic thought, micro and macro economics and sharp, argumentative critique of the mainstream neoclassical theory; Assess the role of the "real" economy in the development and implementation of effective economic policies; Distinguish and characterize the concept of "useful" economist; Determining the cognitive potential of different theoretical-economic directions in terms of developing new theoretical paradigms and substantiate the need to regulate the market economy.

Keywords: *"New" economics, neoclassical-neoliberal economics, behavioral economics, complex economics, neo-institutionalism, "useful" economist, self-regulating market, economic regulation.*

საქართველოს ეკონომიკა: 30-წლიანი ტრანსფორმაციის გაგებისათვის

მიხეილ ჯიბუტი

პროფესორი

გიგორდ ხობაქიძის

სახელობის უნივერსიტეტი

m_djibuti@yahoo.com

30 წლის წინ ქართველი ხადხი, ბედნიერი თავისუფლებით, აღმოჩნდა უამრავი გამოწვევის წინაშე - ქვეყნის მთლიანობის, ეხის ეთიანობის, ხადხის სიცოცხლისუნაჩიანობის უზუნველსაყოფად. მემკვიდრეობით მიღებული საბჭოთა მმართველობითი, პორტიკუჰი, ეკონომიკუჰი, სოციალუჰი სისტემა იყო კოლაფსუჰი, დეგრადიჰებულ მდგომარეობაში და ახლებული სახით სახედმწიფოს ფუნქციონიჰებას ვეჰ უზუნველყოფდა. გადაწყდა მისი სხული უახყოფა და სახედმწიფოს მოწყობა კაპიტალისტუჰი წესიჰიგით, ᰇისი მთავარი ღეჰიდი საბაზიო ეკონომიკაა.

სტაგიაში, სისტემუჰი მიდგომის და დოგმატუჰი განზოგადების საფუძველზე, განხილულია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 30 წლის განმავლობაში, საქართველოში საბჭოთა ეკონომიკუჰი სისტემის საბაზიო ეკონომიკუჰი სისტემით რანაცვლების პიოცესი; ნარევენებია გახდამავადი ეკონომიკისა და ეკონომიკუჰი ტრანსფორმაციის მიმართება დიოსა და სივჰცეში; კაპიტალიზმის ᰇესტავიაციის თვისობიჰივად სხვადასხვა ეტაპის ახლებობა; დადგენილია ტრანსფორმაციის ᰇაციონალუჰი შინაახსი, თვისებები; შესწავლილია ეკონომიკუჰი ტრანსფორმაციის პიოცესი სისტემუჰი ცვლილებებისა და კანონზომიეჰების თვადსაზიისით, ქვეყნის ეკონომიკუჰი განვითარებაზე ზეგავდენის საშუადებების დასადგენად. ახსნილია საქართველოს 30-წლიანი ეკონომიკუჰი კიოზისის გენეზისი.

ნაშიომის ეჰთ-ეჰთი უმთავრესი ჰიპოთეზა ისაა, ᰇომ საქართველოს სოციალუჰი - ეკონომიკუჰი რამოჰრენიღობის მიზეზი სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის სამართლებიჰივ - ინსტიტუციუჰი ბაზის ახახლებობა და მისი ედემენტების უსისტემოდ გაფანტვაა, ᰇის გამოც ვეჰ ხეხნდება ქვეყნის საქმიანობის ეფექტიანობის გაზიდა.

საკვანძო სიტყვები: გახდამავადი ეკონომიკა, ტიანხფოხმაციუდი ეკონომიკა, „ვედუხი“ კაპიტალიზმი, ეფექტიანი საბაზხო ეკონომიკა, კაპიტალიზმის ხესტავხაცია, 30-წლიანი კიზისი, „დესოვეტიზაცია“, ინდიკატური დაგეგმვა.

შესავალი

სამშობლო, ორგანიზებული სახელმწიფოს სახით, ნებისმიერი ხალხისათვის ამქვეყნიური ყველაზე დიდი, გარდაუვალი ფასეულობაა. 30 წლის წინ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო de facto და de iure გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. მას შემდეგ 30 წლის განმავლობაში, საქართველოში კაპიტალიზმის რესტავრაცია და მისი კაპიტალიზმში მეორედ შესვლა (დაბრუნება) და მასთან დაკავშირებული პროცესები, საქართველოს სახელმწიფოებრივი, მ.შ. ეკონომიკური თავგადასავალის, უმნიშვნელოვანესი გარემოა. საქართველოს ეკონომიკის აღნიშნული 30 - წლიანი პერიოდი ბევრი ქართველი და უცხოელი მეცნიერის წარმატებული კვლევის საგანია (პაპავა 2015,11-34). საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკის ანალიზს ახორციელებენ, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და კომერციული სტუქტურები. მისი ანალიზი მოცემულია სამთავრობო პროგრამებსა და დოკუმენტებში. ამასთან, შესაძინევია ისტორიული პროცესების ლოგიკური განზოგადების, ან განვითარების ეტაპის სისტემური შეფასების დეფიციტი. იშვიათია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროგნოზირების, მისი სამომავლო მოძრაობის ვექტორის განმსაზღვრელი დასკვნები. ქვეყნის ეკონომიკის მართვასთან, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასთან მეცნიერთა ნააზრევის ოფიციალური და სტაბილური, კანონმდებლობით დადგენილი და ინსტიტუციურად უზრუნველყოფილი კომუნიკაციის მექანიზმიც არ არსებობს, მას შემდეგ რაც უარყოფილ იქნა ინდიკატური დაგეგმვის სისტემა¹. ამ სისტემის კომპნესირება ვერ მოხდა იმიტომ, რომ ქვეყანაში ათობით სტრატეგია შემუშავდა (ამჟამად 150-ზე მეტია მათი რიცხვი), რადგანაც მათი სამართლებრივი სტატუსი კანონით არაა განსაზღვრული და განხორციელების პროცესი ადვილად ემორჩილება პოლიტიკური კონიუნქტურის სუბიექტურ გადანყვეტილებებს. სტრატეგიის შემუშავება სახელმწიფოს ვალდებულებაა. მისი შექმნა არ შეუძლია არც ცალკე ადებულ პიროვნებას, არც მეცნიერთა ჯგუფსა და კოლექტივს, თუ ეს სისტემა სამართლებრივად არაა მოწესრიგებული და თუ მასში არაა ჩართული ქვეყნის ეკონომიკუ-

1 1994 წლის 11 სექტემბრიდან 2006 წლის 24 ივლისამდე მოქმედებდა საქართველოს კანონი „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ.“

რი და სოციალური სისტემის ყველა აქტიორი. არსებობს წარმატებული მაგალითები მეცნიერთა მიერ ქვეყნის განვითარების პროგრამებისა და სტრატეგიების შემუშავების შესახებ (თვალყრელიძე, სილაგაძე, ქუშელაშვილი, გეგია, 2011; ჯიბუტი, 2013; ქუცნაშვილი, 2015) მეცნიერთა ასეთ ჯგუფებს, ან ცალკეულ მეცნიერებს, შეუძლიათ განსაზღვრონ კონცეფციები, მიმართულებები, მოამზადონ თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები სტრატეგიისათვის, მაგრამ ყოველივე ეს კვლევად დარჩება რეალიზების გარეშე. ქვეყანამ 30 წლის მანძილზე ვერ მოახერხა ეკონომიკის განვითარების 1988 წლის დონეზე გასვლა. სტრატეგიულ დაგეგმას ვერ ცვლის ვერც ერთი ცალკე აღებული, თუნდაც საერთაშორისო და სისტემური ხასიათის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება. პოლიტიკური გადაწყვეტილება 2024 წელს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი არაა განმტკიცებული ანალიზით: განაცხადის შემდეგ რა, როდის და როგორ უნდა წარიმართოს ქვეყნის ცხოვრებაში. სტატიის გამოკვეთილი მიზანია ქვეყნის არსებული პოლიტიკონომიური მდგომარეობის შეფასება დამოუკიდებლობის 30 წლისთავზე. ამ საკითხთან დაკავშირებით გამორჩეული ნაშრომია ნ. ჭითანავას მონოგრაფია (ჭითანავა, 2021), სადაც წარსულის ანალიზის საფუძველზე შეფასებულია არსებული სოციალურ - ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევები და მოცემულია ავტორისეული პოზიცია მათი გადაჭრის გზების შესახებ. არსებული მდგომარეობის შეფასება ჩვენი მიზანია, რისთვისაც აქცენტს ვაკეთებთ მიდგომაზე - მომავლიდან ანმეოსაკენ, რაც პრობლემათა გადაჭრის ახალი, ალტერნატიული გზების დანახვას უწყობს ხელს. საქართველოს საზოგადოებრივ - ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში შეიძლება ისეთი წარმატებების ჩვენება, რაც გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ინტერესი აქ ხომ ვერ გაჩერდება? ისმის კითხვა, შეიძლებოდა თუ არა იგივე გაკეთებულიყო 20, 10, 2 წლის წინ? ან რაც დღეს ქვეყანაში გამოწვევებია, რამდენ ხანში გადაიჭრება და თუ არსებობს ალტერნატიული ვარიანტები მათი გადაჭრის დაჩქარებისათვის? ქართველი ერი ისე გამოიყენებს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, რომ შეძლებს იცხოვროს განვითარებულ საქართველოში, დემოკრატიულად დომინანტურ მდგომარეობაში მყოფმა, თუ გაითქვიფება კოსმოპოლიტულ თანამოქალაქეთა მასაში?

საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური იდენტიფიკაცია

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად აღსრულდა ქართველი ხალხის ოცნება - აღდგენილ იქნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობის 30 წლის განმავლობაში: საქართველო, როგორც სახე-

ლმწიფო დამკვიდრდა საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტად; მან საბჭოთა კავშირისაგან მემკვიდრეობით მიღებული კვაზი - სახელმწიფო-საგან შექმნა კონსტიტუციურ წესრიგზე დამყარებული სახელმწიფო; გაიარა საბჭოთა ბიუროკრატიულ - ადმინისტრაციულ - გეგმური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ეტაპის მნიშვნელოვანი მონაკვეთი და ძირითადად განახორციელა საბჭოთა მოდელის სოციალიზმის პოლიტიკურ - ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი და კაპიტალისტური ტრანსფორმაცია; საქართველო ერთგულობს განვითარების ევროაატლანტიკურ ვექტორს; ასოცირების ხელშეკრულებითა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების საფუძველზე ახორციელებს ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციას, ნაციონალიზებული აქვს და ჩართულია 2030 წლამდე გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში. 30 წლის განმავლობაში ის მეგობარი ქვეყნებისათვის, უპირატესად დახმარების მიმღები ქვეყნიდან, უპირატესად პარტნიორ ქვეყნად იქცა.

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებით მსოფლიოში ქვეყნების პირველ 30 %-ში შედის, აქვს უფრო წარმატებული პოზიციებიც (ბიზნესის კეთების რეიტინგით მე-7 ადგილი - 2020 წ., ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით მე-12 ადგილი - 2021წ. და სხვ.). უფრო მორიდებულია საქართველოს პოზიცია სუვენერული საკრედიტო რეიტინგებში. შეფარდებითისაგან განსხვავებით, არადაამაკმაყოფილებელია ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების აბსოლუტური მაჩვენებლები. საქართველო 30 წელია ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისშია. მან 30 წლის განმავლობაში ვერ მოახერხა საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში ეკონომიკურ ვარდნის წინა პერიოდის, კერძოდ, 1988 წლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის აღდგენა. 1988 წელს მშპ (მუდმივ 2015 წლის ფასებში) შეადგენდა 21 533 მლნ., ხოლო 2019 - COVID-19 პანდემიის წინა წელს მხოლოდ 17 758 მლნ. აშშ დოლარს (82,5%,) 2020 წელს-კი 16 557 მლნ. აშშ დოლარს. (<https://data.worldbank.org/indicator/>)

30 - წლიანი კრიზისი

30 წლის შედეგებით, ეროვნულ პროგრესს (დამოუკიდებლობის მოპოვებისა და სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით) მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეკონომიკური და სოციალური პროგრესი.

საქართველოში ჩამოყალიბდა სტერეოტიპი, რომ სოციალურ - ეკონომიკური პრობლემები დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გაჩნდა. ამ სტერეოტიპის ტირაჟირება ხდება მაშინაც, როდესაც საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზის დროს საბჭოთა

კავშირის არსებობა/არარსებობის, საქართველოს de iure და de facto პერიოდების გამიჯვნას არ ახდენენ. საქართველო 30 წლის განმავლობაში მოქცეულია იმ ეკონომიკური კრიზისის ფარგლებში, რაშიც ქვეყანა აღმოჩნდა დამოუკიდებლობის მოპოვების წინა და მისი მოპოვებიდან პირველ წლებში. ამ პერიოდში ყველა სხვა შემთხვევა - ეკონომიკის ზრდის, თუ ვარდნის, ამ საერთო მდგომარეობის კერძო შემთხვევებია.

საქართველოს ეკონომიკის დაცემა ორი დიდი სოციალ - პოლიტიკური ტალღის შედეგად მოხდა. ერთი, საბჭოთა კავშირის დაშლის წინა წლებში, რაც გამოწვეული იყო თვით საბჭოთა კავშირის რყევებით, როდესაც საბჭოთა სამეურნეო მექანიზმი მოიშალა მანამდე, ვიდრე მისი შემცვლელი საბაზრო მექანიზმები ამუშავდებოდა. ეკონომიკური პროცესების ცენტრალიზებულ მართვას ხელისუფლება ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ფუნქციონირების მაცემენტებელი კომპარტიის მმართველობის კონსტიტუციური ნორმის გაუქმების შემდეგ. ეკონომიკის დაცემა და კრიზისი საქართველოში გამწვავდა დამოუკიდებლობისათვის პოლიტიკური ბრძოლის მიმდინარეობით, როდესაც მასობრივი პროტესტი, დაუმორჩილებლობა, ხელისუფლებისათვის ეკონომიკური ობსტრუქცია ამ ბრძოლის მექანიზმად იყო გამოყენებული. ამას დაემატა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (9.04.1991 წ.), „ცენტრიდან“ ყველანაირი ფინანსურ - ეკონომიკური შეზღუდვები და შეფერხებები, რასაც ხშირად ბოიკოტის ფორმა ჰქონდა. ამ პერიოდში მოხდა საბჭოთა სოციალური ეკონომიკური სისტემის სრული გაჩერება და სრული კრაზი.

მეორე ტალღა ეს იყო სსრკ დაშლის შემდეგ, როდესაც საქართველომ de facto დამოუკიდებლობასთან ერთად მიიღო ეს გაჩერებული ეკონომიკა. De facto დამოუკიდებლობას - 1991 წლის 25 დეკემბერს, საქართველო 22 დეკემბერს დაწყებული საომარი მოქმედებებით შეხვდა.

1988-1991 წლებში მშპ შემცირდა 8 097 მლნ. აშშ დოლარით (37,6%-ით), 1990 -1991 წლებში 5 593 მლნ. აშშ დოლარით (25,97%-ით), საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ სამ წელიწადში (1992-1994 წწ.) 1988 წელს მიღწეულ დონეზე 8746 მლნ. აშშ დოლარით (40,6%-ით) ნაკლებია. აქედან, პირველ 1992 წელს 6 033 მლნ. აშშ დოლარით (28 %-ით), 1993 ,1994 წლებში შესაბამისად, 2 169 (10 %-ით) და 544 (2,5%-თ) მლნ. აშშ დოლარით. 16 843 მლნ. აშშ დოლარით, ანუ 78,2 %-ით. ამ შემცირებიდან 1992 -1994 წლების წილია 52%. ამ წლებში მშპ შემცირდა მშპ 8746 მლნ. აშშ დოლარით. ეკონომიკის დაცემის ფსკერი იყო 1994 წელი, როდესაც მშპ-მ (მუდმივ 2015 წ. ფასებში) შეადგინა 4 690 მლნ. აშშ დოლარი (<https://data.worldbank.org/indicator/>).

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკა ღრმა ეკონომიკურ კრიზისში შევიდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე, როდესაც ეკონომიკა დაეცა 37,6%-ით, რაც კიდევ უფრო გაღრმავდა მისი დაშლის შემდეგ, როდესაც ეკონომიკის ვარდნამ 40,6% შეადგინა და ყველაზე მწვავე ფაზას მიაღწია 1994 წელს, როდესაც მშპ-მ 1988 წელს მიღწეული დონის მიმართ 21,8% შეადგინა.

ქვეყნის მიზანი და მისი მიღწევის სტრატეგია

საქართველოს მიზნების იერარქიაში უმთავრესი მიზანია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და მოსახლეობისათვის ევროპული სტანდარტებით ცხოვრების უზრუნველყოფა. ამ მიზნების რეალიზებისათვის საქართველოს კონსტიტუცია ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში „საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველყოფას“ ითვალისწინებს (მუხლი 78, საქართველოს კონსტიტუცია). სწორედ ეს წარმოადგენს საქართველოს მიერ შერჩეულ განვითარების ვექტორს, სტრატეგიას.

სტრატეგიული მიზნიდან გამომდინარე საქართველოსათვის ისტორიული „ტრანსფორმაციული“ კრიზისის დაძლევა და ეკონომიკის 1988 წლის დონეზე გაყვანა - შუალედური მიზანია, ძირითადი ეკონომიკური მიზანი კი უახლესი მომავლისათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნებისათვის აუცილებელი მოთხოვნის -კოპენჰაგენის კრიტერიუმების დაკმაყოფილებაა. მით უმეტეს, რომ საქართველოს ხელისუფლებას უკვე მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომ 2024 წელს გააკეთებს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს (სამთავრობო პროგრამა, 3).

განაცხადის შემდეგ იწყებს მოქმედებას ევროკავშირის წევრად მიღების მექანიზმი ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ (ევროსაბჭოს მიერ მიღებულია 1993 წელს) დასაკმაყოფილებლად, როდესაც ზოგადად საქართველოს ევროპული სახელმწიფოს კრიტერიუმებით ისეთი ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა ექნება, რაც გაუძლებს კონკურენტულ ზეწოლას და საბაზრო ძალებს ევროკავშირის შიგნით (<https://eur-lex.europa.eu>).

საქართველოს, ბევრი მიმართულებით, საქმე „წინ აქვს წაგდებულ“ . ამ მხრივ ასოცირების ხელშეკრულებასთან ერთად, რის ფარგლებში ფაქტობრივად ხდება ევროკავშირის კრიტერიუმების დაკმაყოფილებაც, მნიშვნელოვანია საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, სადაც ევროკავშირის მოთხოვნები ბიუჯეტის დეფიციტთან და საგარეო ვალთან დაკავშირებით ნაციონალიზებულია 2013 წლიდან.

ევროკავშირის წევრობა საქართველოსთვის ნიშნავს, მისი მოსახლეობის ყველა თაობისათვის დღეს არსებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას (ჯიბუტი 2002,18).

- J. M.Keynes (1936). „The GENERAL THEORY of Employment Interest and Money“. New York Harcourt, Brace and Company, в русском переводе ст.116-120.
- Акерлофф Дж., Шиллер Р. (2010) Spiritus Animals. М., ст.177.
- Экономическая энциклопедия (1980). Политическая экономия (1975) М., том 2. С.118-119. та же энциклопедия, М., том 4. ст. 314-316.
- John Black (1977). A Dictionary of Economics Oxford New York. Oxford University Press. pp.93.
- How Corruption Affects Emerging Economies. In: Investopedia. 19.05.2019 [cit.2020-03-21]; Ibid.
- The Institutional Economics of Corruption and Reform: Theory, evidence, and policy. 2009. ISBN 978-0-521-87275-1.

- The Quarterly Journal of Economics (1995) Volume 110, Issue 3, August, pp. 681-712, <https://doi.org/10.2307/2946696>.
- Wei, Shang-Jin (2000) "How taxing is corruption on international investors?". Review of economics and statistics 82.1: pp.1-11.
- Shevardnadze K., Chechelashvili R., Chocheli V., Khaduri N. (2000). PAPA VA INDEXEX OF TAX CORRUPTION. Publisher "Company Imperial" Ltd. Tbilisi. – pp.31-47.
- Уильям Ф. Шарп, Гордон Дж. Александер, Джеффри В. Бейли (2016). Инвестиции. М.: Изд-во Инфра -М., ст.780-789.

References:

- John Black. (1997) A Dictionary of Economics, Oxford New York. Oxford University Press. pp.251.
- Papava Bl. (1993) Gosudarstvo, rynek i ekonomika. [State Market and Economy. Academy of Sciences of Georgia. Institute of Economics P. Gugushvili, pp.36.] in Russian
- M.Keynes J. (1936). „The GENERAL THEORY of Employment Interest and Money“.New York Harcourt, Brace and Company, pp.116-120.
- Akerloff J., Schiller R. (2010). Spiritus Animals. M., pp.177.
- Ekonomicheskaya entsiklopediya (1980), Politicheskaya ekonomiya(1975). [Economic Encyclopedia (1980), M., volume 4.pp. 314-316, Political Economy(1975). M., volume 2. pp.118-119]. in Russian
- John Black (1977). A Dictionary of Economics Oxford New York. Oxford University Press. pp.93.
- How Corruption Affects Emerging Economies. In: Investopedia. 19.05.2019 [cit.2020-03-21]; Ibid.
- The Institutional Economics of Corruption and Reform: Theory, Evidence, and Policy. ISBN 978-0-521-87275-1.
- The Quarterly Journal of Economics (1995) Volume 110, Issue 3, August, pp. 681-712, <https://doi.org/10.2307/2946696>.
- Wei Shang-Jin (2000). "How Taxing is Corruption on International Investors?". Review of Economics and Statistics 82.1: pp.1-11.
- Shevardnadze K., Chechelashvili R., Chocheli V., Khaduri N. (2000) PAPA VA INDEXEX OF TAX CORRUPTION. Publisher "Company Imperial" Ltd. Tbilisi. – pp.31-47.
- William F. Sharp, Gordon J. Alexander, Jeffrey W. Bailey (2016). Investitsii. [Investments. M.: Publishing house Infra-M., pp. 780-789.] in Russian

ქვეყნის ეკონომიკის საინვესტიციო შესაძლებლობები (საქართველოს მაგალითზე)

თეიმურაზ ბერიძე

პროფესორი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

teimuraz.beridze@tsu.ge

სტატიაში განხილულია ეკონომიკის ფუნქციონირების ფაქტორები - მიწა, კაპიტალი, შრომა. სტატია შედგება ქვეთავებისგან, რომელშიაც განხილულია ინვესტიციების ხარისხობრივი განმსაზღვრელები; მოცემულია ეკონომიკის ფუნქციონირების ფაქტორული ანალიზი; განსაზღვრულია ინვესტიციების შესაძლებლობების როლი ეკონომიკაში; ეკონომიკის გადახურების, ეკონომიკაში კორუფციისა და სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხი.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ ფაქტორებში ინვესტიციის საკითხებს და მათ შესაძლებლობებს. შემოთავაზებულია ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების ინტენსიურობის გაზომვის იდეა - ხარისხობრივად და რაოდენობრივად. პირველ შემთხვევაში განხილულია ინვესტიციების შინაარსი მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, საფინანსო მომსახურებაში, არასაწარმოო სფეროში და ა.შ., მეორე შემთხვევაში კი ამ ინვესტიციების მოცულობა. წამოყენებულია ჰიპოთეზა, რომ ქვეყნის ეკონომიკაში გადაჭარბებულმა ინვესტიციებმა შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკის გადახურება, ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს საზოგადოებასა და ეკონომიკაში კორუფციის გაჩენას, რაც შეანელებს მის ეკონომიკურ ზრდას. ე.წ. „წარმოების შესაძლებლობების მრუდმა“ შეიძლება პირობითად იმოქმედოს ეკონომიკაში გადაჭარბებული ინვესტიციების შემზღუდველად. ზედა წერტილი, რომელიც მდებარეობს საწარმოო შესაძლებლობების მრუდის გარეთ (მიუწვდომლობა), პირობითად შეიძლება ჩაითვალოს გადაჭარბებული ინვესტიციის მიზანშეწონილობის მანიშნებელ წერტილად.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, ეკონომიკის ფუნქციონირების ფაქტორები, საინვესტიციო შესაძლებლობები, საწარმოო შესაძლებლობების მრუდი, ეკონომიკის გადახურება, კორუფცია, საინვესტიციო პოლიტიკა.

მომხმარებლური ზედმეტობა - გამოწვევა კაცობრიობის წინაშე

გიორგი მალაშხია

პროფესორი (ემერიტუსი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
g.mal2012@yahoo.com

სტატიაში ევდემონისტური ხედვის - ადამიანთა ბედნიეხების თვადსაზიხისით, განხილულია მსოფლიოში ფაქტოდ გავრცელებული მოვდენის - მომხმარებლური ზედმეტობის ეკონომიკური, სოციალური და ეთიკური ასპექტები; წახმოდგენილია სამომხმარებლო ზედმეტობის ხაობა, სახეობები, წახმოქმნის მიზეზები და სოციალური - ეკონომიკური შედეგები, ნარჩენებია სამომხმარებლო ზედმეტობის ადგილი ადამიანთა ცხოვრებაში და მისი შეფასება საზოგადოების სხვადასხვა ფენის მიეხ.

ავტორი ააშკარავებს ადამიანთა ჯანსაღი მოთხოვნილებებისა და გონივრული მოხმარების უნახის განსაზღვრულობას; ზედმეტი დოვდათის გამოყენებისა და დაგროვების უაზირობას.

ნაშომში განხილულია მომხმარებლური ზედმეტობის გამოვლინებები, მათი წახმოშობის ეკონომიკური, სოციალური და ეთიკური მიზეზები, ხაც ახსნილია მომხმარებელთა ფსიქოლოგიური თავისებულებით, ასევე სოციალური და ეკონომიკური გახემოთი. ყუხადლება გამახვილებულია იმ ნეგატიური შედეგებზე საზოგადოებისათვის, ცადკეული ინდივიდისათვის, ხაც თან ახდავს ადამიანთა ყოფის ამ მოვდენას. ზედმეტი დოვდათის გამოყენებისა და დაგროვების მასშტაბები წახმოდგენილია ზომიერებისა და გონივრულობის, ნამდვილი და მოჩვენებითი სიკეთის, თვადთახედვით.

დასაბუთებულია ხამდენად მნიშვნელოვანია მომხმარებლური ზედმეტობის დაძლევა ცადკეული ადამიანისა და მთელი კაცობირობისთვის, ხაც მომხმარებლის სუვეერენიტეტს კი ახ ეწინააღმდეგება, ახამედ შეესაბამება მის და საზოგადოების ინტეხესებს. გაკეთებულია დასკვნა, ხომ მომხმარებლური ზომიერება მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს საყოველთაო კეთილდღეობის, ბედნიეხების ეპოქის დამკვიდრებას, ეკოდო-

გიუხი და სოციალური საფრთხეების დაძლევა. ამდენად, მომხმაჩებელი ზედმეტობის დაძლევა წახმოდგენილია, ხოგოხც კაცობრიობის პიოგეხის ეხთ-ეხთი აქტუალური პიობღემა.

საკვანძო სიგყვები: მომხმაჩებელი ზედმეტობა, სამომხმაჩებლო საზოგადოება, ჭანსალი მოთხოვნიღებები, მოხმაჩება, დაგხოვება, ზომიეჩება, ჰედონიზმი, ფუფუნება, , უქმი ეკონომიკა, სამომხმაჩებლო ძაღა. მომხმაჩებლის სუვეეენიღეტი, საყოვეღთაო კეთიღღლეობა

შესავალი

ყოვეღგვაი ზედმეტობა ბუნების საწინააღმღეგოა
ჰიპოკრატე

ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, ხოცა ამღენი
უსახგებლო ნივთი გვჭიღება.
ოსკახ უაღღი

ღიღი სიმიღეე - ღიღი მონობაა
სენეკა

ადამიანთა მიერ დოვლათის ზედმეტი მოხმარებისა და დაგროვებისადმი მიდრეკიღება და სიხარბე თვალში საცემია. მას შემღეგ, რაც გაჩინდა ქონებრივი უთანასწორობა და მოსახლეობის გარკვეულ ნაწიღში ერთგვარი სიუხვე, ეს მიდრეკიღება არსებობს. ის მძაფრღება თანამეღროვე მსოფლიოში სიმიღღრის და სიღარიბის თანაარსებობის პირობებში. მას დიღი ზიანი მოაქვს. თავისი ტენდენციითა და მოსალოღნელი შედეგებით საფრთხესაც წარმოადგენს კაცობრიობისათვის. სამომხმარებლო ზედმეტობის დაძლევა კაცობრიობის წინაშე აშკარა გამოწვევაა, რაზედაც იქნება დამოკიღებული ახალი ადამიამური და ბედნიერი სზოგადოების ჩამოყალიბება.

მოხმარების სფეროში ზედმეტობის არსებობას უძველეს დროში (ძვ.წ.აღ.VI-Vსს.) ამჩნევდა დიღი ჩინელი ფილოსოფოსი ლაო ძი, რომელიც წერდა: „სამეფო კარი თუ ბრწყინავს, მიღღვრები კი გახრიოკებულია, ბეღლები დაცრიეღებული. დიღებულნი თუ ძვიფასეუღობით შემოსიღან, ბრწყინვალე საჭურჭლით შეჭურვიღან, უკადრისობენ მიდაბიურ სუფრას და ფუფუნებაში ყელამღე ჩაფლულან, ეს ავაზაკობა და ზვიადობაა“ (ლაო-ძი 1990, 123).

„ზედმეტის“ კატეგორიის ირგვლივ მსჯეღობას ვხვდებით ძველი დროის აზროვნების კორიფების პლატონისა და არისტოტელეს შრომებ-

ში (ძვ.წ.აღ.V-IVსს.) „ის, რაც აჭარბებს ზომიერ ბუნებას და ის, რაც მასზე მეტია სიტყვით და საქმით, ნამდვილად არის ზედმეტი.“ (Платон 1871, 45-47). არისტოტელე ზედმეტსა და უკმარს განიხილავდა, როგორც საშუალოდან, სასურველიდან გადახრას (Аристотель 1984 , 88 , 87, 118, 215).

ზედმეტი მოხმარება შემდგომაც სხვადასხვა დროის მრავალი მოაზროვნის განხილვის საგანია. ამის დასტურად მოვიყვან ცალკეულ გამონათქვამებს: „ვინც უარი თქვა ზედმეტზე, მან თავი დააღწია უქონლობას,“ აღნიშნავდა გენიალური ი. კანტი. „გამოიყენეთ, მაგრამ არა ბოროტად. არც თავშეკავებას, არც ზედმეტობას არ მოაქვს ბედნიერება,“ - ქადაგებდა ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი ვოლტერი. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი წერდა: „სამოქალაქო საზოგადოება გვაძლევს როგორც არაჩვეულებრივი ფუფუნების, ზედმეტობის, ისე სიღატაკის და მათი საერთო ნიშნის ფიზიკური და ზნეობრივი გადაგვარების მაგალითს“ (Афоризмы и цитаты 2018, 24.) და ა. შ .

ხალხის დამოკიდებულება ზედმეტობისადმი ჩანს მის გამონათქვამებში:

- „ბევრმა ჭამამ კაცი მოკლა, ცოტამ - გადაარჩინაო.“
- „მეტი სიტყვა თავს ატკენს, მეტი ჭამა - კუჭსაო.“
- „ბევრის მდომი ცოტასაც დაკარგავს.“
- „ბევრის მსურველი კეთილს ვერ ნახავსო.“
- „თუკი დოზას გადააჭარბებ, ყველაფერი საწამლაგია.“ (ფრანგული) და ა. შ.

სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენათა შემეცნების დღევანდელ ეტაპზე უეჭველია დოვლათის ზედმეტი მოხმარებისა და დაგროვების მრავალმხრივი გაცნობიერების საჭიროება ცხოვრების თანამედროვე პირობების გათვალისწინებით. ფაქტია, რომ დღეისთვის სათანადოდ არაა გაცნობიერებული ამ თემის მეცნიერულ გაშუქების აუცილებლობა, მას არ აქვს სათანადო ადგილი ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებებში.

ქვემოთ შევეცდებით შუქი მოვფინო ამ თემის უმთავრეს საკითხებს ევდემონისტური, ანუ ადამიანთა ბედნიერებაზე გავლენის კუთხით. მთლიანობაში, მსურს გარკვეული წვლილი შევიტანო „ზედმეტის“ კატეგორიის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გააზრებაში.

ზედმეტის, ანუ არასაჭიროს ეკონომიკური არსი

ჯერ კიდევ მე-XIXს საუკუნის ბოლოს ამერიკელი ეკონომისტი, სოციოლოგი და ფუტუროლოგი ტ. ვებლენი წერდა: „საზოგადოებაში თავიანთი გავლენა რომ დაამკვიდრონ, ადამიანები იძენენ ძვირფას, ფუფუნების საგნებს, რომლებიც ცხოვრებისთვის აუცილებელს არ წარმოადგენს. მდი-

დრები ალტაცებულნი არიან იმით, რომ ისინი მდიდრები არიან“ (Велен Т. 1984, , 70).

სადღესოდ, ფრანგი ფილოსოფოსის, სოციოლოგისა და კულტუროლოგის ჟ. ბოდრიარის მიხედვით, „დასავლეთში ყველგან წარმოების ეგზალტირებული გმირების ბიოგრაფიები შეცვალა მოხმარების გმირების ბიოგრაფიებმა“ (Бодрийяр Ж. 2019, 50).

უწინარესად ჩამოვყალიბებ მოხმარების სფეროში ზედმეტობის ჩემულ გაგებას: ზედმეტად, ყოფით სფეროში შეიძლება ჩათვალოთ ყველაფერი ის, რასაც არ მოაქვს რეალური სარგებლობა (სიკეთე) ადამიანებისათვის, საზოგადოებისათვის, რაც, ჯანსაღი აზრით, არაა საჭირო, ხელის შემშლელი ან საზიანოა. ეს უხება საკვების მიღებით დაწყებულ, ყოველგვარ მოქმედებას თუ ობიექტს. ზედმეტი დოვლათის ფლობა იმის გამო არსებობს, რომ ადამიანის რეალური სამომხმარებლო უნარი შეზღუდულია, ხოლო მოთხოვნილებები საერთოდ შეიძლება სჭარბობდეს მას. ჯანსაღი აზრით, რეალური სარგებლობის ზღვარზე მეტი დოვლათის მოხმარება და ფლობა არის ზედმეტი. ზედმეტის სწორად გაგებისას არ უნდა დავეყრდნოთ სარგებლიანობის ფაქტს. სარგებლიანობად მიიჩნევენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, როგორც კეთილდღეობის წყაროს. მას კი, ბევრ შემთხვევაში, არ მოაქვს რეალური სიკეთე (სარგებლობა) ადამიანისთვის, რადგან არსებობს არასასარგებლო, არარაციონალური მოთხოვნილებები და ადგილი აქვს მოჩვენებით, ყალბ სიკეთეს, რის მაგალითები ჩვენს თვალწინ უხვადაა. ამიტომ ზედმეტზე მსჯელობისას ვეყრდნობი რეალური სარგებლობის და რეალური სიკეთის ფაქტს, როგორც ადამიანებისათვის ქვეყნარტი საჭიროების გამომხატველს.

ხაზი უნდა გაესვას ცხოვრების მოვლენათა რეალური (ნამდვილი) არსის ადეკვატურ გაგებას და მისგან გადახრილი, ყალბი, მოჩვენებითი (ილუზიური) წარმოდგენის დაძლევის მნიშვნელობას. არაქვეყნარტი შეხედულებები სოციალური სფეროს მოვლენებზე ფართოდაა გავრცელებული და ადამიანებს ხელს უშლის სწორი ცნობიერების ჩამოყალიბებაში, საბოლოოდ, სწორ, ნამდვილად სასარგებლო ქცევაში, რაც შესაბამისად აისახება მათ კეთილდღეობაზე.

მოხმარების აზრის, ხასიათისა და შედეგების ღრმად გარკვევისთვის პირველ რიგში უნდა დავადგინოთ რეალური სარგებლობა და განვასხვაოთ ის მოჩვენებითისაგან, ირეალურისაგან. რეალური სარგებლობა - ესაა მოხმარების ის შედეგი, რომელიც ადამიანის ნორმალურად აღიარებული ბიოსოციალური და სულიერი არსებობისა და განვითარებისათვისაა აუცილებელი. მოჩვენებითი, არასაჭირო ასევე არსებულა, მაგრამ არ აისახება ადამიანთა ცხოვრებაზე საერთოდ , ან აისახება უარყოფითად. მოთხოვნილებები მათი დაკმაყოფილების მიხედვით, მართებულა და-

ვყოთ ჯანსაღი, გონივრული, ანუ რეალური სარგებლობის (სიკეთის) მომტან მოთხოვნილებებზე და არაჯანსაღი, არაგონივრული მოთხოვნილებებზე, რომელთა დაკმაყოფილებას არ ახლავს ნამდვილი სიკეთე ან ადამიანებისთვის, არაიშვიათად, საზიანოცაა. ის თავისთავად ორგვარია: ჯერ ერთი, მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება უშუალოდ საზიანო ადამიანებისთვის და, მეორე, უაზრო, ფუჭი, ფუქსავატური მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება არაფრის მომცემი, ან ყალბი, მოჩვენებითი კეთილდღეობის მომტანია. ორივე ამ უკანასკნელთა დაკმაყოფილება, ჯანსაღი აზრით, გაუმართლებელია. სწორედ ესაა ზედმეტი, არასაჭირო. ის ორგვარი შეიძლება იყოს: იმთავითვე ზიანის მომტანი თვისებრივად ან საზიანო რაოდენობრივად, ზომას გადაჭარბებულ მოხმარებასთან დაკავშირებული. პირველის მაგალითია ნარკოტიკების, თამბაქოს ნაწარმის და სხვა მოხმარება და მეორისა - ჭარბი საკვების, სასმელის მიღება და ა.შ. ზედმეტობაა საჭიროზე ჭარბი სამომხმარებლო ნივთების ფლობა, რაც მათი გონივრული გამოყენების უნარს აღემატება.

დასანანია, რომ ეკონომიკური თეორია, სოციალური მეცნიერებები მეტწილად გვერდს უვლიან ყალბი, მოჩვენებითი კეთილდღეობის, კიდევ მეტი, ადამიანთა მიერ თავისი და სხვების საზიანო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის დოვლათის მოხმარების (დაგროვების), მაშასადამე, არარაციონალურად გამოყენების ფაქტს. პარადოქსია, რომ ადამიანთა საზიანო დოვლათი (ჯამრთელობის დაკარგვის, სიცოცხლის მოსპობის საშუალებები, უაზრო მოთხოვნებათა დაკმაყოფილებისთვის განკუთვნილი ნივთები და მომასახურება) განიხილება საზოგადოებრივი დოვლათის ნაწილად. არსებული თვალსაზრისით, ინტერესის საგანია მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მოთხოვნის არსებობა ბაზარზე, მიუხედავად იმისა, ეს მოთხოვნა და შესაბამისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ადამიანებისათვის საზიანოა, უსარგებლოა თუ არა. ასე ხდება მაშინ, როცა მას დიდი ზიანი მოაქვს კაცობრიობისთვის. უეჭველია, რომ ასეთი პროდუქტების წარმოება და გამოყენება თეორიისა და პრაქტიკის დიდი ნაკლია, მაგრამ მაინც ცხოვრების თანამგზავრია.

ადვილი შესამჩნევია მოხმარებისა და დაგროვების პოზიტიური და ნეგატიური შედეგები, მაგრამ მათ ხშირად შესატყვისი ყურადღება არ ექცევა. ეს თავიდანვე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორაა ადამიანთა ცნობიერებაში ასახული დოვლათის (სიმდიდრის) დანიშნულება, როლი, თუმცა ეს თავისთავად ცხადი როდია. სწორედ აქ იჩენს თავს საზოგადოების ფასეულობითი სისტემა, თუ რას თვლის ის ნამდვილ სიკეთედ ინდივიდებისათვის და მთლიანად საზოგადოებისთვის, რამდენადაა აუცილებელი და დასაშვები დოვლათის ამა თუ იმ სახით მიზნით და ზომით გამოყენება.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობებიდან გამომდინარეობს, რომ არასწორია ყოველგვარი მოხმარება, მისი ზრდა თავისთავად მივიჩნიოთ სიკეთედ, არ განვასხვავოთ საჭირო და არასაჭირო მოხმარება და დაგროვება. ამაზე გასული საუკუნის ბოლოს მიუთითებდა ჯ.გელბრეიტი, სამართლიანად აკრიტიკებდა რა ცხოვრების ნეოკლასიკურ მოდელს, რომლის მიხედვითაც თითქოს მოხმარება - ეს უპირობოდ კეთილმოყოფელი რამაა... თითქოს საჭიროა მისი მაქსიმიზაცია ყოველგვარი პატიოსანი სოციალური ხერხებითა და საშუალებებით. ამასთან, ეს თავისთავად უმაღლესი ზომით სიამოვნება არაა. საჭიროა დაფიქრება დოვლათისა და მომსახურების შერჩევაზე (Гелбрейт Д. 1979, 58).

საჭირო და ზედმეტ მოხმარებასა და დაგროვებაზე მსჯელობისას საბოლოოდ უნდა გამოვდიოდეთ რეალური და ყალბი კეთილდღეობის ქეშმარიტი გაგებიდან, მაგრამ ასე არ ხდება. კეთილდღეობად მიჩნეულია საერთოდ ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საქონლითა და მომსახურებით. აქედან გამომდინარეობს, რომ თითქოს, ყოველგვარი მოხმარება, მოთხოვნილების დაკმაყოფილება სიკეთეა, (ვგულისხმობ თეორეტიკოსების ა. პიგუს, ვ. პარეტოს, პ. სამუელსონის (Пигу А. 1985, Парето В. 2007, Самуельсон П. 1993) და სხვათა შეხედულებებს. ცხოვრების მარტივი ფაქტები ადასტურებს, კერძოდ, ჯანმრთელობისთვის საზიანო პროდუქტების მოხმარებას, ალკოჰოლური სასმელების, საკვების ჭარბად მიღებას და სხვა.

მიმაჩნია, რომ სწორ თვალსაზრისამდე არ მივყევართ ბერგსონ - სამუელსონის კეთილდღეობის საზოგადოებრივ ფუნქციას, რომელიც ინდივიდუალურ სარგებლიანობათა კომბინაციას ემყარება, რაც შემოსავლების განაწილების თაობაზე ფასულობითი განსჯის საფუძველზე ყალიბდება. (Ломова Е.А. 2009,11). ამ ავტორთა თვალსაზრისით, საზოგადოებრივი კეთილდღეობა არის ინდივიდების სარგებლიანობის დონეთა ფუნქცია. ადვილი მისახვედრია, რომ ინდივიდუალურ სარგებლიანობათა კარდინალისტური (რაოდენობითი) მნიშვნელობების დადგენა ძნელია ან, ალბათ, მიუღწეველიც. აქ ისევ სუბიექტურ სარგებლიანობასთან გვაქვს საქმე, რომელიც ხშირად არ წარმოადგენს კეთილდღეობის წყაროს (მაგალითად, თამბაქოს მოხმარება და სხვა) და არა ობიექტურ სარგებლობასთან (სიკეთესთან). სუბიექტების აღქმა არ ემთხვევა იმას, რაც ობიექტური სიკეთეა მათთვის.

ამგვარად, უპრიანია საკითხის დაყენება ადამიანთა კეთილდღეობის კუთხით ზედმეტის (ჭარბის) და საჭიროს სწორად განსაზღვრის თაობაზე. საჭიროდ მხოლოდ ის მოხმარება და დაგროვება შეიძლება ჩაითვალოს, რასაც მოაქვს რეალური კეთილდღეობა, რის იქითაც მოხმარება და დაგროვება ზედმეტად (ჭარბად) უნდა ჩაითვალოს. ეს სულაც არ ნიშნავს მო-

მხმარებლის სუვერინეტეტის უგულებელყოფას, ასკეტიზმის, სიღარიბის აპოლოგიას, არამედ ქეშმარიტი კეთილდღეობს სწორად გაგებაა. ჩემი მსჯელობებიდან არ უნდა გაკეთდეს დასკვნა, თოითქოს, ნორმალურად უზრუნველყოფილი ცხოვრებისადმი, კომფორტისადმი, მრავალფეროვნებადმი, ესტეტიკური სიამოვნებისადმი მისწრაფებას არ ვთვლიდე მოსაწონად. მე ვმსჯელობ იმ ზედმეტობაზე, რომელიც საზიანოა ინდივიდისათვის და საზოგადოებისათვის.

ზედმეტის სწორად გაგებას და ამგვარი გაგების ცხოვრებაში რეალიზებას კოლოსალური პოზიტიური შედეგი შეუძლია მოუტანოს ხალხებს, მთელ კაცობრიობას, დიდად შეუწყოს ხელი კეთილდღეობას.

ადამიანთა ცხოვრებაში აღნიშნული მოვლენის როლს თუ ჩავუფიქრდებით, ლოგიკურია ვთქვათ, რომ ეკონომიკური და სოციალური ასპექტით მათ ახსნასა და გაგებაში ყურადღებას იმსახურებს დოვლათის მოხმარებისა და დაგროვების ზედმეტობის აზრი. ის შეიძლება განვიხილოთ სოციალურ მეცნიერებათა კატეგორიის რანგში. აქედან გამომდინარე, ამ კატეგორიის მიერ თავისი ადგილის დაკავება სოციალურ მეცნიერებებში უთუოდ შედეგიანი იქნება შემეცნებითი თვალსაზრისით. ეს საშუალებას მოგვცემს ღრმად ჩავწვდეთ საზოგადოების ცხოვრების მოვლენებს და უკეთ მოვაგვაროთ ამ სფეროში არსებული გამოწვევები.

მომხმარებლური ზედმეტობის გამოვლინებები, მომხმარებლური საზოგადოება

მომხმარებლური ზედმეტობა საზოგადოების ცხოვრებაში მრავალმხრივი მოვლენაა და ადამიანთა ქცევის სხვადასხვა ასპექტით ვლინდება. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უხსოვარი დროიდან დღემდე შექმნილი დოვლათი სხვადასხვა მიზეზით ადამიანთა რეალურ კეთილდღეობას სრულად არ ხმარდება. აქამდე ეს ფაქტი სათანადო თეორიული განსჯის საგანიც არ გამხდარა. ამასთან, ის უაღრესად საყურადღებოა. ფაქტობრივად, ამის გამოხატულებაა არც ისე სასურველი სამომხმარებლო საზოგადოების ფორმირება და მეცნიერებაში მისი ასახვა. ამ თემას ეძღვნება: ტ. ვებლენის, ჟ. ბოდრიარის ნაშრომები, ასევე ჰ. მარკუზეს (Markuze, 1994, 368) და სხვათა წიგნები.

დოვლათის ზედმეტი, არასაჭირო მოხმარება და დაგროვება, პირველ რიგში, ეხება საგნებს, რომლებსაც ადამიანები იყენებენ სასიცოხლო პირობების უზრუნველსაყოფად, მაგრამ ზომას გადაჭარბების გამო, არასაჭირო და საზიანოც ხდება. ასეთია, კერძოდ, ზომაზე მეტი საკვების მიღება. ეს ადამიანთა მცირე რიცხვს როდი ახასიათებს. გურმანების დიდ ნაწილის პრობლემაა ქარბი წონა. 2008 წელს მსოფლიოს მოსახლეობის

35% ქარბონიანი იყო, 11% სიმსუქნით იყო დაავადებული. 2011 წელს კი 20 წლისა და მეტი ასაკის 1,4 მლრდ ადამიანს ქარბი წონა აწუხებდა.

ზედმეტი, არასაჭირო, ფუჭი მოხმარების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ზომიერ მეთი სპირტიანი სასმელების მოხმარება ადამიანთა საკმაოდ დიდი ნაწილის მიერ, რაც მართივ პრობლემებს როდი უქმნის მათ ჯანმრთელობის თუ ეკონომიკური თვალსაზრისით. ალკოჰოლიზმის - ამ ძველისძველი სენის სახით საქმე გვაქვს ფართოდ გავრცელებულ ზედმეტობასთან. ალკოჰოლიკების რაოდენობა ყოველ 1000 კაცში 1900-1929 წლებში შეადგენდა: 0,3-ს, 1956- 1976 წლებში -12,3-ს, მათი რიცხვი 50-ჯერ გაიზარდა 1930 - 1965 წლებში. 2000 წელს მსოფლიოში იყო 140 მლნ ალრიცხული ლოთი.

საზიანოდ და ზედმეტობად შეიძლება დავასახელოთ თამბაქოს ნაწარმის მოხმარება. მსოფლიოში მისი მომხმარებელია ყოველი მესამე მოზრდილი ადამიანი, 2 მლრდ-ზე მეტი, მ.შ. 200 მლნ ქალი.

მავნე ზედმეტი მოხმარების შემაშფოთებელი მაგალითია ნარკოტიკების მიღება, მათი მოხმარების გავრცელების მასშტაბები თანამედროვე მსოფლიოში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. ესეც ადამიანთა უძველესი და უგუნური მავნე ჩვევაა. პარადოქსია, რომ მსოფლიოში 2017 წელს დაახლოებით 271 მლნ ადამიანი, ანუ 15- 65 წლის ასაკის მოსახლეობის 5% მოიხმარდა ნარკოტიკს. ეს 30% -ით მეტი იყო, ვიდრე 2009 წელს. გაეროს მონაცემებით, მსოფლიოს მოზრდილი მოსახლეობის 3% და 15-30 წლის მოსახლეობის 12% არის ნარკოტიკების მომხმარებელი. კოკაინის წარმოება 2017 წელს აღწევდა 1.976 ტ., რაც 25 %-ით მეტი იყო წინა წლებთან.

ისეთ ცივილიზებულ სამყაროში, როგორც ევროკავშირის ქვეყნებია, ზრდასრული მოსახლეობის 10% ნარკოტიკების მომხმარებელია. ამასთან, ნარკოტიკების წარმოადგენს უკანონო საქმიანობის სფეროსა და შემოსავლების ერთ-ერთ უხვ წყაროს ცალკეული ადამიანებისთვის. ბოლო 12 წლის განმავლობაში ამ სფეროში ინვესტიციებმა შეადგინა 3 ტრლნ დოლარი. ნარკოფულის წლიური ბრუნვა კი 800 მლრდ დოლარამდე აღწევს. ყოველწლიურად ხდება 1,5ტრლნ დოლარამდე ნარკოტიკებით ვაჭრობიდან მიღებული ფულის ლეგალიზება.

ქეშმარიტი გაგებით, ობიექტური ადამიანური ურთიერთობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეფარდებით ზედმეტ, უქმ დოვლათად (სიმდიდრედ) წარმოგვიდგება მომხმარებელთა მიერ შეძენილი და ნაწილობრივ ან სრულადაც გამოუყენებელი, უფუნქციოდ დარჩენილი საგნები: ტასაცმელი, ავეჯი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, საცხოვრებელი ფართობი და სხვა. მომხმარებელი მეტწილად არარაციონალურია. იგი, რაც უფრო მეტ ფულად სახსრებს ფლობს, მით უფრო ხშირადაც იძენს ისეთ საქონელს, რასაც არ მოიხმარს სხვადასხვა მიზეზით. ის არაიშვიათად უშვებს შეც-

დომებს მოხმარების საგნების შექმნისას, ასევე მოდის, მიმბაძველობის გავლენით იძენს ისეთ საგნებს, რასაც მოუხმარებლად ტოვებს ან მცირე მოხმარების შემდეგ გადაადებს .

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ზედმეტობა, როცა საგნები, რომლებსაც ადამიანები ფლობენ, ტ.ვებლენის სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოიყენება დემონსტრაციული მოხმარებისათვის, ე.ი. პრესტიჟულობისათვის, სხვების წინაშე უპირატესობის დასადასტურებლად, გამორჩეულობისათვის, თავმომწონებისათვის. ცხადია, ჯანსაღი აზრით, ეს მიზანი მიუღწეველია, მაგრამ ადამიანთა ნაწილი მაინც ამგვარი ცდუნებითაა შეპყრობილი.

მომხმარებლური ზედმეტობის ერთ-ერთი მკაფი გამოვლინებაა ფუფუნება, რომელიც ისტორიის გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა. ის საზოგადოების ერთ-ერთი ნეგატივია. ფუფუნების პრობლემა მრავალი ავტორის ინტერესის საგანი იყო კიდევ, თუმცა სადღეისოდ ნაკლებად არის ყურადღების ქვეშ. მისი ზიანის გარკვევა თანამედროვე და მომავალი საზოგადოებისათვის, ასევე დაძლევის გზების ძიება ინტერესს უნდა იწვევდეს.

ფუფუნება კომფორტის ზედმეტობაა. მისი უარყოფა არ ნიშნავს ჯანსაღი კომფორტისადმი ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილების გამორიცხვას. ფუფუნება გამოიხატება გარემოსაგან გაძლიერებული სიამოვნების მიღებით. ჰედონიზმი აყვანილია პათოლოგიურ დონეზე, მაშინ როცა სიამოვნება ადამიანის ბუნებრივი ნორმალური მიდრეკილებაა. აქ ნათლად იგრძნობა ყალბი ეთიკის გამოვლინება, რაც ადამიანთა საკმაოდ დიდი ნაწილის თანამგზავრი ხდება. ის არ არის ცხოვრების ჯანსაღი წესი, მკაფიო გადახრაა მისგან. ფუფუნება ზოგჯერ სულიერი სიმდიდრის უქონლობის ნიადაგზე წარმოიშვება. ის ზომიერების, ნამდვილი ფასეულობის ანტიპოდად გვევლინება. ფუფუნების მიმდევრებს სურთ ყალბი ბრწყინვალება, უპირატესობა სხვების წინაშე. მხოლოდ ადამიანთა გარკვეული წრისათვის არის ის მოწონებისა და მისწრაფების საგანი, მახინჯი სიამოვნების, განცხრომის წყარო, ეგოიზმის გამოხატვა, რასაც რეალური მოწონება, ფასი, აღიარება საზოგადოებაში არ მოაქვს.

ფუფუნებას ჰყავს აპოლოგეტებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მაღალი კლასის ფუფუნება სიკეთეა დაბალი კლასისათვის, რამდენადაც მოაქვს დამატებითი სამუშაო ადგილი და შემოსავალი, განვითარების სტიმული. მაგრამ ეს არაა ის, რაც ამ უკანასკნელთ სჭირდებათ. ცნობილმა გერმანელმა ეკონომისტმა და სოციოლოგმა ვ. ზომბარტმა ფუფუნების გარკვეული თეორია შექმნა, რომლის ამოსავალი დებულებაა ფუფუნების განსაზღვრება, როგორც აუცილებლის ზღვარს გადაცილებული დანახარჯისა. (Werner Zombart 1922, 5). ფუფუნებას სხვა იდეოლოგიებიც ჰყავდა: სენ ლამბერი, ანრი ბოდრიარი საფრანგეთში, ბერნარდ მანდევლი ინგლის-

ში და სხვა. მის წინააღმდეგ კი გამოდიოდნენ რიგორისტიკული მიმართულების წარმომადგენლები, რომლებიც მდიდართა ფუფუნებას დაბალი კლასის წარმომადგენელთა სიღარიბის მიზეზად თვლიდნენ, მათ შორის უტოპისტები სენ- სიმონი და სხვა.

ფუფუნებას გაურობდა და ამჟამად თავს არიდებს ბევრი უმდიდრესი ადამიანი: როკფელერი, ბაბეფი, გეთისი და სხვა. მსოფლიოში უმდიდრესი მექსიკელი მილიარდერი კარლოს სლიმი უარყოფს ფუფუნებას და ცხოვრობს თავდაჭერილად, ამასთან, ფულს ქველმოქმედებაში დებს.

ზედმეტი, უქმი დოვლათის არსებობა ცალკეულ ადამიანთა ხელში დანაკარგებია საერთო კეთილდღეობისა და ბედნიერების თვალსაზრისით. სადღეისოდ განსხვავება წარმოებული დოვლათის (სიმდიდრის) რაოდენობასა და მის ზრდას, ერთი მხრივ, და ადამიანთა კეთილდღეობას, (მის ამაღლებას) შორის, მეორე მხრივ, საგრძნობია. სიმდიდრის ზრდას ჩამორჩება კეთილდღეობა. (დანვრილებით იხ. „უქმი ეკონომიკა“, (მალაშხია 2013, 12-50).

ეკონომიკური თეორია, როგორც ცნობილია, ქადაგებს მოთხოვნილებების განუსაზღვრელობას. გონივრული (ჯანსაღი) მოთხოვნილებები რაოდენობრივად, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, მოცემულ მომენტში შეზღუდულია ადამიანთა სამომხმარებლო ძალის განსაზღვრულობით. ადამიანებს არ შეუძლიათ დოვლათი უზომო რაოდენობით მოიხმარონ, რასაც თეორია გვერდს უვლის. მოთხოვნილებათა უსაზღვრობის დოქტრინა ეკონომიკურ სუბიექტთა გარკვეული ნაწილის ინტერესებს პასუხობს, რომ გაყიდვების ზრდით ბიზნესში მოგების სასურველ ზრდას მიაღწიოს. სწორი იქნება ვთქვათ, რომ მოთხოვნილებები იცვლება, ვითარდება განუსაზღვრელად, ხოლო მათი რაოდენობითი განუსაზღვრელობა გონივრულობის ფარგლებში პრაქტიკას, მისწრაფება განუსაზღვრელი რაოდენობის სიმდიდრის ფლობისკენ კი- ჯანსაღ აზრს ეწინააღმდეგება.

მომხმარებლური ჟინის გაღვივების შედეგად გაჩნდა ე.წ. მომხმარებლური საზოგადოება, რომელშიც არსებობს სამომხმარებლო საგნების სიუხვე, მოხმარება კი წარმოადგენილია ადამიანთა ცხოვრების აზრად და მიზანად, მოქმედების ძირითად მოტივად. ფრანგი სოციოლოგი ჟ. ბოდრიარი მიიჩნევს, რომ ესაა თვითმოტყუების საზოგადოება. მომხმარებელი თავის არჩევანს ახორციელებს არარაციონალურად და არადამოუკიდებლად. არჩევანი მას თავს ეხვევა თვით სამომხმარებლო საზოგადოების სტრუქტურისაგან მისი მოჩვენებითი ფასეულობებით, რაც ნივთებშია გაცხადებული. მოთხოვნილებები წარმოიქმნება იმ საქონელთან ერთად, რომელიც მათ აკმაყოფილებს (Бодрийяр Ж. 2006, 269).

მომხმარებლური საზოგადოება ცვლის და აკნინებს ცხოვრებისეულ ფასეულობებს, ადამიანთა ურთიერთობების სისტემას – „...ადამიანები სი-

უხვის საზოგადოებაში, არსებითად, გარშემორტყმულნი არიან არა სხვა ადამიანებით, როგორც ეს იყო ყველა დროს აქამდე, არამედ მოხმარების ობიექტებით. მათი ყოველდღიური ურთიერთობა განისაზღვრება არა მათ მსგავსებთან ურთიერთობით, არამედ დოვლათის გადაცემა - მიღების მანიპულაციების აღმნიშნელი სტატისტიკური მრუდით” (Бодийяр Ж. 2006, 5).

ადამიანთა და სახელწიფოთა აგრესიულობა იწვევს ქვეყნებსა და მთელ მსოფლიოში დაშინებისა და მოსპობის, სიმდიდრის განადგურების იარაღების კოლოსალური ოდენობით დაგროვებას, რაც სრულიად ზედმეტი იქნებოდა აგრესიის. მტრობის, კრიმინალური ზრახვების არ ასებობის პირობებში, ანუ ეთიკურ საზოგადოებასა და მსოფლიოში. მაგრამ სამხედრო მიზნებსა და საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას, ადამიანთა და ხალხების აგრესიისგან დაცვას, მსოფლიოსა და ცალკეულ ქვეყნებში კოლოსალური სახსრები და ადამიანური რესურსები ხმარდება, რაც საკმარისი კი იქნებოდა სიღარიბესთან გასამკვლავებლად. ჯანსაღი აზრისთვის ხომ ადვილი გასაგებია ამ სფეროებში დახარჯული შრომის, მატერიალური სახსრების ზედმეტობა მაღალი ზნეობის, ადამიანური სიმახინჯეების - სიხარბის, აგრესიულობისაგან, ყოველგვარი კრიმინალისაგან თავისუფალი საზოგადოების არსებობის პირობებში. კაცობრიობის თანამგზავრი ეს ნეგატივი, ცხადია, დაბალი ცივილიზებულობის, კულტურის გამო არსებობს. აქ საქმე გვაქვს მფლანგველობის იძულებითი ზედმეტობის, ზედმეტის განსაკუთრებულ, უხეშ და ფარულ ფორმასთან.

მომხმარებლური ზედმეტობის წარმოქმნა: მიზეზები და პირობები.

დოვლათის მოხმარებისა და დაგროვების ზედმეტობის მიზეზი უწინარესად უკავშირდება ადამიანთა ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, ტიპს, ნიშნებს. მომხმარებლის ეთიკის, ქცევის, არჩევანის ფაქტორები: შემოსავლების სიდიდე, გემოვნება, მიდრეკილება, მიმბაძველობა, გამოცდილება, სწორი გადანყვეტილების მიღების უნარი, მოდის, რეკლამის გავლენა და ა.შ. კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ყალიბდება. ამ პირობების და არჩევანის სირთულის გამო პრაქტიკაში სამომხმარებლო საგნების შეძენის თუ დაგროვებისას ხშირად აქვს ადგილი შეცდომებს, რის შედეგადაც თვით მომხმარებელს ზედმეტი, მისთვის არასაჭირო, გამოუყენებელი საგნები აღმოაჩნდება.

ცნობილი ფსიქოლოგი კ. იუნგი ფასეულობითი თვალსაზრისით განახხვავებდა ადამიანთა ორ ძირითად ფსიქოლოგიურ ტიპს: ექსტრავერტული ბუნებისას, სიმდიდრისაკენ მიდრეკილებს და ინტროვერტული ბუნებისას - ღირსებებისკენ, სულიერი სიმდიდრისკენ მიდრეკილებს (Юнг

K. 1989, 561). მომხმარებლური ქცევის თვალსაზრისით აღნიშნული ტიპები დაკავშირებულია ადამიანის განათლებულობასთან, კულტურასთან, მიდრეკილებებთან. ცრუ, უადგილო მოთხოვნილებების ჩამოყალიბებაში თავს იჩენს ეკონომიკური და სოციალური გარემოს გავლენა.

ადამიანები იმთავითვე გამოირჩევიან განსხვავებული მოთხოვნილებებით, არიან ზომიერნი და ხარბები. ეს ის ნიშნებია, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ ქცევას დოვლათის მოხმარებისა და დაგროვების სფეროში. ზედმეტი საგნები ჩვეულებრივ აღმოაჩნდებათ არახარბ, მოკრძალებული მოთხოვნილებების ადამიანებსაც სხვადასხვა მიზეზით, რაც განაპირობებს მათ მომხმარებლურ ქცევას, მაგრამ ზედმეტობა მოხმარებასა და დაგროვებაში ჩვეულებრივ თავს იჩენს ხარბი და პატივმოყვარე, მიმბაძველ ადამიანებში. ადამიანებს არც ისე ბევრი სჭირდებათ კეთილდღეობისათვის, რომ არა სიხარბე, რომელიც უბიძგებთ სამომხმარებლო დოვლათის უსაზღვრო მოხმარებისა და დაგროვებისაკენ.

ამაში პირდაპირ აისახება პიროვნებათა მიერ ფასეულობების აღქმა, მათი ეთიკა. ექსტრავერტული ფსიქოლოგიური ტიპისათვის ზნეობას, სამართლიანობას ყურადღება არ ექცევა. მისთვის მთავარია მატერიალური ფაქტორი, უზომო მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მომხვჭელობა როგორც ვითომც ბედნიერების უცილობელი პირობა. მის აღქმაში ბედნიერების ზომა პირდაპირაა მიბმული სიმდიდრესთან, მფლანგველურ მოხმარებასთან.

სამომხმარებლო ზედმეტობის ფორმირებაში სადღეისოდ დიდ ადგილს იკავებს საზოგადოების ზნეობრივი კრიზისი, უსამართლობა დოვლათის განაწილების სფეროში. ზნეობრივ კრიზისი უშუალოდ იჩენს თავს ცხოვრების აზრზე, ადამიანურ ფასეულობებსა და ცხოვრებაში მათ ადგილზე გამრუდებული დამოკიდებულებებით, აქედან გამომდინარე, ქცევით, რაზეც ზემოთ იყო მსჯელობა. ამას მოსდევს ზნეობრივი ნორმების უგულვებელყოფა მომხმარებელთა მიერ, რომელთა ერთობლიობაც ქმნის საზოგადოებას, ეთიკური ნიჰილიზმი, რაც ასე აშკარაა თვით ყოფით დონეზე.

ზედმეტი მოხმარებისა და დაგროვების არსებობაში გამორჩეულ ადგილს იკავებს სოციალურ-ეკონომიკური გარემო. დოვლათი განაწილების ურთიერთობები, რომლებიც უთანასწორობის საფუძველს ქმნის ნიადაგს უმზადებს ზედმეტ მოხმარებასა და დაგროვებას. საბაზრო ურთიერთობები, მექანიზმი აყალიბებენ კონკურენციულ სივრცეს არამართო წარმოების, არამედ მოხმარების სფეროში. უსამართლობა დოვლათის განაწილების სფეროში გამოიხატება გადამეტებული უთანასწორობით საზოგადოების წევრთა ქონებრივ მდგომარეობაში. საერთოდ კი უთანასწორობა ბუნებრივი მდგომარეობაა, რადგან ადამიანები განსხვავებუ-

ლნი არიან უნარებით, საქმიანობის შედეგიანობით, მოთხოვნილებებით. თანასწორობაზე კი შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ ცხოვრების დონის მიხედვით. ქონებრივი უთანაბრობა კი მთელ მსოფლიოსა და ცალკეულ ქვეყნებში სცილდება ნორმალურ საზღვარს, მეტად მწვავეა. ამას ადასტურებს შემდეგი მონაცემები: განსხვავება მოსახლეობის ყველაზე მაღალი შემოსავლების მქონე 10%-სა და ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონე 10%-ს შორის ევროკავშირის ქვეყნებში შეადგენს 9,5 -ჯერ მეტს. ეს განსხვავება იზრდება, 1992 წელს ის იყო 7-ჯერ მეტი. ევროკავშირის ქვეყნების მდიდარი 10% მოსახლეობა ფლობს ქვეყნის სიმდიდრის ნახევარს, ხოლო ღარიბი 40% - 3%-ს. უფრო უარესი სურათია რიგ სხვა ქვეყანაში, მათ შორის ნაკლებად განვითარებულებში. სწორედ მდიდარ ფენაში განსაკუთრებით შეიმჩნევა დოვლათის ზედმეტი მოხმარება და დაგროვება.

დოვლათის ზედმეტი მოხმარება და დაგროვება ის ასპარეზია, სადაც გამოვლინდება ადამიანთა ქცევის გამრუდებული მოტივაცია, სიხარბე, მისწრაფება უპირატესობისაკენ. სამომხმარებლო საზოგადოების პირობებში აღნიშნული ფაქტორები ისე ძლიერია, რომ მას ვერ თრგუნავს ცივილიზებულობის, კულტურის არსებული დონე, ადამიანთა დიდი ნაწილის ზომიერება, რელიგიის, პროგრესული აზრის გავლენა. ყოველივე ეს განაპირობებს მოხმარებისა და დაგროვების მკვეთრ ზედმეტობას, ზომიერებისაგან გადახრას. ამიტომაც აქვს დგილი სამომხმარებლო სენის ერთგვარ პანდემიას.

ზედმეტი სამომხმარებლო საგნების დაგროვების განსაკუთრებული შემთხვევა დაკავშირებულია პროდუქციის გაახლების ტემპთანაც. რიგ შემთხვევაში ეს გაახლება ფორმალურია და მომხმარებლის ინტერესებს კი არ ემსახურება, არამედ გამყიდველების კომერციულ მიზნებს, რამდენადაც სამომხმარებლო თვისებების არავითარ გაუმჯობესებას არ წარმოადგენს. მომხმარებელი ფაქტობრივად ტყუვდება, იძენს რა ახალ პროდუქტს და „გადააგდებს“ ჯერ კიდევ მოუხმარებელს. ასე აღმოჩნდება მის ხელში ზედმეტი პროდუქტი. მწარმოებლებისათვის (მიმწოდებლებისათვის) უდაოდ სასარგებლო ეს პროცესი შეიცავს დანაკარგებს. ამ შემთხვევაში მწყობრიდან გასული პროდუქტები ზედმეტ, „მკვდარ“ ქონებად იქცევა, გადასაყრელი ხდება ან მხოლოდ ნაწილობრივ გამოიყენება სხვადასხვა მიზნით.

უნდა აღინიშნოს მოდის გავლენა მოხმარებაზე. მოდა ჩვეულებრივ უფრო გაყიდვების ზრდას ემსახურება, ვიდრე მომხმარებელთა კეთილდღეობას. ბაზარზე გაყიდვებისა და მოგების გადიდების მიზნით ხშირად ჩნდება მრავალი „ახალი“, ფაქტობრივად უსახო პროდუქტი, რაზეც იხარჯება დიდძალი სახსრები. ისინი კი არაფერს მატებს მომხმარებელს, მხოლოდ გარეგნულად იზიდავს მას და მის ფულს.

რეკლამა თითქოს მოგონილია მომხმარებლის დასახმარებლად, რომ მან ადვილად შეიძინოს მისთვის აუცილებელი საგნები საუკეთესო პირობებით, მაგრამ ის ამ მიზანს სათანადოდ როდი ემსახურება, არაიშვიათად აბნევს მომხმარებელს, ხელს უფრო გასაღებას უწყობს. ეს ფაქტიც მომხმარებლური ზედმეტობის მიზეზი აღმოჩნდება.

პროდუქტების ზედმეტობა მომხმარებელთა ხელში წარმოიქმნება იმის გამოც, რომ შეძენილ დოვლათს ადამიანები ყოველთვის სრულად არ იყენებენ დანიშნულებით, იძენენ ნივთებს, რომლებიც არც ჭირდებათ ან ნაწილობრივ გამოყენების შემდეგ აგდებენ ან კიდევ უფუნქციოდ ინახავენ. ამგვარ ფაქტებს შევხვდებით ოჯახთა უმრავლესობაში, ამ დროს მათ ხშირად აკლიათ სხვა უფრო საჭირო საგნები და მომსახურება. ამგვარი ზედმეტობა კეთილდღეობის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. მაშასადამე, მოხმარების და დაგროვების ზედმეტობა ცხოვრების მრავალ მხარეს, ადამიანთა ქცევის, კულტურის, საერთო განვითარების დონეს უკავშირდება. ცხოვრებაში ფართოდ იჩენს თავს მოხმარებლური ირაციონალიზმი. აქ არსებული პრობლემების გადაჭრა უშუალო კავშირშია ადამიანთა ბედნიერებასთან, რაზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ.

ზედმეტი მოხმარებისა და დაგროვების სოციალურ - ეკონომიკური შედეგები. უქმი ეკონომიკა

უწინარესად აღვნიშნავ, რომ მოხმარების აქტს განვიხილავ ეკონომიკური დოვლათის სოციალურ სიკეთედ ტარნსფორმაციად, რაც დამოკიდებულია თვით დოვლათის სამომხმარებლო თვისებებთან ერთად ამ თვისებათა სრულად გამოყენებაზე, ე.ი. მოხმარების ხასიათზე, გონივრულობაზე. მოხმარების ეფექტიანობა არის აგრეთვე მოხმარების პროცესში მეტი სოციალური „წონის“ („ფასის“) მქონე ობიექტის წარმოქმნა. ამრიგად, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია, არამხოლოდ წარმოების ეფექტიანობა, არამედ მოხმარებისაც. მოხმარება არის თვით ყოველგვარი სიკეთის შექმნის ერთ-ერთი ამოსავალი პირობა, მოტივაცია. ამასთან, ეს არ ითქმის ყოველგვარ მოხმარებაზე. მოხმარების მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული ტესტი: რა შედეგი მოაქვს მას - არის ის რეალური სიკეთის მომტანი თუ არაფრის მომტანი ან მავნეცაა.

დოვლათის ზედმეტი მოხმარება და დაგროვება კაცობრიობის ცხოვრებაში საზიანო მოვლენაა. ეს ადამიანთა ქცევის არარაციონალურობის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ერთობ დიდ ადგილს იჭერს დოვლათის გამოყენების (მოხმარების, დაგროვების) სფეროში. ნიშანობლივია, რომ ჩვენს დროში მოხმარება საზოგადოების წევრთა დიდი ნაწილისთვის ცხოვრების საზრისის ძირითადი კომპონენტი გახდა.

ჩვენს სინამდვილეში არ ხდება ზედმეტი, არასაჭირო მოხმარებისა და დაგროვების შედეგების სათანადო აღქმა და შეფასება. მათ გაგებას უმთავრესად უკავშირდებიან ადამიანის უფლებებს, მომხმარებლის ინტერესებს, სუვერენიტეტს, მაგრამ სათანადოდ არ ხდება იმ ტრივიალური ქეშმარიტების გაცნობიერება, რომ ყოველგვარ დაკმაყოფილებას არ მოაქვს სიკეთე, რადგან ადამიანებს ბევრი გაუკუღმართებული მოთხოვნილებები აქვთ. მათი დაკმაყოფილების გამო სინამდვილეში ადგილი აქვს ზედმეტ, არასაჭირო მოხმარებას და დაგროვებას, რაც ზემოთ აღინიშნა. მისი მასშტაბები ერთობ დიდია.

ზედმეტობის შედეგები შეიძლება მრავალმხრივ წარმოვიდგინოთ, რომელთა განხილვა უპრიანია ადამიანთა ევდემონისტური - ბედნიერებისა და მისი პირობების თვალსაზრისით. ეს გულისხმობს მათ წარმოდგენას ეკონომიკური, სოციალური, ეთიკური, ესთეტიკური, ფსიქო-ემოციური, პოლიტიკური რაკურსით.

ნათელია, რომ მომხმარებლური ზედმეტობა ერთგვარი სოციალური პათოლოგიაა, რომელიც, პირველ რიგში, თავს იჩენს ეკონომიკურ მახასიათებლებში. ეს უნინარესად ისაა, რომ იგი წარმოგვიდგება წმინდა დანაკარგებად. ეს ასევე ნიშნავს, რომ მათი არ არსებობა საზოგადოებას შესაბამის დამატებით სიკეთედ მოეგლინებოდა. სხვანაირად, იგი იქნებოდა მათზე განეული დანახარჯების გამოთავისუფლება საზოგადოების თუ ინდივიდებისათვის საჭირო სიკეთის (დოვლათის) შესაქმნელად. გასაგებია, რომ ოჯახს ზედმეტად შექმნილი ნივთებისათვის განეული დანახარჯები შეეძლო გამოეყენებინა სხვა საჭირო დოვლათის შესაძენად, რომელიც მას მოუტანდა რეალურ სიკეთეს. ფუფუნებისათვის თუ არ გასწევდნენ ხარჯებს მისკენ მიდრეკილი სუბიექტები, ისინი სხვა სუბიექტთა რეალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მოხმარდებოდა. თვით საზოგადოებას თუ არ დასჭირდებოდა ამჟამინდელივით იძულებითი ხარჯების განევა სამხედრო თუ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის, რაც შესაძლებელია ზნეობრივი, აგრესიისაგან, მტრობისაგან თავისუფალი, ქეშმარიტად ჰუმანური ადამიანების ერთობის პირობებში, კოლოსალური სახსრები გამოთავისუფლდებოდა კეთილი მიზნებისათვის. დღეისათვის ეს სახსრები კოლოსალურია. მხოლოდ სამხედრო , ე.წ. თავდაცვითი ხარჯები, მსოფლიოში სავარაუდო მტებისაგან დასაცავად თუ მტრული აგრესიული ზრახვების განახორციელებლად, შეადგენდა 2020წ. - 1981მლრდ დოლარს, მათ შორის აშშ-ის 778,0, ჩინეთის- 252,0, ინდოეთის - 72,9, რუსეთის - 61,7 მლრდ დოლარს და ა.შ. ეს მშპ-ის მიმართ შეადგენს შესაბამისად 3,4% 3,7% 1,7% 2,9% და 4,3%. ეს ხარჯები ცივილიზაციის პარადოქსია, რითვისაც დიდი პასუხისმგებლობა, უნინარესად, პოლიტიკოსებს ეკისრებათ, მათ აგრესიულობას მიეწერება, ხალხი კი არასდროს ომი არ უნდა.

ასევე უზარმაზარია დანახარჯები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, კრიმინალური ბუნების ადამიანთა საზიანო ქცევის აღკვეთისათვის. ეს ხარჯები დაახლოებით უტოლდება ზემოთ განხილულ, ე.წ. თავდაცვით ხარჯებს. რუსეთის ფედერაციის მაგალითზე ის დაახლოებით მშპ-ის 4 %-ს შეადგენს.¹ თითქმის ასეა სხვა ქვეყნებში. ეს ხარჯები წარმოიშვება იმ რეალობაში, როცა ადამიანთა ერთი, თუმცა მცირე, ნაწილი ეწევა ანტისაზოგადოებრივ მოქმედებებს, არღვევს საზოგადოების სიმშვიდეს, აზიანებს სხვის ჯამრთელობას, სიცოცხლეს, ქონებას, აყენებს მატერიალურ და მორალურ ზიანს თანამოქალაქეებს, ქვეყანას. ამგვარი მოქმედებები არასასურველი და მავნეა, მაგრამ ის გვხვდება და საკმაოდ ფართოდ. სამწუხაროდ, მათ ზრდის ტენდენციაც აქვს თვით განვითარებულ ქვეყნებში, მაშინ როცა საზოგადოების ცივილიზებულობა და კულტურის დონე საერთოდ მაღლა იწევს. ამის მიზეზები, სამწუხაროდ, არსებობს. დამნაშავეობა მოსახლეობის 100 ათას სულზე გაიზარდა 1960 წლიდან 2000 წლამდე აშშ -ში 1123 -დან 4124-მდე, საფრანგეთში - 1505 -დან 6421-მდე, გერმანიაში - 2871 -დან 7625- მდე, ინგლისსა და უელსში - 1606-დან 9761 -მდე, იაპონიაში - 1601-დან 1924- მდე, რუსეთში - 361 -დან 2028 -მდე. (Лунеев В.2007, 14).

მოყვანილი ფაქტები აშკარად დაკავშირებულია ეკონომიკურ ურთიერთობათა, დოვლათის განაწილების, გაცვლის სფეროებში არსებულ ხარვეზებთან. უზარმაზარი ქონებრივი უთანაბრობა, სიმხინჯენი გაცვლის სფეროში რომ არ ასებობდეს, ზედმეტი მოხმარების დიდი ნაწილი გამოირიცხებოდა.

ზედმეტობის არსებობა მოხმარებასა და დაგროვებაში განაპირობებს და აღრმავებს მოსახლეობის სოციალურ სტრატეფიკაციას, არასასურველ დაყოფას მდიდრებად, საშუალო ფენად და ღარიბებად. მათშიც რამდენიმე კატეგორია გამოიყოფა სოციალური სტატუსის, ცხოვრების დონის, კეთილდღეობის, ბედნიერების მაჩვენებლების მიხედვით. უთანასწორობა მსოფლიოში ღრმავდება.

სიმდიდრისადმი მისწრაფება მომხმარებლური საზოგადოების თანამგზავრია. თუმცა, მას ბევრი ვერ აღწევს, მაგრამ ის ეპიდემიურ ხასიათს ატარებს. ეს მიდრეკილება, თავისთავად არ ნიშნავს ბედნიერების უზრუნველყოფას. სიმდიდრე მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში შეიძლება იყოს ბედნიერების პირობა და მხოლოდ ნაწილობრივ, რომლის რეალიზებას ფაქტობრივად ზოგიერთი აღწევს არსებული გარემოს წყალობით. ამას ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აღნიშნავდა ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ფ. ნიცშე. „სიმდიდრე მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე ხდის ადამიანს შედარებით დამუკიდებელს და უფრო თავისუფალს. კიდევ ერთი ნაბიჯი და ქონება ხდება ბატონი, ხოლო მფლობელი - მონა. როგორც მონამ, უნდა

1 გაანგარიშებულია <https://rbc.ru/экономика> აღებული მონაცემების მიხედვით.

მიუძღვნას მას დრო, აზრები, უნდა გააძლიეროს გარკვეული კავშირები საზოგადოებაში, მიეჭაჭვოს გარკვეულ ადგილს, შეეზარდოს გარკვეულ სახელმწიფოს. და ყველაფერი ეს შესაძლოა საკუთარი შინაგანი და ყველაზე უფრო არსებითი სურვილის საწინააღმდეგოდ. “ დიდი ხნით ადრე კი აღნიშნული იყო, რომ „ დიდი სიმდიდრე - დიდი მონობაა“ (სენეკა).

ეთიკური თვალსაზრისით მომხმარებლური ზედმეტობა ის მოვლენაა, რომელიც თანამედროვე საზოგადოების საერთო ზნეობრივ ნეგატივებს აღრმავებს. ეს თავის მხრივ ეთიკურ კრიზისს გამოვლინებაა. აქ უწინარესად შეიძლება ითქვას მომხმარებლური საზოგადოების ადამიანურ ფასეულობათა გამკრთალებაზე, ადამიანურ, მეგობრულ, ნათესაურ ურთიერთობათა დასუსტებაზე, ჩანაცვლებაზე ნივთობრივი, მერკანტილური, კომერციული ურთიერთობებით. ადამიანის სიყვარულს ცვლის ნივთების, ძალაუფლების ტრფიალი.

ამრიგად, თავს იჩენს დეჰუმანიზაცა, რასაც ხელს უწყობს მომხმარებლური საზოგადოების ცხოვრების წესი. ზომიერების სანაცვლოდ გვაქვს უკიდურესი ჰედონიზმის ტყვეობაში ყოფნა, მომხმარებლური ზედმეტობა თავისი გენეზისით უსამართლობას ამკვიდრებს. უსამართლობა კი უზნეობაა, სამართლოანობა პატიოსნებაა, ამტკიცებს ამერიკელი ფილოსოფოსი ჯ.როლზი (Ролз Дж. 1995, 19). ადამიანები კარგავენ უმნიშვნელოვანეს თვისებას - ზომიერებას. საერთოდ, უმთავრესად მატერიალურ და ძალაუფლების სფეროებში წარმოიშვება მოსახლეობის ფენები, რომლებიც განცალკევებულია ერთმანეთისაგან.

მომხმარებლური ზედმეტობის არსებობა, რომელიც აღრმავებს განსხვავებებს, წინააღმდეგობებს მოსახლეობის ფენებს შორის, ამახინჯებს საზოგადოების ესთეტიკურ სურათს, არღვევს ჰარმონიულობას.

მომხმარებლური ზედმეტობა აჩენს რა ზედმეტ სოციალურ დიფერენციციას საზოგადოებაში, წარმოშობს მეტისმეტ პოლიტიკურ სიჭრელეს, დაპირისპირებას საზოგადოების შიგნით, ინტერესების განსხვავებულობას, რასაც თვალნათლივ ვხედავთ მრავალი ქვეყნის მაგალითზე. ყოველივე ეს აისახება ადამიანთა არსებობის უმთავრეს ფენომენზე - ბედნიერებაზე. მოხმარებლური ზედმეტობა ეწინააღმდეგება ევდემონიზმის - ნაბმდვილი ბედნიერებისადმი მიდრეკილების პრინციპს.

დოვლათის ზედმეტი, არასაჭირო მოხმარება და დაგროვება წინ ეღობება კეთილდღეობას, ბედნიერებას, კეთილდღეობის, ბედნიერების კრიტერიუმად არ შეიძლება მივიჩნიოთ დოვლათის ქონა და მოხმარება, როგორც ეს ზოგს წარმოუდგენია. რეალური კეთილდღეობა არის მხოლოდ მოხმარებული დოვლათით გონივრულ, ადამიანისათვის რეალურ სიკეთეთა მომტან მთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილება, ეკონომიკური

დოვლათის სრულად ტრანსფორმაცია სოციალურ სიკეთედ, რაც შეიძლება ხდებოდეს მხოლოდ სათანადო საჭირო დოვლათის მოხმარების თუ დაგროვების, ე.ი. გამოყენების მაღალი კულტურის პირობებში.

დოვლათის მოხმარება და დაგროვება არაა მხოლოდ ეკონომიკური ან ბიოლოგიური პროცესი. ქეშმარიტებაა ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგის ჟან ბოდრიარის აზრი, რომ მოხმარება არის მორალიც, იდეოლოგიურ ფასეულობათა სისტემაც, კომუნიკაციების სისტემაც და ურთიერთობათა სტრუქტურაც (Жан Бодрийяр 2006, გვ 12).

სუბიექტური ფაქტორის როლი მოხმარების ხასიათის, წესის ჩამოყალიბებაში თავიდანვე თავს იჩენს მომხმარებელთა მოთხოვნილებებში, მათ შინაარსში, სტრუქტურაში, რაც ასევე მათი მენტალობის, ცივილურობის, ცნობიერების, არსებული გარემოს გავლენის ფუნქციაა. ამას კი ისტორიული განვითარების საფეხური, ეკონომიკური, სოციალური, კუტურული, ეთნოლოგიური, რელიგიური და ა.შ. პირობები განსაზღვრავს.

ფაქტია დოვლათის (სიმდიდრის) წარმოების თუ მარაგებისაგან საყოველთაო კეთილდღეობის დონის შორის, ჩამორჩენა. მას ადგილი აქვს დოვლათის უსამართლო განაწილების, მოსახლეობის მკვეთრი ქონებრივი უთანაბრობის, ასევე გამოყენების იმ არარაციონალური სახეების გამო, რაც ზემოთ განვიხილეთ „სიმდიდრის დაგროვების კანონი და კეთილდღეობა“ (მალაშხია გ. 2020, 54-75).

დოვლათის სრული რეალური სიკეთე წარმოგვიდგება მისი საგებლობის პოტენციალისა და გამოყენების, ასევე ამ პოტენციალის აღქმის ფუნქციად. საბოლოო ანგარიშით, დოვლათის(სიმდიდრის) მხოლოდ ერთი ნაწილი წარმოადგენს პოზიტიურ ეკონომიკას, რომელსაც მოაქვს რეალური სარგებლობა (სიკეთე) ადამიანებისთვის. მეორეა ზომიერზე მეტად მოხმარებული ან დაგროვილი, არასწორად, თვით ადამიანთა საზიანოდ გამოყენებული ნაწილი (Malashkhia 2013, 13), ზემოთ აღნიშნული უქმი ეკონომიკა. ეს უკანასკნელი საულისხმოა. ის წარმოგვიდგება დანაკარგებად ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის. შესაბამისად მცირდება საყოველთაო კეთილდღეობა იმასთან შედარებით, როგორც ის შეიძლებოდა ყოფილიყო აღნიშნული დანაკარგების გარეშე. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ამგვარი უქმი დოვლათი შეიძლება ჩავთვალოთ კეთილდღეობის ამალღების პოტენციურ რესურსად.

შეიძლება აქ აღინიშნოს ქარბი მოხმარების ზოგიერთი კონკრეტული შედეგი. კერძოდ, საკვების ქარი მოხმარების ფაქტს ადასტურებს ის, რომ მოსახლეობის 65 % ცხოვრობს ქვეყნებში, სადაც სიმსუქნე მეტ სიკვდილიანობას იწვევს, ვიდრე უკმარი წონა.

თამბაქოს ნაწარმის მოხმარების ზიანი ადამიანების ჯანმრთელობაზე, თავი რომ დავანებოთ ეკონომიკურ დანაკარგს, რაც ზუტად დაუდგე-

ნელია, საგანგაშოა. გლობალური სტატისტიკის მიხედვით, ყოველი მეათე ადამიანის სიკვდილის მიზეზი თამბაქოა. წელიწადში 5,4 მლნ ამ მიზეზით კვდება. XX საუკუნეში თამბაქოს მოწვევის შედეგად 100 მლნ ადამიანი გარდაიცვალა. არსებული ცნობებით, ერთი სიგარეტის მოწვევა 5 წუთითა და 30 წამით ამცირებს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას. მას მიეწერება მრავალი ავადმყოფობის გამომწვევა და ა.შ. აქ ნათლად ვხედავთ ადამიანთა ქცევის აბსურდამდე მისულ მაგალითს. მაგრამ იგი უცილობელი რეალობაა.

ნარკოტიკების მოხმარება კიდევ უფრო მძიმე ზიანის მომტანია, რაც საყოველთაოდ ცნობილია. ის მომხმარებლური უგუნურობის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ნარკომანია თავის მასშტაბებით და ზიანით, აღიარებულია თანამედროვე კაცობრიობის ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. ადამიანთა ჯანმრთელობასა და ცხოვრებაზე საერთოდ გავლენით ის ერთ-ერთი საშინელი დაავადებაა, რომელსაც სხვა მიზეზი არა აქვს, თუ არა თვით ადამიანების მოქმედება საკუთარი თავის წინააღმდეგ მოჩვენებითი სიკეთით სიამოვნების საბაბით. ნარკოტიკების ირგვლივ გამოქვეყნებული მსოფლიო მოხსენების მიხედვით, მსოფლიოში 35 მლნ ადამიანია დაავადებული ნარკოტიკებით გამოწვეული აშლილობებით, რის გამოც საჭიროებენ მკურნალობას. ნარკომანების 60 % 16-30 წლის ახალგაზრდებია, მათგან 1/5 მოსწავლეა. ნარკომანია ადამიანთა სიკვდილიანობის ერთ-ერთი მიზეზია. მისი მაჩვენებლები განსაკუთრებით მაღალია ცალკეულ ქვეყნებში. გაეროს მონაცემებით, მათგან პირველ ხუთეულში არის : აშშ მოსახლეობის 1 მლნ-ში 300,7 ადამიანი, შვედეთი - 173, 5, ესტონეთი - 134,3, ავსტრალია - 121,7, ურაგვაი - 119,9. საქართველოში ეს მაჩვენებელი შეადგენს 1,90- ს.

ყველამ კარგად იცის, რომ ნარკომანია საზოგადოებას აყენებს კოლოსალურ და აუნაზღაურებელ მატერიალურ და სოციალურ ზიანს. მიუხედავად ამისა, კაცობრიობის დიდი მცდელობები ნარკომანიის წინააღმდეგ არასაკმარისად ეფექტიანია, მისი მასშტაბები იზრდება, რაც შემაშფოთებელი და სავალალოა.

ფუფუნებას ჭეშმარიტი გაგებით, არ მოაქვს არავითარი რეალური სიკეთე. სიმდიდრე, რომელიც ხმარდება ფუფუნებას, ჯანსაღი აზრით, უნდა განვიხილოთ როგორც ზედმეტი, რომელიც არსებობს უქმად. მისი არსებობა არღვევს ზომიერების ფარგლებს, აუცილებელისა და ზედმეტის ზღვარს. აქ აშკარად იჩენს თავს მფლანგველობის ერთ-ერთი ტრადიციული სახე. უთუოდ მართალი იქნება ვთქვათ, რომ ფუფუნებითი და მფლანგველური მოხმარება, ასევე დაგროვება ადამიანთა მიერ, როცა სხვებს ელემენტარული საარსებო საშუალებები აკლიათ, ზნეობრივადაც მიუღებელია, წარმოგვიდგება როგორც მომხმარებლის დევიანტური ქცევა.

კაცობრიობის მთელი პრაქტიკით დადასტურებულია, რომ ფუფუნება, სულაც არაა აუცილებელი ადამიანთა არც ცხოვრებით ტკბობის, ბედნიერების, არც ცხოვრების შინაარსიანობის თვალსაზრისით. ის ადამიანთა დევიანტური ქცევისა და მანკიერი ჰედონიზმის გამოვლენაა.

მდიდართა მოხმარებისა და ქონების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივ მათ გააჩნიათ პირადი მოხმარებისთვის განკუთვნილი დიდი სიმდიდრე, რომლის ნაწილი ემსახურება არა გონივრული (ჯანსაღი), არამედ ფუქსავტური და ფუფუნებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მდიდრების მიერ გამოუყენებელია საცხოვრებელი ფართობის, საყოფაცხოვრებო საგნების დიდი ნაწილი, რადგანაც ის მათ სამომხმარებლო ძალას აღემატება. ყოველივე ეს ქმნის უფუნქციოდ არსებულ, არასაჭირო, ზედმეტ, უქმ ქონებას.

ნამდვილი შინაგანი ღირსების ადამიანები მას არ ეტანებიან. ფუფუნება პროგრესული აზრის მიერ აღიარებულია საზოგადოების ცხოვრების არასასურველ მოვლენად. რომელი პოლიტიკური მოღვაწე და სატირიკოსი იუვენალი ფუფუნებას მოიხსენიებს, როგორც ომზე საშიშს, რომელმაც რომი ვნებებსა და ცოდვაში ჩააგდო. (Ювенал 1989, 221-241). კ. მარქსის აზრით, ფუფუნება ბუნებრივი აუცილებლობის საპირისპიროა. ჟა ჟაკ რუსო მას თვლიდა ზნეობრივი აღვირაბსნილობის მიზეზად, რასაც გემოვნების დაქვეითებამდე მივყავართ. ფუფუნება ზნეობრივად გაუმართლებელია. „ფუფუნებისადმი მიდრეკილება ვერასდროს ვერ შეეთვისება პატიოსნებას“ (Руссо Ж.Ж. 1961, 55). ასევე შეიძლება გვიხსენოთ ჟ. დალამბერი. იგი თვლიდა, რომ „ფუფუნება - დანაშაულია კაცობრიობის წინააღმდეგ, სანამ ერთი ადამიანი გაჭირვებულია“. იაპონელებმა ომის დროს გამოაცხადეს: „ფუფუნება - ბოროტებაა“.

ფუფუნებას ბოროტებად მიიჩნევენ რელიგიები. ხალხის სიბრძნეში ის სწორედ ასეთადაა ასახული. ქართული ანდაზა გვამცნობს: „ფუფუნებაში აღზრდილი უძლური იქნება, არც თავს არგია, არც სხვასაო“.

ფუფუნების შეფასება შეიძლება შემდეგ ძირითად მომენტებად ჩამოვყალიბოთ:

ჯერ ერთი, ფუფუნების საგნების ფლობა, უმეტესწილად, უკავშირდება მფლობელის მიერ საზოგადოებრივი დოვლათიდან კუთვნილზე მეტად მითვისებას, ე.ი. სოციალური უსამართლობის, ზედმეტი უთანასწორობის არსებობას; მეორე, ფუფუნების საგნების წარმოება დიდძალ რესურსებს ჩამოაშორებს ადამიანთა საარსებოდ აუცილებელი დოვლათის საბოლოოდ ამცირებს საზოგადოების ნამდვილ დოვლათს და კეთილდღეობას; ეკონომიკური თვალსაზრისით ფუფუნება მფლანგველობას ნიშნავს; მესამე, ფუფუნებითი მოხმარების არსებობა აღრმავებს საზოგადოების ფენათა ზედმეტ სოციალურ განსხვავებას, მახინჯ დიფერენციციას, ამწვავებს

დაპირისპირებას, პოლარიზაციას საზოგადოების შიგნით, ძირს უთხრის მის ერთიანობას; მეოთხე, როგორც სამედიცინო მეცნიერება ამტკიცებს, ფუფუნებით ცხოვრება ხელს არ უწყობს ადამიანის ფიზიკურ და სულიერ სიჯანსაღეს, დღეგრძელობას; მეხუთე, ფუფუნება აღრმავებს სოციალური შეგნების გამრუდებას, ზნეობრივ არამდგრადობას და კრიზისს საზოგადოებაში.

მაშ, რისთვის არსებობს დოვლათის ზედმეტი მოხმარება და ხარჯები, ფლანგვა, ფუფუნება თუ ის ადამიანთა ქცევის არარაციონალურობის, ჯანსაღი აზრიდან გადახრის, აშკარა გამოვლინებაა? არაფერი რომ არ ვთქვათ ფუფუნებასთან დაკავშირებული სხვა ნეგატიური მხარის შესახებ, თანამედროვე ცივილიზაციის ფონზე პარადოქსად ჩანს ადამიანთა დიდი ნაწილის მიდრეკილება აზრს მოკლებული გარეგნული ეფექტისადმი, რაც მათთვის არაფრის მომცემი და საზოგადოებისთვის მეტად საზიანო მატერიალურად და ზნეობრივად.

ფუფუნებაში თავს იჩენს მფლანგველობა, რაც ყოველთვის განიხილებოდა როგორც უგნურობის, ნგრევის ინსტინქტი, მოქმედება, რომელიც სპობს საზოგადოების რეზერვებს. როგორც პრაქტიკის ირაციონალობის შედეგი, საფრთხეს უქმნის საზოგადოებას (Бодрийяр 2006, 48).

მომხმარებლური ზედმეტობის, უქმი ეკონომიკის გარკვეულ ნაწილად გვევლინება მთავრობათა (სხვადახვა რანგის ხელისუფლების სტრუქტურების წარმომადგენელთა) მფანგველობა, ხალხის შექმნილი დოვლათიდან მიღებული სახსრების უყაირათო გამოყენება. ამის შედეგად სახსრების განუღი დაანახარჯებიდან მიღებული სიკეთე ნაკლებია შესაძლებელზე. ასე წარმოიშვება დანაკარგები, რაც საზოგადოებას ძვირი უჯდება. ხელისუფლების მფლანგველობა უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ამას ყურადღება ადამ სმითმა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მიაქცია. იგი აღნიშნავდა: „დიდი ერები არასდროს ღარიბდებიან კერძო პირების მფლანგველებითა და არაკეთილგონიერებით, მაგრამ ისინი არცთუ იშვიათად ღარიბდებიან სახელმწიფო ხელისუფლების მფლანგველობისა და არაკეთილგონიერების შედეგად“ (Смит А. 1935, 220).

დღეისათვის ხელისუფლების განკარგულებაში ცენტრალიზებული შემოსავლების სახით თავს იყრის ქვეყნების ეროვნული შემოსავლის დიდი ნაწილი - დაალოებით ერთი მესამედიდან ნახევრამდე და ზოგჯერ მეტიც. საზოგადოების მხრივ სუსტი კონტროლის გამო, მათი უყაირათო გამოყენების ფორმებიდან შეინიშნება: მილიტარისტული მიზნებით გადამეტებული ხარჯვა; ხელისუფლების წარმომადგენელთა პირადი კეთილდღეობისთვის (მეტისმეტად მაღალი ხელფასები, პრემიები, დასვენების ხარჯები და სხვა), ოფისის,სამთავრობო ინფასტრუქტურისათვის სახელმწიფო ფინანსების ზედმეტად გამოყენება, სახელმწიფო ქონების

მითვისება კორუფციული არხებით და სხვა. ყოველივე ამის შედეგად, გადასახადის გადამხდელთა სახსრების ნაწილი არასწორად, არაეფექტიანად გამოიყენება, სცილდება უფრო აუცილებელ საჭიროებებს, არ ხმარდება რეალურ სიკეთეთა მიღებას. შესაბამისად, ლოგიკურია ეს მოვლენა უქმ ეკონომიკას მივაკუთვნოთ იმ ზომით, რამდენადაც მასთან დაკავშირებულია რეალური სიკეთის დანაკარგები საზოგადოებისთვის.

დნელი არაა დავინახოთ ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან მომხმარებლური ზედმეტობისაკენ მიდრეკილებისა და სიხარბის კავშირი. შეინიშნება უფრო მეტი ბუნებრივი რესურსების გამოყენება ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისათვის. გასული საუკუნის შუა წლებში „რომის კლუბმა“ თვალნათლივ დაადასტურა დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის მიზანშეუწონლობა ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით. ამ კლუბის წარმომადგენლებმა გამოააშკარავეს, რომ გარემოს გაუარესების გამო დაძაბული ეკონომიკური ზრდის უარყოფითი შედეგები მეტია, ვიდრე დადებითი. ცხადია, ადამიანის სამომხმარებლო ძალის შეზღუდულობისას აზრი ეკარგება უზომო რაოდენობის დოვლათის შექმნას. თუმცა, ჯერჯერობით მსოფლიოში მთლიანად დოვლათის მწვავე დეფიციტია ქვეყნების დიდი რაოდენობის ჩამორჩენის გამო. დღის წესრიგში დგას არა „ნულოვანი ზრდა“, როგორც „რომის კლუბი“ მიიჩნევს (Мдойз и др. 2008.22), არამედ ზრდა ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების, ბუნებისადმი გონივრული დამოკიდებულების პირობებში. ეს ანბანური შეჭმარიტებაა, მაგრამ ხშირად დავინწყებულება და მოითხოვს შეხსენებას .

უადგილო არ იქნება ვთქვათ, რომ მომხმარებლურ ზედმეტობაში დევს უზნეობისა და უსამართლობის აშკარა გამოვლინება, რის დაძლევა საარსებოდ აუცილებელია. გამოწვევა მომხმარებლური ზედმეტობის დაძლევის მიმართულებით საუველთაო ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, რასაც გვკარნახობს დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის ზრუნვა.

პარადოქსი ისაა, რომ ყოველივე ამის მიმართ ნაკლებად მგრძნობიარეა სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა არსებული სისტემა, რიგ შემთხვევაში აქეზებს კიდევ მფლანგველობის აშკარა ფორმებს. ეს უთუოდ ყოველთვის ასე არ გაგრძელდება.

ამრიგად, ყოველივე ზემოთთქმულიდან ჯანსაღი აზრისთვის სავსებით გასაგებია, რომ მომხმარებლური ზედმეტობა, ფაქტობრივად, საზოგადოებას რეალურ ბედნიერებას არ უქადის. ის საზოგადოების ცხოვრების საშიში მოვლენაა და მისი აღკვეთა თუ არა მინიმუმამდე დაყვანა აუცილებელია. ეს დღევანდელი ერთ-ერთი საკვანძო გამოწვევაა. მხოლოდ ზომერი მოხმარებისა და ზნეობრივი, სამართლიანი საზოგადოებრივი გარემოს პირობებში შეიძლება ამქვეყნად ადამიანები ბედნიერები იყვნენ..

დასკვნა

მომხმარებლური ზედმეტობა როგორც სადღეისოდ კაცობრიობის ერთ-ერთი სასიცოცხლო გამონვევა დაკავშირებულია ცხოვრების გაკეთილშობილების სხვა მხარეებთან. იგი მრავალ პრობლემას უქმნის თანამდროვე საზოგადოებას - ამძაფრებს უზნეობას, უსამართლობას, უთანასწორობას ადამიანთა შორის, წარმოქმნის ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემებს, ართულებს საყოველთაო კეთილდღეობის, ადამიანთა ნამდვილი ბედნიერების მიღწევის პირობებს. მომხმარებლური ზედმეტობა წინ ელობება ადამიანთა შორის ჭეშმარიტ ფასეულობით ხედვას, ამახინჯებს მათ ცნობიერებას, წარმოდგენებს ცხოვრების მოვლენებზე, აბნევს ადამიანებს, ხელს უწყობს ყალბ, მოჩვენებით წარმოდგენათა გავრცელებას ცხოვრებაზე, მის აზრზე, სიკეთეზე, ბედნიერებაზე. საბოლოო ანგარიშით, ესაა ერთგვარი ბარიერი ცივილიზაციისა და პროგრესის გზაზე, რომლის რაობა, ნეგატიური გავლენა ცხოვრებაზე გარკვეული ზომით ფარული, ძნელად აღსაქმელია, მეცნიერების მიერ სათანადოდ არაა განმარტებული, ადამიანთა მასის მიერ აღქმული და გაცნობიერებული.

სამომხმარებლო ზედმეტობის გადალახვა ნამდვილი ბედნიერი საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა. აქეთკენ მიმავალი მთავარი გზა საყოველთაო მასშტაბით მისი ნეგატივების გაცნობიერება, ზომიერების პრინციპის დაუფლებაა. უნდა მოხდეს ადამიანთა მოთხოვნილებების განმენდა ზედმეტი და მახინჯი ელემენტებისაგან, გონივრული მოთხოვნილებების ჩამოყალიბება, სიხარბის, პატივმოყვარეობის, სხვა მანკიერებათა დაძლევა, ჭეშმარიტ ფასეულობათა გათვითცნობიერება და დამკვიდრება. აუცილებელია ცრუ წარმოდგენების დაძლევა სიკეთეზე, ყოველგვარ ფასეულობებზე, ცხოვრების აზრზე. უნდა დამკვიდრდეს ადამიანთა საყოველთაო ორიენტირება კეთილშობილურ მიზნების, მოტივების, ქცევისკენ ცხოვრებაში, საქმიანობაში. ყოველივე ეს შესაძლებელია ცივილიზაციის მომავალ ეტაპზე, ახალი ეთიკური რევოლუციისა და სოციალური ყოფის, ეკონომიკურ ურთიერთობათა და კულტურული ევოლუციის შედეგად.

კაცობრიობა სწორედ ამ გზით უნდა წავიდეს, რაც მომავალში, მისი გადარჩენისა და ნამდვილი ადამიანური ცხოვრების ეტაპზე გადასვლის საფუძველია.

ლიტერატურა:

- Аристотель (1984) Соч. , т. 4. Изд. „ Мысль “. М.
- Бодрийяр Ж. (2006) Общество потребления. Его мифы и структуры. Перевод с фр., М.
- Веблен Т. (1984) Теория праздного класса», перевод с англ. Прогресс; М.
- Галбрайт Дж. (1976)Экономические теории и цели общества. Перевод с английского , М.
- Зомбарт В. (1917). Любовь, роскошь и капитализм. Сокр. пер. с нем. Н. И. Петроград : Благо
- ლათ- ძი. დათ დე ძიბი (1990) თბ.
- Ломова Е.А. (2009) Экономика общественного сектора. Омск.
- Маркузе Е. (1994) Одномерный человек. Исследование идеологии развитого индустриального общества . перевод с англ., М.
- მალაშხია გ. (2013) უქმი ეკონომიკა. თბ., გვ 179.
- მალაშხია გ. (2020) სიმდიდრის დაგროვების კანონი და კეთილდღეობა. ჟურნ., ეკონომიკა და ბიზნესი, № 4 .
- Медоуз Д. и др. (1991) Пределы роста, перевод с англ. М.
- Парето В. (2007) Социалистические системы, перевод с англ. М.
- Пигу А. (1985) Экономическая теория благосостояния. Изд Прогресс, перевод с англ..
- Платон. (1971) Сочинение. т. 3, ч. II, М.
- Ролз Дж. (1995) Теория справедливости, Новосибирск.
- Руссо Ж.-Ж. Избранное сочинение в 3-х т. Т.1.-М.
- Самуэльсон П.(1993) “Экономика” , перевод с англ. М.
- Смит А. (1935) Исследование о природе и причинах народов. Первод с англ. т.1, М.
- Эрроу К.Дж.(2004). Неопределенность и экономика благосостояния. Вехи экономической мысли, перевод с англ., т.4.. . СПб.
- Ювенал Дёцим (1989). Сатиры. М.
- Юнг К. Психологические типы. Перевод с англ.. М., 1998.
- Maklashkhia G. (2013) Moderate Man. Tb.
- Zombart W. (1922) Luxus und kapitalismus. München und Leipzig.

References:

- Aristotle (1984). Op. , vol. 4. Ed. „ Thought “. М., p. 830.
- Baudrillard J. (2006) Obshchestvo potrebleniya. ego mify i struktury.[Consumer Society. Its Myths and Structures. Translated from French, М .: p. 269] in Russian
- Veblen T. (1984) Teoriya prazdnogo klassa», [Leisure Class Theory, translated from English. Progress; М., p. 365] in Russian

- Galbraith J. (1976) Ekonomicheskiye teorii i seli obshchestva. [Economic Theories and Goals of Society. Translated from English, M., c. 406.] in Russian
- Zombart V. (1917). Lyubov, roskosh i kapitalizm. [Love, luxury and Capitalism, Abbr. per. with him. N.I. Petrograd: Goo.] in Russian
- Lao- dzi. (1990) dao de dzini [Dao de Dzin Tb.] in Georgian
- Lomova E.A. (2009). Ekonomika obshchestvennogo sektora. [Public Sector Economics. Omsk. With.] in Russian
- Marcuse E. (1994) Odnomernyy chelovek. Issledovaniye ideologii razvitogo industrialnogo obshchestva [One-Dimensional Man. Study of the Ideology of a Developed Industrial Society. translation from English, M.] in Russian
- Malashkia G. (2013). ukmi ekonomika. [Ineffective Economy, Tb.] in Georgian
- Malashkia G. (2020) simdidris dagrovebis kanoni da ketildgheoba. [The law of Accumulation of Wealth and Prosperity. "Economics and Business" # 4.] in Georgian
- Meadows D. et al (1991). Predely rosta. [Limits to Growth, translated from English. ., in Russian
- Pareto V. (2007) Sotsialisticheskiye sistemy [The Socialist System, translated from English. M.] in Russian
- Pigou A. (1985) Ekonomicheskaya teoriya blagosostoyaniya. [Economic Theory of Welfare Progress Publishing House, translated from English.] in Russian
- Plato. (1971) Sochineniye. [Works. vol. 3, part II, M, . With.] in Russian
- Rawls J. (1995) Teoriya spravedlivosti [The Theory of Justice, Novosibirsk.] in Russian
- Rousseau J-J. Izbrannoye sochineniye [favorit op. in 3 volumes.Vol. 1.-M.] in Russian
- Samuelson P. (1993). "Economy" ["Economics", translated from English. M.] in Russian
- Smith A. (1935). Issledovaniye o prirode i prichinakh narodov.[Research on the Nature and Causes of Peoples. Translated from English. vol. 1, M.] in Russian
- Arrow C.J. (2004). Neopredelennost i ekonomika blagosostoyaniya. Vekhi ekonomicheskoy mysli. [Uncertainty and Welfare Economics. Milestones in Economic Thought, translated from English, v.4 ... SPb.] in Russian
- Juvenal. Decimus (1989). Satiry [Satirs. M; L] in Russian
- Jung K. (1998). Psikhologicheskiye tipy. [Psychological Types. Translated from English. M., 1998.] in Russian
- Malashkia G. (2013) Moderate Man. Tb., in Georgian
- Zombart W. (1922). Luxus und kapitalismus. [Luxury and Capitalism. München und Leipzig, p. 72.] In German.

Consumer Excess Is A Challenge To Humanity

George Malashkhia

Professor (Emeritus)

Georgian Technical University

g.mal2012@yahoo.com

The article examines the economic, social and ethical aspects of such a widespread phenomenon as consumer surplus - excessive consumption and accumulation of good from the point of view of a eudemonic vision, human happiness. It is presented as a challenge to humanity, the overcoming of which is associated with the elimination of the harm of a number of human negatives - greed, unreasonableness of needs and their satisfaction, etc.

The article defines the essence of consumer surplus, explains its manifestations, causes of occurrence and socio-economic consequences, shows what place is occupied by consumer surplus in people's lives.

The author draws attention to the limitedness of reasonable needs and consumer power of a person, the senselessness of excessive consumption and accumulation of goods. Excessive consumption and accumulation of goods are assessed as a deviant behavioral act.

The work focuses on the manifestations of consumer excess, economically intensive, social and ethical reasons for their occurrence. They are explained by the psychological characteristics of consumers, the socio-economic environment. The focus is on the negative consequences for society and individual individuals that accompany this phenomenon of being. In particular, it confirms the economic harm that is caused to society and individual subjects from excessive consumption of good. Excessively consumed and accumulated property is viewed as not bringing real benefits, their production - as an idle economy. Luxury is seen as a vicious manifestation of hedonism.

There is shown the scale of excessive consumption and accumulation of good, which are presented from the point of view of moderation, rationality, imaginary and true well-being

Concrete judgments substantiate how important it is to overcome consumer surplus for individuals and the whole society. It is argued that this does not contradict consumer sovereignty, but is in line with it and the public interest. The conclusion is made that condemnatory moderation greatly facilitates the rooting of the general welfare state, overcoming ecologically-intensive and social threats.

Consequently, the disappearance of consumer surplus is presented as one of the problems of human progress.

Keywords: *Consumer redundancy, Consumer society, Healthy needs, Consumption, To accumulate, Moderation, Hedonism, Luxury, Unnecessary items, Greed, Waste, Idle economy, Consumer power, User sovereignty, Universal welfare, Happiness for everyone.*

JEL Codes: *E20, E21, E29.*

ინფლაციის რეგულირების სრულყოფის საკითხისათვის

დავით ქელიძე

მოწვეული პროფესორი
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია
პიხვედწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი
d_chelidze@mail.ru

ლევან ქელიძე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახურის იურიდიული
დეპარტამენტის სპეციალისტი
levanchelidze@gmail.com

საქართველოს ეკონომიკის წინაშე დღეისათვის ახლებურ პირობებებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას უკანასკნელ პეიოოდში განვითარებული ინფლაციური პროცესები იმსახურებს. ინფლაციასთან ბრძოლის გააქტიურება თავისთავად გულისხმობს ფუად-საკედიო სისტემის ფუნქციონირების მარეგულირებელი მექანიზმების, მათ შორის - სამართლებრივი ბაზის, სხუდყოფას.

აღნიშნულის გათვადისწინებით, სტატიაში განხილულია საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის, განსაკუთრებით ინფლაციის მართვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმების ისტორიული სახეცვიდებები და სადღეისოდ მოქმედი ხედაქციები. ამასთან ერთად, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების, ფუდის ხაოდელობრივი თუოიის ფიშეისეული განტოდების საფუძველზე გახოციელებული გაანგაიშებებისა და ინფლაციის თარეუთიების მარეგულირებელი საკანონმდებლო დებუდებების კომპდექსუი ანადიზე დაყიდნობით, ნაშომში წაქომდეგნილია ინფლაციის მართვა-ხეგულირების მიმართულებები, ჰითაც საქართველოს პაქდამენტის ყოვედწიუი დადგენილებებით განსაზღვხული ინფლაციის მიზნობრივი მარეგულირების ზღვხუდ და აქამიზნობრივ პაქამეგხად მიჩნევაა შემოთავაზებუდი; ასევე ინფლაციის ხეგულირების

თვადსაზიხისით ეხოვნული ბანკის საქმიანობის შეფასების კრიტიკულად, ფაქტობრივი ინფორმაციის წილი სიდიდის, იმავე წლისათვის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ ინფორმაციის პარამეტრებზე გადამეცემის მაჩვენებლის შემოღება და პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ მნიშვნელოვან მაღალი ინფორმაციის წილი ფაქტობრივი მაჩვენებლის ახსებობის შემთხვევებში, ეხოვნული ბანკის პარლამენტის პასუხისმგებლობის საკითხის განმსაზღვრელი საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედება შემოთავაზებული.

საკანონო სიგელები: მიზნობრივი ინფორმაცია, ინფორმაციის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის სხუდყოფა, ეხოვნული ბანკის პასუხისმგებლობა.

შესავალი

სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში ინფორმაცია განიხილება როგორც: „...მაკროეკონომიკური არასტაბილურობის კიდევ ერთი ასპექტი“ (Campbell R. McConnell, Stanley L. Brue, Sean M. Flynn, 2015), „ინფორმაცია პრობლემა იმიტომ, რომ ის ადამიანებს არ მოსწონთ“ (მენქიუ გ., 2000). აღნიშნულისა და რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, ფასების სტაბილურობის უდიდესი მაკროეკონომიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, ძნელია გარკვეული, თუნდაც ფსიქოლოგიური წინააღმდეგობის გარეშე გაითავისო XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მრავალი ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთ ბერკეტად მიჩნეული, ინფორმაციის თარგეთირების, ანუ ინფორმაციის წინასწარ განსაზღვრული «მიზნობრივი მაჩვენებლის» მეშვეობით მართვა-რეგულირების დამკვიდრებული პრაქტიკა.

სამომხმარებლო ფასების ზრდასთან დაკავშირებული და მისგან გამომდინარე მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესების გამომწვევი მოვლენის ინფორმაციის მიზნობრივ თუ სასურველ პარამეტრად მიჩნევა, ჩვენი აზრით, ისევე ძნელად აღსაქმელია, როგორც უკანსაკნელ წლებში დამკვიდრებული დასკვნა-ფორმულირება: „საქართველოში, 2020 წელს ეკონომიკური აქტივობა მნიშვნელოვნად შეიკვეცება. მიმდინარე პროგნოზით რეალური მშპ-ის ზრდა საქართველოში 2020 წელს -5 პროცენტით იქნება ...“ („ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2020“).

ამ ფორმულირების ცალკეულ დებულებებს შორის არსებული წინააღმდეგობრივი ხასიათი, ჩვენი აზრით, მტკიცებას არ საჭიროებს, რადგან აბსოლუტურად ცხადია, ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი შეკვეცით განპირობებული მშპ-ს მინუს 5%-ით შემცირების პირობებში, რაოდენ

აბსურდულია მის ზრდაზე მსჯელობა. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ფრაზის, ისევე როგორც სამომხმარებლო ფასების ზრდის მაპროგნოზირებელი მოვლენის ინფლაციის მიზნობრივ თუ სასურველ მაჩვენებლად მიჩნევა სრულიად არამართებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ „2009 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი არის ინფლაციის თარგეთირება“ („ინფლაციის თარგეთირება“, 2021), ტერმინებზე მსჯელობის პარალელურად, უაღრესად საყურადღებოდ მიგვაჩნია კვლევის აქცენტების ქვეყანაში გამოკვეთილი ინფლაციის მაღალი ტემპის გამომწვევი მიზეზების ანალიზსა და ინფლაციის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიმართულეებზე გამახვილება.

ინფლაცია და მისი რეგულირების ისტორიული თავისებურებები საქართველოში

როგორც ცნობილია, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობად მდგრადი ფულად-საკრედიტო სისტემის არსებობა და ინფლაციის დაბალი დონის უზრუნველყოფა სახელდება. აქედან გამომდინარე, სრულიად მართებულად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, პრაქტიკულად პირველივე დღეებიდან, კერძოდ, 1991 წლის 2 აგვისტოს, ქვეყნის უზენაესი საბჭოს მიერ «საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიღება და ამ დოკუმენტის პირველი მუხლით, საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითად ამოცანებს შორის-„ეროვნული ფულის ერთეულის სიმტკიცის უზრუნველყოფის, ...“ დაფიქსირება (კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ 1991).

სსრ კავშირის არსებობის მთელ პერიოდში ქვეყნის ცენტრალური საემისიო ბანკისა და ეროვნული ვალუტის არ არსებობის მიუხედავად, საქართველოს **დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე** ეროვნული ვალუტის სიმტკიცის უზრუნველყოფის და აქედან გამომდინარე, არასასურველი ინფლაციური პროცესების თავიდან აცილების დატვირთვის მატარებელმა ზემოაღნიშნულმა საკანონმდებლო ნორმამ, მნიშვნელოვნად დეტალიზებული ასახვა პოვა ეროვნული ბანკის საქმიანობის მარეგულირებელ შემდგომი თაობის საკანონმდებლო აქტებში.

კერძოდ, აღნიშნული კანონის მიღებიდან საკმაოდ მოკლე პერიოდში, 1995 წლის 23 ივნისს, საქართველოს პარლამენტის მიერ «საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონი“-ს სახელწოდებით მიღებული დოკუმენტის ტექსტში, წინამორბედი კანონით ეროვნული ბანკის

ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიჩნეული-„ეროვნული ფულის ერთეულის სიმტკიცის“ უზრუნველყოფის შესახებ არსებულმა ფორმულირებამ, ეკონომიკური არსით სრულიად მართებული, იმგვარად დეტალიზებული სახე შეიძინა, როგორსაც წარმოადგენდა ფრაზა: -”ეროვნული ფულის ერთეულისა და მისი მყიდველობითი უნახის, ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენახუნება ...”. («საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონი“, საქ. რეს. კან., 1995).

საქმე ისაა, რომ აღნიშნული ფორმულირებით ფასების სტაბილურობის, ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემის არაინფლაციური რეჟიმით ფუნქციონირების მოთხოვნასთან გაიგივებამ, სრულიად მართებული ფორმა შესძინა წინამორბედი კანონის ტექსტში-„ეროვნული ფულის ერთეულის სიმტკიცის“ სახით არსებულ მეტად ზოგად ვალდებულებას.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკასა და მის შედეგებზე პასუხისმგებლობის დატვირთვის მატარებელი საკანონმდებლო ნორმები მნიშვნელოვნად სრულყო “საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონის” ტექსტში, 1996 წლის 28 მაისს შეტანილმა შესწორებებმა. კერძოდ, დოკუმენტის მე-2 და 69-ე მუხლებით გათვალისწინებულმა მოთხოვნებმა, რამაც საქართველოს ეროვნულ ბანკს, ქვეყნის პარლამენტისათვის დასამტკიცებლად „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ სახელწოდების იმ ყოველწლიური სამოქმედო გეგმის წარდგენის ვალდებულება დაუნესა, რომლის ერთ-ერთ ელემენტს ინფლაციის ყოველწლიური დონის დაფიქსირება წარმოადგენდა.

ინფლაციის ყოველწლიური მაჩვენებლის ქვეყნის პარლამენტის დადგენილების ტექსტში ასახვის (დაფიქსირების) ვალდებულებამ ინფლაციის მართვის განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი, რაც უდავოდ დადებითი მოვლენა იყო.

ინფლაციის მართვა-რეგულირების პროცესების საკანონმდებლო უზრუნველყოფის თვალსაზრისით, უაღრესად საყურადღებოდ უნდა მივიჩნიოთ, „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2008 წლის 14 მარტის შესწორებები. საქმე ისაა, რომ აღნიშნული ცვლილებების შედეგად კანონის ტექსტში ასახვა ჰპოვა ისეთმა მნიშვნელოვანმა ეკონომიკურმა კატეგორიებმა, როგორიცაა: “ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი”, “სამომხმარებლო ფასების ინდექსი” და “საშუალოწლიური ინფლაცია” („ეროვნული ბანკის შესახებ“ საქ. ორგ. კან., 2008).

„ინფლაციის თარგეთირების“ და „ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის“, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმ(ებ) ად მიჩნევის მიუხედავად, **სამომხმარებლო ფასების ზრდის მაპროგნოზირებელი, ამდენად ქვეყანაში ცხოვრების დონის გაუარესების გამომწვევი და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის არასასურველი**

მოვლენის-ინფლაციის, მიზნობრივ, ანუ სასურველ პარამეტრად მიჩვენის მართებულება, ჩვენი აზრით, მსჯელობის საგანს უნდა წარმოადგენდეს.

აღნიშნული მოსაზრების ლოგიკურობაზე მეტყველებს, თუნდაც იმავე საკანონმდებლო ცვლილებების, (კანონის მე-4 მუხლის, მე-3 და მე-4 პუნტების) ის უაღრესად მნიშვნელოვანი დებულებები, რომელთა თანახმადაც:

„3. ეს ორგანული კანონი განსაზღვრავს ინფლაციის მაქსიმალურ მაჩვენებელს.“;

“4. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი პასუხისმგებელია ინფლაციის მაჩვენებელზე“. („ეროვნული ბანკის შესახებ“ საქ. ორგ. კან., 2008).

წარმოდგენილი საკანონმდებლო ნორმებით ინფლაციის მაქსიმალური მაჩვენებლის სახით, ხოლო «მის შეუსრულებლობაზე» ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხის დაფიქსირება, ჩვენი აზრით, **ინფლაციის ყოველწლიური მაჩვენებლის-ზღვრულ (მაქსიმალურად დასაშვებ) და არა მიზნობრივ-სასურველ პარამეტრად მიჩვენის მართებულობას ცხადყოფს.**

აღნიშნულის პარალელურად, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, პრაქტიკულად შეუძლებელია ქვეყანაში არსებული წლიური ინფლაციის ფაქტობრივი მაჩვენებელი ზუსტად ემთხვეოდეს **„ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების“** დოკუმენტით განსაზღვრულ პარამეტრს აბსოლუტურად ცხადია, აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის შეუსრულებლობის, კერძოდ წლიური ინფლაციის ფაქტობრივი მაჩვენებლის ქვეყნის პარლემენტის დადგენილებით განსაზღვრულ სიდიდეზე გადამეტების ან უფრო დაბალი პარამეტრის სახით არსებობის მაღალი ალბათობა და აქედან გამომდინარე საქართველოს პარლამენტისათვის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხის პრაქტიკულად ყოველწლიური (ხშირად არაარგუმენტირებული) ვალდებულების დანესების საშიშროება.

შექმნილი სიტუაციის დაძლევის, ინფლაციის ეკონომიკური არსის ნორმატიულ აქტებში ადეკვატური ასახვისა და იმ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმის გათავლისწინებით, რომლის თანახმადაც-„კანონი განსაზღვრავს ინფლაციის მაქსიმალურ მაჩვენებელს“, სრულიად ლოგიკურად მიგვაჩნია ტერმინის-„ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის“, ტერმინით -„ინფლაციის ზღვრული მაჩვენებელით“ ჩანაცვლება.

ინფლაციისა როგორ განმარტების, ასევე მისი მართვა-რეგულირებისათვის საკანონმდებლო უზრუნველყოფის თვალსაზრისით, უკანგადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესა-

ხებ” საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონის მიღება. საქმე ისაა, რომ აღნიშნული დოკუმენტის როგორც თავდაპირველ, ასევე მრავალრიცხოვანი შესწორების შედეგად, მნიშვნელოვნად სახეცვლილ-სადღეისოდ მოქმედ რეადაქციაში, ინფლაციის მიზნობრივ-სასურველ პარამეტრად მიჩნევის პარალელურად, პრაქტიკულად აღარ ფიქსირდება ინფლაციის მართვის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად უაღრესად მნიშვნელოვანი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხების მარეგულირებელი, წინამორბედ საკანონმდებლო აქტებში არსებული ის დებულებები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

ინფლაციის მართვა-რეგულირების პროცესების ქმედითი საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფის ნიშნით ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის შესაფასებლად, უაღრესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” 2009 წლის 24 სექტემბრის კანონმა, საქართველოს პარლამენტს ქვეყნის ბიუჯეტის შესახებ ყოველწლიურად მისაღები კანონების პარალელურად, ეროვნულ ბანკის მიერ მომზადებული „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ დოკუმენტის, ასევე ყოველწლიურად მიღება დაუნესა.

„ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ დოკუმენტი სამწლიანი პერიოდის მიხედვით შედგენას ექვემდებარება და აქედან გამომდინარე, მასში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი სამი კალენდარული წლის მიხედვით, ყოველწლიური სიდიდის სახით ფიქსირდება. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის ამოქმედებას (თუ “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” 2009 წლის 24 სექტემბრის კანონის ტექსტით ვიმსჯელებთ), ერთი შეხედვით, არ უნდა გამოეწვია, წლიური ინფლაციის ფაქტობრივი მაჩვენებლის, ქვეყნის პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ, შესაბამისი წლის ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან ყოველწლიური შედარების დამკვიდრებული პრაქტიკის ცვლილება. თუმცა, განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა აღნიშნული პროცესის მიმდინარეობაში.

საქმე ისაა, რომ წლიური ინფლაციის ფაქტობრივი მაჩვენებლის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ შესაბამისი წლის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის სიდიდესთან შედარების დამკვიდრებული პრაქტიკა, ჩანაცვლებული იქნა იმგვარი მიდგომით, რომელის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ის განცხადებები, რომელთა თანახმად:

– „2009 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი არის ინფლაციის თარგეთირება. აღნიშნული რეჟიმის დროს **წინასწარ განისაზღვრება ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებე-**

ლი, რომელიც უნდა იქნეს შენარჩუნებული საშუალოვადიან პერიოდში.“ (ინფლაციის თარგეთირება, 2021).

- „საქართველოში მოქმედებს ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი, რომელიც გულისხმობს **ინფლაციის** წინასწარ განსაზღვრული მაჩვენებლის მიღწევას საშუალოვადიან პერიოდში.“ (მიზნობრივი მაჩვენებელი, 2021).

ზემოაღნიშნულ და რიგ სხვა წყაროებში (მათ შორის“საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის სადღეისოდ მოქმედი ტექსტის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტსა და საქართველოს ეროვნული ბანკის წლიურ ანაგარიშებში), დაფიქსირებული ფორმულირებების „სპეციფიკური“ და საკმაოდ ბუნდოვანი ხასიათი, ჩვენი აზრით, სრულიად ლოგიკურად ბადებს კითხვას იმის თაობაზე, თუ რომელი ან/და რა პერიოდის მაჩვენებელი მიიჩნევა ურთიერთშედარებას დაქვემდებარებულ სიდიდეებად. კერძოდ, ინფლაციასთან დაკავშირებით ქვეყნის ეროვნული ბანკის ყოველწლიური საქმიანობის შეფასებისას, ინფლაციის ყოველწლიური ფაქტობრივი თუ სამი წლის მიხედვით გასაშუალოებული მაჩვენებელი უნდა შეუდარდეს „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ დოკუმენტ(ებ)ით ყოველი კონკრეტული წლისათვის განსაზღვრულ და/ან სამწლიანი პერიოდის მიხედვის გასაშუალებულ მაჩვენებლს.

მოქმედ ნორმატიულ აქტებში ზემოაღნიშნულ კითხვებზე ცალსახა პასუხების არ არსებობის მიუხედავად, შექმნილ სიტუაციაში ბოლომდე გარკვევისათვის უყალბესად საყურადღებოდ მიგვაჩნია ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემების განხილვა. კერძოდ, იმ ფაქტის არსებობა, რომ 1996 წლიდან (ეროვნულ ვალუტაში შედგენილი, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ პირველი წლიური კანონის მიღებიდან), 2009 წლის ჩათვლით განვლილი 14 წლის განმავლობაში (როდესაც „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ ყოველწლიურად მიღებულ დოკუმენტში ინფლაციის დონე-მაჩვენებელი ასევე ყოველწლიურად ფიქსირდებოდა*, წლური ინფლაციის ფაქტობრივი მაჩვენებელი რვა (1998, 1999, 2000, 2002, 2005, 2006, 2007 და 2008 წლებში) შემთხვევაში (57,14%) აღემატებოდა ოთხ (1996, 1997, 2001 და 2009 წლებში) შემთხვევაში (28,57%) ჩამორჩებოდა და მხოლოდ ერთ,

(2004 წელს 7,14%) შეესაბამებოდა საქართველოს პარლამენტის ყოველწლიური დადგენილებებით შესაბამისი წლისთვის* განსაზღვრულ ინფლაციის მაჩვენებლს (იხ. ცხრილი 1).

ინფლაციის წლიური ფაქტობრივი და მიზნობრივი მარჯვენებლების თანხვედრის დინამიკა 1996-2009 წლებში

ცხრილი 1

წლები	1996	1997*	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
წლიური ინფლაციის ფაქტობრივი მარჯვენებელი	1,05 *	0,6*	10,7	10,2	4,6	3,4	5,4	4,8	5,7	8,2	8,8	11,0	10,0	1,7
პარლამენტის მიერ განსაზღვრული წლიური ინფლაციის მარჯვენებელი	2 *	1,1*	6	10	4	6	5	5	5-6	5	5-6	6	8	9
ინფლაციის ფაქტობრივი მარჯვენებლის გადამეტება/ჩამორჩენა პარლამენტის მიერ განსაზღვრულ ინფლაციის მარჯვენებლებზე	-0,5	-0,5	+4,7	+0,2	+0,6	-2,6	+0,4	-0,2		+3,2	+2,8	+4,0	+2,0	-7,3

წყარო: საქართველოს ექოვნული ბანკი

გამონაკისს წაჩმრადგენდა 1996-97 წლები, ხოდესაც საქახოველოს პაჩამენტის დაეგენიებაში ინფლაციის მარჯვენებელი საშუალოთვიური პაჩამენტის სახით ფიქსიხებოდა

აღნიშნულის პარალელურად, უაღრესად საყურადღებოა 2009 წლის შემდგომ პერიოდში, კერძოდ, 2010-დან 2020 წლის ჩათვლით განვლილ 11-წლიან ისტორიულ პერიოდში, წლიური ინფლაციის ფაქტობრივი მაჩვენებლის, **საქართველოს პარლამენტის დაგენილებებით საშუალოვადიანი პერიოდის მიხედვით განსაზღვრულ**, როგორც ყოველი კონკრეტული წლის, ასევე საშუალოვადიანი პერიოდის მიხედვით გასაშუალებულ, **ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებლთან დამთხვევის არც ერთი, ანუ პრაქტიკულად ქვეყნის პარლამენტის დადგენილებების პერმანენტული შეუსრულებლობა (იხ. ცხრილი 2)**

ამასთან ერთად, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ 2010-2021 წლებში, ასევე ვერ ხერხდებოდა საშუალოვადიანი (სამი წელი) პერიოდის მიხედვით გასაშუალებული წლიური ინფლაციის ფაქტობრივი მაჩვენებლების, საქართველოს პარლამენტის დაგენილებებითაშუა პერიოდების მიხედვით განსაზღვრულ, როგორც ყოველი კონკრეტული წლის, ასევე საშუალოვადიანი პერიოდის მიხედვით გასაშუალებულ **ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებლებთან თანხვედრის უზრუნველყოფა (იხ ცხრილი 3), შექმნილი სიტუაციის სიმძიმე კომენტარს არ საჭიროებს და განსაკუთრებულ აქტუალობას ძენს** აღნიშნულის გამომწვევი მიზეზების სიღრმისეულ შესწავლას.

საქმე ისაა, რომ ცხრილებში დაფიქსირებულ მონაცემების თამახმად, 1996-დან 2021 წლამდე განვლილ 25-წლიან პერიოდში მხოლოდ ერთხელ -2004 წელს იქნა უზრუნველყოფილი ქვეყანაში არსებული ინფლაციის ფაქტობრივი (როგორც ყოველი კონკრეტული წლის, ასევე სამწლიანი პერიოდის მიხედვით გასაშუალოებული) მაჩვენებლის საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრულ (როგორც ყოველი კონკრეტული წლის, ასევე სამწლიანი პერიოდის მიხედვით გასაშუალებულ) პარამეტრებთან შესაბამისობა, რაც სრულიად ლოგიკურად ბადებს კითხვას ამ დარვევებზე უფლებამისილი სახელმწიფო სტრუქტურ(ებ)ის რეაგირების ხასიათის და აქედან გამომდინარე, აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის მდგომარეობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ კითხვაზე სრულფასოვანი პასუხისათვის, ჩვენი აზრით, უაღრესად საყურადღებოა ეროვნული ბანკის საქმიანობაზე კონტროლის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ანალიზი. კერძოდ კი, ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ 1991 წლის 2 აგვისტოს, «საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ ბანკს, ყოველი წლის არა უგვიანეს 1 აპრილისა, გაწეული საქმიანობის ანგარიშის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა ევალებოდა.

ინფლაციის ფაქტობრივი და მიზნობრივი პარამეტრების თანხვედრის დინამიკა 2010-2020 წლებში
ცხრილი 2

წლები	2010-12	2011-13	2012-14	2013-15	2014-16	2015-17	2016-18	2017-19	2018-20	2019-21	2020-22	2021-23
წლიური ინფლაციის ფაქტობრივი მაჩვენებელი	7,1	8,5	-0,9	-0,5	3,1	4,0	2,1	6,0	2,6	4,9	5,2	-
წლიური ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი	6	6	6	6 2014-6 2015-5	6 2015-5 2016-5	5 2016-5 2017-4	5 2017-4 2018-3	4 2018-3 2019-3	3 2019-3 2020-3	3 2020-3 2021-3	3 2021-3 2022-3	3 2022-3 2023-3
წლიური ფაქტობრივი ინფლაციის გადახა ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლისაგან	+1,1	+2,5	-6,9	-6,5	-2,9	-1,0	-2,9	+2,0	-0,4	+1,9	+2,2	-
განსაზღვრული და გასაშუალოებული წლიური ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი	6+6=18 / 3 = 6	6+6=18 / 3 = 6	6+6=18 / 3 = 6	6+6=17 / 3 = 5,7	6+5=16 / 3 = 5,3	5+5=14 / 3 = 4,7	5+4=12 / 3 = 4	4+3=10 / 3 = 3,3	3+3=9 / 3 = 3	3+3=9 / 3 = 3	3+3=9 / 3 = 3	3+3=9 / 3 = 3
ფაქტობრივი მაჩვენებლის გადახა მიზნობრივი მაჩვენებლისაგან	+1,1	+2,5	-6,9	-6,2	-2,2	-0,7	-1,9	+2,7	-0,4	+1,9	+2,2	--

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სამწლიანი პერიოდის გასაშუალებული წლიური ინფლაციის ფაქტობრივი და მიზნობრივი მაჩვენებლები
თანხვედრის დინამიკა 2010-2020 წლებში

ცხრილი 3

წლები	2010	2011	2010-12 2012	2011-13 2013	2012-14 2014	2013-15 2015	2014-16 2016	2015-17 2017	2016-18 2018	2017-19 2019	2018-20 2020	2019-21 2021
ინფლაციის ფაქტობრივი მაჩვენებელი			2010-7,1 2011-8,5 2012(-0,9) 2012(-0,9) 2012 საშ 4,9	2011-8,5 2012(-0,9) 2013(-0,5) 2013 საშ 2,4	2012-0,9 2013(-0,5) 2014 საშ 0,6	2015(-0,5) 2016-3,1 2017-4,0 2018-2,1 2019-6,0 2015 საშ 2,2	2016-3,1 2017-4,0 2018-2,1 2019-6,0 2016 საშ 3,1	2017-4,0 2018-2,1 2019-6,0 2015 საშ 4,03	2016-2,1 2017-6,0 2018-2,6 2019-4,9 2020-5,2 2018 საშ 3,6	2017-6,0 2018-2,6 2019-4,9 2020-5,2 2019 საშ 4,5	2018-2,6 2019-4,9 2020-5,2 2020 საშ 4,2	2019-21 2021
წლიური ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი	6	6	6	6	6	5	5	4	3	3	3	3
წლიური ინფლაციის ფაქტობრივი მაჩვენებლის გადახა მიზნობრივი მაჩვენებლისგან	-	-	-1,1	-3,6	-5,4	-2,8	-1,9	+0,03	+0,6	+1,5	+1,2	-
განსაზღვრული და გასაშუალებული წლიური ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი	6+6=18 / 3 = 6	6+6=18 / 3 = 6	6+6=18 / 3 = 6	6+6=17 / 3 = 5,7	6+5=16 / 3 = 5,3	5+5=14 / 3 = 4,7	5+4=12 / 3 = 4	4+3=10 / 3 = 3,3	3+3=9 / 3 = 3	3+3=9 / 3 = 3	3+3=9 / 3 = 3	3+3=9 / 3 = 3
გასაშუალებული წლიური ინფლაციის ფაქტობრივი მაჩვენებლის გადახა საშუალოდ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლისგან	-	-	-1,1	-3,3	-4,7	-2,5	-0,9	+1,0	+0,6	+1,5	+1,2	-

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ეროვნული ბანკის საქმიანობაზე კონტროლის თვალსაზრისით, წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა 1995 წლის 23 ივნისის “საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონის”, 28-ე მუხლის იმ დებულებების ამოქმედება, რომლებიც ქვეყნის ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფასების სტაბილურობის (ანუ ინფლაციის მართვის) ამოცანებთან შეუსაბამოდ მიჩნევის შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტს, ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ცვლილებების შეტანის ინიცირების უფლება ანიჭებდა, ხოლო **ეროვნული ბანკის მიერ ამ გადაწყვეტილებასთან არ დათანხმების შემთხვევაში, კანონი ბანკის გამგეობის ვადამდე გადარჩევის საკითხის ავტომატურ ამოქმედებას ითვალისწინებდა.**

ინფლაციურ პროცესებზე პასუხისმგებლობის დატვირთვის მატარებელი ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმები კიდევ უფრო დაიხვეწა, 1995 წლის 23 ივნისის “საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონში”, 1996 წლის 28 მაისს შეტანილმა შესწორებებმა. კერძოდ, კანონის 69-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებამ საქართველოს ეროვნულ ბანკს, ყოველი საფინანსო წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს სამი თვისა, განხორციელებული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ანგარიშის საქართველოს პარლამენტისათვის დასამტკიცებლად წარდგენის ვალდებულება დაუწესა.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმების მეშვეობით ინფლაციაზე საპარლამენტო კონტროლის გააქტიურებამ, მართალია, მნიშვნელოვანი იმპულსი მისცა ინფლაციის მართვა-რეგულირების პროცესის ეფექტიანობას, მაგრამ ბოლომდე ვერ უზრუნვეყო მასზე ჯეროვანი კონტროლი, რადგან ამავე 69-ე მუხლის მე-4 პუნქტი, ეროვნული ბანკის ანგარიშის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტისათვის, მხოლოდ ბანკის საქმიანობის გაუმჯობესების, (გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის) რეკომენდაციების შემუშავების უფლებამოსილებას ითვალისწინებდა და არ განსაზღვრავდა აღნიშნული რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევებში დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხს.

ინფლაციური პროცესების მართვა-რეგულირების თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტად უნდა მივიჩნიოთ „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს, ორგანულ კანონის 2008 წლის 14 მარტის შესწორებების 62¹-ე და 63-ე მუხლების ის დებულებები, რაც «ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები»-ს დოკუმენტის კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით შეუსრულებლობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის ანგარიშვალდებულებისა და ბანკის პრე-

ზიდენტის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხებს არეგულირებდა.

ინფლაციის მართვის თვალსაზრისით ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეცვალა “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” 2009 წლის 24 სექტემბრის რიგით მესამე კანონის ამოქმედებამ. საქმე ისაა, რომ აღნიშნული დოკუმენტის როგორც პირველად, ისევე სადღეისოდ მოქმედ რედაქციებში, პრაქტიკულად აღარ ფიქსირდება, ინფლაციის წლიური ფაქტობრივი მაჩვენებლის, საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრულ მაჩვენებელთან შეუსაბამობის (გადამეტების ან ვერ მიღწევის) შემთხვევებში, ეროვნული ბანკის (მისი პრეზიდენტის) ანგარიშვალდებულების, თუნდაც წინამორბედ საკანონმდებლო აქტებში არსებული დებულებები.

ქვეყანაში ინფლაციური პროცესების მარეგულირებელ, პრაქტიკულად ერთადერთ მოქმედ საკანონმდებლო ნორმად გვევლინება **„ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-6 პუნქტის** ის დებულება, რომლის თანახმად, „ყოველწლიურად, საფინანსო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს 4 თვისა, ეროვნული ბანკი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ფულად-საკრედიტო, სავალუტო და საზედამხედველო პოლიტიკის განხორციელების შესახებ. ეროვნული ბანკი წლიურ ანგარიშში ასახავს საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონთან და ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობას. **საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს წარდგენილ ანგარიშს.**”

ინფლაციური პროცესების მართვა-რეგულირების დატვირთვის მატარებელი, ქვეყანაში მოქმედი ერთადერთი ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმის აშკარად არასაკმარისი ხასიათის პარალელურად, მის არსებით ნაკლოვანებად, ასევე, უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ არსებული ფორმულირება ქვეყნის პარლამენტს, ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშის დამტკიცებას, პრაქტიკულად ყოველგვარი განხილვის გარეშე, ავალდებულებს, რაც უმართებულოდ მიგვაჩნია, თუნდაც იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 1991 წლიდან 2009 წლის 24 სექტემბრამდე, ანუ სადღეისოდ მოქმედი საკანონმდებლო აქტის მიღებამდე, ეროვნული ბანკის საქმიანობის მარეგულირებელი ყველა კანონი, ინფლაციის ფაქტობრივი მაჩვენებლის პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ პარამეტრთან შეუსაბამობის შემთხვევაში, ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას ითვალისწინებდა.

ინფლაციური პროცესების მართვის და აღნიშნულ პროცესზე კონტროლის თვალსაზრისით, ქვეყნის საკანონმდებლო აქტებში არსებული ნაკლოვანებების ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ, ფულად-საკრედი-

ტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელების შესახებ **საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველწლიური ანგარიშ(ებ)ის დამტკიცების თაობაზე**, საქართველოს პარლამენტის, ასევე ყოველწლიურ დადგენილებებში (ინფლაციის ფაქტობრივი მაჩვენებლების ქვეყნის პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრილ სიდიდეებთან წლების განმავლობაში არ დამთხვევის მიუხედავად), ერთი და იმავე ფრაზით: „დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი წლის ფულად-საკრედიტო, სავალუტო და საზედამხედველო პოლიტიკის განხორციელების შესახებ ანგარიში“ შეფასება.

მოკლევადიან პერსპექტივაში ქვეყნის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პარამეტრების საპროგნოზო დინამიკა და ინფლაციური მოლოდინი

ყოველივე ზემოაღნიშნულის პარალელურად, თუ მხედველობაში მივიღებთ ქვეყანაში ინფლაციის მაკროეკონომიკური უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების როგორც არსებული, ასევე საპროგნოზო პარამეტრების დინამიკის ამსახველ ცხრილი 4-ით წარმოდგენილ მონაცემებს, ინფლაციური რისკების საშიშროება მტკიცებას არ საჭიროებს.

საქმე ისაა, რომ 2016-19 წლებში მშპ-ის ფაქტობრივი ოდენობის 5,4 მლრდ ლარით, ანუ 15,5%-ით ზრდის პირობებში, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო-საბიუჯეტო დეფიციტის დიდად მაღალი ტემპით-842 მლრდ ლარით, ანუ 164,8%-ით ზრდის (იხ, ცხრილი 4), შედეგად, ბიუჯეტის დეფიციტის ხარჯზე მიმოქცევის არხებში მოხვედრილი, ინფლაციური დატვირთვის მატარებელი, რეალურად დაუსაქონლებელი ფულის მასის ზრდით განპირობებულ არასასურველ ინფლაციურ მოლოდინს, კიდევ უფრო ამძიმებს ამავე ცხრილით წარმოდგენილი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლების სავარაუდო დინამიკა. კერძოდ, 2024 წლისათვის მშპ-ის საპროგნოზო სიდიდის, 2019 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელთან შედარებით, მხოლოდ 6,6 მლრდ ლარით, ანუ 16,8%-ით სავარაუდო ზრდის პირობებში, ამავე პერიოდის საბიუჯეტო დეფიციტის დიდად მაღალი ტემპით -293 მლრდ ლარით, 21,7%-ით ზრდის მეტად არასასურველი პროგნოზის არსებობა.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდის ხარჯზე, ინფლაციური დატვირთვის მატარებელი მნიშვნელოვნად გაზრდილი ფულის მასის სავარაუდო ზრდით განპირობებულ ინფლაციურ მოლოდინს, მნიშვნელოვნად

ამძიმებს, უცხოური ვალუტის (ძირითადად აშშ დოლარი, ევრო) გაცვლითი კურსის გაუარესების მაკროეკონომიკური და აქედან გამომდინარე, ჩვენს რეალობაში სამომხმარებლო საქონელის დიდ ნაწილზე ფასების გარდაუვალი ზრდის გამომწვევი მონაცემები, (იხ. ცხრილი 4)

კერძოდ, 2019-2024 წლებში ქვეყნის ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების ოდენობის განმსაზღვრელი იმ მაკროეკონომიკური პარამეტრების საპროგნოზო დინამიკა, რომელსაც განაპირობებს 2024 წლისათვის უცხოური ინვესტიციების (ქვეყანაში ვალუტის შემოდინების ერთ-ერთი ძირითადი წყარო) საპროგნოზო პარამეტრის, 2019 წლის ფაქტობრივ მაჩვენებლებთან შედარებით მხოლოდ 38,4%-ით ზრდის პირობებში, ამავე პერიოდის ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სალდოს (ქვეყნიდან ვალუტის გადინების წყარო) საპროგნოზო მაჩვენებლის ბევრად მაღალი-65,9%-ით ზრდის არასასურველი პროგნოზის არსებობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის პარალელურად, ფულის რაოდენობრივი თეორიის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპის თანახმად-, ..., ფულის რაოდენობა განსაზღვრავს ფასების დონეს, ხოლო ფულის რაოდენობის ზრდის ტემპი-ინფლაციის დონეს”, აბსოლუტურად ცხადია ინფლაციური პროცესების გააქტიურების თვალსაზრისით არსებული მონაცემების სიმძიმე (იხ. ცხრილი 5).

კერძოდ, 2024 წლისათვის, 2016 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელთან შედარებით, ქვეყნის მშპ-ის საპროგნოზო პარამეტრის მხოლოდ 12 მლრდ ლარით, ანუ 34,4%-ით ზრდის პირობებში, ამავე პერიოდის ფართო ფულის-M2-ის საპროგნოზო მოცულობის დიდად წინმსწრები ტემპით -16,1 მლრდ ლარით, 247,7%-ით ზრდის საპროგნოზო პარამეტრისა და აღნიშნულის შედეგად, ფართო ფული-M2-ის საპროგნოზო მოცულობის მშპ-ის მოცულობასთან თანაფარდობის მეტად შთამბეჭდავი -83,1%-ით ზრდის მოლოდინის არსებობა.

ინფლაციური რისკების ზემოაღნიშნულ მოლოდინს კიდევ უფრო ამძიმებს ფულის რაოდენობრივი თეორიის ირვინ ფიშერის განტოლების საფუძველზე გაანგარიშებული და ცხრილი 5-ით წარმოდგენილი მონაცემები, რომლის თანახმად, 2024 წლისათვის ქვეყანაში ფასების დონის საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდა, 2016 წლის მის ფაქტობრივ სიდიდესთან შედარებით, 194,2%-ით არის ნავარაუდები.

ყოველივე ზემოაღნიშნული, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის იმ მოსაზრების არსებობის მიუხედავად, რომლის თანახმადაც ფულის რაოდენობრივი თეორია: -„მართებულია მხოლოდ გრძელვადიან და/ან ძალიან მაღალი ინფლაციის პერიოდში”, (ვ. გვენეტაძე: ფულის მასაზე გამადიდებელი შუშით დაკვირვება,...), უახლოესი მომავლისათვის ქვეყანაში ინფლაციური პროცესების გააქტიურება სრულიად რეალურ სა-

ინფლაციის / დეფლაციის მაპროვოცირებელი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პარამეტრების დინამიკა

ცხრილი 4

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
მშპ-ის (მლხ ღახი)	11,7	12,5	13,4	13,8	14,4	14,9	34,9[1]	36,6[1]	38,4[1]	40,3[1]	38,3[1]	39,9[1]	42,2[1]	44,6[1]	46,9[1]
ზღა/კცება 2016=100%	-	-	-	-	-	-	100,0	104,9	110,0	115,5	109,7	114,3	120,9	127,8	134,4
ზღა/კცება 2019=100% [2]	-	-	-	-	-	-	-	-	-	100,0	95,0	99,0	104,7	110,7	116,8
ნაფთო ბიუჯეტის მოდიანი სადღო (ღფ. მღხ ღახი)	-0,938	-0,211	-0,155	-0,301	-0,580	-0,373	-0,511	-0,358	-0,325	-1,353	-4,200	-3,991	-2,399	-1,813	-1,646
	100,0	22,5	16,5	32,1	61,8	39,8	54,5	38,2	34,6	144,2	447,8	425,5	255,8	193,3	175,5
	-	-	-	-	-	-	100,0	70,1	63,6	264,8	821,9	781,0	469,5	354,8	322,1
	-	-	-	-	-	-	-	-	-	100,0	310,4	295,0	177,3	134,0	121,7
პროცენტუდგ მშპ-თან	-4,5	-0,9	-0,6	-1,1	-2,0	-1,2	-1,4	-0,9	-0,7	-2,7	-8,5	-7,5	-4,1	-2,9	-2,4
ნაფთო ბიუჯეტის საფაჩო ვადგბ. ღაფ.(მღხ ღახი)	0,123	0,827	0,95	0,454	0,503	0,370	0,333	0,454	0,716	0,917	0,906	2,764	1,067	1,116	1,174
	100,0	672,4	772,4	369,1	408,9	300,8	270,7	369,1	582,1	745,5	736,6	2247,2	867,5	907,3	954,5
	-	-	-	-	-	-	100,0	136,3	215,0	275,4	272,1	830,0	320,4	335,1	352,6
	-	-	-	-	-	-	-	-	-	100,0	98,8	301,4	116,4	121,7	128,0
პროცენტუდგ მშპ-თან	0,6	3,4	0,4	1,7	1,7	1,2	0,9	1,1	1,6	1,9	1,8	5,2	1,8	1,8	1,7
ექსპოჩი (მღხ ღახი)	7,3	8,8	10,0	12,0	12,5	14,0	14,6	19,0	22,5	26,9	17,9	20,7	24,5	28,9	33,7
იმპოჩი (-,--,--)	10,9	13,3	15,1	15,5	17,8	19,8	20,1	23,5	27,3	31,3	24,2	26,8	30,3	35,6	41,0
ექსპოჩ-იმპოჩის სადღო (მღხ ღახი)	-3,6	-4,5	-5,1	-3,5	-5,3	-5,8	-5,5	-4,5	-4,8	-4,4	-6,3	-6,1	-5,8	-6,7	-7,3
	100,0	125,0	141,7	97,2	155,6	147,2	152,8	125,0	133,3	122,2	175,0	169,4	161,1	186,1	202,8
	-	-	-	-	-	-	100,0	81,8	87,3	80,0	114,5	110,9	105,5	121,8	132,7
	-	-	-	-	-	-	-	-	-	100,0	143,2	138,6	131,8	152,3	165,9
ინფლაციეფი (მღხ ღახი)	6,0	8,2	9,5	8,0	10,1	12,0	11,7	11,1	12,5	12,5	13,1	12,7	14,3	15,5	17,3
	100,0	136,7	158,3	133,3	168,3	200,0	195,0	185,0	208,3	208,3	218,3	211,7	238,3	258,3	288,3
	-	-	-	-	-	-	100,0	94,9	106,8	106,8	112,0	108,5	122,2	132,5	147,9
	-	-	-	-	-	-	-	-	-	100,0	104,8	101,6	109,2	114,4	138,4
საფაჩო ფაჩის მომსახუჩება პროცენტუდგ ექსპოჩთან	3,5	11,4	2,3	4,9	5,1	3,9	3,6	3,6	4,4	4,6	7,2	15,2	5,8	5,0	-
	100,0	325,7	65,7	140,0	145,7	111,4	102,9	102,9	125,7	131,4	205,7	434,3	165,7	142,9	-
	-	-	-	-	-	-	100,0	100,0	122,2	127,7	200,0	422,2	161,1	138,8	-
	-	-	-	-	-	-	-	-	-	100,0	156,5	330,4	126,1	108,7	-

წყაჩო: საქაჩოვედღოს სტატისტიკის ეჩოვენუდი სამსახუჩი; საქაჩოვედღოს ფინანსთა სამინისტრო; საქაჩოვედღოს ეჩოვენუდი ბანკი.

საქართველოში ფასების ფაქტორული და საპროგნოზო სიდიდის დინამიკა

ცხრილი 5

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020 [3]	2021	2022	2023	2024
	ფაქტობრივი											პროგნოზი			
მშპ (Q) (მლნ ლარი) [4]	11,7	12,5	13,4	13,8	14,4	14,9	34,9	36,6	38,4	40,3	38,3 [4]	39,9	42,2*	44,6*	46,9*
ფასით ფული M2 (მლნ ლარი)	3,0	3,8	4,1	5,4	5,9	5,8	6,5	8,4	9,8	11,6	12,3	14,1*	16,6*	19,4*	22,6*
ფასით ფული M2 %-ად: ნომინალური მშპ-თან	100,0	126,7	136,7	180,0	196,7	193,3	216,7	280,0	326,7	386,7	410,0	470,0	553,3	646,7	753,3
	-	-	-	-	-	-	100,0	129,2	150,8	178,5	189,2	216,9	255,4	298,5	347,7
	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	100,0	114,6	135,0	157,7	183,7
	-	-	-	-	-	-	18,2	20,7	21,9	23,5	24,8	26,4	28,5	30,7	33,0
	-	-	-	-	-	-	100,0	113,7	120,0	129,1	136,3	145,1	156,6	168,7	181,3
	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	100,0	106,5	114,9	123,8	133,1
ფასით ფული M2 -ის მიმოქცევის სიჩქარე (V)	7,0	6,4	6,43	4,95	4,93	5,51	5,51	4,84	4,56	4,25	4,02	3,79	3,51	3,25	3,03
	100,0	91,4	91,9	70,7	70,4	78,7	78,7	69,1	65,1	60,7	57,4	54,1	50,1	46,4	43,3
	-	-	-	-	-	-	100,0	87,8	82,8	77,1	73,0	68,8	63,7	59,0	55,0
	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	100,0	94,3	87,3	75,1	75,4
	-	-	-	-	-	-	6,5 x	8,4 x	9,8 x	11,6 x	12,3 x	14,1 x	16,6 x	19,4 x	22,6 x
	-	-	-	-	-	-	5,51 /	4,84 /	4,56 /	4,25 /	4,02 /	3,79 /	3,51 /	3,25 /	3,03 /
	-	-	-	-	-	-	34,9 =	36,6 =	38,4 =	40,3 =	38,3 =	39,9 =	42,2 =	44,6 =	46,9 =
ფასების ციკლი (P)	-	-	-	-	-	-	1,03	1,11	1,16	1,22	1,29	1,34	1,38	1,41	1,41
მონაცემები 2016 = 100%	-	-	-	-	-	-	100,0	107,8	112,6	118,4	125,0	130,1	134,0	136,9	136,9

წყარო: საქსტატი; საქსტატი ფინანსთა სამინისტრო; საქსტატი ეროვნული ბანკი

შიშროებად, ხოლო მისი პრევენციისათვის სახელისუფლებო სტრუქტურების საქმიანობის გააქტიურება, უაღრესად აქტუალურ საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული.

დასკვნა

ინფლაციური პირობების მართვა-ჩვეულებების თვალსაზრისით საქართველოში შექმნილი სიგუაცინიდან გამომდინარე, უღრესად საყუხადღებოა ფუძედ-საკუთრი პოლიტიკის მარტულები საკანონმდებლო ბაზის იმ ოხი უმნიშვნელოვანესი პინციპის აღდგენა-გამოყენებით სხუდყოფა, ხასაც ითვარისწინებდა “ეროვნული ბანკის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის, 2008 წლის 14 მარტის მეტად ხანმოკლე პერიოდის (2009 წლის 24 სექტემბრამდე) მანძილზე მოქმედი შესწორება, რომლის თანახმად, ინფლაციის მარვენებელი არა მიზნობრივ, არამედ «მაქსიმალურ»-ზღვრულ პარამეტრად მიიჩნეოდა, ხოლო მასზე (ინფლაციის მარვენებელზე) პასუხისმგებლობა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობრივი უფლებამოსილების საკითხს წარმოადგენდა.

აღნიშნულის პარალელურად, ინფლაციის ეკონომიკური არსის ნორმატიულ აქტებში ადეკვატური ასახვის, ეროვნული ბანკის საქმიანობის ცალსახა და **ობიექტური კრიტერიუმით შეფასებისა და რიგი სხვა ფაქტორების** გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვარნია, ეროვნული ბანკის საქმიანობის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში გამოყენებული **ტერმინი**-«ინფლაციის მიზნობრივი მარვენებელი», ჩანაცვლებული იქნეს ტემინით-„ინფლაციის ზღვრული მარვენებელი“;

-ინფლაციური პროცესების ეფექტიანი მართვისათვის აუცილებელი ოპერეტიულობის (არა სამწლიანი პერიოდის მიხედვით გაჭიანურებული) და ბანკის საქმიანობაზე ქმედითი საპარლამენტო კონტროლის უზრუნველფისათვის, ინფლაციის შეფასების სადღეისოდ დამკვიდრებული, საკმაოდ ბუნდოვანი კრიტერიუმი-„საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მარვენებელი“, შეცვლილ იქნეს, **ფაქტობრივი ინფლაციის წლიური მარვენებლის, ამავე წლისათვის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ ინფლაციის მარვენებელზე გადამეტების კრიტერიუმით;**

-საქართველოს პარლამენტის დადგენილებებით მიღებულ-„**ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დოკუმენში**“ დაფიქსირებული ინფლაციის კონკრეტული წლის მარვენებელზე, წლიური ინფლაციის ფაქტობრივი მარვენებლის გადამეტების შემთხვევაში, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში შეტანილ ცვილებებზე დაყრდნობით, საქართველოს

პარლამენტის უფლებამოსილებად (ვალდებულებად) განისაზრვროს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა.

ლიტერატურა:

- Campbell R. McConnell, Stanley L. Brue, Sean M. Flynn (2015). ECONOMICS PRINCIPLES, PROBLEMS, and POLICIES - Twentieth edition Published by McGraw-Hill Education, 2 Penn Plaza, New York, NY 10121. Copyright © 2015 by McGraw-Hill pp. 600
- მენქიუ გ. (2000). „ეკონომიკის პრინციპები“, გამომცემლობა «დიოგენე» გვ. 809., გვ. 814.
- „ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2020“ საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველო, თბილისი, გვ. 18. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/finstability/2020/finstability_2020_geo.pdf (ბოლო ნახვა 23.06.2021).
- ორუელი ჯ., «1984».(2017). გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2017, გვ. 351.
- «ინფლაციის თარგეთირება» საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=538> (ბოლო ნახვა 23.06.2021).
 - adgilobrivi tvitmmartveloba adgilobrivi ekonomikuri ganvitarebistvis - sachiroebata kvleva. (2018). sakartvelos adgilobrivi tvitmmartvelobata erovnuli asotsiatsia (NALAG). [Local Governance for Local Economic Development - Needs Assessment. (2018). National Association for Local Authorities of Georgia (NALAG).] in Georgian
 - <http://nala.ge/uploaded/nala/2018-12/20181227085949348677678.pdf> /last seen 12 November, 2021/
 - Triyowati H. (2011). The Mapping of Local Economic Development in Decentralized Governance Era, <https://www.trijurnal.lemlit.trisakti.ac.id/index.php/ber/article/view/5> /last seen 12 November, 2021/
 - Nasser W., Donsimoni M. (2014). Local Governance, Decentralization and Local Economic Development;
 - https://www.researchgate.net/publication/281567153_Local_governance_decen-tralization_and_local_economic_development /last seen 12 November, 2021/

- Litvack J. - World Bank, Decentralization Thematic Team, The Online Sourcebook on Decentralization and Local Development; general Information - What is Decentralization?
- http://www.ciesin.org/decentralization/English/General/Different_forms.html / last seen 12 November, 2021/
- <https://www.mof.ge/5261/> / last seen 12 November, 2021/

Decentralization for Local Economic Development

Kristine Uglava

Doctoral Student

Iv. Javakishvili Tbilisi State University

k.uglava@mrdi.gov.ge

An important strategic method to achieve Sustainable Development Goals faster in the country is the applying Local Economic Development approach (LED approach), for which it is necessary to have the preconditions in the country provided through decentralization processes.

This paper presents: an analysis of the role of decentralization for successful implementation of the Local Economic Development approach in Georgia; a general overview of the current situation, problems and challenges in Georgia; an assessment of relevant implemented reforms and problem solving ways.

Since 2010, changes have been made in all directions of decentralization in Georgia (for political, administrative, economic and fiscal decentralization). However, despite the progress, the situation shows that many more reforms is needed to be carried out in order to involve local self-governments in the processes of local social and economic development and, moreover, to make them becoming initiators of Local Economic Development processes.

It is noted that the current legislation of Georgia does not clearly separate the role of municipalities in supporting entrepreneurship and stimulating economic development at the local level, neither in their own, exclusive nor in the delegated powers of municipalities. Performing functions related to socio-economic development depends only on the willingness, desire and initiative of the local governments. In addition, municipalities have poor property and own revenues in local budgets, and consequently, as a result of such conditions, the role of Georgian municipalities in local social and economic development is not important.

Problems related to low level of institutional capacity of municipalities and low qualified human resources, which are considered as a threat of

decentralization, are also a major obstacle for the applying of this holistic-strategic approach - Local Economic Development in municipalities of Georgia.

Therefore, mitigating the threats of decentralization and implementing policies to strengthen and support the capacity of local governments will significantly increase the effectiveness of Local Economic Development policies and strategies in Georgia.

Keywords: Local Economic Development (LED), Decentralization, Strengthening Local Governments, Municipal Budget, Reforms, Fiscal Decentralization, Holistic-strategic approach.

JEL Codes: O10, O11, O12

ბიზნესი ◊ მენეჯმენტი ◊ მარკეტინგი
BUSINESS ◊ MANAGEMENT ◊ MARKETING

კომპანიის ფულადი ნაკადების ეფექტიანი მართვის შესახებ

ხათუნა ბარბაქაძე

ასოციირებული პროფესორი

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

khatuna.barbakadze@tsu.ge

ნატო კაკაშვილი

ასისტენტ-პროფესორი

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

nato.kakashvili@tsu.ge

კომპანიის ფულადი ნაკადების მართვა ფინანსური საქმიანობის ნაწილია, ხომელიც მნიშვნელოვანია ზოგადად ბიზნესის გაჯანსაღებისთვის.

ფულადი ნაკადები ნებისმიერი კომპანიისთვის მამოძრავებელ ძალაა და მისი მართვის სწორი სტრატეგიის შემუშავება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკის ნებისმიერი სექტორისთვის.

წინამდებარე კვლევის მიზანია ფულადი ნაკადების მართვასთან დაკავშირებული თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტების განხილვა და მათ მოძიებაზე მოქმედი ფაქტორების შეფასება კომპანიის ფულადი ნაკადების მართვის გაუმჯობესების მიზნით. თემის დამუშავებისას გამოყენებულ იქნა კვლევის სისტემური და დოკუმენტური განზოგადების, ასევე – ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

კომპანიის ფულადი ნაკადების ეფექტიან მართვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების განხილვისას ჩამოვყალიბეთ ჩვენი შეხედულებები ფულადი ნაკადების, მისი მართვისა და ანგაჩიშვების თეორიული საფუძვლების ზოგიერთ საკითხებზე.

ფულადი ნაკადების გაზომვისა და ანგაჩიშვების მეთოდები ერთმანეთისგან განსხვავდება მხოლოდ საოპერაციო საქმიანობიდან მიღე-

ბუდი ფუდადი ნაკადების გამოთვლის სპეციფიკით. პიხდაპიხ მეთოდთან შედარებით, ახაპიხდაპიხი მეთოდი გაცილებით ინფორმაციულია კომპანიის მენეჯმენტისთვის, ხადგან იგი აჩვენებს კავშიხს მიღებუდ მოგებასა და ფუდად ნაკადებს შოხის.

ფუდის მახთვის მოდელების განხიღვა საშუადებას გვადღევს ვალიაჰოთ Miller-Orr-ის მოდეღის უპიხატებსობა Baumol-ის მოდეღთან შედარებით, სწოხედ ამიღომ მოცემუღი მოდეღი მეღად გამოყენებაღია.

საკვანდო სიღყვები: ფუდადი ნაკადები, ფუდადი ნაკადების მახთვა, ფუდადი ნაკადების მახთვის მეთოდები, ფუდადი ნაკადების მახთვის მოდეღები.

შესავალი

კომპანიების მიერ ეფექტიან ორგანიზებული ფულადი ნაკადები მისი ფინანსური მდგომარეობის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი და ამავე დროს, მდგრადი ზრდის და ეკონომიკური საქმიანობის გაზრდილი შედეგების მიღწევის საფუძველია. ფულადი ნაკადების ანგარიშგება გვიჩვენებს ფულად ნაკადებს კონკრეტული პერიოდისთვის და მის გავლენას კომპანიის მდგომარეობაზე. მოგება არ იძლევა სრულ წარმოდგენას კომპანიის ფულადი ნაკადების შესახებ კონკრეტული პერიოდისთვის, სწორედ ამითაა განპირობებული ფულადი ნაკადების მნიშვნელობა, რადგან, როგორც წესი, ნაღდი ფული გადამწყვეტია ნებისმიერი ბიზნესისთვის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კომპანიებს შორის არსებული კონკურენციის გამო, რთულია როგორც მოგების ზრდა, ასევე, დადებითი ფულადი ნაკადების შენარჩუნებაც. ბაზარზე ახალი მომხმარებლების მოსაზიდად და არსებულ მომხმარებლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით, კომპანიებს უწევთ ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ლიკვიდურობასა და გადახდისუნარიანობაზე. იქედან გამომდინარე, რომ კომპანიების ძირითადი მიზანი მოგებისა და ბაზრის წილის ზრდაა, ყურადღების მიღმა რჩება ფულადი ნაკადების პროგნოზირება და მართვა. იმის გამო, რომ ფინანსური აღრიცხვის სტანდარტებით შემოსავლისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის და არა საკასო მეთოდით, საანგარიშგებო პერიოდში ფინანსური შედეგისა და წმინდა ფულადი ნაკადების მაჩვენებლები განსხვავებულია.

ფულადი ნაკადები ნიშნავს ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების როგორც შემოდიანებას, ასევე, გადინებას. ფულად სახსრებში იგულისხმება ნაღდი ფული, დეპოზიტები მოთხოვნამდე, ხოლო ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვე-


სტიციები, რაც დაუყოვნებლად გაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და რომელთა შეცვლის რისკი უმნიშვნელოა (ჭილაძე, გოგრიჭიანი 2011, 241).

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მეთოდები

ფულადი ნაკადების მართვა უწყვეტი პროცესია, რომელიც მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ნაწილს, კერძოდ: ადამიანურ რესურსს, ფინანსურ მაჩვენებლებს, მართვის საკითხებს და შესაბამის ტექნოლოგიურ დონეს. ფულადი ნაკადების მართვის ეფექტიანი პრაქტიკის არ არსებობის გამო, შესაძლოა მომგებიანი კომპანიებიც კი გაკოტრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით კი სწრაფად მზარდი ან სეზონურ ინდუსტრიაში ფუნქციონირებადი კომპანიები. ფულადი ნაკადების ეფექტიანი მართვის თანამედროვე პრინციპების, მექანიზმებისა და მეთოდების ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენება უზრუნველყოფს კომპანიის გადასვლას განვითარების ახალ ეტაპზე.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების სტანდარტული სტრუქტურა


ნახაზი 1



ფულადი ნაკადები არის კომპანიის საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრებისა და გადახდების ერთობლიობა. საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები უკავშირდება საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს, შესყიდული საქონლის ღირებულების დაფარვას, განუღო მომსახურებაზე საზღაურისა და ხელფასების გაცემას, დივიდენდებისა და პროცენტების გადახდას, სადაზღვევო თანხებისა და სხვა მიმდინარე ხარჯებისთვის გადახდილ ფულად ნაკადებს. ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან, როგორც წესი, ასახავს გადახდებს, რაც საჭიროა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად. საინვესტიციო საქმიანობის ფულადი ნაკადები ასახავს კომპანიის მიერ ფულადი სახსრების მიღებას ფინანსური ინვესტიციებიდან - გაცემული სესხები ან სხვა კომპანიის აქციების შეძენა. საფინანსო საქმიანობიდან ფულადი ნაკადები უკავშირდება სესხის აღებას ან სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებას, ასევე, სესხის, იჯარისა და სხვა სავალო ინსტრუმენტების დაფარვას ან ვალდებულებების შემცირებას. შედეგად საანგარიშო პერიოდისთვის მიიღება წმინდა ფულადი ნაკადებისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა ან შემცირება.

ფულადი ნაკადების მოძრაობა

ნახაზი 2



კომპანიების სხვადასხვა ტიპის საქმიანობიდან გამომდინარე, ფულადი ნაკადებისა და ფულის ეკვივალენტების ბალანსი განსხვავებულია, რომლის წმინდა ზრდა ან შემცირება არის ყველა აქტივობის ეფექტის შედეგი. გასათვალისწინებელია, რომ ისრები მიუთითებს ფულადი ნაკადების ნორმალურ მიმართულებას შესაბამისი აქტივობიდან, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია საპირისპირო მიმართულებაც.

წმინდა ფულადი ნაკადები ფულის ის რაოდენობა, რომელიც რჩება გასავლების შემდეგ, და შეიძლება იქნეს განაწილებული ინვესტორებს

შორის. სწორედ მოცემული პარამეტრი გამოიყენება ხშირად კომპანიების შესაფასებლად, რადგან სწორედ ის აჩვენებს რა ოდენობის ფულადი შემოსავალი აქვს კომპანიას. უარყოფითი ფულადი ნაკადები თავისთავად არ არის პრობლემა, ეს შეიძლება იყოს კომპანიის მიერ დიდი ინვესტიციების ან სწრაფი ზრდის მაჩვენებელი. კომპანიის საწყის ეტაპზე მოსალოდნელია, რომ ფულადი ნაკადები იქნება უარყოფითი კომპანიის საქმიანობაში რეინვესტირებიდან და ზრდის პერსპექტივებიდან გამომდინარე. თუმცა, ეს პარამეტრი რომ გამართლებული იყოს, კომპანია განუღი დაბანდებებით მომავალში სარგებლის მიღებას უნდა უზრუნველყოფდეს.

კომპანიის ფულადი ნაკადების მართვა წარმოადგენს ფინანსური საქმიანობის ნაწილს, რომელიც მნიშვნელოვანია ზოგადად ბიზნესის სიჯანსაღისთვის. ფინანსური მენეჯმენტი და ფულადი ნაკადების მართვასთან დაკავშირებული საკითხები მნიშვნელოვანი გამოწვევაა ბევრი კომპანიისთვის. ფულადი ნაკადების ეფექტიანი მართვა მოითხოვს შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების შემდეგ ეტაპებს:

- კომპანიის ფულადი ნაკადების წინა პერიოდის ანალიზი;
- კომპანიის ფულადი ნაკადების ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორების კვლევა;
- კომპანიის ფულადი ნაკადების მართვის პოლიტიკის ტიპის დასაბუთება;
- კომპანიის ფულადი ნაკადების ოპტიმიზაციის მეთოდების შერჩევა და განხორციელების უზრუნველყოფა;
- კომპანიის ფულადი ნაკადების დაგეგმვა;
- კომპანიის ფულადი ნაკადების მართვის შერჩეული პოლიტიკის განხორციელებაზე ეფექტური კონტროლის უზრუნველყოფა.

ფულადი ნაკადების ანალიზის მიზანია როგორც სახსრების დეფიციტის მიზეზების დადგენა, ასევე, დაფინანსების წყაროებისა და ხარჯების მიმართულებების განსაზღვრა, რათა განხორციელდეს კომპანიის მიმდინარე გადახდისუნარიანობის კონტროლი.

პრაქტიკაში გამოიყენება ფულადი ნაკადების გამოანგარიშების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. მათ შორის განსხვავება პროცედურების თანმიმდევრობაშია, რომლითაც განისაზღვრება ფულადი ნაკადების ოდენობა, კერძოდ, განსხვავებულია საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების გაანგარიშება, ხოლო საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები იანგარიშება ერთნაირად.

პირდაპირი მეთოდი ეფუძნება ფულადი ნაკადების ანგარიშებზე ბრუნვის შედეგების ასახვას და შესაბამისად, გაანგარიშება ხდება ფულადის ნაკადების შემოღინების - პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახუ-

რების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები, მიღებული ავანსები და სხვა., და გადინების - მომწოდებლებისთვის თანხის გადახდა, სესხების დაბრუნება და სხვა საფუძველზე.

პირდაპირი მეთოდით ნაღდი ფულის ანალიზის შედეგად შესაძლებელია შეფასდეს კომპანიის ლიკვიდურობა, რადგან ის დეტალურად ასახავს ფულადი ნაკადების მოძრაობას ანგარიშებზე და საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნები მიმდინარე ვალდებულებებისთვის სახსრების ადეკვატურობასთან დაკავშირებით. პირდაპირი მეთოდი არ ითვალისწინებს კომპანიის ფულადი ნაკადების აბსოლუტური ოდენობის ცვლილებებსა და ფინანსური შედეგის ურთიერთკავშირს. აღნიშნული კი წარმოადგენს მოცემული მეთოდის ნაკლოვანებას.

რაც შეეხება არაპირდაპირ მეთოდს, ის გულისხმობს მოგების კორექტირებას არაფულადი მუხლებით და შესაბამისად, მოგებიდან წმინდა ფულადი ნაკადების მიღებას. ეს მეთოდი სასურველია ანალიტიკური თვალსაზრისით, რადგან ის საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ კავშირი კომპანიის ფინანსურ შედეგებსა და ფულად საშუალებებს შორის. არაპირდაპირი მეთოდით საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების განსასაზღვრავად წმინდა მოგების სიდიდე უნდა დავაკორექტიროთ არაფულადი მუხლები: ამორტიზაცია, ზარალი ან მოგება ვალუტის კურსთაშორის სხვაობიდან, ასევე, ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მარაგების, სავაჭრო მოთხოვნებისა და ვალდებულებების ცვლილება.

კომპანიის ფულადი ნაკადების მართვის ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული ეტაპი მისი ოპტიმიზაციაა, რაც გულისხმობს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების პირობებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით საუკეთესო ფორმების არჩევის პროცესს. ფულადი ნაკადების მართვის პროცესში უნდა გადაწყდეს მნიშვნელოვანი ამოცანა - რეზერვების იდენტიფიცირება, რაც შეამცირებს კომპანიის დამოკიდებულებას ფულადი ნაკადების მოზიდვის გარე წყაროებზე. ფულადი რესურსების დეფიციტის ოპტიმიზაციის მეთოდები მოიცავს სახსრების მოზიდვის დაჩქარებას და მათი გადახდების შენელების აუცილებლობას მოკლევადიან პერიოდში, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში, დადებითი ფულადი ნაკადების მოცულობის ზრდას და უარყოფითი ფულადი ნაკადების მოცულობის შემცირებას.

ფულის მართვის მოდელები

კომპანიის ფულადი ნაკადების მართვის მთავარი ამოცანაა მინიმალური დონის ლიკვიდობით უზრუნველყოფა, რაც საჭიროა მოკლევადიან

პერიოდში დეფოლტის რისკის თავიდან ასაცილებლად. მოცემული პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია ფულის მიზნობრივი დონის განსაზღვრით ან ისეთი მოდელის შემუშავებით, რომელიც დეფოლტის რისკს და ფულის ფლობით გამოწვეულ ალტერნატიულ დანახარჯს შეინარჩუნებს მინიმალურ დონემდე. ნაღდი ფულის მიზნობრივი დონე წარმოადგენს ფულის იმ რაოდენობას, რაც კომპანიას უნდა ჰქონდეს რეზერვში გარკვეული პერიოდში. ამავე დროს, სირთულეა ის ფაქტი, რომ თუ კომპანიას აქვს ნაღდი ფულის ზედმეტი რაოდენობა, მაშინ ის ხელიდან უშვებს ინვესტირების შესაძლებლობებს, ფული არ გამოიმუშავებს სარგებელს და შესაბამისად, აქვს ფულის ფლობის მაღალი ალტერნატიული დანახარჯი, თუმცა პირიქით, თუ კომპანიას აქვს ზედმეტად დაბალი ნაღდი ფულის დონე, მაშინ ის დგება მოკლევადიანი ლიკვიდურობის პრობლემის წინაშე. ნაღდი ფულის ნაკლებობას შეუძლია კომპანია მიიყვანოს მოგების მარჟის დათმობამდე, რათა მოახდინოს ფულის შემოდინება, უარი თქვას საინვესტიციო შესაძლებლობებზე ან ხელი შეუშალოს კომპანიის გაფართოებას. კომპანიები, რომლებსაც შედარებით არასტაბილური შემოსავლები აქვთ, იძულებულნი არიან ფლობდნენ ნაღდი ფულის მაღალ დონეს, ხოლო კომპანიები, რომლებსაც გააჩნიათ სტაბილური ფულადი ნაკადები და კარგი საკრედიტო რეიტინგი, შესაძლებლობა აქვთ შედარებით ნაკლები ნაღდი ფული იქონიონ, რადგან მათი ფულადი ნაკადების პროგნოზი შედარებით ზუსტია და გაუთვალისწინებელი გადინებების პირობებშიც კი ხელი მიუწვდებათ რესურსების მოზიდვის გარე წყაროებზე. ნაღდი ფულის მაღალი დონის ქონის ერთადერთი დადებითი მხარეა საინვესტიციო შესაძლებლობების მარტივი გამოყენება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გარე და შიდა დაფინანსების წყაროების ღირებულება რადიკალურად განსხვავებულია. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ფულის ოპტიმალური ბალანსის დადგენა თითოეული კომპანიისთვის.

პრაქტიკაში სახსრების ოპტიმალური დონის დასადგენად გამოიყენება Baumol და Miller-Orr მოდელები. ბაუმოლის მოდელის მიხედვით, კომპანია იწყებს მუშაობას შესაბამისი თანხებით და შემდეგ თანდათან ხარჯავს მას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც კი ნაღდი ფული ამოიწურება ან მიაღწევს უსაფრთხოების დონეს, კომპანია ყიდის თავის მოკლევადიან ფასიან ქაღალდებს და ავსებს ნაღდი ფულის მარაგს თავდაპირველ ოდენობამდე. ეს მოდელი მისაღებია მხოლოდ იმ კომპანიებისთვის, რომელთა ფულადი შემოსავლები სტაბილური და პროგნოზირებადია.

$$Q = \frac{2 \sqrt{V \cdot C}}{r}$$

სადაც Q - ფულის ოპტიმალური დონეა;

V - ნაღდი ფულის პროგნოზირებული რაოდენობა პერიოდში (თვე, კვარტალი, წელი);

C - ტრანზაქციული დანახარჯი;

r - მოკლევადიანი ფინანსური ინვესტიციებისთვის კომპანიის მისაღები შემოსავალი.

აღნიშნული მოდელი გვიჩვენებს, რომ ნაღდი ფულის ოპტიმალური დონე ინტენსიურად იცვლება ტრანზაქციული დანახარჯების დონის ცვლილებასთან ერთად.

ბაუმოლის მიდგომისგან განსხვავებით, Miller-Orr-ის მოდელი განკუთვნილია ისეთი შემთხვევისთვის, როდესაც ფულადი ნაკადები არაპროგნოზირებადი და ცვალებადია დროის პერიოდში, სანამ არ მიაღწევს გარკვეულ ზედა ზღვარს. როგორც კი ეს მოხდება, კომპანია იწყებს ფასიანი ქაღალდების ყიდვას, რათა დააბრუნოს სახსრების მარაგი ნორმალურ მდგომარეობაში, რომელსაც ეწოდება დაბრუნების წერტილი.

თუ ნაღდი ფულის მარაგი აღწევს ქვედა ზღვარს, მაშინ კომპანია ყიდის ფასიან ქაღალდებს ნაღდი ფულის მისაღებად, მისი მარაგის ნორმალურ ლიმიტამდე გასაზრდელად.

მოცემული მიდგომა ფულის ოპტიმალურ რაოდენობას წარმოადგენს ალბათობის დონით. სწორედ ამიტომ, ის ითვალისწინებს ფულადი ნაკადების მერყეობას. აღნიშნული მოდელის თანახმად, ფულადი ნაკადები მერყეობს ყოველდღიურად. ბაუმოლის მოდელის მსგავსად მოცემული მოდელის მთავარი დანიშნულებაა ფულად სახსრებზე მაქსიმალური სარგებლის მიღება, ლიკვიდობის შემცირების თავიდან აცილებით.

ფულადი ნაკადების ფორმირებაზე გავლენას ახდენს გარე და შიდა ფაქტორები. გარე ფაქტორებში განიხილება ფინანსური ბაზრის მდგომარეობა, კრედიტის ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობა და ა.შ. რაც შეეხება შიდა ფაქტორებს, მნიშვნელოვანია კომპანიის საოპერაციო ციკლი და სეზონურობა, რომელიც უკავშირდება პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას, საინვესტიციო პროგრამების აუცილებლობას, კომპანიის ამორტიზაციის პოლიტიკას.

დასკვნა

კომპანიის ფულადი ნაკადების ეფექტურ მართვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების განხილვისას წარმოვაჩინეთ ჩვენი პოზიციები ზოგადად ფულადი ნაკადების, მისი მართვისა და ანგარიშგების თეორიული საფუძვლების თაობაზე, კერძოდ:

- ფულადი ნაკადები, როგორც ლიკვიდობის წყარო;
- ფულადი ნაკადები, როგორც საკრედიტო რისკის მაჩვენებელი;
- ფულადი ნაკადების მინიმალური დონის განსაზღვრა და ჭარბ ფულად ნაკადებზე მიღებული სარგებლის მაქსიმიზაცია.

აღნიშნული მიმართულებები გვიჩვენებს ფულადი ნაკადების მნიშვნელობას კომპანიის საქმიანობაში. აღნიშნული მიმართულებების სწორ მართვას და ფულადი ნაკადების ეფექტურ განაწილებას საინვესტიციო, საოპერაციო და საფინანსო საქმიანობების მიხედვით, შეუძლია კომპანიის ლიკვიდობის ზრდა და საკრედიტო რისკის მინიმუმამდე დაყვანა.

ფულადი ნაკადების გაზომვისა და ანგარიშების მეთოდების განხილვიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მეთოდები ერთმანეთისგან განსხვავდება მხოლოდ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების გამოთვლის სპეციფიკით. თუ პირდაპირ მეთოდში შემომავალი და გამავალი ფულადი ნაკადების პირდაპირი წესით ხდება, არაპირდაპირი მეთოდის დროს, კომპანიის ფინანსური შედეგი, მოგება, კორექტირდება არაფულადი მუხლებით და ვილებთ წმინდა ფულად ნაკადს. აღნიშნული მეთოდი გაცილებით ინფორმაციულია კომპანიის მენეჯმენტისთვის, რადგან ის აჩვენებს კავშირს მიღებულ მოგებასა და ფულად ნაკადებს შორის.

ფულის მართვის მოდელების განხილვა საშუალებას გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ Miller-Orr-ს მოდელის უპირატესობა Baumol-ის მოდელთან შედარებით არის რეალისტური დაშვებები, კერძოდ Miller-Orr-ს მოდელი არ უშვებს ფულადი ნაკადების თანაბარი ოდენობით გადინებას, რასაც Baumol-ის მოდელში ვხვდებით. პირიქით, Miller-Orr-ს მოდელი გულისხმობს, რომ ფულადი ნაკადები მერყევია პერიოდის განმავლობაში, რაც, რა თქმა უნდა, გაცილებით რეალისტურია. აქედან გამომდინარე, მოცემული მოდელი მეტად გამოყენებადია Baumol-ის მოდელთან შედარებით.

ლიტერატურა:

- ქილაძე ი., გოგრიჭიანი ზ. (2011). ეკონომიკური ანალიზი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა “მერიდიანი”, თბილისი
- ქილაძე ი., გოგრიჭიანი ზ. (2018). ფინანსური ანალიზი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა “მერანი” თბილისი
- ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვახოვიჩი, უმცრ. (2009) ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
- Ross S., Westerfield R., Jordan B., G. Roberts (2015). „Fundamentals of Corporate Finance” 11th edition.

- Elliott B. and Elliott J. (2008). Financial Accounting and Reporting (12th edn).
- Richard A. Brealey, Stewart C. Myers, Franklin Allen (2017). Principles of Corporate Finance. 12th Edition

References:

- Chiladze I., Gogrichiani Z. (2011). ekonomikuri analizi. [Economic Analysis, Handbook, Publishing House “Meridiani” Tbilisi.] in Georgian
- Chiladze I., Gogrichiani Z. (2011). pinansuri analizi, [Financial Analysis, Handbook, Publishing House “Merani”, Tbilisi.] in Georgian
- James S. Van Horn, John M. Vakhovich Jr. (2009). pinansuri menejmentis sapudzvebi. [Fundamentals of Financial Management. Publishing House “Herald of Georgia”.] in Georgian
- Ross S., Westerfield R., Jordan B., G. Roberts (2015). „Fundamentals of Corporate Finance” 11th edition.
- Elliott B. and Elliott J. (2008). Financial Accounting and Reporting (12th edn).
- Richard A. Brealey, Stewart C. Myers, Franklin Allen (2017). Principles of Corporate Finance. 12th Edition.

About Effective Cash Flow Management of the Company

Khatuna Barbakadze

Associate Professor

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University
khatuna.barakadze@tsu.ge*

Nato Kakashvili

Assistant Professor

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Nato.kakashvili@tsu.ge*

Managing company's cash flow is part of the financial activities that are important to the overall stability of the business. Competition between companies makes it difficult to increase profit as well as maintain positive cash flows. While the main goal of companies is to increase profit and market share, less attention is paid to forecasting and managing cash flows. Cash flow is a driving force for any company and developing the right management strategy is vital to any sector of the economy.

The aim of the research is to discuss the theoretical-methodological aspects related to cash flow management and to evaluate the factors affecting cash flow in order to improve the company's cash flow management.

Based on the consideration of cash flow measurement and reporting methods, we can say that these methods differ from each other only by the specifics of calculating cash flows obtained from operating activities. If the direct method of incoming and outgoing cash flows occurs directly, in the indirect method, the financial result of the company, profit, is adjusted for non-cash items and we receive the net cash flow. This method is much more informative for the company's management as it shows the relationship between the profit earned and the cash flow.

A review of money management models allows us to say that the advantages of the Miller-Orr model over the Baumol model lie in the realistic assumptions, namely that the Miller-Orr model does not allow an equal amount of cash flow to be found in the Baumol model. Conversely, the Miller-Orr model assumes that cash flows fluctuate over time, which is, of course, much more realistic. Therefore, this model is more usable than the Baumol model.

Keywords: *Cash flow, cash flow management, cash flow management methods, cash flow management models.*

JEL Codes: *G30, G32, G38*

მწვანე გადასახადები, ბიოეკონომიკა და საქართველოს აგრარული სექტორის მდგრადი განვითარება

ვაჟა ვერულიძე

პროფესორი

ბათუმის შოთა ჰუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

vazha.verulidze@bsu.edu.ge

სილაჩიბის დაძვევის, უმუშევრობის შემცირებისა და ცხოვრების დონის ჰეაღუი ზიღისთვის, ამ ეტაპზე, აგაიჰუდ სექტოჰს საქიჰველო-სათვის გადამწყვეტი ჰორი ეკისიება. მიუხედავად ამისა, ქვეყნის სა-სუიასათო უსაფიჰოებოსა და სუიასათის უვნებდობის უზიუნველყოფის საკითხი, ასევე, მწვანე ეკონომიკის ჰორი, ჰოგოიცი ეკოლოგიუი, ეკონომიკუი და სოციადუი კეთიღლეობის ზიღის ადგიჰნატიუდი ხეღვა, გაიემოს დეგადაციის გაიეშე, მდგაღი განვითაიების შენაიუნების პიიოებში, სათანადოდ აი აიის შესწავლიდი. შესაბამისად, კვღვის მი-ზანია მწვანე გადასახადების შემოღებისა და ბიოეკონომიკის განვი-თაიების ხეღშეწყობის შესახებ იეკომენდაციების შემუშავება, აგაიჰუ-დი სექტოიის მდგაღი განვითაიებისათვის.

ბიოეკონომიკის განვითაიების სტიმულიებით განპიიოებუდმა აგოსასუიასათო სექტოიის გიანსფოიიაციის პიოცესმა ევიოპასა და სხვა ქვეყნებში, საქაიჰველოსათვის, გააიინა ახადი შესადღებდობა, მწვანე ეკონომიკის ხეღშეწყობის გზით, უზიუნველყოს ინვესტიციე-ბის მოზიღვა დაიგში, ეკონომიკის მდგაღი განვითაიება და ექსპოიის ზიღა, იაც დღემდე დაუდღევედ პიობღემაღ იიება.

საქაიჰველოსთვის განსაკუთიებით მნიშვნელოვანია ევიოკავში-ითან გაფოიიებუდი ასოციიების შეთანხმება, ჰომღის ფაიგღებში შე-სადღებუდი გახება გამოიკვეთოს მწვანე გადასახადების ადგიდიც, ჰო-გოიცი გაიემოსდაციითი ფუნქციის გადღიეიების თვადსაზიისით, ასევე ეკოლოგიუაღ სუფთა პიოღუქციის წაიიოების წახადისების მიზნით.

საქაიჰველოს ჰოგოიცი მციიე ეკონომიკის ქვეყანას, შეუდღია გა-აგაიოს შედაიებით აგეუსიუდი პოღიტიკა მწვანე გადასახადების სიუდ-

ფასოვნად დანეხვისა და ბიოეკონომიკის განვითარების სტიმულირების მიმართებით.

საკვანძო სიგეები: მწვანე გადასახადები, ბიოეკონომიკა, აგრიკულტურის სექტორის მდგრადი განვითარება.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში, ორი ათეული წლის განმავლობაში, განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა ეკონომიკური ზრდის კორელაცია გარემოს დაბინძურებასა და ბუნებრივი რესურსების მარაგების ამონურვასთან, ასევე კლიმატის ცვლილებებით განპირობებულ ნეგატიურ ზემოქმედებასთან გარემოზე, რომელიც უახლოეს მომავალში ვეღარ უზრუნველყოფს მომავალი თაობების ჯანსაღ ბუნებრივ პირობებში არსებობას. ამიტომ ეკონომიკის მდგრადი განვითარების შენარჩუნება, უკავშირდება ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებას, ბიოეკონომიკის სტიმულირებასა და მწვანე გადასახადების შემოღებას. ბიოეკონომიკის მხარდამჭერი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მწვანე გადასახადების შემოღება ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის განვითარების სტიმულირებას, გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დეგრადაციის შეფერხებას, სასურსათო უსაფრთხოების მიღწევას, ბუნებრივი რესურსების ეფექტიან მართვას და არაგანახლებად რესურსებზე დამოკიდებულების შემცირებას.

მწვანე გადასახადებით გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების პრევენცია და აგრარული სექტორის განვითარების ხელშეწყობა

მწვანე, იგივე ეკოლოგიური, გადასახადები მოწოდებულია დაბეგროს ისეთი ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს გარემოს. მისი მიზანია, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური გავლენის პრევენცია და გარემოს დაბინძურების შეჩერება. ის მოიცავს გადასახადებს ენერჯიაზე, ტრანსპორტზე, გარემოს დაბინძურებასა და ბუნებრივ რესურსებზე. თავის მხრივ, გადასახადები ენერჯიაზე წარმოდგენილია გადასახადით ენერგომატარებლებსა და ელექტროენერჯიაზე.

მწვანე გადასახადები, უმეტეს შემთხვევაში აქციზის გადასახადებია, რაც დანესებულია ისეთი პროდუქტის წარმოებაზე, რომელიც უკავშირდება სითბური გაზების გამოყოფას. ამ გადასახადების მიზანია, ხელი შეუშალოს გარემოს დამაბინძურებელ ეკონომიკურ საქმიანობას მინიმალურ

რი დანახარჯებით იმისათვის, რომ შეამციროს და გააკონტროლოს ეკოლოგიურად მავნე გამონაყოფი (Singh, S., Halder, N., & Bhattacharya, A. 2018). ვინაიდან გარემოს გაჭუჭყიანება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საზოგადოებას და ზრდის ჯანდაცვის ხარჯებს, მწვანე გადასახადები წარმოდგენილია როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი, რაც შემუშავებულია ფასების ასამაღლებლად გარემოსთვის ზიანის მიმყენებელ საქმიანობასა და საქონელზე.

საქართველოში, სათანადოდ არ არის შესწავლილი მწვანე გადასახადების როლი, გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიღწევისა და შენარჩუნების პროცესში, ვინაიდან არ არის შეფასებული მოსალოდნელი შედეგი, რომელიც შეიძლება დადგეს ეკონომიკური ზრდის პარალელურად, გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების მარაგების ამოწურვის შემთხვევაში. ეს პროცესები შეაფერხებს ან საბოლოოდ შეაჩერებს ეკონომიკის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს. ქვეყანაში არ მიმდინარეობს საგადასახადო სისტემის სრულყოფა ქვეყნის ეკოლოგიური ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო მწვანე გადასახადები ვერ იძენს გარემოსდაცვით ფუნქციას. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების მომავალი კი პირდაპირ კავშირშია ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტის წარმოების სტიმულირების მეთოდების გამოყენებასა და ეკოლოგიურად არასასურველი საქმიანობის შეზღუდვასთან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ნაკლებად არის განვითარებული ინდუსტრიული წარმოება, დღეს არსებული ეკონომიკური სისტემის პირობებშიც კი, მაქსიმალურად ხორციელდება ბუნებრივი რესურსების ათვისება და ხშირ შემთხვევაში, გარემოზე ზემოქმედების ნეგატიური ფაქტორის გაუთვალისწინებლობა. სათანადოდ არ მუშაობს საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, რომლის მიზანია „ხელი შეუწყოს გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობების დაცვას, ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელების პროცესში, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე“ (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი)

ამჟამად საქართველოში მწვანე გადასახადის ფუნქციას გარკვეულწილად ასრულებს აქციზის გადასახადი რომელიც დაწესებულია მსუბუქ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე. აღნიშნული გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ნავთობპროდუქტებზე, ნავთობის დისტილატებსა და ბუნებრივ აირზე (აქციზის გადასახადი). თუმცა, აქციზის გადასახადის ზრდის მიზეზი იყო არა გარემოსდაცვითი

ფუნქციის გაძლიერება, არამედ მოგების საგადასახადო რეფორმის პირობებში, ბიუჯეტის შემოსავლების მოსალოდნელი შემცირების შეჩერება. იმისათვის, რომ ქვეყანაში თანდათანობით დაინერგოს მწვანე გადასახადები, რომლებიც სათანადოდ შეასრულებს გარემოსდაცვით ფუნქციას, თავდაპირველ ეტაპზე, მიზანშეწონილია გადაიხედოს ტრანსპორტსა და გარემოს დაბინძურებაზე არსებული გადასახდები, ეკოლოგიური ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო შემდგომ ეტაპზე კი შემორებული იქნას გადასახადები ენერჯიაზე.

საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს გარემოსდაცვითი ღონისძიებების საჭიროებას, მათ შორის გადასახადების მეშვეობითაც. საქართველოს კანონში „გარემოს დაცვის შესახებ“ აღნიშნულია: „გარემოს დაცვის ეკონომიკური სტიმულირების მიზანია უნარჩენო, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები, ეკოლოგიურად სუფთა, მცირენარჩენიანი საუკეთესო ტექნოლოგიისა და ტექნიკის დამუშავებისა და დანერგვის, მეორადი ნედლეულის გამოყენების, ეფექტიანი გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა, რაც შეიძლება განხორციელდეს:

ა) რეკლამით გარემოს დაცვის საკითხებზე;

ბ) საგადასახადო შეღავათით;

გ) შეღავათიანი სახელმწიფო კრედიტით“ (კანონი გარემოს დაცვის შესახებ).

სინამდვილეში, ქვეყნის ეკოლოგიური პოლიტიკა ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, რასაც ადასტურებს ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსი, რომლის მიხედვითაც, საქართველოში ბოლო 10 წლის მანძილზე მდგომარეობა ეკოლოგიური მიმართულებით არის გაუარესებული და 2020 წლის მონაცემებით, წარმოდგენილ კლასიფიკაციაში ის 102-ე პოზიციაზეა 41,3 ქულით (Environmental Performance Index).


საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, სადაც ფუნქციონირებს სამრეწველო დანიშნულების ობიექტები, მდგომარეობა სავალალოა, როგორც გარემოზე ზემოქმედების, ასევე ადამიანის ჯანმრთელობის თვალსაზრისითაც, ამიტომ საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმება, რომელიც გულისხმობს ევროპული პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი სტანდარტების დანერგვას ქვეყანაში. აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში, შესაძლებელი გახდება გამოიკვეთოს მწვანე გადასახადების ადგილიც, ერთი მხრივ გარემოსდაცვითი ფუნქციის გაძლიერების თვალსაზრისით, ხოლო მეორე მხრივ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების წახალისების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის მდგრად განვითარებას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირში 2023 წლიდან,

ამოქმედდება ნახშირბადის გადასახადი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებულ პროდუქციაზე დააწესებს დამატებით მოსაკრებელს, რაც საქართველოსთვისაც გახდება გასათვალისწინებელი.

გარდა იმისა, რომ მწვანე გადასახადებს გააჩნია გარემოსდაცვითი ფუნქცია, ის ამავე დროს წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსავლის წყაროს (იხ. დიაგრამა 1).

ეკოლოგიური გადასახადების წილი, საგადასახადო შემოსავლებსა და მშპ-ში 2019წ.

დიაგრამა 1



წყარო: <https://www.compareyourcountry.org/environmental-taxes>

როგორც დიაგრამიდან ჩანს, განვითარებული ქვეყნების საგადასახადო შემოსავლებსა და მშპ-ში ეკოლოგიური გადასახადების წილი დაბალია, ხოლო მცირე ეკონომიკის ქვეყნებში – მაღალი, ვინაიდან მათ ახალ რეალობასთან ადაპტირების მეტი უნარი გააჩნიათ.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მწვანე განვითარებას განსაზღვრავს, როგორც ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობ გადაწყვეტილებას, რომელიც აფერხებს გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დეგრადაციას და ამცირებს ბუნებრივი რესურსების დანაკარგებს (Fan X., Li X., & Yin J. 2019).


საქართველოს მწვანე ეკონომიკის სტრატეგიის მიხედვით, გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურული ინვესტიციები სოფლის მეურნე-

ობაში. მწვანე ეკონომიკის სექტორის ფორმირება სოფლის მეურნეობის მიმართულებით, განაპირობა ბიოეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალის არსებობამ ქვეყანაში, რომლის გონივრული გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სრულყოფილი აგრარული პოლიტიკის შემთხვევაში. არსებული პოლიტიკის პირობებში, სოფლის მეურნეობის დარგი სათანადოდ ვერ ვითარდება და ვერ უმკლავდება კონკურენციას ვერც გარე და ვერც შიდა ბაზარზე, ყოველწლიურად ხორციელდება საშუალოდ ერთი მლრდ დოლარის საკვები პროდუქტებისა და სასმელების იმპორტი, მცირეა დარგში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების მოცულობაც (იხ. დიაგრამა 2).

ქვეყნის რესურსული პოტენციალიდან გამომდინარე, მწირია უმსხვილეს საექსპორტო სასაქონლო პოზიციებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი და ის შემოიფარგლება მხოლოდ: ყურძნის ნატურალური ღვინოებით, მინერალური და მტკნარი წყლებით, სპირტიანი სასმელებით, თხილით და სხვ.

საკვები პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის დინამიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა საქართველოს სოფლის მეურნეობაში

დიაგრამა 2



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <https://www.geostat.ge/ka>

ეკოლოგიური მიზნების მიღწევა აგრარულ სექტორში შესაძლებელია საგადასახადო შეღავათების შემოღების შემთხვევაშიც, რომელიც „გარე-

მოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლოა გამოყენებული იქნეს როგორც გარემოს დაცვის ეკონომიკური სტიმულირების, მათ შორის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების მიზნით. აღნიშნული სახის შეღავათები, მისი მიზნიდან გამომდინარე, შეითავსებს მწვანე გადასახადის ფუნქციასაც. კერძოდ, საგადასახადო შეღავათი შესაძლოა ითვალისწინებდეს, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებასთან დაკავშირებული აგროსამრეწველო პროცესის დამატებული ღირებულების გადასახადის ტვირთისგან გათავისუფლდებას ან მისი განაკვეთის შემცირებას.

მწვანე ეკონომიკის განვითარების პირობებში, ქვეყანა შესაძლოა გახდეს ბიოპროდუქციის მწარმოებელი და მიმწოდებელი როგორც ევროკავშირის ასევე დანარჩენი ქვეყნებისათვის.

ბიოეკონომიკა შეიძლება გადაიქცეს ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად დარგად, განსხვავებით ტურისტული სექტორისგან, რომელიც ძალიან მყიდვე და არასაიმედოა კრიზისულ პერიოდებში.

ბიოეკონომიკის როლი აგროსექტორის ტრანსფორმაციისა და გარემოსდაცვით პროცესში

საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ალტერნატიული გზა, ბიოეკონომიკის განვითარების ხელშეწყობაშია, სადაც ჯერ კიდევ გამოუყენებელი რესურსების ეფექტიანი მართვის პირობებში, შესაძლებელია სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტის შემცირება და ექსპორტის სტიმულირება, ეს არის ახალი შესაძლებლობა აგროსექტორის განვითარების და იმ რეალობის ცვლილებისათვის, რომელშიც საქართველო აღმოჩნდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში.

ბიოეკონომიკა მოიცავს ეკონომიკის ყველა სექტორს, რომლებიც იყენებენ ბიოლოგიურ რესურსებს, აქ შედის სოფლის მეურნეობა, თევზის მრეწველობა, კვების მრეწველობა, ტყავის მრეწველობა, ქიმიური მრეწველობა, ფარმაცევტული და კოსმეტიკური მრეწველობა, ტექსტილის მრეწველობა და ბიოენერჯეტიკის სექტორი.

საერთაშორისო ორგანიზაციები თანხმდებიან, რომ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტი არის ეკოლოგიური გადასახადები და ბიოეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.

ევროკომისია ბიოეკონომიკას განსაზღვრავს როგორც განახლებადი ბიოლოგიური რესურსების წარმოებას და ამ რესურსების გარდაქმნას დამატებული ღირებულების პროდუქტებად, როგორცაა საკვები პროდუქტები, ბიოპროდუქტები და ბიოენერჯეტიკა. ეკონომიკის ეს სექტორები გამო-

ირჩევა ძლიერი ინოვაციური პოტენციალით, ვინაიდან ისინი იყენებენ, სამრეწველო ტექნოლოგიებში არსებულ უახლეს სამეცნიერო მიღწევებს.


ბიოეკონომიკა ევროპის ქვეყნების მნიშვნელოვანი სექტორია, სადაც დასაქმებულია 18 მლნ ადამიანი. ის მოიცავს სოფლის მეურნეობას, აკვაკულტურას, ბიოენერჯეტიკას, ბიოსათბობს და ასევე ბიოლოგიურ საფუძველზე წარმოებულ ქიმიურ პრეპარატებსა და მასალებს (How the bioeconomy can boost a European Recovery. 2021).

ბიოეკონომიკა შესაძლოა გახდეს სისტემური ცვლილებების კატალიზატორი ევროკავშირის წევრი ქვეყნების წინაშე არსებული ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური გამოწვევების დაძლევის თვალსაზრისით. რომელიც გადანყვეტს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს (Deploying the Bioeconomy

in the EU. 2021). ევროკავშირის ქვეყნებში ყოველწლიურად იზრდება დამატებული ღირებულება ბიოეკონომიკაში (იხ. დიაგრამა 3)

ევროკავშირის ქვეყნებში დამატებული ღირებულების ზრდის მაჩვენებლები ბიოეკონომიკის ზოგიერთ სექტორში (ათასი აშშ დოლარი)

დიაგრამა 3



წყარო: <https://datam.jrc.ec.europa.eu/datam/mashup/BIOECONOMICS/>

2021 წელს, ევროკავშირში სოფლის მეურნეობისა და ბიოეკონომიკის მხარდაჭერისათვის გამოიყო 1 მლრდ ევრო, განსაკუთრებით ახალგაზრდა ფერმერებისათვის (Agriculture, bioeconomy and rural development OVERVIEW. 2021).

ბიოეკონომიკის განვითარების სტიმულირებით განპირობებულმა აგროსასურსათო სექტორის ტრანსფორმაციის პროცესმა ევროპასა და სხვა ქვეყნებში, საქართველოსათვის გააჩინა ახალი შესაძლებლობა, მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობის გზით, უზრუნველყოს ინვესტიციების მოზიდვა დარგში, ეკონომიკის მდგრადი განვითარება და ექსპორტის ზრდა, რაც დღემდე დაუძლეველ პრობლემად რჩება. აგროსასურსათო სექტორის ტრანსფორმაციის დაბალ ტემპზე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის დადგენილების „ბიონარმოების შესახებ“ ფორმალური ხასიათი, ვინაიდან აღნიშნული მიმართულებით რეალური ღონისძიებები არ განხორციელებულა და ბიოპროდუქტების წილი საქართველოს სოფლის მეურნეობაში 1%-ს არ აღემატება (კომერსანტი, 2021).

ბიოეკონომიკის მიზანია რამდენიმე სოციალური პრობლემის გადაჭრა: სასურსათო უსაფრთხოება, ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი მართვა, არაგანახლებად რესურსებზე დამოკიდებულების შემცირება, კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილება და მასთან ადაპტაცია, სამუშაო ადგილების შექმნა და კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერა. რაც შეეხება მწვანე გადასახადებს, ის ხელს უწყობს ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენებას, ქმნის მოტივაციას ინოვაციებისა და მდგრადი განვითარებისათვის და იცავენ გარემოს.

პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას, რომელიც მიმართული იქნება ორი გამოწვევისკენ – ეკონომიკის ზრდისა და კლიმატის ცვლილებისკენ, ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა გარემოს აღდგენისათვის მასზე ნეგატიური ზემოქმედების გარეშე. ცალკეული გადასახადების გაზრდა ამ შემთხვევაში იქნება გადამწყვეტის შესაძლებლობა და არა პრობლემა (Green taxation can help us recover from the Covid-19 crisis. 2021).

ბიომეურნეობისა განვითარებისა და ბიოეკონომიკის მხარდამჭერი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის შემთხვევაში, საქართველოს გააჩნია ბიოეკონომიკის განვითარების რესურსები მწვანე გადასახადებით სამეწარმეო საქმიანობის რეგულირების პირობებში.

საქართველოს როგორც მცირე ეკონომიკის ქვეყანას შეუძლია გაატაროს შედარებით აგრესული პოლიტიკა მწვანე გადასახადების სრულფასოვნად დანერგვისა და ბიოეკონომიკის განვითარების სტიმულირების მიმართულებით

დასკვნა

მსოფლიოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების, ეკონომიკების წინაშე არსებული გამოწვევების ფონზე, რომელიც დაკავშირებული

ლია კლიმატის ცვლილებებსა და ეკონომიკური ზრდის ნეგატიურ გავლენასთან გარემოზე, საქართველოში სათანადოდ არ არის შეფასებული, გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების მარაგების ამონურვის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგი, რაც შეაფერხებს ან საბოლოოდ შეაჩერებს ეკონომიკის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს, შესაბამისად მოქმედი საგადასახადო სისტემა არ ითვალისწინებს ქვეყნის ეკოლოგიურ ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში მწვანე გადასახადებს არ გააჩნია გარემოსდაცვითი ფუნქცია.

ქვეყნის ეკოლოგიური პოლიტიკა ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსის მიხედვით, საქართველოში, მდგომარეობა ეკოლოგიური მიმართულებით ბოლო 10 წლის განმავლობაში არის გაუარესებული.

ევროკავშირის ქვეყნებში, მწვანე გადასახადების შემოღებამ და ბიოეკონომიკის განვითარებამ ბიომეურნეობის პირობებში, დააჩქარა აგრარული სექტორის ტრანსფორმაცია, რამაც უნდა უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. დარგის წინაშე არსებული გამოწვევების ფონზე, საქართველოსათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა, რომელიც მწვანე გადასახადების ეტაპობრივი შემოღებით და ბიოეკონომიკის განვითარების სტიმულირებით უნდა დაიწყოს. აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, მათ შორის საგადასახადო სფეროში, ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის ეკონომიკის განვითარებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტის შემცირებას, ექსპორტის სტიმულირებას და დარგში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

ლიტერატურა:

- აქციზის გადასახადი. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2021) მუხლი 188, <https://matsne.gov.ge/document/view/1043717?publication=176> /ბოლო ნახვა 05 ოქტომბერი, 2021/
- საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ (2018) მუხლი 2, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=7> /ბოლო ნახვა 18 ნოემბერი, 2021/
- საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ (1996) მუხლი 18, <https://matsne.gov.ge/document/view/33340?publication=30> /ბოლო ნახვა 15 სექტემბერი, 2021/
- საქართველოს მთავრობის დადგენილება ბიონარმოების შესახებ. (2013) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1978999?publication=0> /ბოლო ნახვა 07 სექტემბერი, 2021/

- კომერსანტი. (2021) <https://commerciant.ge/ge/post/qartul-warmoebashi-bio-produqtetbis-wili-1-s-ar-agemateba> /ბოლო ნახვა 30 ივლისი, 2021/
- Environmental Performance Index (2020). <https://epi.yale.edu/epi-results/2020/component/epi> Access:12.04.2021. /ბოლო ნახვა 10 ნოემბერი, 2021/
- Singh S., Haldar N., Bhattacharya A. (2018). Offshore Manufacturing Contract Design Based on Transfer Price Considering Green Tax: a Bilevel Programming Approach. *International Journal of Production Research*, 56(5). *International Journal of Production Research*, 56(5). <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/00207543.2016.1144940> /ბოლო ნახვა 2 ნოემბერი, 2021/
- Fan, X., Li, X., & Yin, J. (2019). Impact of Environmental Tax on Green Development: A Nonlinear Dynamical System Analysis. *PLoS ONE*, 14(9), 1–23. <https://doi.org/10.1371/journal.pone.0221264> /ბოლო ნახვა 12 აგვისტო, 2021/
- How the Bioeconomy Can Boost a European Recovery. https://assets.website-files.com/5ed8dd9996405be0c57fc7ff/5f58d339e036020c059efdcf_BioAdvantageEurope_PolicyPaper_EuropeanRecovery.pdf /ბოლო ნახვა 03 ნოემბერი, 2021/
- Deploying the Bioeconomy in the EU: A Framework Approach for Bioeconomy Strategy Development. https://bioeast.eu/wp-content/uploads/2021/07/PSF-Final-Report_Deploying-the-Bioeconomy-in-the-EU_A-Framework-approach-for-bioeconomy-strategy-development_July-2021.pdf /ბოლო ნახვა 09 ნოემბერი, 2021/
- Green Taxation Can Help us Recover rom the Covid-19 Crisis. Here’s how. <https://www.climatechangenews.com/2021/08/16/green-taxation-can-help-us-recover-covid-19-crisis-heres/> /ბოლო ნახვა 11 ნოემბერი, 2021/
- Agriculture, Bioeconomy and Rural Development OVERVIEW (2021). https://www.eib.org/attachments/thematic/agriculture_bioeconomy_and_rural_development_overview_2021_en.pdf /ბოლო ნახვა 11 ნოემბერი, 2021/

References:

- aktsizis gadasakhadi. sakartvelos sagadasakhado kodeksi (2021) mukhli 188. [Excise duty. Tax Code of Georgia (2021) Article 188.] (in Georgian). <https://matsne.gov.ge/document/view/1043717?publication=176> last seen 05.10. 2021.
- sakartvelos kanoni „garemosdatsviti shepasebis kodeksi“ (2018) mukhli 2. [Law of Georgia “Environmental Assessment Code” (2018) Article 2.] (in Georgian). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=7> last seen 18.11. 2021
- sakartvelos kanoni „garemos datsvis shesakheb“ (1996) mukhli 18. [Law of Georgia on Environmental Protection (1996) Article 18. (in Georgian). <https://matsne.gov.ge/document/view/33340?publication=30> last seen 15. 09. 2021.
- sakartvelos mtavrobis dadgenileba biotsarmoebis shesakheb. (2013) [Resolution of the Government of Georgia on organic production.] (in Georgian). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1978999?publication=0> last seen 07.09. 2021.
- komersanti. (2021). [Commerciant. (2021).] (in Georgian). <https://commerciant.ge/>

ge/post/qartul-warmoebashi-bio-produqtebis-wili-1-s-ar-agemateba last seen 30.VII. 2021.

- Environmental Performance Index (2020). <https://epi.yale.edu/epi-results/2020/component/epi> Access:12.04.2021. last seen 10.11. 2021
- Singh S., Halder N., Bhattacharya A. (2018). Offshore Manufacturing Contract Design Based on Transfer Price Considering Green Tax: a Bilevel Programming Approach. *International Journal of Production Research*, 56(5). <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/00207543.2016.1144940> /last seen 2.11 2021
- Fan, X., Li, X., & Yin, J. (2019). Impact of Environmental Tax on Green Development: A Nonlinear Dynamical System Analysis. *PLoS ONE*, 14(9), 1–23. <https://doi.org/10.1371/journal.pone.0221264>. last seen 12.VIII. 2021
- How the Bioeconomy can Boost a European Recovery. https://assets.website-files.com/5ed8dd9996405be0c57fc7ff/5f58d339e036020c059efdcf_BioAdvantageEurope_PolicyPaper_EuropeanRecovery.pdf last seen 03.11. 2021
- Deploying the Bioeconomy in the EU: A Framework Approach for Bioeconomy Strategy Development. https://bioeast.eu/wp-content/uploads/2021/07/PSF-Final-Report_Deploying-the-Bioeconomy-in-the-EU_A-Framework-approach-for-bioeconomy-strategy-development_July-2021.pdf. last seen 09.11. 2021
- Green Taxation Can Help us Recover from the Covid-19 Crisis. Here's how. <https://www.climatechangenews.com/2021/08/16/green-taxation-can-help-us-recover-covid-19-crisis-heres/> last seen 11.11. 2021
- Agriculture, Bioeconomy and Rural Development OVERVIEW (2021). https://www.eib.org/attachments/thematic/agriculture_bioeconomy_and_rural_development_overview_2021_en.pdf last seen 11. 11. 2021

Green Taxes, Bioeconomy and Sustainable Development of Georgian Agricultural Sector

Vazha Verulidze

Professor

Batumi Shota Rustaveli State University

vazha.verulidze@bsu.edu.ge

The present-day world faces many challenges, among them is a negative impact of climate change on the environment and maintaining a stable economic growth under the conditions of the existing economic system because this system causes degradation of the environment and exhaustion of natural resources. Therefore, sustainable economic development is associated with efficient use of natural resources, boosting of bioeconomy, and implementing green taxation.

In Georgia, the role of green taxes in achieving a long-term sustainable development of the economy and maintaining it is not sufficiently explored. The aim of the research is to demonstrate the substance and importance of bioeconomy and green taxes, for ensuring sustainable development of the agricultural sector.

In accordance with the green economy strategy of Georgia, infrastructural investments are envisaged in the agricultural sector. The formation of the green economy sector in agriculture is caused by the existence of significant potential for the development of bioeconomy in the country.

In case of development and implementation of a state policy supporting organic farms and bioeconomy, Georgia has resources to develop this sector, in conditions of regulating entrepreneurial activities by green taxes.

Georgia, as a country with a small economy, can pursue a relatively aggressive policy for comprehensive implementation of green taxes and promotion of bioeconomy.

Legislation amendments implemented in this direction, including in the taxation field, will help the sustainable development of the agricultural sector and improvement of the investment environment.

Keywords: *Green Taxes, Bioeconomics, Sustainable Development of Agrarian Sector.*

JEL Codes: *O13, Q01,*

საქართველოს მობილური ოპერატორების მომგებიანობისა და ფინანსური სტაბილურობის შეფასების აქტუალური საკითხები

გელა წითელაშვილი

დოქტორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
gelatsitelashvili@gmail.com.

წინამდებარე სტატიის მიზანია საქართველოს სატელეკომუნიკაციო დახვის წამყვანი მობილური ოპერატორების (კომპანიების) მომგებიანობის და ფინანსური სტაბილურობის ხაზისხის შეფასება და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული კომპანიების მომგებიანობისა და ფინანსური სტაბილურობის შეფასება მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ 2022 წლიდან საქართველოში იგეგმება მობილური ვიდეო-სერვისების ოპერატორების დაშვება უკვე არსებული კომპანიების საკომუნიკაციო ქსელებზე, ხაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საბაზო კონკურენციაზე და შესაბამისად მომგებიანობის მაჩვენებლებზე.

ნაშრომში გამოყენებულია საანალიზო კომპანიების ფინანსური ანგარიშების აღიქმული ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც გაანალიზებულია სამიზნე კომპანიების აქტივების მომგებიანობისა და ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები. ამასთანავე, ჩატარებული აქტივების მომგებიანობის მრავალფაქტორული ანალიზის საფუძველზეც გამოტანილია შესაბამისი დასკვნები და შემუშავებულია სათანადო რეკომენდაციები.

იმისათვის, ხათა შეფასებულიყო კოორდინაციის გავლენა საქართველოს სატელეკომუნიკაციო დახვის წამყვან კომპანიებზე, კვლევა შესრულებულია კოორდინაციის პანდემიის დაწყებამდე და პანდემიის პერიოდში. საანალიზო ობიექტებში გამოვლენილ იქნა აქტივების მომგებიანობის ცვლილებაზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორების დადებითი და უარყოფითი გავლენის ტენდენციები. ამასთან, შეფასებულია საანალიზო კომპანიების გადახდისუნარიანობისა და ფინანსური დამოუკიდებლობის ხაზისხი.

ჩატახებული კვლევის საფუძველზე შემუშავებულ იქნა საანადიზო საწახმოების მომგებიანობისა და ფინანსური სტაბილურობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები.

საკვანძო სიტყვები: მოგება, მომგებიანობა, მომგებიანობის ფაქტორული მოდელი, ფინანსური სტაბილურობა, ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები.

შესავალი

მომგებიანობა და ფინანსური სტაბილურობა ბიზნესის უპირველესი მიზანია, რომელთა გარეშე კომპანიის განვითარება და საერთოდ, გადარჩენა გრძელვადიან პერიოდში შეუძლებელია, შესაბამისად, ამა თუ იმ კომპანიის მენეჯმენტისათვის წარსული მომგებიანობის ანალიზის საფუძველზე სამომავლო მომგებიანობისა და ფინანსური სტაბილურობის ამალღების ადეკვატური გადაწყვეტილებების შემუშავება მუდამ მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

რაც შეეხება საკვლევი დარგის თავისებურებებს და პრობლემის აქტუალობას, საქართველოში მობილური სატელეკომუნიკაციო დარგის განვითარება 1996 წლიდან, ხოლო რეგულირება 1999 წლიდან იწყება. აღსანიშნავია, რომ ამ დროიდან მოყოლებული ქართულ სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მარეგულირებელ ორგანოდ საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია არის წარმოდგენილი, რომლის შექმნის წინაპირობა საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წლის 23 ივლისს მიღებული კანონი „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ გახდა. აღნიშნულის შედეგად კომუნიკაციების კომისიამ შეიძინა ფართო უფლებამოსილებები, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ბაზრის მონაწილეებისათვის ტარიფების დაწესების და ბაზარზე კონკურენციის რეგულირების ფუნქცია. ბუნებრივია, რომ მოცემული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ კომუნიკაციის კომისიის გადაწყვეტილებები საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე არსებული ყველა კომპანიის ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი დეტერმინანტი გახდა. შპს „მაგთიკომი“ იყო საქართველოში პირველი მობილური ოპერატორი, რომელიც 1996 წლის 12 თებერვალს დაარსდა, ხოლო პირველი კომერციული ზარი კომპანიამ 1997 წლის 22 სექტემბერს განახორციელა.

შპს „მაგთიკომის“ დაარსებისთანავე საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე გამოჩნდა მეორე მობილური ოპერატორი - შპს „ჯეოსელი“, რომელიც, შპს „მაგთიკომის“ მსგავსად 1996 წელს დაფუძნდა, ხოლო პირველი კომერციული ზარი 1997 წლის 15 მარტს განახორციელა. 2018 წელს

საქართველოს საკომუნიკაციო დარგში უმსხვილესი ტრანსაქციის შედეგად შპს „ჯეოსელი“ ქვეყნის უდიდესი სატელეკომუნიკაციო კომპანიის, სს „სილქნეტის“ შვილობილი კომპანია გახდა. ტრანსაქციის ღირებულებამ 153 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მესამე და ჯერჯერობით უკანასკნელი მობილური ოპერატორი შპს „ვიონი საქართველო“ გახდა, რომელმაც ბრენდი „ბილაინის“ მეშვეობით პირველი კომერციული მობილური კავშირი 2007 წლის 15 მარტს დაამყარა. მას შემდეგ კომპანია დინამიკურად ვითარდება და სადღეისოდ მის 1.3 მლნ მომხმარებელს უზრუნველყოფს უსადენო სატელეფონო მომსახურებით.

საინტერესოა, რომ აღნიშნული სამი კომპანია ერთად აკონტროლებს საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის 80-90%-ს, შესაბამისად, აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიების ანალიზი გულისხმობს მთლიანად საქართველოს სატელეკომუნიკაციო დარგის ანალიზსაც, რაც დამატებით ფასეულობას სძენს წინამდებარე ნაშრომს. კვლევა აქტუალურია იმ მხრივაც, რომ დღესდღეობით საქართველოს ბაზარზე ოპერირებს მხოლოდ სამი მობილური ოპერატორი და აქედან გამომდინარე რომელიმე მათგანის ფინანსური სიძნელეები მნიშვნელოვნად აისახება დარგის კონიუქტურაზე.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სტატიის მიზანს წარმოადგენს საანალიზო საწარმოების მომგებიანობისა და ფინანსური სტაბილურობის ანალიზის თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების შესწავლა და მათი გამოყენების შესაძლებლობის გამოვლენა. აგრეთვე მომგებიანობის გაჯანსაღების ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად ჩამოყალიბდა შემდეგი ამოცანები :

- სატელეკომუნიკაციო სფეროს სპეციფიკის გაცნობა;
- მომგებიანობისა და ფინანსური სტაბილურობის ანალიზის სტრატეგიისა და მეთოდის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არსებული შეხედულებების შესწავლა და მათი ანალიზის საფუძველზე საკუთარი ხედვის ჩამოყალიბება;
- საანალიზო საწარმოების მომგებიანობისა და ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელთა ანალიზი და საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.

ლიტერატურის მიმოხილვა

თეორიული თვალსაზრისით, მოგება არის კომპანიის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა. ის საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის

აბსოლუტური მაჩვენებელია. სანარმოს შემოსავლის გამომუშავება შეუძლია სხვადასხვა ბიზნეს-საქმიანობიდან, რომელთაგან უმთავრესი საკუთარი პროდუქციის ან მომსახურების რეალიზაციაა. რაც შეეხება კომპანიის ხარჯებს, ისინი წარმოიქმნება კომპანიის სხვადასხვა ტიპის აქტივობის შედეგად, როგორცაა წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის ან მომსახურების თვითღირებულება (ჭილაძე, 2018. 276).

აღსანიშნავია, რომ კომპანიის მომგებიანობის ანალიზი აჩვენებს თუ რამდენად ეფექტიანად შეუძლია ბიზნესს საკუთარი ოპერაციების წარმართვა და ბაზარზე ოპერირება. მომგებიანობის ანალიზი ასევე ეხმარება კომპანიის მენეჯმენტს, განსაზღვროს ბიზნესის სამომავლო ნაბიჯები, რომელიც ბუნებრივია, შეცვლის კომპანიის საპროგნოზო მომგებიანობას, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს კომპანიის და აქციონერთა ღირებულებას (Penman, 2013. 364).

აღსანიშნავია, რომ კომპანიის ღირებულება სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორებიდან იქმნება, შესაბამისად, ბიზნესის მომგებიანობის ანალიზისას მნიშვნელოვანია მოხდეს აღნიშნული ფაქტორების იდენტიფიცირება და გაზომვა. აქედან გამომდინარე, ბიზნესის მომგებიანობის ანალიზი შესაძლოა განხილული იქნას, როგორც მმართველობითი დაგეგმვის, სტრატეგიული ანალიზის და სწორი გადაწყვეტილების შემუშავებისათვის საჭირო ინსტრუმენტი. აუცილებელია, რომ კომპანიის მენეჯმენტმა სწორად განსაზღვროს ბიზნესის მომგებიანობაზე მოქმედი ფაქტორები და მისი ცვლილების შესაძლო ამპლიტუდა სხვადასხვა ბიზნეს გადაწყვეტილებების დანერგვის შემდგომ და ამასთანავე გავლენა კომპანიის აქციონერთა ღირებულების სიდიდეზე (Penman, 2013. 365).

აღსანიშნავია, რომ მომგებიანობის განმარტება შესაძლებელია, როგორც სააღრიცხვო მოგების, ასევე ეკონომიკური მოგების მაჩვენებლების მეშვეობით (Peterson & Fabozzi, 1999. 225). კომპანიები საკუთარი მოგების გაანგარიშებისას ე.წ. სააღრიცხვო მოგების წესს იყენებენ, რომელიც გულისხმობს იმას, რომ კომპანიამ მოგება უნდა გამოთვალოს აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მეთოდის შესაბამისად აღიარებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობით. სააღრიცხვო მოგების უპირატესობა იმაშია, რომ ის საშუალებას აძლევს მენეჯმენტს, მოგებისა და მომგებიანობის მაჩვენებლები შეადაროს როგორც წინა წლების, ასევე სხვა საწარმოების მაჩვენებლებს.

რაც შეეხება ეკონომიკურ მოგებას, აღნიშნული მაჩვენებელი კომპანიის შემოსავლებიდან არა მარტო რეალური, ხილული ხარჯების გამოკლებით, არამედ აგრეთვე სხვადასხვა ალტერნატიული დანახარჯის გათვალისწინებითაც გამოითვლება, რომელიც გულისხმობს კომპანიის მიერ ხელიდან გაშვებულ სხვადასხვა საინვესტიციო შესაძლებლობებიდან მისაღებ უკუგებას (Hargrave, 2021). ეკონომიკური მოგების მნიშვნელობა

ისაა, რომ ის ქმნის საწარმოს მოგების მეტად ზუსტ და ყოვლისმომცველ სურათს უფრო სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.


საინტერესოა, რომ სააღრიცხვო მოგებასა და ეკონომიკურ მოგებას შორის არსებობს ორი მნიშვნელოვანი განსხვავება. პირველი უკავშირდება კომპანიის კაპიტალის ღირებულებას. როგორც უკვე აღინიშნა, სააღრიცხვო მოგება არის კომპანიის მიერ დანერგილი აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით სააღრიცხვო პერიოდში წარმოქმნილი შემოსავლების და ხარჯების სხვაობა. რაც შეეხება ეკონომიკურ მოგებას, ამ შემთხვევაში ხარჯებს ემატება კომპანიის კაპიტალის ღირებულება, როგორც ალტერნატიული დანახარჯი.

სააღრიცხვო და ეკონომიკურ მოგებას შორის მეორე განსხვავება გულისხმობს იმას, რომ განსხვავებულია შემოსავლების და ხარჯების აღიარების პრინციპები. კომპანიები სააღრიცხვო მოგებას გამოითვლიან დააღრიცხვის მეთოდით, ხოლო ეკონომიკური მოგების გამოთვლის საფუძველი ფულადი პრინციპია. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური მოგების გამოთვლამდე საჭიროა სააღრიცხვო მოგების გამოთვლა და შემდეგ მისი კორექტირება სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი მაჩვენებლებით.

მომგებიანობა ახასიათებს რესურსების გამოყენების ხარისხს, მის ეფექტიანობას. თეორიასა და პრაქტიკაში მომგებიანობის მრავალი მაჩვენებელი გამოიყენება (იხ. დიაგრამა 1). ბიზნესის წარმატების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება მომგებიანობის ზრდაა. როგორც ცნობილია, ორ საწარმოს შორის ისაა უფრო ეფექტიანი, რომლის მომგებიანობაცაა მაღალი და არა მოგების მოცულობა (ჭილაძე, 2018. 279).

მომგებიანობის მაჩვენებლები

დიაგრამა 1



წყარო : დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ

მოგების მარჟის მაჩვენებლები აჩვენებს კომპანიის მიერ გაყიდვებიდან წარმოქმნილი მოგების წილს. მთლიანი მოგების მარჟა გამოითვლება კომპანიის საერთო მოგების გაყიდვებთან შეფარდებით და ახასიათებს თუ რა მოგებას იღებს კომპანია გასაყიდი პროდუქციის ან მომსახურების წარმოების შედეგად. მაღალი საერთო მოგების მარჟა ნიშნავს იმას, რომ კომპანია თავის შემოსავლის მომტან ძირითად საქმიანობას ეფექტიანად წარმართავს და მას დამატებით შეუძლია სხვადასხვა ხარჯის დაფარვა, როგორცაა საოპერაციო ხარჯები, საპროცენტო ხარჯები და ა.შ. და ასევე შეუძლია წმინდა მოგების წარმოქმნა. მეორე მხრივ, დაბალი საერთო მოგების მარჟა ნიშნავს, რომ კომპანიას გაყიდული პროდუქციის ან მომსახურების წარმოება ძვირი უჯდება, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს არასწორ შესყიდვების პოლიტიკასთან, დაბალ გასაყიდ ფასთან, საბაზრო კონკურენციასთან და ა.შ.

EBITDA განიმარტება, როგორც Earning Before Interest, Tax, Depreciation and Amortization, ანუ „მოგება პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთისა და ამორტიზაციის გამოქვითვამდე“ (Brigham, & Ehrhardt, 2016. 64). აღნიშნული მაჩვენებლის ანალიზი სასარგებლოა იმ მხრივ, რომ იგი არ მოიცავს ისეთ ხარჯებს, რომელიც შეიძლება იყოს ძლიერ ცვალებადი ან/და ერთჯერადი ბუნების. ამ მაჩვენებლის უარყოფითი თვისება არის ის, რომ ის ხშირად კომპანიის წმინდა მოგებისა და ფულადი ნაკადებისგან საკმაოდ განსხვავებულია (Hofstrand, 2013). მიუხედავად ამ ნაკლისა, EBITDA კომპანიის შეფასების დროს ხშირად გამოიყენება სხვადასხვა სახელმწიფოში არსებული საწარმოების შედარების მიზნებისათვის.

საოპერაციო მოგების მარჟა არის ის მოგება, რომელიც კომპანიას რჩება ყოველი 1 ლარის შემოსავლიდან, მას შემდეგ, რაც დაფარავს საქონლის თვითღირებულებას და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მუდმივ და ცვალებად ხარჯებს (Pinson, 2008. 115). აღსანიშნავია, რომ მაღალი საოპერაციო მარჟის მქონე კომპანიები ჩვეულებრივ უფრო მდგრადნი არიან სხვადასხვა ფიქსირებული ხარჯების გადახდის დროს, როგორცაა მაგალითად, საპროცენტო ხარჯი. ასეთ კომპანიებს შესაბამისად ეკონომიკური დაღმასვლის დროს გადარჩენის უფრო მაღალი შანსი აქვთ, ვინაიდან მათ თავიანთი მომხმარებლებისთვის კონკურენტებზე შედარებით დაბალი ფასების შეთავაზება შეუძლიათ. საოპერაციო მოგების მარჟა ხშირად გამოიყენება კომპანიის მენეჯმენტის ქმედითობის შესაფასებლად, ვინაიდან სწორ მმართველობით გადაწყვეტილებებს კომპანიის ხარჯების სწორად წარმართვა და მომგებიანობის ამაღლება შეუძლია.

წმინდა მოგების მარჟა ერთმანეთთან აკავშირებს კომპანიის წმინდა მოგებას (ყველა არსებული ხარჯის გამოკლებით) და რეალიზაციიდან

მიღებულ შემოსავალს. ეს კოეფიციენტი აჩვენებს, თუ რამდენად მომგებიანია კომპანია ყველანაირი ტიპის ხარჯების გაწევის შემდეგ. თუმცაღა ამ მაჩვენებლის ნაკლი ის არის, რომ იგი აგრეთვე ითვალისწინებს სხვადასხვა ერთჯერად შემოსავლებს და ხარჯებს, რომლის გამოც კომპანიის მომგებიანობის შედარება შესაბამის კონკურენტებთან, გაცილებით რთულად წარმართვადია.

ფულადი ნაკადების მარჯა აჩვენებს ურთიერთკავშირს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებსა და კომპანიის მიერ გამოშვებულ შემოსავალს შორის. აღნიშნული კოეფიციენტი ზომავს კომპანიის მიერ რეალიზაციიდან შემოსავლების ფულად საშუალებებად გარდაქმნის უნარს. აღნიშნული მაჩვენებელი რაც უფრო მაღალია, კომპანიას შეუძლია უფრო მეტი ფულადი საშუალება გამოყოფს მომწოდებლებისათვის გადასახდელად, დივიდენდებისთვის, ძირითადი საშუალებების შესაძენად და ა.შ. შესაბამისად, როგორც უკვე აღინიშნა, ფულადი ნაკადების მართვა კომპანიის მომგებიანობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული იმიტომ, რომ საკმარისი ფულადი საშუალებების არსებობის შემთხვევაში კომპანიამ შეიძლება თავიდან აირიდოს დამატებითი ხარჯები.

მომგებიანობის მაჩვენებლების მეორე ჯგუფი არის უკუგების კოეფიციენტები. აქტივების უკუგება (ROA) ახასიათებს კომპანიაში ერთი ლარის ინვესტირებულ აქტივებზე მოგების რაოდენობას. სწორედ აღნიშნულ კოეფიციენტზე დაყრდნობითაა შესწავლილი საანალიზო კომპანიების მომგებიანობის ფაქტორ-მაჩვენებლები. აღნიშნული კოეფიციენტი აგრეთვე ზომავს ბიზნესის ოპერაციების კაპიტალინტენსიურობას. რაც უფრო დაბალია აქტივების უკუგების კოეფიციენტი, მით უფრო მეტი ინვესტიციის დაბანდება სჭირდება კომპანიას შემოსავლების გამოსამუშავებლად. აღსანიშნავია, რომ სწორედ ტელეკომუნიკაციის, მანქანათმშენებლობისა და სარკინიგზო დარგები ითვლებიან ყველაზე კაპიტალინტენსიურ დარგებად.

საკუთარ კაპიტალზე უკუგების მაჩვენებელი (ROE) გამოხატავს აქციონერების მიერ ინვესტირებული კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობას და გამოიანგარიშება წმინდა მოგების შეფარდებით საკუთარი კაპიტალის ღირებულებასთან. აღნიშნული მაჩვენებელი დიდი პოპულარობით სარგებლობს ინვესტორთა შორის, ვინაიდან ნებისმიერი ინვესტორის საზრუნავი მის მიერ ინვესტირებულ სახსრებზე მაქსიმალური უკუგების მიღებაა. საფონდო ბირჟებზე წარმოდგენილი კომპანიებისთვის სწორედ ეს მაჩვენებელი არის გადამწყვეტი აქციის ფასის და შესაბამისად კომპანიის ღირებულების ზრდისათვის, რადგანაც მსგავს კომპანიებს შეუძლიათ თანხების შიდა წყაროებიდან მოზიდვა, რაც მათ თავიდან ააცილებს სესხის აღებას და შესაბამისად დამატებით დანახარჯებს.

ინვესტირებულ კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი (ROCE) ახასიათებს კომპანიის მომგებიანობას ჯამურ ინვესტირებულ კაპიტალთან მიმართებით, როგორცაა აქციონერების შენატანები და აღებული გრძელვადიანი სესხები. აღნიშნული კოეფიციენტი გამოითვლება საოპერაციო მოგების შეფარდებით საკუთარი კაპიტალის და გრძელვადიანი სესხების ჯამთან.

საანალიზო კომპანიების მომგებიანობის ცვლილების გამომწვევი ფაქტორები

საანალიზო კომპანიებთან მიმართებით საინტერესოა აქტივების საერთო ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლის (PTA) ფაქტორული ანალიზის განხილვა რვა ფაქტორიანი მოდელის საფუძველზე, რომელიც შემუშავებულია ქართველი ეკონომისტის ი. ჭილაძის მიერ დიუპონტის მოდელირების მეთოდის გამოყენებით (Chiladze, 2018. 14). ამ მოდელის საფუძველზე მიზნად დასახული იქნა საკვლევი კომპანიების რესურსების მომგებიანობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენების გაზომვა და უარყოფითი ფაქტორების გავლენების აღმოსაფხვრელად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება.

$$PTA = \frac{P}{TA} = \frac{P}{OP} \times \frac{OP}{PS} \times \frac{PS}{S} \times \frac{S}{CS} \times \frac{CS}{OEx} \times \frac{OEx}{(MM + CA)} \times \frac{(MM + CA)}{Ow.C} \times \frac{Ow.C}{TA}$$

$\frac{P}{TA}$ - არის აქტივების მომგებიანობა, დაბეგვრამდე მოგების ანუ წლიური მოგების

ფარდობა მთლიანი აქტივების საშუალო წლიურ ღირებულებასთან.

აღნიშნულ მოდელში წარმოდგენილია შემდეგი ფაქტორები:

- $\frac{P}{OP}$ - **წლიური მოგების კოეფიციენტი** - წლიური მოგების (მოგება დაბეგვრამდე) ფარდობა საოპერაციო მოგებასთან. ეს კოეფიციენტი რაც უფრო ახლოსაა ერთთან, მით დაბალია მოგების გადასახადის ტვირთი და სხვა თანაბარ პირობებში, ზრდის საწარმოს საერთო ეკონომიკურ მომგებიანობას.

- $\frac{OP}{PS}$ - **საოპერაციო მოგების კოეფიციენტი** - საოპერაციო მოგების

ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ მოგებასთან. ეს კოეფიციენტი რაც უფრო ახლოსაა ერთთან, მით უფრო მაღალია მართვისა და მომსახურების ხარჯების ეფექტიანობა, დაბალია საოპერაციო რისკი და მაშასადამე, იზრდება მოგება.

- $\frac{PS}{S}$ - **საერთო მოგების მარჟა** - რეალიზაციიდან მიღებული მოგე-

ბის ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალთან. ის არის მოგების მარჟა, ანუ მოგების ნორმა და მისი ზრდა აქტივების მომგებიანობის ზრდას იწვევს.

• $\frac{S}{CS}$ - **დანახარჯების შემოსავლიანობა** - რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის ფარდობა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან. ის ახასიათებს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ერთეულზე მიღებული შემოსავლის დონეს, ანუ საწარმოო ხარჯების უკუგებას.

• $\frac{CS}{OEx}$ - **საწარმოო ხარჯების წილი საოპერაციო ხარჯებში** - რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ფარდობა საოპერაციო ხარჯებთან. ის ახასიათებს საწარმოო ხარჯების წილს საოპერაციო ხარჯებში. მისი ზრდა, წარმოების მოცულობის ზრდაზე მიუთითებს და სხვა თანაბარ პირობებში მოგებასა და მომგებიანობის მოსალოდნელ სიდიდეს ზრდის. ხოლო, მისი შემცირება საოპერაციო რისკების ზრდაზე მიანიშნებს.

• $\frac{OEx}{MM+CA}$ - **ავანსირებული ღირებულების წრებრუნვა** - საოპერაციო ხარჯების ფარდობა ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური მარაგების საშუალოწლიურ ღირებულებასთან. ის არის რესურსებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის, ანუ ბიზნესის აქტივობის მაჩვენებელი. რაც უფრო დროულად დაიხარჯება რესურსები და არ შეფერხდება მათი ბრუნვა, ეს კოეფიციენტი მით უფრო მაღალი იქნება და მით უფრო გაზრდის მომგებიანობის მოსალოდნელ დონეს.

• $\frac{MM+CA}{Ov.C}$ - **საკუთარი კაპიტალის ბრუნვა** - ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური მარაგების საშუალოწლიური ღირებულების ფარდობა საკუთარი კაპიტალის საშუალო წლიურ ღირებულებასთან. იგი ახასიათებს რესურსებში ავანსირებული ღირებულების დონეს საკუთარი კაპიტალის ერთ ლარზე.


• $\frac{Ov.C}{TA}$ - **ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი** - საკუთარი კაპიტალის საშუალოწლიური ღირებულების ფარდობა აქტივების საშუალოწლიურ ღირებულებასთან. ის არის საკუთარი კაპიტალის წილის კოეფიციენტი აქტივებში. მისი ზრდა მიანიშნებს, რომ საწარმოს აქტივების დაფინანსების წყაროებში მცირდება სესხების წილი და შესაბამისად საპროცენტო ხარჯების მოცულობაც, რაც ხელს უწყობს როგორც აქტივების მომგებიანობის დონის და საწარმოს ფინანსური დამოუკიდებლობის ზრდას.

ეს ფაქტორ-მაჩვენებლები ასევე ლევერიჯის ცვლილებაზეც მიანიშნებენ. მათი ზრდა ამცირებს საოპერაციო და ფინანსურ ლევერიჯს, ანუ რისკებს.

აღნიშნულ მოდელზე დაყრდნობით, ჩატარებულ იქნა შპს „მაგთიკომის“, სს „სილქნეტის“ და შპს „ვიონი საქართველოსთვის“ - მომგებიანობის ფაქტორული ანალიზი. პირველ რიგში განხილულ იქნა მომგებიანობის დინამიკური ტენდენციები (იხ. დიაგრამა 2).

საანალიზო საწარმოების აქტივების მომგებიანობის დინამიკა

დიაგრამა 2



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ Reportal.ge-დან მოპოვებული მონაცემების მიხედვით


როგორც პირველი დიაგრამიდან ნათლად გამოჩნდა, საანალიზო პერიოდში კომპანიების მომგებიანობის ტენდენციები ცვალებადია, კერძოდ, შპს „მაგთიკომის“ შემთხვევაში შესამჩნევია მომგებიანობის დამატებითი ზრდა მთელი საანალიზო პერიოდის მანძილზე, რაც დადებითი ნიშანია კომპანიის არსებული და პოტენციური ინვესტორებისათვის. რაც შეეხება სს „სილქნეტს“ და შპს „ვიონი საქართველოს“, მომგებიანობის კოეფიციენტი საანალიზო პერიოდის განმავლობაში შემცირების ტენდენციით ხასიათდება და უარყოფითი კი ხდება, რაც კომპანიების ზარალიანობით არის გამოწვეული და საგანგაშო ტენდენციას წარმოადგენს.

როგორც მესამე დიაგრამიდან ჩანს, საანალიზო პერიოდში შპს „მაგთიკომის“ გარდა, დანარჩენმა ორივე კომპანიაში ადგილი ჰქონდა ასევე ფინანსური დამოუკიდებლობის შემცირების ტენდენციას, ხოლო კორონავირუსის პანდემიამ ბიზნესსექტორი დამატებით დააზარალა. შესაბამისად საინტერესოა აღნიშნული კომპანიებისათვის ჩატარდეს აქტივების მომგებიანობის ფაქტორული ანალიზი და დადგინდეს, რომელმა ფაქტორებმა შეასრულეს არსებითი როლი კომპანიის მომგებიანობის ცვლილებაში.

ცხრილში (1) წარმოდგენილია საანალიზო საწარმოების მომგებიანობის მაჩვენებლები და მომგებიანობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა პანდემიამდე (2017) და პანდემიის პერიოდში (2020).

**საანალიზო სანარმოების ფინანსური დამოუკიდებლობის
კოეფიციენტი დინამიკა**

დიაგრამა 3



წყახო : დიაგრამა შედგენილია ავტოხის მიეხ Reportal.ge-დან მოპოვებული მონაცემების მიხედვით

**მომგებიანობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენები პანდემიამდე და
პანდემიის პერიოდში 2020 წ. 2017 წ. შედარებით**

ცხრილი 1

მაჩვენებლები	მაგთიკომი	სილქნეტი	ვიონი საქართველო
აქტივების მომგებიანობის ცვლილება	0.0896	-0.1739	-0.5317
ფაქტორთა გავლენა :			
1. წლიური მოგების კოეფიციენტი	0.0191	-0.2059	0.8651
2. საოპერაციო მოგების კოეფიციენტი	0.0318	-0.0210	-0.7855
3. საერთო მოგების მარჟა	0.0547	-0.0020	-0.3441
4. დანახარჯების შემოსავლიანობა	0.0477	-0.0016	-0.2241
5. სანარმოო ხარჯების წილი საოპერაციო ხარჯებში	0.0637	-0.0155	-0.1585
6. ავანსირებული ღირებულებების წრებრუნვა	-0.1180	0.0185	0.2274
7. საკუთარი კაპიტალის ბრუნვა	-0.0680	2.3409	0.5506
8. ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	0.0587	-2.2873	-0.6626

წყახო : ცხრილი შედგენილია ავტოხის მიეხ

როგორც ცხრილიდან ჩანს, შპს „მაგთიკომში“ აქტივების მომგებიანობა 2020 წელს, 2017 წელთან შედარებით, გაზრდილია, ხოლო დანარჩენ კომპანიებში შემცირებულია. მომგებიანობის ფაქტორული ანალიზი შპს „მაგთიკომში“ აჩვენებს, რომ მხოლოდ ავანსირებული ღირებულების წრებრუნვის და საკუთარი კაპიტალის ბრუნვის ინდექსი შემცირდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დანარჩენი ფაქტორების დამატებითი გაუმჯობესების გამო აქტივების მომგებიანობის მაჩვენებელიც წლიდან წლამდე უმჯობესდება.

სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის სს „სილქნეტის“ მომგებიანობის მაჩვენებლებზე, რომელიც საანალიზო პერიოდის განმავლობაში დრამატულ გაუარესებას განიცდის. მოდელში ნაჩვენები ფაქტორებიდან მხოლოდ ავანსირებული ღირებულების წრებრუნვის და საკუთარი კაპიტალის ბრუნვის ინდექსები გაიზარდა, ხოლო დანარჩენი ფაქტორები გაუარესდა. აღნიშნული გამოწვეულია კომპანიის მიერ შპს „ჯეოსელის“ შესაძენად გამოშვებული სოლიდური ღირებულების მქონე ობლიგაციების გამო, რომელსაც, ბუნებრივია, მაღალი საპროცენტო ხარჯები და უარყოფითი საკურსო სხვაობები ახლავს ლარის დევალვაციის გამო. აღნიშნული ორი მიზეზის ერთობლიობა იწვევს კომპანიის მოგების და შესაბამისად მომგებიანობის მაჩვენებლის გაუარესებას. აგრეთვე, აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებული ფაქტორების ფონზე კომპანიის საოპერაციო მოგება და საოპერაციო მარჟა საანალიზო პერიოდის განმავლობაში სტაბილურად იზრდება, თუმცა აღნიშნული უარყოფითი ფაქტორების გავლენით კომპანიამ იზარალა.

რაც შეეხება კომპანიას - „ვიონი საქართველო“, ზემოთ გამოთვლილი ფაქტორული მონაცემებიდან და მეორე დიაგრამიდან ჩანს, რომ ის მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში წამგებიანია. საანალიზო პერიოდში კომპანიის მხოლოდ წლიური მოგების, ავანსირებული ღირებულების წრებრუნვის და საკუთარი კაპიტალის ბრუნვის კოეფიციენტი გაიზარდა.

სანარმოების ფინანსური სტაბილურობის ანალიზის შედეგები

სტაბილურობა გულისხმობს კომპანიის შესაძლებლობას წინ აღუდგეს ისეთ პრობლემებს, როგორცაა: შემოსავლების შემცირება, კაპიტალის უკმარისობა და სხვა. ფინანსური საფრთხეების წინაშე ნებისმიერი კომპანია შეიძლება აღმოჩნდეს, მაგრამ, ფინანსური ანგარიშების ანალიზით როგორც კომპანიის მენეჯმენტს, ასევე ყველა დაინტერესებულ სუბიექტს, შეუძლია ბიზნესის ფინანსური უსაფრთხოების შეფასება (ჭილაძე, 2018. 211).

საანალიზო სანარმოების ფინანსური სტაბილურობის სამი მთავარი მაჩვენებლის დინამიკის განხილვის შედეგად დადგინდა:

- პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი
- ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი
- კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი

საანალიზო სანარმოების ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტების დინამიკური ანალიზი

ცხრილი 2

კომპანია	მაჩვენებელი	2016	2017	2018	2019	2020
შპს "მაგთიკომი"	პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი	1.99	1.19	2.30	3.94	5.24
	ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	0.51	0.58	0.71	0.79	0.83
	კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი	1.04	1.38	2.40	3.79	4.83
სს "სილქნეტი"	პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი	2.93	2.24	1.53	0.86	0.89
	ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	0.39	0.39	0.11	0.03	(0.07)
	კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი	0.64	0.65	0.12	0.03	(0.06)
შპს"ვიონი"	პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი	(4.94)	(0.95)	(4.36)	0.60	0.36
	ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	(0.48)	(0.56)	(4.98)	(2.99)	(3.63)
საქართველო"	კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი	(0.32)	(0.36)	(0.83)	(0.75)	(0.78)

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტოხის მიერ Reportal.ge-დან მოპოვებული მონაცემების მიხედვით

პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტს - აგრეთვე პროცენტის დაფარვის კოეფიციენტსაც უწოდებენ და ის ზომავს კომპანიის ამტანობას სესხების რაოდენობის მიმართ. ეს კოეფიციენტი აჩვენებს თუ რამდენჯერ უნდა დაეცეს საოპერაციო მოგების მაჩვენებელი, რომ კომპანიამ ვეღარ შეძლოს სესხის პროცენტის დაფარვა. აქედან გამომდინარე, ეს კოეფიციენტი კომპანიის ლევერიჯსაც ზომავს. აღნიშნული კოეფიციენტის მინიმალური ზღვარი ერთია.

როგორ ჩანს, შპს „მაგთიკომის“ შემთხვევაში, აღნიშნული კოეფიციენტი საანალიზო პერიოდის განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კომპანიას შეუძლია თავისუფლად აიღოს დამატებითი სესხი ისე, რომ კომპანიის ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე არ შეუქმნას.

სს „სილქნეტის“ შემთხვევაში ჩანს, რომ საანალიზო პერიოდის დასაწყისში მისი პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი შპს „მაგთიკომის“ შესაბამის კოეფიციენტზე მაღალია, ხოლო საანალიზო პერიოდის განმავლობაში თანდათანობით უარესდება და კომპანია ფინანსურ სტაბილურობას კარგავს. აღნიშნული, ბუნებრივია, გამოწვეულია იმის გამო, რომ კომპანიამ საანალიზო პერიოდში მიღებული ბიზნესგადაწყვეტილებების დაფინანსებისათვის აიღო სოლიდური რაოდენობის სესხი, რასაც თან ახლდა საპროცენტო ხარჯიც. მიუხედავად, იმისა, რომ საანალიზო პერიოდში კომპანიის საოპერაციო მოგება იზრდება, საპროცენტო ხარჯების უფრო სწრაფად მზარდი ტემპის გამო პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი მცირდება და კომპანია წმინდა ზარალზეა.

შპს „ვიონი საქართველოს“ შემთხვევაში ჩანს, რომ საანალიზო პერიოდის დასაწყისში აღნიშნული კოეფიციენტი უარყოფითია, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანიას საოპერაციო ზარალი აქვს. შემდგომ პერიოდში კომპანია ფინანსურ ანგარიშგებებში საოპერაციო მოგებას აფიქსირებს და შესაბამისად ეს კოეფიციენტი დადებითია, თუმცა, ძალიან დაბალია. შპს „ვიონი საქართველოსათვის“ ამ კოეფიციენტის დინამიკა მზარდია, რაც კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესებაზე მეტყველებს.

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი, რომლის მინიმალური ზღვარიც 0.5-ია, ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის დასახასიათებლად გამოიყენება. ამ მაჩვენებლის გაანგარიშება ხდება საკუთარი კაპიტალის შეფარდებით აქტივებთან.

როგორც ჩანს, შპს „მაგთიკომის“ შემთხვევაში ფინანსური დამოუკიდებლობა სტაბილურად მზარდია, რაც დადებითი მოვლენაა, ხოლო სს „სილქნეტისათვის“ და შპს „ვიონი საქართველოსათვის საანალიზო პერიოდის მანძილზე შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებს.

კაპიტალის ძირითადი სტრუქტურის კოეფიციენტი აჩვენებს საკუთარი კაპიტალის ყოველი ერთი ლარი რამდენი ლარის ვალდებულებებითაა დატვირთული. ამ კოეფიციენტის ზრდა ფინანსურ რისკებს ზრდის და კრედიტორებზე სანარმოს ფინანსური დამოუკიდებულების ხარისხს აძლიერებს. მისი მინიმალური დონე 1-ია და მასზე ნაკლები არ უნდა იყოს (გარდა კომერციული ბანკებისა) (ჭილაძე, 2018. 187).

როგორც ჩანს, ანალიზის საფუძველზე შპს „მაგთიკომის“ შემთხვევაში შეინიშნება აღნიშნული კოეფიციენტის მაჩვენებლის ზრდა, რაც კომპანიის მდგრად ფინანსურ მდგომარეობაზე მეტყველებს, რაც არ ითქმის სს „სილქნეტის“ და შპს „ვიონი საქართველოს შემთხვევაში, სადაც აღნიშნული კოეფიციენტი მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში მცირდებოდა.

დასკვნა

ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგად, აღმოჩნდა, რომ პანდემიამდე პერიოდში სს „სილქნეტის“ და შპს „ვიონი საქართველოს“ მომგებიანობა უფრო მაღალი იყო ვიდრე პანდემიის პერიოდში, რაც რამდენიმე ფაქტორის გაუარესების შედეგია. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა რომ საანალიზო დარგში მომგებიანობის ცვლილებაზე უარყოფით გავლენას ახდენდა შემდეგი ფაქტორები :

- ზრდადი და უკონტროლო საოპერაციო დანახარჯები, რასაც მიეკუთვნება კომპანიის ძირითადი საშუალებების გაუფასურების ხარჯებიც;
- უცხოური ვალუტის გამოყენების შედეგად აღიარებული საკურსო ზარალი;
- დიდი რაოდენობით აღებული სესხების შედეგად წარმოქმნილი საპროცენტო დანახარჯები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საანალიზო პერიოდში კომპანიების მომგებიანობა მერყევია, კომპანიები ზოგჯერ ზარალიანია, ფინანსური დამოუკიდებლობა სს „სილქნეტს“ და შპს „ვიონი საქართველოს“ დაკარგული აქვთ. რაც შეეხება შპს „მაგთიკომს“, მისი მომგებიანობა და ფინანსური სტაბილურობა საანალიზო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნული გამოწვეულია კომპანიის ხარჯების სწორი მართვით.

საანალიზო საწარმოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებით მომგებიანობის უზრუნველსაყოფად:

- აუცილებელია, კომპანიებმა შეიმუშაონ საპროცენტო ხარჯების და საკურსო სხვაობების ოპტიმიზაციის ხერხები ან მოძებნონ კომპანიის დაფინანსების შედარებით იაფი მეთოდები. დღესდღეობით თანამედროვე ფინანსურ სისტემაში ფართოდ არის გავრცელებული სხვადასხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რაც ეხმარება კომპანიებს სავალუტო რისკის შემცირებაში. მაგალითად, ასეთია ფორვარდული ხელშეკრულებები, აგრეთვე უცხოური ვალუტის ოპციონები და ფიუჩერსები;
- აუცილებელია, კომპანიებმა მოძებნონ საოპერაციო ხარჯების ეფექტიანად მართვის ხერხები, რაც მათ უფრო მეტ მოქნილობას და სახსრების მომგებიანად დაბანდების შესაძლებლობას მისცემს;
- მენეჯმენტმა უნდა გაააქტიუროს ფინანსური რისკების შერბილების ღონისძიებების დანარგვა;
- საჭიროა კომპანიის მენეჯმენტმა მომგებიანობის ანალიზის დროს გამოიყენოს სტატიაში განხილული მრავალფაქტორული მოდელი, რომელიც რვა ფაქტორისაგან შედგება და მიმოიხილავს კომპანიის მომგებიანობის ყველა ასპექტს, დაწყებული კომპანიის მოგების კოეფიციენტებით და დამთავრებული ფინანსური რისკების კოეფიციენტით. მომგები-

ანობის მრავალფაქტორული მოდელის გამოყენება საშუალებას მისცემს კომპანიებს, გამოავლინონ მათ მომგებიანობაზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორები და დროულად აღმოფხვრან ისინი.

ლიტერატურა:

- ჭილაძე, ი. (2018). ფინანსური ანალიზი, მესამე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი : გამომცემლობა „მერიდიანი“
- Brigham E. & Ehrhardt, M. (2016). Financial Management: Theory & Practice. Mason : South-Western Cengage learning
- Chiladze I. (2018). Theoretical and Practical Aspects of Profitability Factorial Analysis. 11th International Scientific Conference: Accounting and Finance: Science, Business and Public Sector Partnership. Journal: Science and Studies of Accounting and Finance: Problems and Perspectives, Volume 12, Number 1, pp. 12-18. 2018, <http://erd.asu.lt/ssaf/article/view/269>
- Hofstrand D. (2013). Cash Flow and Profitability are Not the Same. Iowa State University. Retrieved from <https://www.extension.iastate.edu/agdm/wholefarm/html/c5-213.html>
- Penman S.H. (2013). Financial Statements analysis and security valuation (International Edition). New York : published by McGraw-Hill Companies, Inc.
- Peterson P.P & Fabozzi F.J. (1999). Analysis of Financial Statements. New Jersey : Published by Frank J. Fabozzi Associates
- Pinson L. (2008). Anatomy of a Business Plan: A Step-by-step Guide to Building the Business and securing your company's future. Tustin : Out of your mind..and into the marketplace.
- <https://beeline.ge/ka/about-us/about-company/> / ბოლო ნახვა 22 ოქტომბერი, 2021/
- <https://comcom.ge/ge/the-commission/about-commission/> / ბოლო ნახვა 22 ოქტომბერი, 2021/
- <https://corporatefinanceinstitute.com/resources/knowledge/finance/profitability-ratios/> / ბოლო ნახვა 22 ოქტომბერი, 2021/
- <https://reportal.ge/> შპს „მაგთიკომის“, სს „სილქნეტის“ და შპს „ვიონი საქართველოს“ 2016-2020 წლების ფინანსური ანგარიშგება/ბოლო ნახვა 22 ოქტომბერი, 2021/
- https://silknet.com/?module=news&id=165&type_id=1&language=ge / ბოლო ნახვა 22 ოქტომბერი, 2021/
- <https://www.investopedia.com/ask/answers/033015/what-difference-between-economic-profit-and-accounting-profit.asp> / ბოლო ნახვა 22 ოქტომბერი, 2021/

- <https://www.magticom.ge/ka/about-company> / ბოლო ნახვა 22 ოქტომბერი, 2021/
- <https://www.silknet.com/?module=management&language=ge> / ბოლო ნახვა 22 ოქტომბერი, 2021/

References:

- Brigham E. & Ehrhardt, M. (2016). Financial Management: Theory & Practice. Mason : South-Western Cengage learning
- Chiladze, I. (2018). Finansuri analizi, mesame gadamushavebuli gamocema. [Financial analysis 3rd edition. Tbilisi, “Meridiani”] in Georgian
- Chiladze I. (2018). Theoretical and Practical Aspects of Profitability Factorial Analysis. 11th International Scientific Conference: Accounting and Finance: Science, Business and Public Sector Partnership. Journal: Science and Studies of Accounting and Finance: Problems and Perspectives, Volume 12, Number 1, pp. 12-18. 2018, <http://erd.asu.lt/ssaf/article/view/269>
- Hofstrand D. (2013). Cash Flow and Profitability are Not the Same. Iowa State University. Retrieved from <https://www.extension.iastate.edu/agdm/wholefarm/html/c5-213.html>
- Penman S.H.(2013). Financial Statements Analysis and Security Valuation (International Edition). New York : published by McGraw-Hill Companies, Inc.
- Peterson P.P & Fabozzi F.J. (1999). Analysis of Financial Statements. New Jersey : Published by Frank J. Fabozzi Associates
- Pinson L. (2008). Anatomy of a Business Plan: A Step-by-step Guide to Building the Business and Securing your Company’s Future. Tustin : Out of your mind..and into the marketplace.
- <https://beeline.ge/ka/about-us/about-company> / last seen 22 October 2021/
- <https://comcom.ge/ge/the-commission/about-commission> / last seen 22 October 2021/
- <https://corporatefinanceinstitute.com/resources/knowledge/finance/profitability-ratios/> / last seen 22 October 2021/
- shps „magtikomis“, ss „silknetis“ da shps „vioni sakartvelos“ 2016-2020 tslebis pinansuri angarishgeba [2016-2020 Years Audited Financial Statements of LLC “Magtikomi”, JSC “Silkneti” and LLC “Vioni Georgia”. (in Georgian) <https://reportal.ge/> / Last seen October 22, 2021/
- https://silknet.com/?module=news&id=165&type_id=1&language=ge /Last seen October 22, 2021/
- <https://www.investopedia.com/ask/answers/033015/what-difference-between-economic-profit-and-accounting-profit.asp> /Last seen October 22, 2021/
- <https://www.magticom.ge/ka/about-company> /Last seen October 22, 2021/
- <https://www.silknet.com/?module=management&language=ge> /Last seen October 22, 2021/

Topical Issues of Assessing Profitability and Financial Stability of Georgian Mobile Operators

Gela Tselashvili

doctoral student

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

gelatselashvili@gmail.com

The aim of this article is to research and analyze of profitability and financial stability of leading Georgian telecommunications companies and prepare respective conclusions and recommendations based on the given research.

Given analysis is performed based on pre-Covid pandemic period and during Covid pandemic period financial information and based on given research were made respective conclusions and recommendations. We determined potential improvement steps, which should be taken by the company to improve future financial stability and profitability.

Based on performed research and analysis, we identified, that pre-pandemic period financial stability of JSC "Silknet" and LLC "Vioni Georgia" was higher, than during pandemic period, when most indicators of companies' profitability deteriorated, including gross profit margin and operating profit margin. Performed research resulted with following conclusions : Profitability is variable during the analytical period, companies sometimes suffer with loss, JSC "Silknet" and LTD "Vioni Georgia" do not have financial independence. Regarding LLC "Magticom", its profitability during analytical period has improved significantly, which is caused due to correct cost management.

To improve profitability, following recommendations were established :

1. Loss-making companies are suffering from high finance costs and foreign exchange losses. Therefore, it is vital, that companies implement methods of optimization of given expenses or seek alternative and less expensive source of financing. Nowadays, in modern financial system are used various derivatives, which helps companies to reduce foreign currency risk. Example of these derivatives is forward rate agreements, currency futures, options and so on.

2. Regarding operating expenses, companies should seek more efficient methods of management operating expenses. This will give companies more flexibility and additional opportunity to invest free cash flows more profitably.

3. Companies should use multifactorial model, when assessing profitability of enterprise. In our case, model consists of eight variables, which reviews all

aspects of enterprise profitability. Adoption of given eight-factor model of profitability will help companies to identify factors, which have negative impact on profitability and resolve them timely.

Keywords: Profitability, profit, factorial analysis, factorial analysis of profitability.

JEL Codes: E44, L 63, P34.

დემოგრაფია და სოციალური პოლიტიკა DEMOGRAPHIC AND SOCIAL POLICY

„დემოგრაფიულად მომაკვდავი“ სოფლები საქართველოში

მერაბ ხმალაძე

ასოციირებული პროფესორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
merab.khmaladze@tsu.ge

საბჭოთა კავშირში მცხოვრები ეხებიდან ქართველები ითვებოდნენ ყველაზე დაბადმიჩიხებად ეხად. ქართველები ყველაზე ნაკლებად ცხოვრობდნენ თავისი ხესპუბრიკის ფახგლებს გახეთ. კეხძოდ, საქართველოს ფახგლებს გახეთ, სხვა ხესპუბრიკებში, 1959 წელს ცხოვრობდა ქართველების 3,4%, 1970 წელს - 3,5%, 1979 წელს -3,8%, ხოლო 1989 წელს - 4,9%. ყველაზე მეტი ქართველი საქართველოს გახეთ აღიჩიცხა 1989 წელს - 194 ათასი კაცი. ქართველების შემდეგ თავის ეხოვნული ტეხიგოჩიის გახეთ ყველაზე ნაკლები ცხოვრობდნენ ბარტისპიხელები - 6-8%. ზოგეხთ ეხოვნებებში აღნიშნული მარვენებელი ძალიან მალადი იყო. 1989 წელს ტაჯიკებში ის აღწევდა 23,8%, ხოლო მეზობელ სომხებში - 38,9%.

ქართველების და საეხთოდ საქართველოს მოსახლეობის დაბად მიგხაციურ მობიღობას განაპიხოებება სოფლის მოსახლეობის დაბადი მიგხაციური მობიღობა. სოფლის მოსახლეობის ქადაქად ინტესიუხ გადასვდას მოჰყვა სოფლის მოსახლეობის ხიცხოვნობის შემციხება, ხოლო შედეგად გარნდა ახადი ნასოფრახები, გაუკაციხელებული და მციხე სოფლები, შემციხედა დიდი სოფლების ხიცხვი. ეს პიოცესი გასაკუთხებით გაძღიეხდა 1990-იანი წლების შემდეგ.

წინამდებახე სტატია ეძღვნება აღნიშნული სოფლების შესწავდას საქართველოს და მისი ხეგიონების მიხედვით. კვლევის საინფოჩიაციო ბაზას წახმოადგენს საქართველოს მოსახლეობის აღწეხის მასალები, ხოლო მეთოდოლოგიუხ საფუძველს - კვლევის სტატისტიკუხი მეთოდები.

საკვანძო სიციყვები: ნასოფრახები, გაუკაციხელებული, მციხე, დიდი სოფლები.

შესავალი

ქართველების მშობლიურ მიწაზე დამაგრებაში დიდ როლს ასრულებდა და ახლაც ასრულებს სოფელი და სოფლის მეურნეობის ხასიათი. როგორც ცნობილია, საქართველო არის მრავალწლიანი ნარგავების კლასიკური ქვეყანა, რომელიც განაპირობებდა მოსახლეობის დამაგრებას. შესაბამისად, საქართველოში ტრადიციულად მაღალი იყო სოფლის მოსახლეობის წილი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო სოფლიდან ქალაქში მოსახლეობის ინტენსიური გადასვლა. არასწორი მიგრაციული პოლიტიკის შედეგად, რომელიც ხელს უწყობდა მთის მოსახლეობის ბარში გადმოსახლებას (ზოგჯერ გარკვეული ძალდატანებით და ცხოვრების გაუმჯობესების კეთილშობილური მიზნით), პრაქტიკულად დაიცალა მთა. გაჩნდა მრავალი ნასოფლარი და გაუკაცრიელდა მრავალი სოფელი. აღნიშნული პრობლემა უფრო გამწვავდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. გაჩნდა კიდევ მრავალი ნასოფლარი და გაუკაცრიელებული სოფელი, გაიზარდა მცირე სოფლების რიცხვი, მკვეთრად შემცირდა დიდი სოფლების რიცხვი და საერთოდ სოფლის მოსახლეობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 2002-2014 წლების აღწერების მიხედვით, საქართველოს სოფლის მოსახლეობა შემცირდა 148,5 ათასით, ე.ი. 8,5%-ით.

ქართული სოფლის პრობლემა ყოველთვის იყო ქართველი საზოგადოების ყურადღების ცენტრში, მაგრამ მისი სტატისტიკურდემოგრაფიული ანალიზი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვ.ჯაოშვილის მიერ საბჭოთამდელი სოფლის დასახლებული პუნქტების ეკონომ-გეოგრაფიულ შესწავლას [ჯაოშვილი, 1996], ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ შეგვხვედრია.

აღნიშნული საკითხის კვლევას ეძღვნება წინამდებარე სტატია, თუმცა პრობლემა გაცილებით მრავალნაზხნაგია და მოითხოვს კომპლექსურ შესწავლას.

ნასოფლარების სტატისტიკა

სიტყვა ნასოფლარი ქართულ ენაში გაჩნდა საქართველოში მურვან ყრუს სარდლობით არაბთა შემოსევის შემდეგ (ასევე ნაქალაქარი, ნავენახარი, ნასახლარი და სხვა). ესენია სოფლები, რომლებიც აღარ არსებობს, შემორჩენილია მხოლოდ სახელები, ან მათ ადგილზე დარჩენილია მხოლოდ სოფლის ნაშთები. სულ რამდენი ნასოფლარია საქართველოში ისტორიულად, ძნელი დასადგენია, მაგრამ მოსახლეობის აღწერები უკანასკნელ ათწლეულებში ამის საშუალებას იძლევა. მოვიყვანოთ მონაცე-

მები: 1970 წელს საქართველოში აღირიცხა 4645 სოფლის დასახლებული პუნქტი, 2002 წელს - 3 668, 2014 წელს - 3 633. აქედან ჩანს, რომ 1970-2002 წლებში აღარ აღირიცხა 977 სოფელი (4 645-3 668). თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ 977 სოფლიდან აფხაზეთის და ცხინვალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფებოდა 852 სოფელი, რომელიც აღწერაში ვერ მოხვდა, მივიღებთ, რომ 1970- 2002 წლებში საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აღარ აღირიცხა 125 სოფელი (977-852) , ე.ი საქაროსთველოს „სტატისტიკური რუკიდან“ გაქრა 125 სოფელი, რაც ნიშნავს, რომ ამ წლებში საქართველოში გაჩნდა 125 ნასოფლარი.

2002-2014 წლებში გაჩნდა კიდევ 121 ნასოფლარი, მაგრამ შეიქმნა 86 ახალი სოფელი. საქართველოს რეგიონების ერთ ნაწილში გაჩნდა ახალი ნასოფლარები, ხოლო მეორე ნაწილში-ახალი სოფლები.

2002-2014 წლებში გაჩენილი ნასოფლარებიდან: აჭარაზე მოდის 11, იმერეთზე - 8, მცხეთა-მთიანეთზე - 87, ქართლზე - 15, სულ 121 სოფელი. იმავდროულად, კახეთს მოემატა 53 სოფელი, რაჭა-ლეჩხუმს - 1, სამეგრელო ზემო-სვანეთს - 33, სამცხე-ჯავახეთს - 1, თბილისის მუნიციპალიტეტს - 21¹, სულ მოემატა 109 სოფელი. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2002 წელს აფხაზეთის ა/რესპუბლიკაში აღიწერა 23 სოფელი, რომელიც 2014 წლის აღწერაში აღარ გვხვდება (ესაა 2008 წელს რუსეთის მიერ ოკუპირებული კოდორის ხეობის სოფლები), მაშინ 2002-2014 წლების აღწერით მომატებულ 109 სოფელს უნდა გამოვაკლოთ კოდორის ხეობის 23 სოფელი და მივიღებთ, რომ 2002-2014 წლებში საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიას მოემატა 86 ახალი სოფელი.

შესაბამისად, 2002-2014 წლებში საქართველოში გაჩნდა 121 ნასოფლარი, შეიქმნა ახალი 86 სოფელი (როგორც ჩანს, დევნილი მოსახლეობის და ეკომიგრანტების სხვადასხვა ადგილას ჩასახლებით), რის შედეგადაც მივიღებთ, რომ 2002-2014 წლებში სოფლების რიცხვი საქართველოში შემცირებულია 35-ით. მაგრამ აღნიშნული რიცხვი არის 121 ნასოფლარად ქცეული და 86 ახალი სოფლების რიცხვის ბალანსი: 121-86=35.

გაუკაცრიელებული სოფლები

გაუკაცრიელებულია სოფლები, რომლებშიც აღარავინ ცხოვრობს (იხ. ცხრილი 1 და 2). ასეთი სოფლების რიცხვი საქართველოში 2002-2014 წლებში 162-დან 223-მდე, ე.ი. 140,0%-ით გაიზარდა (გაუკაცრიელებული, 0 მცხოვრებით სოფლების რიცხვი, 1970,1979 და 1989 წლების აღწერების მასალებ-

1 2002 წლის აღწერით თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში შედიოდა 1 სოფელი 147 მცხოვრებით, ხოლო 2014 წლის აღწერით - 22 სოფელი 30 420 მცხოვრებით.

ში არ ფიქსირდება). ყველაზე დიდი რაოდენობით გაუკაცრიელებული სოფლები გვხვდება მცხეთა-მთიანეთში. აქ ასეთი სოფლები 2002 წელს იყო 63, ხოლო 2014 წელს მათი რიცხვი გაიზარდა 75-მდე. აღნიშნული სოფლები მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: დუშეთი - 40, თიანეთი - 10, ყაზბეგი - 25.

გაუკაცრიელებული(0 მცხოვრებით) და მცირე სოფლები საქართველოში მოსახლეობის 2002 წლის აღწერით, რეგიონების მიხედვით

ცხრილი 1

	სულ სოფლები	მათგან მცხოვრებთა რიცხვი			
		0	1-5	6-10	11-25
საქართველო: სოფლები	3 668	162	74	78	169
მოსახლეობა	2 086 739	-	203	623	2 863
აჭარა: სოფლები	333	2	-	1	-
მოსახლეობა	209 618	-	-	8	-
გურია: სოფლები	186	-	-	2	-
მოსახლეობა	105 826	-	-	18	-
იმერეთი: სოფლები	544	3	2	1	7
მოსახლეობა	375 874	-	6	7	131
კახეთი: სოფლები	280	6	3	4	14
მოსახლეობა	322 355	-	5	32	244
მცხეთა-მთიანეთი: სოფლები	567	63	54	43	82
მოსახლეობა	93 299	-	144	355	1 310
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი: სოფლები	250	-	7	5	17
მოსახლეობა	41 382	-	23	41	322
სამეგრელო ზემო სვანეთი: სოფლები	488	22	1	7	14
მოსახლეობა	282 967	-	3	55	233
სამცხე-ჯავახეთი: სოფლები	258	10	0	1	2
მოსახლეობა	142 063	-	-	6	33
ქვემო ქართლი: სოფლები	348	15	-	3	16
მოსახლეობა	311 025	-	-	29	263
შიდა ქართლი: სოფლები	390	41	7	8	16
მოსახლეობა	200 727	-	22	67	318

წყარო: Geostat

გაუკაცრიელებული სოფლების რიცხვით მეორე ადგილზეა ქვემო და შიდა ქართლი, სადაც ეს სოფლები 2014 წელს შეადგენს 57 (2002 წ - 56). მუნიციპალიტეტების მიხედვით სოფლები შემდეგნაირად ნაწილდება: თეთრიწყარო - 13, გორი - 21, ქარელი - 8, კასპი - 3, ხაშური - 12.

**გაუკაცრიელებული (0 მცხოვრებით) და მცირე სოფლები საქართველოში
მოსახლეობის 2014 წლის აღწერით რეგიონების მიხედვით**

ცხრილი 2

	სულ სოფლები	მათგან მცხოვრებთა რიცხვი			
		0	1-5	6-10	11-25
საქართველო: სოფლები	3 633	223	157	98	221
მოსახლეობა	1 591 181	0	412	776	3 915
აჭარა: სოფლები	322	3	4	2	4
მოსახლეობა	149 179	0	11	14	76
გურია: სოფლები	186	-	1	-	1
მოსახლეობა	81 446	-	1	-	85
იმერეთი: სოფლები	536	8	5	3	17
მოსახლეობა	275 396	0	13	24	296
კახეთი: სოფლები	333	53	6	3	6
მოსახლეობა	247 057	0	12	23	94
მცხეთა-მთიანეთი: სოფლები	480	75	72	39	75
მოსახლეობა	73 314	0	178	320	1368
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი: სოფლები	251	10	16	11	27
მოსახლეობა	25 119	0	48	88	493
სამეგრელო ზემო სვანეთი: სოფლები	521	7	20	17	40
მოსახლეობა	201 370	0	68	131	673
სამცხე-ჯავახეთი: სოფლები	259	10	3	-	2
მოსახლეობა	105 841	0	5	-	34
ქვემო ქართლი: სოფლები	351	13	10	9	17
მოსახლეობა	243 868	0	29	67	293
შიდა ქართლი: სოფლები	373	44	18	11	22
მოსახლეობა	158 171	0	40	82	372

წყარო: Geostat

გაუკაცრიელებული სოფლები დიდი როდენობითაა ასევე კახეთში. ამასთან, სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით კახეთში ამ სოფლების რიცხოვნობის მეტად სწრაფი ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 6-დან 2002 წელს 53-მდე 2014 წელს. 53 სოფლიდან დან 51 მოდის ახმეტის მუნიციპალიტეტზე.

მოსახლეობისგან დაცლილი სოფლები ყველაზე მეტია: მცხეთა-მთიანეთში - სოფლების 15,6%, შიდა ქართლში -11,8%, კახეთში - 15,9%.

შედარებით მცირე როდენობით გაუკაცრიელებული სოფლებია: აჭარაში - 3, იმერეთში - 8, რაჭა-ლეჩხუმში - 10, სამეგრელო ზემო-სვანეთში - 7, სამცხე ჯავახეთში - 10.

მცირე სოფლები

მცირე სოფლებს მივაკუთვნეთ სოფლები 1-დან 25 კაცამდე. თუ განვიხილავთ მცირე სოფლებს მათში მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით, აღმოჩნდება შემდეგი: 2002 წელს 1-5 კაციან სოფელში საშუალოდ ცხოვრობდა 2,7 კაცი, 2014 წელს - 2,6; 6-10 მცხოვრებით სოფლებში საშუალოდ ცხოვრობდა 2002 წელს 8 კაცი, 2014 წელს - 8 კაცი; 11-25 კაციან სოფელში 2002 წელს ცხოვრობდა საშუალოდ 16,9 კაცი, ხოლო 2014 წელს - 17,7 კაცი.

2002 წელს საქართველოში აღირიცხა 321 მცირე სოფელი, რომელშიც ცხოვრობდა 3 689 კაცი, ე.ი. საშუალოდ სოფელში - 11,5 კაცი. 2014 წელს აღირიცხა 476 მცირე სოფელი 5 103 მცხოვრებით, ე.ი. საშუალოდ 10,7 მცხოვრებით ერთ სოფელში. მცირე სოფლების რიცხვის ზრდა 2002-2014 წლებში გამოიწვია მცირე მეტი რიცხოვნობის მქონე სოფლების მოსახლეობის შემცირებამ, რის გამოც ისინი 2014 წელს აღირიცხნენ მცირე სოფლების კატეგორიაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2014 წელს შინამეურნეობის საშუალო სიდიდე ტოლი იყო 3,4-ის, მაშინ აღმოჩნდება, რომ ყველაზე „დიდი“ 25 კაციან სოფელში საშუალოდ იყო 7,4 შინამეურნეობა, ხოლო მცირე სოფელში – საშუალოდ 3 შინამეურნეობა. ცხადია, რომ ასეთ სოფლებს პერსპექტივა არა აქვთ, რადგან ბუნებრივი გამრავლების გზით ისინი არსებობას ვერ შეინარჩუნებენ და მომავალში გაუკაცრიელებული სოფლების სიაში აღმოჩნდებიან.

მცირე სოფლების საშუალო ხალხმრავლობა 2002-2014 წლებში მნიშვნელოვნად იკლებს(იხ.: ცხრილი 3)

სოფლების საშუალო ხალხმრავლობა საქართველოში 2002-2014 წლები (მცხოვრებთა რიცხვი)

ცხრილი 3

	საქართველო სულ		მცირე სოფლები	
	2002	2014	2002	2014
საქართველო სულ	569	438	11,5	10,7
აჭარა	629	463	-	10,1
გურია	569	437	-	17,2
იმერეთი	691	514	14,4	13,3
კახეთი	1151	742	13,4	8,6
მცხეთა-მთიანეთი	165	153	10,0	10,0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	166	100	13,3	11,6
სამეგრელო ზემო სვანეთი	580	383	13,2	11,3
სამცხე-ჯავახეთი	551	409	13,0	7,8
ქვემო ქართლი	893	695	15,4	10,8
შიდა ქართლი	513	424	13,1	9,7

წყარო: გაანგაჩიშებულია 1, 2 ცხილების მონაცემებზე დაყრდნობით

ორი აღწერის პერიოდში შემცირდა სოფლების საშუალო ხალხმრავლობა როგორც საქართველოში, ისე მის ყველა რეგიონში. ყველაზე ხალხმრავალი სოფლებია კახეთში, ყველაზე ნაკლებად ხალხმრავალი სოფლები - რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში.

ყველაზე მეტი მცირე სოფელი 2014 წელს აღირიცხა მცხეთა-მთიანეთში - 186, ყველაზე ნაკლები - 5, გურიასა და 5 სამცხე-ჯავახეთში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აჭარაში 2002 წელს იყო 1 მცირე სოფელი, 2014 წელს - უკვე 10, ხოლო გურიაში შესაბამისად - 2 და 5. მცირე სოფლების რიცხვის ზრდის პარალელურად როგორც საქართველოში, ისე რეგიონებში, მცირდება მცირე სოფლების საშუალო ხალხმრავლობა.

დიდი სოფლები

საქართველოში მცირე სოფლებთან ერთად იკლებს დიდი სოფლების რიცხვიც. დიდად ითვლება სოფლები 5 000-ზე მეტი მცხოვრებით. 1926 წლის აღწერით საქართველოში იყო 2 დიდი სოფელი, 1959 წელს - 12, 1970 წელს-15, 1989 წელს - 21, [ჯაოშვილი, 1996, გვ.373] 2002 წელს- 28 და 2014 წელს - 12.

რეგიონების მიხედვით დიდი სოფლების რაოდენობა

	2002 წ.	2014 წ.
საქართველო	28	12
თბილისი	-	1
იმერეთი	3	2
კახეთი	8	-
მცხეთა-მთიანეთი	2	2
სამეგრელო ზემო-სვანეთი	3	-
ქვემო ქართლი	11	5
შშმ პირთა, დასაქმებისა და განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფოს მოქმედი სტრატეგიებისა და პროგრამების ფარგლებში, ხელფასების სუბსიდირებისა თუ სტაჟირების სტიპენდიის თანხები გაზრდილია წინა წლებთან შედარებით. სუბსიდირებისა და სტაჟირების პერიოდის გასვლის შემდგომ შრომითი ურთიერთობის 6 თვემდე ვადით გაგრძელების ვალდებულებამ, შესაძლოა პრაქტიკაში საპირისპირო ეფექტი გამოიწვიოს, კერძოდ, დამსაქმებელმა აღნიშნული ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით თავიდანვე უარი თქვას შშმ პირის დასაქმებაზე და ის მოკლევადიანი და ფრაგმენტული დასაქმების მაჩვენებლებიც აღარ გამოვლინდეს. ამ მიმართულებით რეკომენდებულია მექანიზმის ისე მორგება, რომ ვალდებულებასა და სუბსიდირებას მონაცვლეობითი ხასიათი ჰქონდეს. რაც შეეხება სუბსიდირების პერიოდს, ის ემთხვევა სეზონურ სამუშაოებს, რაც შშმ პირთა გრძელვადიან დასაქმებას გამორიცხავს.

სახელმწიფო პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ფარგლებში დადგინდა შშმ პირებისთვის დამატებითი ქულის მინიჭების საკითხი, რაც მათი თვითდასაქმების შესაძლებლობას უფრო მეტად რეალურს გახდის.

სახელმწიფოს წამყვანი როლის პარალელურად, მნიშვნელოვანია სექტორთაშორისი ვალდებულებების განერა კანონმდებლობით, ხოლო ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესების თვალსაზრისით, რეკომენდებულია შშმ პირებზე მორგებული და მათზე პასუხისმგებელი დანებსებულების განსაზღვრა ან ფორმირება.

კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით“ განერილი ვალდებულებებისა, დღესდღეობით შშმ პირთა დასაქმება-განვითარების საკითხებზე არ არსებობს სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაცია, ხოლო სხვადასხვა უწყებების მიერ დაფიქსირებულ მონაცემებს შორის მაღალი ცდომილებაა. აღნიშნული პრობლემა დაკავშირებულია, როგორც მეთოდოლოგიასთან, ასევე სხვადასხვა უწყებაზე ინფორმაციის წარმოების გადანაწილებასთანაც, რისი მოგვარებაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისთვის ვალდებულებების დაკისრებაშია.

რაც შეეხება შშმ პირთა დასაქმების ხელშემშლელ ფაქტორებს, ის ძირითადად დაკავშირებულია: არაადაპტირებულ ინფრასტრუქტურული გარემოსთან, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემასთან, დამსაქმებლის დამოკიდებულებასთან, რაც, რიგ შემთხვევაში, დისკრიმინაციაა, ხოლო რიგ შემთხვევებში შშმ პირების არაკვალიფიციურობითაა გამოყარებული, საზოგადოების ცნობიერებასთან, რაც თავად შშმ პირების

თვითშეფასებასაც მოიცავს, დასაქმებასა და განვითარებაში მხარდამჭერი მუშაკების რაოდენობის, გეოგრაფიული განფენილობისა და კვალიფიკაციის საკითხებთან – ეს ყველაფერი შესაძლოა, გარკვეულ შემთხვევაში, საერთოდაც უკარგავს აზრს მათ დასაქმებას.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ შშმ პირთა შრომითი უფლების რეალიზებისათვის, ახალი კანონმდებლობის ამოქმედება წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა, ეფექტიანობა ფასდება პრაქტიკაში რეალიზებული ინიციატივებით. ამ მიმართულებით კი მდგომარეობა გაურკვეველი და არადადამაკმაყოფილებელია.

საჭიროა სტრატეგიებისა და პროგრამების გამყარება-კორექტირება კვლევის შედეგებით, რაც დიდი ალბათობით მოაგვარებს შშმ პირთა მოკლევადიანი დასაქმების პრობლემას. ინკლუზიური ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნის კუთხით თვითმართველობათა გააქტიურება მნიშვნელოვანი მხარდამჭერი მოვლენა იქნება, ხოლო ტოლერანტული გარემოს შექმნისათვის საზოგადოების სურვილი და ჩართულობა, მნიშვნელოვნად შეცვლის დამოკიდებულებებს.

საკვანძო სიტყვები: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, დასაქმება, განვითარება.

JEL Codes: E24, K38, O15.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის

მაგდა მალრაძე

დოქტორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

magradzem@gmail.com

განათლება ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების საწინდარია. მაღალი ხარისხის განათლება უზრუნველყოფს ადამიანკაპიტალის ფორმირებას და მის ეფექტიან ჩაბუნებობას ქვეყნის განვითარების პროცესში. დღია უნივერსიტეტების როლი საზოგადოების და ეკონომიკის განვითარებაში, ხასაც აჩაჩთი სტატია და კვლევა მოწმობს. უნივერსიტეტების როლი სცილდება მხოლოდ აკადემიურს და მათ საქმიანობას აქვს დადებითი ან უაჩყოფთი გავლენა ქვეყნის ეკონომიკის და საზოგადოების განვითარებაზე (Agasisti, Barra, Zotti, 2019).

აჩაკვადიფიციური სამუშაო ძალა და დამსაქმებების მოთხოვნების შესაბამისი კვადიფიციური კადრების ნაკლებობა, დღეს საქაჩთველოში ეკონომიკის განვითარების ეჩთ-ეჩთი მთავაჩ ხედისშემშდედ ფაქტორად სახედდება. საქაჩთველოს მთავჩობის ახადი სოციადრუჩ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქაჩთველო 2020“, ისევე როგორც საქაჩთველოს მთავჩობის ჩეფოჩმების ოთხპუნქტიანი გეგმა განათლებას პიროჩიგეგურ მნიშვნელობას ანიჭებს.

სტატიაში განხილულია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის შედეგები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში საუნივერსიტეტო პაჩტნიორობების მაგადიტზე, ყუჩადლება გამაჩვირებულია სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქაჩთველოს მთავჩობას შოჩის აჩსებუდ პაჩტნიორობაზე და ქუთაისის საეჩთაშოჩისო უნივერსიტეტის პოეექტზე, ჩაც დღეს, ქვეყანაში განათლების სექტორში, ყვედაზე მასშტაბური ინიციაცივაა. ეს ოჩი ინიციაცივა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საუკეთესო მაგადიტად შეიძლება განვიჩიროთ, ჩადგან ოჩივე პოეექტი ხედს უწყობს ადამიანკაპიტალის განვი-

თახებას ქვეყნის განვითარების, ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის მიზნით.

საკვანძო სიგევები: განთლების ინტეგრაციონალიზაცია, საუნივერსიტეტო პაჩინოხობა, სან დიეგოს უნივერსიტეტი, ქუთაისის საეხთა-შოხისო უნივერსიტეტი.

ადამიანი-კაპიტალის განვითარება, როგორც ეკონომიკური ზრდის ქვაკუთხედი

უნივერსიტეტები ხელ უწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, მათ შორის კვლევით, ადამიანიკაპიტალის შექმნით, ტექნოლოგიების განვითარებით და ტრანსფერით, და სხვადასხვა საჭირო რესურსების შექმნით (Goldstein, Renault 2004). ქვეყნის როლი დღევანდელ მსოფლიოში ხშირად განისაზღვრება მისი ადამიანიკაპიტალის ხარისხით (Zinchenko, 2020).

„... ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ძალები უმაღლეს განათლებას 21-ე საუკუნეში საერთაშორისო ჩართულობისკენ უბიძგებენ. ისტორიაში პირველად, გლობალური კაპიტალი, მსოფლიო მასშტაბით, დამოკიდებული ხდება ცოდნის ინდუსტრიაზე, მათ შორის უმაღლეს განათლებასა და კადრების მომზადებაზე. აღნიშნული მოვლენა განაპირობებს „ცოდნის საზოგადოების“ ფორმირებას, მომსახურების სექტორის ზრდას, საზოგადოების დამოკიდებულებას ცოდნის პროდუქტებსა და უმაღლესი განათლების მქონე პერსონალზე, რაც ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს“ - ასე ახასიათებენ მეცნიერები ალტბახი და კნაიტლი (2007) უმაღლესი განათლების როლს ეკონომიკის და საზოგადოების განვითარებაში (Knight, J. & Altbach, P. (2007), 290).

„ცოდნის ეკონომიკა“ - ტერმინი, რომელიც პიტერ დრუკერმა გახადა და პოპულარული 1969 წელს გამოცემულ წიგნში „უწყვეტობის ერა“, წარმოადგენს ეკონომიკურ სისტემას, სადაც საქონლის და მომსახურების წარმოება დამოკიდებულია ცოდნაზე დაფუძნებულ (knowledge-intensive) აქტივობებზე, რაც ხელს უწყობს ტექნიკურ და სამეცნიერო ინოვაციების განვითარებას (Powell, Walter, Snellman, Kaisa 2004).

მაღალი უნარ - ჩვევების მქონე სამუშაო ძალა, ცოდნის ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია მიკროეკონომიკურ და მაკროეკონომიკურ გარემოში. ცოდნის ეკონომიკაში ინსტიტუციები და ინდუსტრიები ქმნიან სამუშაო ადგილებს, რაც საჭიროებს სპეციალიზებული უნარების და განათლების მქონე მუშახელს, რაც გლობალური ბაზრის

მოთხოვნებს პასუხობს. ცოდნა განიხილება, როგორც რესურსი შრომის ბაზრისა და კაპიტალისთვის (ევროკომისიის კონფერენცია, 2005).

ცოდნის ეკონომიკაში იქმნება სამუშაო ადგილები, რაც დასაქმებულისგან მოითხოვს პრობლემის გადაჭრის, ბრწყინვალე და ტექნიკურ უნარებს, მულტიდისციპლინურ გარემოში მუშაობისთვის საჭირო მოქნილობას, ადაპტაციის უნარს და ამავე დროს დარგისთვის შესაბამის კვალიფიკაციასა და საფუძვლიან ცოდნას. საქართველოში განათლების სისტემა ჯერ ვერ პასუხობს ცოდნის ეკონომიკისთვის საჭირო მოთხოვნებს და კურსდამთავრებულთა უმეტესობას არ აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები იმისთვის, რომ გლობალურ დასაქმების ბაზარზე კონკურენტული იყოს.

საქართველოს მთავრობის ახალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, ისევე როგორც საქართველოს მთავრობის რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმა განათლებას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს.

განათლებასა და მეცნიერებას, საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რაც ხაზგასმით აღნიშნულია განათლებისა და მეცნიერების 2017-2021 წლების ერთიან სტრატეგიაში. მაღალი ხარისხის განათლება ხელს უწყობს კეთილდღეობის ამაღლებას და პიროვნული, სოციალური და პროფესიული განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

განათლებისა და მეცნიერების პრიორიტეტულობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ სტრატეგიაში მოცემული ამოცანების განხორციელების მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი, ბოლო 5 წლის განმავლობაში, 650 მლნ ლარიდან 1.1 მლრდ-მდე გაიზარდა და 2017 წელს მშპ-ის 3.1%-ს მიაღწია (განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021).


2020 წელს დაფიქსირებული ეკონომიკის კლების შემდეგ, საქართველოში მნიშვნელოვანი გაჯანსაღების ტენდენციები ფიქსირდება და ეკონომიკური აქტივობის დონე აჭარბებს 2019 წლის მაჩვენებელსაც – 9.5%. ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2021 წელს – 12.0% 2021 წლის იანვარ-აგვისტოში ეკონომიკურმა ზრდამ 12.0% შეადგინა (იხ. ცხრილი 1)

განათლების სექტორში ბოლო პერიოდში განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, კვლავ მრავალი სირთულე არსებობს ქვეყანაში განათლების ხარისხთან და თანასწორ ხელმისაწვდომობასთან მიმართებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მცირე მოცულობა და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი კავშირშია განათლების ხარისხსა და შრომის ბაზარზე არსებულ მდგომარეობასთან.

2021 წლის იანვარ-ივნისში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 366.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 10.9%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (იხ. ცხრილი 2)

საქართველოს ეკონომიკური ზრდის მარკენებლები 2013-2021 წლებში (%)

ცხრილი 1




წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის ანგარიში

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

ცხრილი 2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



2019 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 1.4 პროცენტით გაიზარდა და 1,335.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

2020 წლის პირდაპირი უცხოურმა ინვესტიციებმა 572.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 57.2%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მარჯვენა მხარეს შედარებით.

2021 წლის იანვარ-ივნისში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 366.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 10.9%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.




წყარო: საქსტატი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის ანგარიში

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოში მაღალია უმუშევრობის დონე, რაც, 2020 წლის მონაცემების მიხედვით, 18.5%-ს შეადგენს (იხ. ცხრილი 3).

უმუშევრობის დონე და დაქირავებით დასაქმებულთა ნომინალური ხელფასი საქართველოში 2010-2020 წლებში

ცხრილი 3



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის ანგარიში

ინვესტიციების შემოდინების კლების და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის მიზეზად, შეიძლება დავასახელოთ საქართველოში შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევები, კერძოდ, კვალიფიციური სამუშაო ძალისადმი მოთხოვნის და მიწოდებას შორის არსებული სხვაობა.

2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის მიხედვით, „გამოწვევებს შორისაა განათლების კავშირი შრომის ბაზართან, სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება განათლების ყველა საფეხურზე, ასევე, მეცნიერებისა და კვლევების ხელშეწყობა. სამართლებრივ რეგულირებას და სისტემის გარკვეულ ცვლილებას საჭიროებს განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო ხვრელების აღმოფხვრა“ (2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია).

სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ „საქართველოს განათლების სისტემა, წარმატების მისაღწევად, საჭიროებს ძალისხმევის გაგრძელებას საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციისთვის, კვლევების და ცოდნის გაღრმავების გაძლიერებისთვის, აკადემიური პერსონალისა და კადრების, ასევე, სტუდენტების საერთაშორისო მობილურობისათვის, რათა დააკმაყოფილოს საერთაშორისო სტანდარტები და შექმნას უმაღლესი ხარისხის განათლების პროგრამები, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად“ (საქართველოს მთავრობა, 2017).

საქართველოში არ ტარდება შრომის ბაზრის რეგულარული და ფართომასშტაბიანი კვლევა და რთულია განისაზღვროს, თუ რომელ პროფესიაზეა ძირითადი მოთხოვნა, თუმცა შესრულებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი, რაც იძლევა შესაძლებლობას დავინახოთ ზოგადად თუ რა მდგომარეობაა საქართველოს შრომის ბაზარზე.

„საქსტატი“ აწარმოებს სამუშაო ძალის სტატისტიკას, შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკითხვის საფუძველზე, საიდანაც შესაძლებელია მონაცემების მოპოვება შრომის ბაზრის მიმართულებით. ასევე, არასამთავრობო, ანალიტიკური და დონორი ორგანიზაციები აფინანსებენ და ახორციელებენ შრომის ბაზრის კვლევებს. ბოლო ათწლეულში ასევე ჩატარდა რამდენიმე კვლევა, რომელიც აფასებდა თუ რა გავლენას ახდენს, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული შეუსაბამობა, დასაქმების მაჩვენებელსა და ინვესტიციების შემოდიწებაზე.

ინვესტიციების შემოდიწებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში არსებული ადამიანკაპიტალი, ანუ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა, რაც ეხმარება ინვესტორებს თავიანთი ბიზნესის განვითარებაში.

გამოკითხული ინვესტორების უმეტესობა ასახელებს კვალიფიციური კადრების სიმწირეს, როგორც ერთ-ერთ გამოწვევას საქართველოში ინვესტიციების ჩადებისა და ახალი ბიზნესის განვითარებისთვის (წყარო: ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს კვლევა შრომის ბაზრის მოთხოვნა STEM სპეციალობებზე, 2014). იმავე მიზეზს ასახელებენ საქართველოში უკვე არსებული კომპანიები და გამოკითხული სამრეწველო პალატები. ე.ი. კვლევების მიხედვით, ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი შემადგურხებელი ფაქტორია არასათანადო ან დაბალი კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალა, რაც გამოწვეულია უმაღლესი განათლების მიღების არასაკმარისი დონით, მაღალი უმუშევრობის ფონზე, რაც შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული შეუსაბამობით აიხსნება. (წყარო: საქართველოს მთავრობა, ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის მოსამზადებელი ჯგუფის მიერ 2011 წელს განხორ-

რციელებული „შეზღუდვების ანალიზი“ MCC Georgia Compact II Constraints Analysis). პრობლემის გადაწყვეტა, საქართველოში, უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებითაა შესაძლებელი, რისი ერთ-ერთი საშუალება უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციაა უნივერსიტეტებს შორის აკადემიური პარტნიორობის დამყარებით და/ან საქართველოში მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების საერთაშორისო ფილიალი-კამპუსების გახსნით.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია

საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო გზა შესაძლოა იყოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია, ანუ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, საერთაშორისო სტანდარტის და მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების ქვეყანაში შემოტანა მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან პარტნიორობის გზით ან მათი ფილიალი-კამპუსების გახსნით.

2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის მიხედვით: „საქართველოს განათლების სისტემა, წარმატების მისაღწევად, საჭიროებს, ძალისხმევის გაგრძელებას საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციისთვის, კვლევების და ცოდნის გაღრმავების გაძლიერებისთვის, აკადემიური პერსონალისა და კადრების, ასევე, სტუდენტების საერთაშორისო მობილურობისათვის, რათა დააკმაყოფილოს საერთაშორისო სტანდარტები და შექმნას უმაღლესი ხარისხის განათლების პროგრამები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.“

დღეს საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ორი საუკეთესო მაგალითია სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამი ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორობა, ასევე ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის შექმნა.

2011-2013 წლებში ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ ინვესტიციების შემოდინების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი, სწორედ, რომ საქართველოში არსებული შეუსაბამობაა შრომის ბაზრის/დამსაქმებლების მოთხოვნასა და, უმაღლესი და პროფესიული განათლების პროვაიდერების მიერ, მიწოდებას შორის, ანუ, ბიზნესი ვერ პოულობს შესაბამის კვალიფიკაციურ კადრებს, უწევს დიდი ხარჯის გაწევა სპეციალისტების მომზადებასა და საკუთარი ტრენინგ ცენტრების გახსნა-ფუნქციონირებაში. შედეგად, ინვესტორისთვის აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს ხელშემშლელ ფაქტორს, საქართველოში ბიზნესის შემოტანისა და განვითარებისთვის. სწორედ ამ გამოწვევის აღმოსაფხვრელად, 2013-2019 წლებში,

აშშ-ის მთავრობის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმდა საერთაშორისო ხელშეკრულება „კომპაქტი“. რის ფარგლებშიც საქართველომ აშშ-ის მთავრობისგან 140 მილიონი აშშ დოლარის გრანტი მიიღო ადამიანკაპიტალის განვითარებისა და რამდენიმე ფართომასშტაბიანი პროექტის განსახორციელებლად ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სექტორში. შედეგად, გაუმჯობესდა სასწავლო ინფრასტრუქტურა – 40,000-მდე მოსწავლისთვის საქართველოს რეგიონებში 91-ზე მეტი საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაციით, პროფესიული განვითარების ტრენინგები გაიარა 20,000 მათემატიკის და საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებელმა, 2000-მდე საჯარო სკოლის დირექტორმა; მომზადდა და დაფინანსდა 51 ახალი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების პროგრამა და საქართველოში შემოვიდა აშშ-ის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც 2014 წლიდან აშშ-ში აკრედიტებულ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობს STEM (საბუნებისმეტყველო-საინჟინრო) დარგებში.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო

აშშ-ის უნივერსიტეტის საერთაშორისო ფილიალ-კამპუსის ფინანსური მოდელების ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ საქართველოში საერთაშორისო ფილიალ-კამპუსის გასახსნელად საჭირო დაფინანსება აჭარბებდა იმ სარგებელს, რამდენის მოტანაც აღნიშნულ პროექტს შეეძლო. შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აშშ-დან საქართველოში შემოსულიყო უნივერსიტეტი, რომელიც საქართველოს უნივერსიტეტებთან პარტნიორობით განახორციელებდა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებს და ეტაპობრივად აღნიშნული პროგრამების განხორციელებას გადასცემდა საქართველოს პარტნიორ უნივერსიტეტებს.

2013 წელს, საქართველოს მთავრობის სახელით, ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა, ტექნიკური შეფასების დამოუკიდებელი კომისიის შეფასებით, პარტნიორ უნივერსიტეტად აშშ-ის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი შეარჩია.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (სდსუ) დახმარებით, 2014 წლიდან, დაინერგა პარტნიორობის უნიკალური მოდელი, რის ფარგლებშიც სდსუ სტუდენტებს აშშ-ში აკრედიტებულ ბაკალავრიატის პროგრამებს სთავაზობს, კურსდამთავრებულები იღებენ ამერიკულ დიპლომს. პარალელურად, სდსუ პარტნიორ ქართულ უნივერსიტეტებს შესაძლებლობათა განვითარებაში ეხმარება, რათა პარტნიორ უნივერსიტეტებს STEM-ის დარგებში იმავე ხარისხის აკადემიური პროგრამები განეხორციელებინათ,

საერთაშორისო სტანდარტებისთვის მიეღწიათ და საერთაშორისი აკრედიტაცია მოეპოვებინათ.

პარტნიორობის ეს პროექტი უკვე წარმატებით ხორციელდება. სდსუ-საქართველოს პარტნიორობა ტრანსფორმაციულ ზემოქმედებას მოახდენს საქართველოს უმაღლეს განათლებაზე, საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციისა და STEM-ის დარგებში კვალიფიციური სამუშაო ძალის განვითარების გზით.

საქართველოში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მოდელმა, რაც გულისხმობს საქართველოს სამ წამყვან უნივერსიტეტთან თანამშრომლობას, მაღალი შეფასება მიიღო როგორც აშშ-ის უნივერსიტეტის, ასევე საქართველოს პარტნიორობის მხრიდან. ამ მოდელის უნიკალურობა იმაშია, რომ სდსუ-ს არ გაუხსნია თავისი ფილიალი-კამპუსი საქართველოში, არამედ გახსნა თავისი წარმომადგენლობა და ახორციელებს STEM-ის დარგებში საბაკალავრო პროგრამებს, აქცენტს აკეთებს ადგილობრივი პარტნიორი უნივერსიტეტების შესაძლებლობათა გაძლიერებაზე, ცოდნისა და პროგრამების გადაცემაზე და უზრუნველყოფაზე, რათ ამ პროგრამებმა აღნიშნულ პარტნიორ უნივერსიტეტებში საერთაშორისო აკრედიტაცია მიიღოს. აქედან გამომდინარე, სდსუ-საქართველოს პარტნიორობის შექმნით, ნაპოვნია მაღალხარისხიანი ამერიკული უმაღლესი განათლების ექსპორტირების ახალი მოდელი.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი (KIU)

საჯარო-კერძო პარტნიორობის და ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის (KIU) დაფუძნება, რომელმაც სტუდენტების პირველი ნაკადი 2020 წელს მიიღო. უნივერსიტეტი საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მიერ გაღებული 1 მლრდ ევროს ოდენობის შემოწირულობის მეშვეობით შეიქმნა და ფუნქციონირებს (<https://www.kiu.edu.ge/index.php?m=185>).

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი ახორციელებს ინოვაციურ, ინტერდისციპლინურ სასწავლო პროგრამებს ინგლისურად და წარმოადგენს, დღეს, სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ საუნივერსიტეტო კამპუსს. უნივერსიტეტის მოდელი და პროგრამები შექმნილია მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი - მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის (TUM) მოდელზე, TUM-თან თანამშრომლობით. KIU-ში აკადემიური პერსონალის ნახევარი არის გერმანელი, წამყვანი პროფესორ-მასწავლებელი ან პრაქტიკოსი ლექტორი. KIU-ს საპატიო რექტორია TUM-ის ყოფილი რექტორი, მსოფლიოს წამყვანი მეცნიერი და უმაღლესი განათლების

ცნობილი მენეჯერი და მეცნიერი, პროფესორი ვოლფგანგ ჰერმანი. KIU-სა და TUM-ის პარტნიორობა წარმოადგენს უმაღლეს განათლებაში თანამშრომლობის შესანიშნავ მოდელს, რაც ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიზანია, კავკასიის რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ, ჩამოყალიბდეს საუნივერსიტეტო ინოვაციურ ჰაბად. ამ მიზნის მისაღწევად, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც TUM-თან თანამშრომლობით შემუშავდა, შემდეგ პრიორიტეტებს მოიცავს:

უნივერსიტეტი და კამპუსის განვითარება – კამპუსი – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი აქტივია. შესაბამისად, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი მომავალშიც განაგრძობს განვითარებას მიმზიდველ, თანამედროვე და მწვანე კამპუსად.

სწავლა და განათლება – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმატება განპირობებულია სწავლისა და სწავლების უმაღლესი ხარისხით, რაც KIU-ს უმაღლესი დონის ევროპული უნივერსიტეტების გვერდით აყენებს.

სამეწარმეო უნივერსიტეტის განვითარება – სამეწარმეო ხაზით, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო მისიის ბიზნესწრეებთან დაკავშირებას. უნივერსიტეტსა და ბიზნესწრეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას, ზედამხედველობას უწევს ინდუსტრიის საკითხებზე საკონსულტაციო საბჭო (IAC), რის შემადგენლობაში შედიან საერთაშორისო და ქართული კომპანიების წარმატებული წარმომადგენლები, რომლებსაც KIU-ს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან მიმართებაში მკაფიო დაინტერესება გააჩნიათ.

უნივერსიტეტსა და ინდუსტრიას შორის არსებული მჭიდრო კავშირი, ბიზნესსა და საგანმანათლებლო წრეებს შორის, ტექნოლოგიების გადაცემას ითვალისწინებს: ბიზნესწრეები KIU-ს ინფორმაციას აწვდიან, ახლანდელ და მომავალში, მოთხოვნადი უნარ-ჩვევების შესახებ. უნივერსიტეტი კი ამ მოსაზრებებს და რეკომენდაციებს სასწავლო კურსებში ან სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ითვალისწინებს. სტუდენტები იძენენ მოთხოვნად უნარ-ჩვევებს, რისი მეშვეობითაც ისინი საქმდებიან, შრომის ბაზარზე, თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამის სამსახურებში. როგორც სამეწარმეო უნივერსიტეტი, KIU ახორციელებს სტუდენტთა სტაჟირებას, დასაქმებასა და სტარტაპებს – იდეის დონიდან დაწყებული შრომით ბაზარზე შესვლით დამთავრებული. შესაბამისად, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი ხელს უწყობს ქვეყანასა და რეგიონში მეწარმეობის განვითარებას.

ინტერნაციონალიზაცია – როგორც დასახელება მიგვანიშნებს, KIU საერთაშორისო უნივერსიტეტია:

- KIU სასწავლო პროგრამებს ახორციელებს ინგლისურ ენაზე.
- KIU-ის სასწავლო პროგრამები ევროპის სხვა წამყვანი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებთან თანხვედრაშია.
- KIU-ში მოღვაწეობენ უცხოელი პროფესორ-მასწავლებლები.
- KIU მოიპოვებს საერთაშორისო აკრედიტაციას თავისი სასწავლო პროგრამებისთვის, ასევე შეიმუშავებს დუალურ ან ორმაგი დიპლომის საგანმანათლებლო პროგრამებს.
- KIU იღებს სტუდენტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.
- KIU სტუდენტებს სთავაზობს მონაწილეობას საერთაშორისო ონლაინ კურსებში, რომლებიც ტარდება პარტნიორ საერთაშორისო უნივერსიტეტთან ერთად.
- KIU საერთაშორისო უნივერსიტეტებთან ახორციელებს სტუდენტთა გაცვლით პროგრამებს.
- KIU-ის კამპუსი მზადაა უცხოელი პროფესორების, მონვეული ლექტორებისა და მონვეული მკვლევარების მისაღებად.
- KIU მართავს საერთაშორისო კონფერენციებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებს სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარესთვის.

სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური პარტნიორობები: – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი (KIU) ჩამოყალიბდება საერთაშორისოდ აღიარებულ და კონკურენტულ ჰაბად, სადაც ჩატარდება თანამედროვე სამეცნიერო კვლევები. უნივერსიტეტის განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება მულტიდისციპლინურ კვლევით პროექტებზე, რისთვისაც იდეალური პირობებია კამპუსში.

KIU ხელს შეუწყობს სამეცნიერო საქმიანობას - კვლევების ჩატარებას და ნაშრომების გამოქვეყნებას - რაც უზრუნველყოფს რეგიონში მეცნიერების განვითარებას. კონკრეტულად, ეს მხარდაჭერა მოიცავს ინფორმაციისა და მონაცემთა მართვის სერვისებს, როგორცაა: სამეცნიერო-კვლევითი მონაცემების მართვა-დაარქივება, სამეცნიერო კვლევების დოკუმენტირება (ლაბორატორიის დოკუმენტაცია, ლაბორატორიის საინფორმაციო სისტემა) და საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა მედია სერვერზე გამოქვეყნებული მასალების ასლების შექმნის გზით. KIU გახდება საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის ნაწილი და ამ გზით მოიზიდავს დაფინანსებას სამეცნიერო-კვლევით სფეროში.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი შეინარჩუნებს მჭიდრო და მტკიცე თანამშრომლობას მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სხვა პარტნიორებთან საერთაშორისო დონეზე. ის დაამყარებს კონტაქტებს

ნამყვან სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან სამეცნიერო ნაშრომების შექმნის, გავრცელებისა და გამოქვეყნების მიზნით და ჩაერთვება სხვადასხვა პარტნიორებთან აკადემიურ თანამშრომლობაში.

2021 წელს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი ქმნის ადრონული თერაპიის ცენტრს (HTC). სამხრეთ კავკასიის რეგიონში ეს ცენტრი იქნება ერთადერთი ობიექტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ორი ციკლოტრონით, აქედან ერთი გამოიყენება სამეცნიერო კვლევისთვის, ხოლო მეორე - ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ, პროტონულ თერაპიაზე დაფუძნებული უახლესი მეთოდებით. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი პარტნიორობას გაუწევს საერთაშორისო და ქართველ მეცნიერებს, რათა ჩატარდეს ერთობლივი სამეცნიერო კვლევები ისეთ სფეროებში, როგორიცაა: სამედიცინო და ექსპერიმენტული ფიზიკა, სამედიცინო და რადიაციული ბიოფიზიკა, ქიმია და სხვა. KIU ყოველთვის დაუჭერს მხარს სამეცნიერო წრეებს შორის კომუნიკაციასა და თანამშრომლობას.

ადამიანკაპიტალის განვითარება ახლად შექმნილი დემოკრატიული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა, ის შეიძლება მიღწეულ იქნას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების უზრუნველყოფის გზით შრომის ბაზარზე არსებულ და მოთხოვნად სფეროებში. საქართველოში ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტული დარგებიდან გამომდინარე ეს სფეროებია -- STEM (საბუნებისმეტყველო-საინჟინრო და ტექნიკური) დარგები, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი.

საერთაშორისოდ აკრედიტებული და ინდუსტრიასთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება უზრუნველყოფს ისეთი სამუშაო ძალის ფორმირებას, რაც ხელს უწყობს ადამიანკაპიტალის შექმნას. ამ უკანასკნელის მიღწევის უმოკლეს და ყველაზე ეფექტიან გზას წარმოადგენს, უკვე აღიარებული, დასავლური უნივერსიტეტის ფილიალ-კამპუსების ან პროგრამების დანერგვა განვითარებად ქვეყანაში, სადაც უმაღლესი განათლების ხარისხი გაუმჯობესებას საჭიროებს.

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელდა მრავალი, სხვადასხვა სახის, ღონისძიება აშშ-ისა და ევროპის უნივერსიტეტების წარმომადგენლების საქართველოში მოსაზიდად, საერთაშორისო უნივერსიტეტების მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე ფილიალ-კამპუსების გახსნის მიზნით. თუმცა, ცხადი გახდა, რომ აშშ-ისა და ევროპის უნივერსიტეტები ნაკლებად, ან საერთოდ არ არიან დაინტერესებულნი ფილიალი-კამპუსების გახსნით ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, სადაც უმაღლესი განათლების ბაზარი ჯერ კიდევ განუვითარებელია და სტუდენტთა რაოდენობა მცირეა - ყოველწლიურად 38,000-მდე სტუდენტით, რომლებიც გადანაწილებულები არიან საქართველოში მოქმედ 60-ზე მეტ

უმაღლეს სასწავლებელში. დამატებით გამოწვევას წარმოადგენს, საქართველოს სტუდენტების გადახდისუნარიანობა, რაც კიდევ უფრო არამიმზიდველს ხდის საქართველოს უცხოური უნივერსიტეტებისთვის.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია, როგორც უნივერსიტეტების განვითარების საუკეთესო გზა, საქართველოსთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება, რადგან უნივერსიტეტების გავლენა ქვეყნის განვითარებაზე არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური საქმიანობით და განათლების მინიჭებით, არამედ მას აქვს პოზიტიური ან ნეუტაგიური გავლენა (განათლებისა და სერვისების ხარისხის მიხედვით), ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოების განვითარებაზე. უნივერსიტეტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანკაპიტალის განვითარებაზე, რაც ეკონომიკური ზრდის სტიმულირების შედეგია.

უნივერსიტეტები, ისევე როგორც ბიზნეს ორგანიზაციები, ერთი და იგივე სოციალ-ეკონომიკური გარემოს ნაწილია: ბაზრის გაჯერებულობა, ძლიერი კონკურენცია, რესურსებზე მზარდი ფასები, საუკეთესო პრაქტიკის გლობალურ დონეზე დანერგვა, გლობალური ბრენდების ზეგავლენა, დაინტერესებულ მხარეთა მზარდი მოლოდინები - ეს ის ახალი რეალობაა, რის წინაშეც დგანან უნივერსიტეტები (ამარალი და სხვები, 2003წ). აღნიშნულის ფონზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მოქმედებენ როგორც ბიზნეს ორგანიზაციები - საერთაშორისო ორიენტაცია კი მათი კონკურენტუნარიანობის დასაყრდენი ხდება (Sauletekio al. 11, LT-10223, 2013წ. ვილნიუსი, ლიეტუვა.)

აშშ-ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და ქვეყნის ეკონომიკის განვითარება

ამერიკული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წვლილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში გადამწყვეტია. აშშ-ის უნივერსიტეტების და კოლეჯების მმართველი საბჭოების ასოციაციის (Association of Governing Boards of Universities and Colleges (AGB)) მონაცემებით ამერიკაში კოლეჯები და უნივერსიტეტები ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებლები არიან. აშშ-ში კოლეჯები და უნივერსიტეტები ჯამში 3.98 მილიონ ადამიანს ასაქმებენ, რაც აშშ-ის მოსახლეობის 2.5%-ია (წყარო: AGB). პროფესიონალი კადრების მიწოდებით, აშშ-ში უნივერსიტეტები ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკის ზრდას სტუდენტების და კურსდამთავრებულების სტარტაპებით, ინოვაციებით, სტუდენტების საკურსო პროექტებით, კვლევებით, მეცნიერების კომერციალიზაციით და მრავალი სხვა. ასევე მენარმეობას და ახალი ბიზნესების ინკუბაციას. AGB-ის მონაცემებით ორჯერ მეტი შანსია, რომ უნივერსიტეტში სწავლის შედეგად ამერიკელმა დაი-

წყოს მცირე ბიზნესი ვიდრე მათ, ვისაც მხოლოდ საშუალო სკოლა აქვთ დამთავრებული. ბოლო ორი დეკადის განმავლობაში აშშ-ში უსდ-ებმა ხელი შეუწევს 11,000 ახალი საწარმოს შექმნას სამუშაო ადგილის, ტექნოლოგიების ან კვლევების გადაცემის გზით.

აშშ-ის კოლეჯები და უნივერსიტეტები ხელს უწყობენ ცოდნის ეკონომიკას. მსოფლიო ინდუსტრიული ეკონომიკიდან ცოდნის ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად, უმაღლესი განათლების მიღებამ საკვანძო როლი ითამაშა. აშშ-ში სამუშაო ადგილების 99% უმაღლესი განათლების მქონე პროფესიონალებს უკავიათ (წყარო: აშშ-ის უნივერსიტეტების და კოლეჯების მმართველი საბჭო - Association of Governing Boards of Universities and Colleges (AGB)).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ახალისებენ ინოვაციებს. 1996 წლიდან 2015 წლის პერიოდში ტექნოლოგიის ტრანსფერის შედეგად 380,000 მეტი ახალი გამოგონება შეიქმნა აშშ-ში, რამაც ჯამში 591 ათასი აშშ დოლარის კონტრიბუცია შეიტანა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) შექმნაში და ხელი შეუწყო 4.3 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას (წყარო: აშშ-ის უნივერსიტეტების და კოლეჯების მმართველი საბჭოების ასოციაციის ანგარიში).

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლება შესაძლებელია იყოს ქვეყნის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო. მაგალითად, აშშ-ში ერთი წლის მანძილზე უცხოელი სტუდენტებისგან უსდ-ებში სწავლით შემოსული შემოსავლები დაახლოებით 36.9 მილიარდ აშშ დოლარს უდრის და 450,000 სამუშაო ადგილის შენარჩუნებას უწყობს ხელს (წყარო: აშშ-ის უნივერსიტეტების და კოლეჯების მმართველი საბჭო - Association of Governing Boards of Universities and Colleges).

ერთ-ერთი პირველი მცდელობა უმაღლესი განათლების „გარე“ როლის განსაზღვრისა შეიძლება იყოს კლარკის ცნობილი სამკუთხედი (Clark 1986), რაც ვარაუდობს, რომ უნივერსიტეტების როლი არა მხოლოდ აკადემიური ხარისხის მინიჭებაა, არამედ ეს არის ურთიერთობა სახელმწიფოსა (სახელმწიფო, რომელიც არეგულირებს სისტემას) და ბაზარს (სტუდენტები, მათი ოჯახები, კერძო-საჯარო სექტორი) შორის. აქვე აღსანიშნავია უნივერსიტეტის ახალი მესამე მისია (Laredo, 2007) – ცოდნის ტრანსფერი (Bekkers & Freitas, 2008).

დასკვნა

საქართველოში პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მხოლოდ 103 წლისაა და დღეისათვის 60-ზე მეტი უსდ ფუნქციონირებს. საქართველოში უნივერსიტეტების უმეტესობა ორიენტირებულია

განათლების პროგრამების მიწოდებაზე და ნაკლებად არის მოტივირებული, დამსაქმებლებთან, კერძო სექტორთან და ინდუსტრიასთან აქტიური თანამშრომლობისათვის, იცნობდეს და ცდილობდეს დააკმაყოფილოს ქვეყანაში არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნები, მოახდინოს ტექნოლოგიების ტრანსფერი და კომერციალიზაცია და განავითაროს სტარტაპების ხელშეწყობის აქტივობები. მხოლოდ რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი ახერხებს, იფიქროს მისი ე.წ. „მესამე მისიის“ შესრულებაზე, რადგან ამისათვის არც საკმარისი ადამიანური და არც ფინანსური რესურსი გააჩნია. აღნიშნულს ემატება, განუვითარებელი ბიზნესგარემო, რაც უკავშირდება საქართველოში ახლად შექმნილ კერძო სექტორს, რადგან მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მერე იწყება მისი არსებობის ათვლა (1991 წლიდან დღემდე).

ახლად ჩამოყალიბებული დემოკრატიისა და განვითარებადი ქვეყნების უმაღლესი განათლების ბაზარი, ვერ უზრუნველყოფს, დამოუკიდებლად, მოქმედი საერთაშორისო ფილიალ-კამპუსების ფუნქციონირებას. უმაღლესი განათლების ბაზარი და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები არ იძლევა შესაძლებლობას, რომ უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო ფილიალ-კამპუსებიდან მოგების მიღება და/ან ხანგრძლივი ფინანსური სტაბილურობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმაღლესი განათლების განვითარების ყველაზე ეფექტიან და მდგრად მოდელად გვესახება საუნივერსიტეტო პარტნიორობები, რაც, ცოდნის გადაცემის გზით, ადგილობრივ შესაძლებლობათა განვითარებაზეა ორიენტირებული და ხელს უწყობს ადამიანკაპიტალის განვითარებას. ამ თვალსაზრისით, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს მოდელი და მისი პარტნიორობა ადგილობრივ უნივერსიტეტებთან და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მოდელი და მისი პარტნიორობა მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან წარმოადგენს ორ შესანიშნავ მაგალითს, რაც ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება განვითარებად ქვეყანაში მაღალხარისხიანი საერთაშორისო განათლების შეტანა და წარმატებით განხორციელება უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის გზით. ორივე ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს ქვეყანაში ადამიანკაპიტალის განვითარებას.

ლიტერატურა:

- საქართველოს მთავრობა (2017), საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“ http://gov.ge/files/469_63085_411269_533.pdf (ბოლო ნახვა 20 დეკემბერი, 2021)

- Agasisti T., Barra C., Zotti R. - Research, Knowledge Transfer, and Innovation: The Effect of Italian Universities' Efficiency on local Economic Development 2006-2012. *J Regional Sci.* 2019;59: 819-849. <https://doi.org/10.1111/jors.12427>
- Clark, B. R. (1986). *The Higher Education System: Academic Organization in Cross-national Perspective*. Berkeley: University of California Press.
- Rudi Bekkers and Isabel Maria Bodas Freitas, *Analysing Knowledge Transfer Channels between Universities and Industry: To what Degree Do Sectors also Matter?* *Research Policy*, 2008, vol. 37, issue 10, 1837-1853
- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო, 2014. კვლევა შრომის ბაზრის მოთხოვნა STEM სპეციალობებზე, შესრულებულია კომპანია IPN-ის მიერ.
- 2013 წლის საერთაშორისო ფილიალ-კამპუსში ბიზნესის, მართვისა და განათლების მიმდინარე საკითხები: ჩარჩო და სტრატეგია. ვილნიუსის გედიმინასის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტი, *Sauletekio al. 11, LT-10223, ვილნიუსი, ლიეტუვა*.
- Wilkins Stephen and Jeroen Huisman (2012). *The International Branch Campus as Transnational Strategy in Higher Education*. "Higher Education". Vol.64, Issue 5 627-645. DOI: 10.1007/s10734-012-9516-5
- Goldstein H., & Renault C. (2004). *Contributions of Universities to Regional Economic Development: A Quasi-experimental Approach*. *Regional Studies*, 38, 733-46.
- ЗИНЧЕНКО В. В. (2020). Глобальные институциональные трансформации и перспективы устойчивого развития общества в контексте интернационализации высшего образования. *Perspectives of Science & Education*, 44(2), 10-18. <https://doi.org/10.32744/pse.2020.2.1>
- Knight J. & Altbach P. (2007). *The Internationalization of Higher Education: Motivations and Realities*. *Journal for Studies in International Education*, 11(3-4), 290-305. <http://dx.doi.org/10.1177/1028315307303542>
- Powell Walter W., Snellman Kaisa (2004). "The Knowledge Economy". *Annual Review of Sociology*. 30 (1): 199-220. doi:10.1146/annurev.soc.29.010202.100037.
- Commission, European (2005). *Conference on Knowledge Economy - Challenges for Measurement*. Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities: Eurostat.pp. 913. [https://en.wikipedia.org/wiki/ISBN_\(identifier\)](https://en.wikipedia.org/wiki/ISBN_(identifier)) <https://en.wikipedia.org/wiki/Special:BookSources/92-79-02207-5>.
- აშშ-ის უნივერსიტეტების და კოლეჯების მმართველი საბჭოს ვებგვერდი, Association of Governing Boards of Universities and Colleges (AGB) <https://agb.org/guardians-campaign/higher-education-contributes-to-a-strong-economy/>).
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ეკონომიკის პოლიტიკა 2021, http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/2021/main_economic_indicators_geo_5_10_21.pf
- საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწე-

სტატუსები <https://eqe.ge/ka/page/static/89/umaghlesi-saganmanatleblo-datsesebulebebi>

- Girdzijauskaite E., Radzeviciene A. (2013). International Branch Campus: Framework and Strategy. *Procedia-Social and Behavioral Sciences*, 110, 301-308.
- Altbach, P. G. 2010. Why Branch Campuses may Be Unsustainable. *International Higher Education* 58:2-3.
- Healye N. (2015). Universities that Set up Branch Campuses in other Countries are not Colonisers, October 19, 2015 6.12am BST, <https://theconversation.com/universities-that-set-up-branch-campuses-in-other-countries-are-not-colonisers-46289>

References:

- sakartvelos mtavroba (2017), sakartvelos mtavrobis dadgenileba „sakartvelos ganatlebisa da metsnierebis ertiani strategia 2017-2021“ [Government of Georgia (2017), Resolution of the Government of Georgia "Unified Strategy of Education and Science of Georgia 2017-2021"] in Georgian http://gov.ge/files/469_63085_411269_533.pdf (last seen 20 December, 2021)
- Agasisti T., Barra C., Zotti R. - Research, Knowledge Transfer, and Innovation: The Effect of Italian Universities' Efficiency on local Economic Development 2006-2012. *J Regional Sci.* 2019;59: 819-849. <https://doi.org/10.1111/jors.12427>
- Clark, B. R. (1986). *The Higher Education System: Academic Organization in Cross-national Perspective*. Berkeley: University of California Press.
- Rudi Bekkers and Isabel Maria Bodas Freitas (2008). Analysing Knowledge Transfer Channels between Universities and Industry: To what Degree Do Sectors also Matter? *Research Policy*, 2008, vol. 37, issue 10, 1837-1853
- atastsleulis gamotsvevis pondi - sakartvelo, 2014. kvleva shromis bazris motkhovna STEM spetsialobebze, shesrulebulia kompania IPN-is mier. [Millennium Challenge Account - Georgia, 2014. Labor Market Demand Survey on STEM specialties, conducted by IPN.] in Georgian
- 2013 tsli saertashoriso pilial-kampusshi biznesis, martvisa da ganatlebis mimdinare sakitkhebi: charcho da strategia. vilniusis gediminas sakhelobis teknikuri universiteti, Sauletekio al. 11, LT-10223, vilniusi, lietuva. [Current Business, Management and Education Issues at the 2013 International Campus Branch: Framework and Strategy. Vilnius Gediminas Technical University, Sauletekio al. 11, LT-10223, Vilnius, Lithuania.] in Georgian
- Wilkins Stephen and Jeroen Huisman (2012). The International Branch Campus as Transnational Strategy in Higher Education. "Higher Education". Vol.64, Issue 5 627-645. DOI: 10.1007/s10734-012-9516-5
- Goldstein H., Renault C. (2004). Contributions of Universities to Regional Economic Development: A Quasi-experimental Approach. *Regional Studies*, 38, 733-46.

- ZINCHENKO V. V. (2020). Globalnyye institutsionalnyye transformatsii i perspektivy ustoychivogo razvitiya obshchestva v kontekste internatsionalizatsii vysshego obrazovaniya. [Global Institutional Transformations and Prospects for Sustainable Development of Society in the Context of the Internationalization of Higher Education. Perspectives of Science & Education, 44(2), 10–18. in Russian <https://doi.org/10.32744/pse.2020.2.1>]
- Knight J. & Altbach P. (2007). The Internationalization of Higher Education: Motivations and Realities. Journal for Studies in International Education, 11(3-4), 290-305. <http://dx.doi.org/10.1177/1028315307303542>
- Powell Walter W., Snellman Kaisa (2004). "The Knowledge Economy". Annual Review of Sociology. 30 (1): 199–220. doi:10.1146/annurev.soc.29.010202.100037.
- Commission, European (2005). Conference on Knowledge Economy - Challenges for Measurement. Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities: Eurostat.pp. 913. [https://en.wikipedia.org/wiki/ISBN_\(identifier\)](https://en.wikipedia.org/wiki/ISBN_(identifier)) <https://en.wikipedia.org/wiki/Special:BookSources/92-79-02207-5>.
- Association of Governing Boards of Universities and Colleges (AGB) <https://agb.org/guardians-campaign/higher-education-contributes-to-a-strong-economy/>).
- http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/2021/main_economic_indicators_geo_5_10_21.pf
- <https://eqe.ge/ka/page/static/89/umaghlesi-saganmanatleblo-datsesebulebebi>
- Girdzijauskaitė E., Radzevičienė A. (2013). International Branch Campus: Framework and Strategy. Procedia-Social and Behavioral Sciences, 110, 301-308.
- Altbach, P. G. 2010. Why Branch Campuses may Be Unsustainable. International Higher Education 58:2–3.
- Healye N. (2015). Universities that Set up Branch Campuses in other Countries are not Colonisers, October 19, 2015 6.12am BST, <https://theconversation.com/universities-that-set-up-branch-campuses-in-other-countries-are-not-colonisers-46289>

The Role of Internationalization of Higher Education for Country's Economic Development

Magda Magradze

Doctoral Student

Iv. Javakishvili Tbilisi State University

magradzem@gmail.com

The country of Georgia is a newly emerged democracy located in a geopolitically important Caucasus region. Since Georgia regained independence in 1991, it has been struggling with political and economic challenges. Poverty and unemployment have been one of the major challenges that the Governments of

Georgia have been facing since independence. Recent developments have made it clear to the Government and people of Georgia, that education is the key to country's economic growth and development.

The Government of Georgia's new social-economic development strategy "Georgia 2020" as well as a four-pillar strategic development plan and reform agenda declare education as country's major priority. It is believed that high quality education will yield in raising professionals who will help the country develop through attraction of investments, creation of new businesses and support of industry.

Workforce in Georgia does not meet the industry and labor market demands and is not prepared for the job market. This constraint has been studied by various scholars and organizations in Georgia and various solutions have been proposed, one of which is internationalization of higher education and creation of partnerships with leading European and U.S. universities to bring their high-quality programs or branch campuses to Georgia.

The article reviews the effects of higher education internationalization on economic growth on the example of two university models and partnerships that recently emerged in Georgia. Namely, partnership between the U.S. San Diego State University and Georgian partner universities and the new Kutaisi International University. These two examples have been studied and reviewed as fine examples of how university partnerships lead to internationalization of higher education that can contribute to economic growth, and poverty reduction through human capital development and could be great alternatives of Western university branch campuses in emerging economies and low to medium low income level countries like Georgia.

Keywords: *Internationalization of higher education, university partnerships, San Diego State University-Georgia, Kutaisi State University, international branch campus, human capital development for economic growth.*

JEL Codes: *I20, I21, I28, I29*

გამოცემაზე მუშაობდნენ ნათია დვალი და ნინო ებრალიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel: +995 (32) 2250484, # 6284; #6278
www.tsu.ge/ka/publishing-house